

ქვეყნის მონაზონი სიხოსო. 245

ნიხსუნჲ კჳკუნჲ მჳუნჲ

ა ბ ბ ა



წმ. ათონის შთა


სულთა სასარგებლონი სწავლანი

და ე ჳ ი ს ტ ო ლ ე ნ ი

თანადართეთათა

მის მიერ კითხვათა, და მიგებათა მამისა იოანესაგან.

გამოცემული ათონის წმიდის მღის ანაღ-კართელთ წმიდის იოანეს ღვთის-მეტყველის საეანისა



ს ო ა ო

სტამბა ლ. მ. ტულუშისა

1903



Дозволяється напечатати сію рукопись Протоіерей Георгій Хелідзе  
20 Сентября 1901 г. Тифлісь.

ქვისტოლე ამისა მის მიმართ, რომელსა ეთხოვნეს რათა წარუზგავნოს მას კომნილნი იგი სიტყვანი წმიდისა მამისა ჩვენიანა აბბა დოკოთენნი.



აქებ გულს მოდგინებასა შენსა, და ვნატრი მოსწრაფებასა შენსა კეთილთა საქმეთა მიმართ, და კურთხეულსა მაგას სულსა შენსა, არა დიდების მოყვარესა, არამედ სიმდაბლის მოყვარესა, ძმაო სასურველო რამეთუ რომელი ეგე ტკივილითა გულისათა გამოეძიებ, და ყოვლითა გულითა აქებ საქმეთა და სიტყვათა ქეშმარიტად სანატრელისა და წმიდისა მამისა ჩვენიანა მოცემულისა ჩვენდა ნიქსა მას ივთისასა.

წმიერიითგან საცნაურ არს, რამეთუ გიყვარს იმერთი, და ზრუნავ შენ საუკუნოისა მისთვის ცხოვრებისა. რამეთუ ვითარცა იტყვის დიდი გრიგორი: ქება სათნოებისა წინამძღვარი არს შურისა; ხოლო შური მოატყვევებს სათნოებასა, და სათნოება ნეტარ ჰყოფს კაცსა.

ჩ ამისთვის მიხარის და მზიარულ ვარ, ეგე ვითარსა მაგას წარმატებასა შენსა ზედა, რამეთუ მიემსგავსე შენ მშვიდსა მას და მდაბლსა გულითა, რომელმან მიხედნა საცნაურსა მას პეტრეს და მსგავსთა მისთა სოფლით განშორებასა, და ეგრეთვე მსგავსად მანცა შიშველი ჰყოთავი თვისი სიყვარულისაგან ამის სოფლისა, და მისცათავი თვისი საღმრთოთა მამათა თვისთა, ვიდრემდე შემძლებელ იქმნა იგიცა კადნიერად თქმად მაცხოვრისა მიმართ, ვითარმედ: აჰა ესერა ჩვენ ყოველი დაუტევვეთ და შეგიდევით შენ (მატ. 19, 27). ამისთვისცა აღესრულა მკირედთა ღღეთა, და აღავსნა ჟამნი მრავალნი გრძელნი (სიბრძ. 4. 13).

წრა იქცეოდა იგი უდაბნოსა ხილულსა, არცა დიდ

### ეპისტოლე.

უჩნდა მას უფლება ველურთა მხეცთა ზედა, არამედ ეძიებდა იგი სულისა მეუდაბნობასა, და სუროდა მას მიახლება მათა მათ საუკუნოთა, რათამცა განათლდა იგი მათ მიერ საკვირველად. და რათამცა დასთრგუნნა მან თაენი სულთა მკვლელნი გველთა და ღრიანკალთანი; რომელსამცა მალედ მიიწია, შეწევნითა ქრისტესითა, მოკვეთითა ნებისა თვისისათა, მოწამეთა ებრ, რომელიცა წინამძღვარ ექმნა, და მიიყვანა იგი უცთომელსა მას მამათა გზასა; და დატევებისა მიერ ნებისა თვისისა, სანატრელი იგი ტვირთი სუბუქი, და ტკბილი იგი უღელი, ტკბილად უჩნდა მას, რომლისა მიერ ისწავა კეთილი იგი და სიმართლედ მიმყვანებელი გზა სიმდაბლისა, და ისწავა მან სიტყვა იგი მამათა სიტყვითაცა და საქმითაცა, რომელსა იტყვიან, ვითარმედ: „იქმენ მოწყალე და მშვიდ“. და ამით მიერ შეიმკო ყოვლითა სათნოებითა, ამისთვისცა ყოვლადვე ნეტარსა მას სიტყვა იგი ბერთა პირსა შინა თვისსა ჰქონდა.--

¶ ვითარმედ, „რომელი მიწევნილ არს დატევებასა ნებისა თვისისასა, იგი მიწევნულ არს ადგილსა განსასვენებელსა“. რამეთუ პოვა მან, რომელიცა ღირსად იძია, ვითარმედ ყოველთა ვნებათა ძირი არს ხორცთა სიყვარული. და არს იგი განზავებულ ტკბილსა ამას და მწარესა ნებასა ჩვენსა, ამისთვისცა პოვა მან ფიცხელი ესე წამალი, ესე იგი, დატევება ნებისა, და ამით დააქნენა ძირთა თანჯ ბაროტნიცა იგი რტონი მისნი, და იქმნა იგი მუშაკ მხნე უკვდავებისა, და დაიუნჯა მან ჭეშმარიტი იგი ცხოვრება, და აგარაკსა შინა დამალული იგი საუნჯე (მატ. 13). კეთილად მოიძია, და პოვა მან და მის მიერ გამდიდრდა იგი სიმდიდრითა მით დაუსრულებელითა.

¶ მე მინდა რათამცა მისწვდებოდა ენა ჩემი, და დაიტევდა გონება ჩემი, რათა წვლილ-წვლილადმცა აღვსწერე ცხოვრება მის წმიდისა, სარგებელად მრავალთა,

წიგნისა ამის.

და სახედ სათნოებისა. თუ ვითარ ელო ნეტარმან იწრო იგი და ფართო გზა დიდებული.

წირო ეწოდების ამით გონებისა მისისა უცთომელობისა და განუბნეველობითა, და ვითარ იგი ვიდრდა კაპანსა ზედა და დაიცვა თავი თვისი ორკერძოვე გარდაქრისაგან; რამეთუ ესრეთ დიდი იგი მოყვარე მითისა ბასილი გვასწავებს გზასა ამას ვიწროსა ცხოვრებისასა. ხოლო ფართო გზა ამით, რამეთუ არა შეკრულ იყო იგი სიყვარულითა ამის სოფლისათა, არამედ იყო იგი მოღვაწებისა მიმართ მითისა-მიერ თავისუფალ, და უფროს ყოვლისა სიმდაბლე იგი მაღალი, რომელთა ვითარცა იტყვის დიდი ანტონი, ყოველთაგანვე მახეთა ეშმაკისათა განერა. და მის ზედა (ღირს დოროთესა) აღესრულა ჭეშმარიტად წერილი იგი, ვითარმედ: ფართო არიან მცნებანი შენნი ფრიად (ფსალ. 118, 96).

აწ საქმესა ამას, ვითარცა შეუძლებელსა თანაწარხვდე, რამეთუ ვიცი ვითარმედ შეუძლებელ არს ჩემგან ყოველთა კეთილთა მის ნეტარისათა მითხრობად, რამეთუ იგი ვითარცა ბრძენი ფუტკარი კრებდა ყვავილსა, და სადაცა პოვის სახმარი რაიმე უზაროდ (დაუზარებელად) შეიკრებნ და ასწავებნ იგი ყოველსავე კეთილსა ჟამსა შინა თვისსა. ამისთვისცა ზი ბრძენო, დაღაცათუ გონება ჩემი გულს მოდგინე არს, არამედ შეუძლებელობა ჩემი, არა მიტევებს ხელის მიყოფად საქმისა ამის, რომელი ესე მოსწრაფემან და კეთილის მოყვარემან მაგან სულმან შენმან მიბრძანა; ესე მინდობითა ვქმენ, რამეთუ შევშინდი მე სიმძიმისაგან ურჩებისა და ფიცხლისა მის ზარმაცობისა კანონისაგან, და ამისთვის წარმოვეცი ესე თქვენ ბრძენთა მიმართ ვაჭართა, ტულანტი ესე, რომელი ძეს ჩემთანა, რომელ არიან სიტყვანი. და რომელნიცა გვიპოვნიან ნეტარისა ამის, რომელნიცა მან თვისთა მამათაგან ისწავლნა, და მერმე თვისთა მოწაფეთა დაუტევნა, მსგავსად მაცხოვრისა და

ეპისტოლე.

მეთისა ჩვენისა, რომელნიცა ქმნა და ისწავა.

ქ დაღაცათუ ყოველთავე თქმულთა მისთა, ვერ შემძლებელ ვიქმნეთ პოვნად; არამედ მცირედნი ესე რომელნი ვპოვენით, და ესენიცა განთესულად მრავალთა ადგილთა, და შეკრებულნი მოსწრაფეთა მიერ ნებითა მეთისათა; არამედ კმა არს ესეცა მცირედი შენისა სიწმიდისა მიმართ: ვითარცა წერილ არს: ეც ბრძენსა მიზეზ და უბრძენს იყოს (იგავ. 9. 9); ხოლო ვითარი იყო ნეტარი იგი დაროთე, გულს მოდგინებითა, რამეთუ რაჟამს გამოვიდოდა იგი მეთისა მიერ სოფლით, და გონებისა ებრ მისისა მოიგო ცხოვრებაცა, რამეთუ მამათა მიმართ თვისთა ქონდა მას პირველად სურვილი იგი, ყოველთაგან ნივთთა ამის სოფლისათა განშორებად; და მერმე მარტივი იგი აღსარება მისი, და განუკითხველობა იგი სვინიდისისა მისისა, და უფროს ყოველისა გულის ხმის ყოფით მორჩილება იგი მისი სარწმუნოებითა დამტკიცებული; და სიყვარულითა აღსრულებული. ხოლო ძმათა მათ მიმართ, რომელი იგი ქონდა სიმდაბლე და უკადნიერებლობა, და სიწრფოება და უცილებლობა, და აღმოუცენებელ იყვნეს მის შორის ძირნი იგი განუკითხველობისანი. და იყო მისთანა უფროს თაფლისა ტკბილი სიყვარული, ხოლო მსახურებასა შინა იყო იგი მოსწრაფე და შეკრძალულ გონებითა, და ფრთხილ და უშფოთველ; ხოლო ჭურჭელთა ზედა მონასტრისათა იყო იგი მოღვაწე და წმიდა, კრძალულ და არა ფუდულ\*) და ყოველთა ძმათა განკითხვითა (განსჯითა) შემწე; და უფროს ყოველთასა სიმდაბლე და მხიარულება, სულგრძელება და წესიერება, და ფრთხილი და მწვრთელი გონება იგი მისი; არამედ რასა თითოეულად ვიტყვი სათნოებათა თვის მისთა: — რამეთუ მსგავს ვარმე კაცსა მას, რომელი რაცხავნ წვეთთა წვიმისთა, გინა ღელვათა ზღვისათა, ამისთვის ზედა დავბეჭდო სიტყვა ესე ჩემი. არამედ თქვენ მივითხრნე ტკბილნი ესე სიტყვანი, რათა იშვებდეთ ამით

\*) ამხარტყანებით სსსმართ — ნამეტნახაბა.

წიგნის აზის.

და სცნათ თუ, რომლისა ცხოვრებისაგან და ნეტარისა მოქალაქობისაგან, მოვიდა განგებითა ივთისა სწავლად და ზრუნვად სულთა. მოწყალემან მან და შვილთ მოყვარემან მამამან, რომელ იგი ქეშმარიტად ღირს იყო მწყსად სულთა; რომელი იგი დიდ იყო გულის ხმის ყოფითა, და უზესთაეს შენდობითა; რომელი იგი დიდ იყო სიბძნითა და უზესთაეს იყო განკრძალვითა, რომელი იგი მაღალ იყო ხედვითა და უმაღლეს სიმდაბლითა; რომელი მდიდარ იყო ივთისა მიერ და გლახაკ იყო სულითა, რომელი ტკბილ იყო სიტყვითა და უტკბილეს შემთხვევათა, ხელოვანი იგი მკურნალი ყოველსავე სენსა ზედა. რომელი მდიდართა და გლახაკთა, ბრძენთა და უსწავლელთა, მამათა და დედათა, ბერთა და ჭაბუკთა, ჭირვეულთა და მხიარულთა, უცხოთა და თვისთა, ერის კაცთა და მონაზონთა, მთავართა და ხელმწიფეთა, მონათა და თავისუფალთა; წმიდა იგი ივთისა მიერ მოცემული სწავა ასწავლა და ტალანტი იგი განადიდა და ყოველთავე ყოვლად ექმნა და შეიბანა მრავალნი.

¶ აწ, მოწვევულ არს ჟამი, სასურველო, ტკბილთა ამათ სიტყვათა შენდა მითხრობად. ხოლო წმიდა იგი ეგე ვითარი მაღალი იყო სიბრძნითა და სიტყვითა ძლიერ, არამედ მცნებისათვის ივთისა სიმდაბლე იხმია, და ყოველნი სიტყვანი მისნი ყვნა, ადვილ და არა ღრმა.

¶ შენ რომელი ისწრაფე, და რომლისა თვის გსურო და პოვე. ხოლო სიტყვანი შენნი სიბრძნითა განაშენენ, და მიემსგავსე ცხოვრებასა სასურველისა მის შენისასა, და ჩემისა უდებებისათვის ილოცვედ. ხოლო ჯერ არს, რათა პირველად ვსთქვა ნეტარისა მის დოსითეს-თვის, რომელი იყო პირველი მოწაფე წმიდისა მამისა დოროთესი, ოდეს იგი იყო მონასტერსა სერიდოისსა, და ღვაწლსა ქრისტეს მსგავსისა მორჩილებისასა აღასრულებდა.



## ემოთხრობა ნებარისა მამისა ღმრთითაჲმ, მოწაჳისა წმიდისა აბბა ღმრთთესი.



ქეშმარიტად დიდი და ნეტარი მამა ჩვენნი აბბა ღმრთეთე, გამოვიდა სოფლით და იქმნა მონაზონ, მივიდა იგი მონასტერსა მამისა სერიდოჲსსა, და პოვნა მუნ მრავალნი და დიდნი მოღვაწენი დაყუდებულნი; რომელთა შორის იყვნენ ორნი დიდნი მნათობნი: წმიდა მამა ბარსანოფი, და მოწაფე მისი და მისთანავე მოღვაწე მამა იოანე, რომელსა ეწოდა წინასწარმეტყველ, მადლისა მისთვის წინასწარ მცნობელობისა, რომელი აქვდა ღვთისა მიერ. ხოლო მათ ორთავე ბერთა შევედრა თავი თვისი წმიდა ღმრთთემ ყოვლისა გულის-მოდგინებითა და მამისა მის სერიდოჲსსა განზრახვითა; ხოლო მამა იოანეს მსახურებასაჲცა ღირს იქმნა. და მაშინ განიზრახეს წმიდათა მათ ბერთა, რათა აღაშენონ სახლი სასნეულო. რათა არა იჭირვოდენ ძმანი, რაჟამს დასნეულდენ, გინა მოუძღლურდენ სიბერისაგან. და აღაშენეს სახლი განსასვენებელი უძღურთა და სნეულთა, ნებითა ივთისათა, და თანა შეწყენითა ძმისა მამისა ღმრთთესითა; რამეთუ ესვა მას ძმა ერის კაცნი მოშიში ივთისა, და ფრიად მოღვაწე მონაზონთა, და მისცნეს მამასა ღმრთთეს სხვანიცა ძმანი სულიერნი თანა-შემწედ, და დაადგინეს იგი, რათა იღვწოდენ ძმათა, რომელნი იყვნეს უძღურებასა შინა.

ქდღესა ერთსა, განგებითა ივთისათა, მოვიდეს ვიეთნიმე მოყვარენი მამისა სერიდოჲსნი, და მოიყვანეს მათ თანა ჭაბუკი ერთი შვენიერი ფრიად და მოსილი სამოსლითა პატიოსნითა, და რქვეს მამასა სერიდოჲს, ვითარმედ: ნებავეს ჭაბუკსა ამას, რათა იქმნეს ეგე მონაზონ შენთანა. ხოლო მამამან სერიდონ, განიყვანა მამა ღმრთთე თვისაგან და რქვა მას, ვითარმედ: „ამათ კაცთა მოიყვანეს ჭა-



### წმინდა ღმერთებზე

ბუკი ესე, და იტყვიან, ვითარმედ ნებაჲს რათა იქმნეს იგი აქა მონაზონ, გარნა მეშინის მე, ნუ უკვე არს იგი ხელმწიფისა ვისმე და ლტოლვილ-არს აუგისა რასთვისმე; და გამოცხადნეს და ვიპოვნეთ განსაცდელსა შინა. რამეთუ არცა სახე, და არცა შესახედავი მისი გავს კაცსა, რომელსა უნებნ მონაზონ ყოფის“). ხოლო იყო იგი ხელმწიფისა ვისიმე ფრიად საყვარელი, და აღზრდილ იყო იგი, მრავლითა შვეებითა და განსვენებითა. და არა ოდეს ასმიოდა მას სიტყვა ივთისა, გინა უბნობა რაიმე სულიერი.

II დღესა ერთსა უთხრეს მას, რომელთამე კაცთა იერუსალიმისათვის, და სხვათა მათ წმიდათა ადგილთათვის, და მას გულმან უთქვა მისლვად და თაყვანისცემად აღდგომასა ქრისტესსა, და წმიდასა საფლავსა მისსა, და ევედრა იგი ხელმწიფესა მას, რათა წარგზავნოს იგი მუნ. ხოლო მას არაუნდა შეწუხება მისი, და პოვა მოყვარე თვისი მიმავალი იერუსალიმს, და რქვა მას: „ყავ სიყვარული, და წარიყვანე ჭაბუკი ესე შენ თანა, რათა მოილოცნეს წმიდანი იგი ადგილნი, რამეთუ სწადის.“ ხოლო მან თავს იღვა სიხარულით და წარიყვანა მისთანა, და ყვა იგი მრავლითა პატივითა და განსვენებითა.

III ვითარცა მოვიდეს იერუსალიმს, და თაყვანისცეს წმიდასა საფლავსა ოფლისასა, და ყოველთავე მათ ადგილთა წმიდათა, და მოვიდეს გეთსამანიად, და იხილა მუნ ჯოჯოხეთი გამოხატული. ხოლო ჭაბუკი იგი დგა და განიციდდა მას განკვირვებულნი; და მიიქცა და იხილა მდგომარე მარჯვენით მისა დედაკაცი ვინმე სამოსლთათა იისფერთა მოსილი, რომელი უჩვენებდა მას თითოეულსა მას შინა მყოფთა სატანჯველთა, და გულისხმა უყოფდა მას ძალსა მისსა და ასწავებდა მას სიტყვათა სულისა ცხოვრებისათა და შიშსა ივთისასა. ხოლო ჭაბუკსა მას ესმოდა რაჲ ესე დაუკვირდებოდა ფრიად, რამეთუ ვითარცა ვსთქვი, არა ასმიოდა მას სიტყვა ივ-

მათხრობა.

თისა, და არცაღა თუ არს სატანჯველი. მიუგო და რქვა მას: „დედოფალო, უკეთუ ესე ესრეთ არს ვიდრემდის, ვინ განერეს სატანჯველთა ამათგან?“ ხოლო მან რქვა მას: „იმარხვედი, და ნუ სჭამ ხორცსა, და ილოცვედი ზედას-ზედა ივთისა მიმართ, რათა მიგიძღვეს შენ ცხოვრებად.“ და ვითარცა მისცნა სამნი მცნებანი ესე, მიეფარა მისგან. ჭაბუკმან გარე მოვლო და ეძიებდა მას, გონებდა ვისმე დედაკაცსა, გარნა ვერ პოვა იგი, ვინათგან იყო იგი ყოვლად წმიდა მარიაჲ ივთის-მშობელი. მიერიოთგან იწყუო ნეტარმან დოსითე, მარხვა და ლოცვა, და არა სჭამდა ხორცსა, და არცა იქცეოდა მათ თანა, ვითარცა იყო ჩვეულება მისი, არამედ მჭმუნვარედ, და გლოვით, და ტირილით, და ღუმილით იყო ყოვლადვე. ხოლო კაცნი იგი მისთანა მყოფნი ხედვიდეს მას, და უკვირდათ, და ევედრებოდეს მას, რათამცა უთხრა გულის-სიტყვა იგი მისი, და ვითარცა გულის-ხმა-ყვეს საქმე მისი, რქვეს მას: „უფალო, საქმენი ეგე რომელთა შენ იქმ, არა არიან კაცისანი, რომელთა ნებაეს ყოფა სოფელსა შინა, და უფროსად ხელმწიფეთა თანა; ხოლო უკეთუ ესრეთ გნებაეს ცხოვრება: წარვედ მონასტრად, რათა სრულიად აცხოვნო სული შენი.“ ხოლო მან რქვა მათ: „მაშა ყავთ სიყვარული ივთისა, და მიმიყვანეთ მე სადაცა იცით.“

¶ იყვნეს ვინმე მათგანი მეცნიერნი მამისა სერიდონისნი, ვითარცა პირველად ვსთქუ, და მოვიდეს მონასტრად. და მოიყვანეს ჭაბუკი იგი მათთანა. ხოლო აწ მოვიდეთ პირველსავე მას სიტყვასა. და ვითარცა რქვა მამამან სერიდონ, მამასა დოროთეს, ვითარმედ: ყავ სიყვარული, და წარვედ, და გულის-სიტყვა ჭაბუკისა, გულის ხმა ყავ; და წარვიდა მამა დოროთე, და ეუბნებოდა, და გამოსწვლილვიდა მას; და ვითარცა არა რაჲ იცოდა მან, უბნობა სამონაზნო, არამედ ამას ოდენ ეტ-

წმიდა ღოსითეწე.

ყოდა მას, ვითარმედ: „მინებს ცხოვრების (ცხოვნება), და რათა განერეს სული ჩემი სატანჯველთაგან.“ მაშინ მოვიდა მამა დოროთე მამისა სერიდონის თანა, და რქვა მას: „უკეთუ გნებავს შეწყნარება ჭაბუკისა იმის ნუ რა-რას ერიდები მას.“, რამეთუ არა არს მისთანა ზაკვა, არამედ იმერთსა ნებავს ცხოვნება მისი.“ მაშინ რქვა მას მამამან სერიდონ: „უკეთუ ესრეთ არს, მაშა ყავ სიყვარული, და აღიღე იგი შენთანა, რათა ცხოვრდეს, რამეთუ არა მნებავს მისი ყოფა ძმათა თანა.“ ხოლო მამა დოროთე ეტყოდა მას-სიმდაბლისაგან მისისა, ვითარმედ: „ვერ შემძლებელ ვარ, რათამცა ვიტვირთე სიმძიმე სხვისა, რამე ჩემიცა ვერ მიტვირთავს.“ და მამა სერიდო დაადგრა სიტყვასა მას ზედა, და ფრიად აიძულებდა მას, დაეტყოდა: „მე მიტვირთავს შენი და მისი სიმძიმე; რაისათვის სწუხ-ხარ?“

მაშინ რქვა მას მამამან დოროთე: „მაშა უკეთუ გნებავს მიბრძანე, რათა ვკითხო მამასა ბარსანოფის.“ და რქვა მას მამამან სერიდონ: „კეთილ, მაშა მე ვარქვა მას.“ და წარვიდა და უთხრა მას საქმე ესე მამასა ბარსანოფის დიდსა. ხოლო მამამან ბარსანოფი, რქვა მამასა დოროთეს: „შეიწყნარე ჭაბუკი იგი შენთანა, რამეთუ იმერთსა შენ მიერ ნებავს ცხოვნება მისი“. მაშინ შეიწყნარა იგი მამამან დოროთე გულს-მოდგინებით; და უბრძანა ამას საქმედ მსახურებად უძლურთა, და მსახურებდა იგი ყოველთა გულს-მოდგინედ, და სახელად ერქვა მას ღოსითე, რომელ არს თარგმანებით მოცემული ივთისა.

შა დღესა ერთსა უბრძანა მას მამამან დოროთე, ვითარმედ: „იმარხე მწუხრამდის, და სჭამე პური მაძღვრივ, და მითხარი მე რაზომი შჭამო“. და მან ყო ეგრეთ, და მოვიდა და უთხრა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „ვჭამე პური და ნახევარი. ხოლო იყო პურსა მას და ნახევარსა შინა ექვს-ასის წონა\*) და რქვა მას მამამან დოროთე; „ჭამდი

\*) წონა-ღრამი. ექვსასი ღრამი შეადგენს ერთს და ნახევარს ღოს.

მოთხრობა

პურსა და ნაოთხალსა (მეოთხედსა) მეორისასა—და მეორე ნაოთხალი ორად განყავ, და დღითი დღედ ჭამდი მაგას“. და მან ყო ეგრე. და გამოხდა ჟამი რაოდენიმე, მაშინ რქვა მას მამამან დოროთე: „გშინა შეილო?“ ხოლო დოსითე მიუგო და რქვა მას: „ჰე, მამაო, მშინ მცირედ რაიმე.“ ხოლო მცირედთა დღეთა შემდგომად, რქვა მას: „დაადგერა შიმშილსა მას ზედა?“ მიუგო მან: „არა ლოცვითა შენითა, მამაო“. მაშინ კვალად რქვა მას: „აღილე (გადადევ) მეორე ნახევარი ნაოთხლისა მის.“ და მან ყო ეგრე. და მცირედთა დღეთა შემდგომად, რქვა მას: „აღილე იგიცა ნაოთხალი, და ჭამდი პურსა ერთსა ოდენ.“ და კვალად მცირე მცირედ მისგანცა დატევებად სცა, და ესრეთ შეწევნითა ივთისათა ექესასისა წონისაგან მოიყვანა ოთხმეოცისა საწონსა, რამეთუ ჩვეულება არს ჭამასაცა შინა.

II იყო ნეტარი ესე დოსითე მყუდრო და ყოველსავე მსახურებასა შინა ფთხილ, და ყოველსავე წმიდად და გულს მოდგინედ იქმოდა მსახურებდა უძლურთა კეთილად და სარწუნოებით, და ყოველნივე განისვენებდეს მის ზედა. ხოლო უკეთუმცა განრისხნა, და ფიცხელი სიტყვა მიუგო ძმასა ვისმე, მეყვსეულად დაუტევის ყოველივე, და შევიდის საჭურჭლედ და დასჯდის და ტირნ. და მოვიდიან სხვანი ძმანი, და ნუგეშინის ცემიან მას, და ვერ შეუძლიან; მაშინ წარვიდიან და უთხრიან მამასა დოროთეს, ვითარმედ: „ყავ სიყვარული, მამაო, და ნახე ძმა იგი თუ, რაჲ შჭირს, რომელი ესე მწარედ ტირს. ხოლო შერავიდის მამა დოროთე პოვის იგი მჯდომარე ქვეყანასა ზედა და მტირალი; და რქვის მას: „რაჲ არს დოსითე? რაისათვის ესრეთ სტირ?“ ხოლო მან მიუგის: „შემინდვე მე, მამაო, რამეთუ განვრისხდი, და ვარქვ რისხვით სიტყვა ძმასა.“ მაშინ რქვის მას მამამან დოროთე: „არა გრცხვენინა, რამეთუ ესრეთ განრისხდები, და ეტყვი რისხვით სიტყვასა ძმასა შენსა? არაიცია, რამეთუ იგი არს ქრისტე, და ქრისტესა შეაწუხებ?“ ხოლო იგი თავ მოდრეკით ტირნ ოდენ, და

წმიდა დოსითეოსე.

სხვასა არა რას იტყვიან. და იხილის რაჲ იგი მამამან დოროთე, ვითარმედ იტირა ფრიად მაშინ რქვის მას წყნარად: „აღსდევ შეგინდვენ იმერთმან; და ამიერითგან ეკრძალე, და იმერთი შეგეწევის.“ ხოლო მას ვითარცა ესმის სიტყვა მისი შეიწყნარის სარწმუნოებით, ვითარცა ივთოსაგან, და აღსდგის სწრაფით და წარვიდის თვისსავე მსახურებასა; და სცნეს რაჲ ძმათა წესი იგი მისი, ოდესცა იხილიან იგი მტირალად გულის ხმა ყვიან, ვითარმედ შეცთომილი რასმე არს, და უთხრიან ნეტარს დოროთეს, შევედ საკუჭნაოსა შინა, იქ შენ საქმე გაქვს. ხოლო ოდეს შევიდის რა ნახის მიწასა ზედა მჯდომარე და მტირალი, და მაშინ სცნის, ვითარმედ: ფიცხელი სიტყვა მიუგია ვისდამე და რქვის; „რაჲ არს დოსითე? კვალად შეაწუხება ქრისტე? კვალად განრისხენ ძმისა მიმართ? და არა გრცხვენინან?“ ხოლო იგი ვერარას მიუგებნ მწარისა მისგან და ფრიადისა ტირილისა; და იხილის რაჲ იგი ესრეთ ნეტარმან დოროთე, კვალად რქვის მას: „აღსდევ შევილო, შეგინდვენ შენ იმერთმან, და დაიწყე პირველითგან და ეკრძალე.“ და კვალად იგი აღსდგის და სიხარულით წარვიდის მსახურებასავე თვისსა.

ჲ ესრეთ აქვნდა მას ჩვეულება აღსარებისა, რომელ უკეთუ დაუგებნ იგი ლოგინსა უძლურთა, და წარმოვლინ წმიდა დოროთე, რქვის მას ვითარმედ: „შემინდვე მამაო, რამეთუ მეტყვის მე გულის სიტყვა ჩემი, ვითარმედ კეთილად დავაგებ ამას.“ ხოლო მან რქვის: ✠ საკვირველი! შენ შეიქმენი კარგ მონად, საუცხოვო მესარეცხედ (ქვეშაგების დამგე) ხოლო შენა მონაზონი კი კარგი ხარ? ეგე გულის სიტყვა ამპარტავანებისაგან არს, შევილო, და ცუდად იქმ შრომასა და მსახურებასა შენსა.

ზა არა ოდეს უტევა მას ყოფად ნებისა მისისა და არცა, თუმცა ქონდა ჭურჭელი რაიმე, რომელიმცა უყვარდა მას, ხოლო იგი შეიწყნარებდა ყოველსავე სიხარულით, და ოდეს ნახის იგი მამამან დოროთე, ვითარმედ

მოთხრობა

შიშველ არს, მაშინ მისციის მას სამოსელი და უბრძანის აღიღე ეგე შვილო და შეკაზმე (გააწყვე) კეთილად და შთაიცივ, ხოლო მან აღიღის და შეკეპრის იგი. მაშინ რქვის მას: „რაჲ ყავ სამოსელი იგი?“ ხოლო მან მიუგის; „შემიკაზმავს იგი მამაო კეთილად, ვითარცა მიბრძანე.“ მაშინ რქვის მას: „მიეცი იგი მას ვისმე უძლურსა“ და მან ეგრეთვე სიხარულით მისციის, და არა ოდეს იდრტვინა ნეტარმან მან, ვითარმედ: მე ოდენ ვიჭირვი და შევკეპრავ და იგი სხვათა მისცემს და მე ესრეთ შიშველსა დამიტეობს, შემდგომად შრომისა ჩემისა, და გულსაცა არა მიუშვის გულის სიტყვა ესე ვითარი, არამედ ყოველივე რაიცა უბრძანის მას წმიდამან ღოროთე შეიწყნარის მან, ვითარცა თვით ივთისაგან ესმოდა და არა კაცთაგან.

ძიართვა კაცმან ვინმე დანა ნეტარსა ღოსითეს, ხოლო მან მიართვა წმიდა ღოროთეს, და რქვა მას: „მან ვინმე ძმამან მომცა დანაკი ესე, და თუ ბრძანო მქონდის ესე, რამეთუ ფრიად კეთილ არს და კვეთს კარგად.“ და იხილა ბერმანცა და შეუყვარდა, არამედ არა ოდეს მოიგის წმიდამან ჭურჭელი, რომელი უყვარნ გულსა მისსა. — და რქვა ნეტარსა ღოსითეს: „ღოსითე, გნებავსა, რათამცა იყავ მონა დანაკისა ამის და არა ჰარისტესა? და არა გრცხვენინა თუ მისთვის გეუფლოს შენ ეშმაკი ანგარებისა, რომელ არს კერბთ-მსახურებისა,“ ხოლო ნეტარი იგი ქვეყანად მიმართ ოდენ ხედავენ თავ მოდრეკით და ვერ აღიხილავნ, რათამცა შეხედნა ბერსა, და შემდგომად სიტყვათა ამათ, მისცა მას დანაკი იგი, და რქვა მას: „წარიღე ეგე და დადევ სასნეულოსა შინა, რათა იმსახურებდენ ძმანი, ხოლო შენ ნუ იმსახურებ. ნუცა აღიღებ მაგას.“ და ესრეთ დაიმარხა ნეტარმან ღოსითე სიტყვა ბერისა, რომელი თუმცა სთხოვის ვინ იგი, არა მიყვის ხელი, რათა მისცეს იგი, არამედ უჩვენის ოდენ და ის რქვის: ყავ სიყვარული და თვით აიღე, ძმაო, და

წმიდა დავითიძე.

ყოველნი ძმანი იმსახურებდეს, ხოლო იგი ყოვლადვე არა შეეხებოდა, და არაოდეს იდრტვინა გულსაცა შინა თვისსა, თუ ყოველნი იმსახურებენ, და მე ოდენ არა გამცვდების, არამედ ყოველივე რაიცა ესმინ, სიხარულით ქმნის; და ესრეთ კეთილად დაყო მცირედი იგი ქამი, რომელიცა დაყო მონასტერსა შინა, რამეთუ ხუთი ოდენ წელი დაყო და ესრეთ აღესრულა, და მივიდა სიხარულით ოფლისა, რამეთუ არა ქმნა მან ნება თვისი, არცა დიდსა რას ზედა, არცა მცირესა ყოვლადვე, არამედ ყოველსავე ზედა იქმოდა ნებასა ბერისასა სიხარულით და სიწრფოებით.

ქ დასნეულდა იგი სნეულებითა მძიმითა და ფიცხელითა, რომელსაცა შინა შეისვენა, რამეთუ აღმოყრიდა იგი სისხლსა იყო ღურბელა სენი იგი მისი; და ესმა მას ვისგანმე, ვითარმედ: თოლხო კვერცხი-ერგების საღმობასა მაგას. და რქვა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „მესმა, მამაო, ვიეთგანმე, საქმისა რაისათვისმე, რომელ საღმობასა ამას ჩემსა ერგების, არამედ არა მნებავს, რათამცა მომეც მისგანი, რამეთუ მტანჯავს მე გულის სიტყვა ჩემი მისთვის. რქვა მას მამამან დოროთე: მითხარ ოდენ ვცნა თუ, რაჲ არს იგი?“ რქვა დოსითე, მომეც მე სიტყვა, რათა არა მცე მისგანი, რამეთუ ფრიად მინებს იგი, და გული მითქვამს. მაშინ რქვა მას მამამან დოროთე: „კეთილი შეილო, ვითარცა გნებავს, ეგრეთვე ვყო“. მაშინ რქვა მას: „მესმა, მამაო, ვითარმედ თოლხო კვერცხი-ერგების, სენსა ამას; არამედ ვევედრები სიწმიდესა შენსა, უკეთუ ჯერ არს ნუ მცემ მას, გულის თქმისა ჩემისათვის.“ და რქვა მას მამამან დოროთე: „ნუ გულსა გაკლს, ვინაითგან შენ არა გნებავს, არა მიგცე, და იმერთმან შეიწირენ ღვაწლი შენი.“ ხოლო მამა დოროთე ისწრაფდა, რათამცა სხვა რაიმე მისცა მას კვერცხისა წილ წამალი სარგებელი უფროს კვერცხისა. იხილეთ აწ ძმანო, რამეთუ ეგე ვითარსაცა სიმძიმესა შინა საშინელსა ებრ-



ძმობრობა.

ძორა იგი წინა აღდგომად ნებასა თვისსა.

ქონდა მას მარადის ხსენება ივთისა. რამეთუ წმიდა დოროთეს მცნება მიეცა მისდა, რათა მარადის ამას სიტყვასა იტყოდეს: „**ო**თალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“ ამავე დროს: „**ძ**ეო ღვთისა, შემეწიე მე.“ და ვითარცა დამძიმდა იგი რქვა მას წმიდამან დოროთე: „იხილე დოსითე, ნუ უკვე წარწყმიდო ლოცვა შენი.“ რქვა მას: „ვილოცავ მამაო, მადლითა წმიდითა შენითა“. ხოლო დამძიმდა რაჲ უმფროსად: კვალად კითხა მას დოროთე: „რაჲ არის დოსითე, გიესა ლოცვა შენი?“ მიუგო ნეტარმან დოსითე: „ჰე, ლოცვითა შენითა მამაო, გიეს ჯერეთ,“ ხოლო მირავიდა იგი ეგე ვითარსა სიმძიმესა, რომელ სარეცელსა ზედა თვისსა, ვერღარა იძროდა. მაშინ კითხა მას მამამან დოროთე: „ვითარ არს ლოცვა შენი, დოსითე?“ მიუგო და რქვა მას: „შემინდვე, მამაო, რამეთუ ვერღარა შემძლებელ ვარ დამჭირვად ლოცვისა.“ რქვა მას წმიდამან დოროთე: „განუტევე შეილო ლოცვა და ხსენება ოდენ ღვთისა დამჭირე, და გაქენდინ იმერთი წინაშე თვალთა შენთა.“ ნეტარი დოროთე ხედვიდა, რომ დიდად იტანჯებოდა, და სწუხდა მისთვის, ეშინოდა მას რომ არ ვნებოდეს გონებასა მისსა.

ქ იჭირვოდა რა იგი ფრიად, რქვა მამასა დოროთეს; უკეთუ ჯერ გიჩნს მამაო არქვ მამასა ბარსანოფს, ვითარმედ: „ევედრე იმერთსა, რათა განმიყვანოს მე ამის ცხოვრებისაგან, რამეთუ უმეტეს ამისა ვერღარა შემძლია დათმენად.“ და უთხრა დოროთე მამასა დიდსა ბარსანოფის, და მიავლინა მამამან ბარსანოფი ვითარმედ: „მოითმინე შეილო, რამეთუ ახლოს არს წყალობა ივთისა.“ და შემდგომად რაოდენთამე დღეთა, კვალად რქვა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „უკეთუ გნებაეს, მამაო, არქვ წმიდასა ბარსანოფის, ვითარმედ: „ვერღარა შემძლია, ევედრე იმერთსა, რათა წარმიყვანოს მე.“ მაშინ მიუვლინა მისსა წმიდამან ბარსანოფი: „აწ, წარვედ, მშვიდობით,

წმიდა დოსითეოსე.

შვილო, და წარმოუდგე წმიდასა სამებასა, და მეობ გვეყავ ჩვენ.“

იქ მაშინ მისცა მან წმიდა სული თვისი ოაფალსა; და ესმა ძმათა მის მონასტრისათა, სიტყვა დიდისა მის ბერისა, ვითარ იგი რქვა მას, წარმოუდგე წმიდასა სამებასა, და მეობ გვეყავ ჩვენ, და განუკვირდათ ფრიად, და რომელნიმე იტყოდეს თუ: „რაიმე საქმე იყო მის ძმისათანა, რომელ ეგე ვითარსა სიტყვასა ღირს იქმნა ბერისაგან?“ განაღა რას მოღვაწებასა შინა ვხედვედით მას, რამეთუ არცა ორ ორით იმარხვიდა იგი, ვითარ სხვანი ძმანი, და არცა უწინარეს ჟამის რეკისა იღვიძებდა. და არცა სხვა რაჲ მოღვაწება ვიხილეთ მისთანა, არამედ შემდგომად ჟამისა რეკისა აღდგის იგი, და მრავალგზის ორსაცა კანონისა შემდგომად მოვიდის ეკკლესიად. და პურსა დღითი დღედ ჭამნ; და უკეთუ დაშთის მცირედ რაიმე თევზი უძლურთაგან იგიცა ჭამის; და ვითარ ეგე ვითარსა სიტყვასა ღირს-იქმნა ბერისა მის წმიდისა და დიდისაგან.—და არა იცოდეს მათ დიდი იგი და შეუორგულლებელი მორჩილება მისი. რამეთუ დაღაცათუ განცხრომით რაიმე არქვის სიტყვა მამამან დოროთე, ეგრეთ შერაცხის მან, ვითარცა ჭეშმარიტი, და ვითარცა დიდად სარგებელი სულისა თვისისა მაგალით: დასაწყისად ის ჩვეულებისაებრ უბნობდა ხმა მაღლა; ხოლო დღესა ერთსა რქვა მას წმიდამან დოროთე, რეცა განცხრომით, ვითარმედ: „დოსითე გიხმს შენ წებული\*“ მიიღე.“ ხოლო მან შეიწყნარა, ვითარცა ჭეშმარიტი, და არა რაჲ მიუგო სიტყვა, თუ არა მინებს ანუ თუ რად იტყვი, ვითარმედ გიხმს შენ წებული. რამეთუ ესრეთ ეძლია გონებისა თვისისათვის წმიდასა მას, რომელ ყოვლად არა გამოიწველილ-ვიდა სიტყვასა წმიდისა დოროთესსა, არამედ ყოველსავე ესრეთ შეიწყნარებდა, ვითარცა პირისაგან მკეთისა სმენილსა შეუორგულებლად და გამოუწველილველად. ხოლო

\*) ფილასო (ჟამში) ჰური დვინით დაშალა.

მოთხრობა

ვითარცა რქვა მას წმიდამან დოროთე, ვითარმედ: „მიიღე წებული.“ მსწრაფლ წარვიდა იგი, და შექმნა წებული და მოიღო და მიუბჰრა ბერსა, რათამცა აკურთხა. ხოლო წმიდა დოროთეს ფრიად განუკვირდა გამოუწვლილველი მორჩილება, და კეთილი იგი სარწმუნოება, და სიწრფეობა მისი. დარქვა მას დოროთე: „ცოფ ხარ შენ, და არა იცი რასა იქმ. ეგრეთ როგორც შენ ყვირი მსგავსად გუთთა, რომელნიც ყვირიან როდესაც (დალევენ და) განრისხდებიან, ამისთვის მე შენ გითხარი, მიიღე წებული, რადგან შენ ხმამაღლად უბნობ, როგორც გუთელი.“ ხოლო ნეტარმან დოსითე მაშინლა გულის ხმა ყო, ვითარმედ განცხრომით მრქვა მე, და მოიდრიკნა მუხლნი და წარვიდა, და ქვე დადგა იგი.

ოდესმე კითხა ნეტარმან დოსითე წმიდასა დოროთეს სიტყვა რაიმე წმიდა წერილისა; ვინაიდან სიწმიდისა თვისისა თვისი მან დაიწყო გაგებად სთა წერილთა; ხოლო ნეტარსა დოროთეს არ სურდა, რათამცა გართულ იყოს ამას შინა, არამედ უმჯობეს იყო. რათა დაცულ იყოს სიმდაბლითა, და რქვა მას: „მე არა ვიცი ეგე, არამედ კითხე მამასა სერიდოსს.“ ხოლო მამამან დოროთე თვისაგან რქვა, მამასა სერიდოსს, ვითარმედ: „უკეთუ მოვიდეს დოსითე შენდა კითხვად მის რაისამე წერილთაგანისა, შერისხენ მას ფრიად.“ ხოლო მირავიდა დოსითე მამისა სერიდოსისათანა და კითხა სიტყვა იგი, და მეყვსეულად იწყო შერისხვად მისა მამამან სერიდოსს, და ეტყოდა მას: „იკადროა შენ კითხვად მაგისა-არა ზრუნვიდეა, არა წმიდებათა შენთა თვის? რისთვის არ ზიხარ შენ სენაკში მყუდროებით და მღუმარედ?“ და ორ-ჯერ უხეთქნა მას ყვრიმალსა და განუტევა. ხოლო იგი წარვიდა მამისა დოროთეს თანა, და უჩვენებლა ყვრიმალსა თვისსა განწითლებულსა ცემისა მისგან, და არა რქვა მას, თუ შენ რად არა მამხილე; და მისთანა წარმავლინე? და არცა იდრტვინა მან, არამედ ყოველსავე ზედა უხაროდა, და მადლობით თავს იდებდა და აღასრულებდა. რამეთუ დიდი სარწმუნოება ქონდა მას

### წმიდა დოსთოეზე.

წმიდისა დოროთეს მიმართ, რომელ ოდეს კითხის მას გულის სიტყვა რაიმე თვისი, და რაჲ იგი უბრძანის მან ესრეთ დარწმუნებით შეიწყნარის, ვითარცა პირისაგან ივეთისა სმენილი, და ესრეთ დაუვიწყებელად დაიმარხის, რომელ ღღეთა მისთა ერთისა გულის-სიტყვისათვის ორჯერ არაოდეს უკითხავს ბერისა თვისისა.

შა, ხოლო ვითარცა ვსთქუ პირველად ფრიად-განუკვირდა მრავალთა სიტყვისა მისთვის წმიდისა ბარსანოფისა, რომელ იგი რქვა მას ვითარმედ წარვედ და წარმოუდგე წმიდასა სამებასა და მეოხ გვეყავ ჩენ, და იტყოდეს რაიმე იყო საქმე მისი, რამეთუ არა გვინახავს ჩვენ მისთანა, არცა ღიდი რამე მარხვა, არცა ლოცვა, გინა მღვიძარება და არცა სიმხნე. ესე ვითარი. ხოლო ამისთვის ინება იმერთმან, რათამცა გამოაცხადნა დიდება იგი მისი, რომელი განუშადა მორჩილებისა მისისათვის, და მაღლი იგი რომელი ქონდა წმიდასა დოროთეს, ცხოვრებისათვის სულთასა, რომელმან იგი ესრეთ მსწრაფლ აცხოვნა და უცთომელად წარგზავნა წინაშე ივეთისა.

ქ შემდგომად აღსრულებისა მისისა რაოდენიმე ეამით ინება დიდმან ვინმე ბერმან; რათამცა იხილნა ძმანი მის მონასტრისანი, პირველ დაძინებულნი და ევეღრა ამისთვის იმერთსა, რათა გამოუცხადნეს ყოველნი; და იხილნა ყოველნივე ერთბამად დიდსა დიდებასა შინა, და შორის მათსა იხილა, ერთი ვინმე მოყმე შვენიერი ფრიად, დიდითა პატივითა და გვირგვინი ბრწინვალე და პატიოსანი ფრიად, ედგა თავსა მისსა; და ვერ გულის ხმა ყო ბერმან მან თუ ვინ არს იგი. და კითხა ანგელოსსა მას, რომელმან მიიყვანა იგი მუნ, ვითარმედ: „უფალო, ყოველთა ამათ მამათა ჩვენისა მონასტრისათა ესცნობ, არამედ მიბრძანე მე, თუ მოყმე ესე გვირგვინოსანი, ვინ არს, რომელი იგი სდგას შორის მათსა? ხოლო ანგელოსმან მან რქვა მას ვითარმედ: „იგი არს დოსითე, რომელმან

მოთხრობა

ვითარცა რქვა მას წმიდამან დოროთე, ვითარმედ: „მიიღე წებული.“ მსწრაფელ წარვიდა იგი, და შექმნა წებული და მოიღო და მიუბყრა ბერსა, რათამცა აკურთხა. ხოლო წმიდა დოროთეს ფრიად განუკვირდა გამოუწვლილველი მორჩილება, და კეთილი იგი სარწმუნოება, და სიწრფეობა მისი. დარქვა მას დოროთე: „ცოფ ხარ შენ, და არა იცი რასა იქმ. ეგრეთ როგორც შენ ყვირი მსგავსად გუთთა, რომელნიც ყვირიან როდესაც (დალევენ და) განრისხდებიან, ამისთვის მე შენ გითხარი, მიიღე წებული, რადგან შენ ხმამაღლად უბნობ, როგორც გუთელი.“ ხოლო ნეტარმან დოსითე მაშინლა გულის ხმა ყო, ვითარმედ განცხრომით მრქვა მე, და მოიდრიკნა მუხლნი და წარვიდა, და ქვე დაღა იგი.

ადესმე კითხა ნეტარმან დოსითე წმიდასა დოროთეს სიტყვა რაიმე წმიდა წერილისა; ვინაიღგან სიწმიდისა თვისისა თვისი მან დაიწყო გაგებად სთა წერილთა; ხოლო ნეტარსა დოროთეს არ სურდა, რათამცა გართულ იყოს ამას შინა, არამედ უმჯობეს იყო, რათა დაცულ იყოს სიმდაბლითა, და რქვა მას: „მე არა ვიცი ეგე, არამედ კითხე მამასა სერიდოსს.“ ხოლო მამამან დოროთე თვისაგან რქვა, მამასა სერიდოსს, ვითარმედ: „უკეთუ მოვიდეს დოსითე შენდა კითხვად მის რაისამე წერილთაგანისა, შერისხენ მას ფრიად.“ ხოლო მირავიდა დოსითე მამისა სერიდოლისათანა და კითხა სიტყვა იგი, და მეყვსეულად იწყო შერისხვად მისა მამამან სერიდოს, და ეტყოდა მას: „იკადროა შენ კითხვად მაგისა-არა ზრუნვიდეა, არა წმიდებათა შენთა თვის? რისთვის არ ზიხარ შენ სენაკში მყუდროებით და მღუმარედ?“ და ორ-ჯერ უხეტქნა მას ყვრიმალსა და განუტევა. ხოლო იგი წარვიდა მამისა დოროთეს თანა, და უჩვენებდა ყვრიმალსა თვისსა განწითლებულსა ცემისა მისგან, და არა რქვა მას, თუ შენ რად არა მაძიილე; და მისთანა წარმავლინე? და არცა იღრტვინა მან, არამედ ყოველსავე ზედა უხაროდა, და მალღობით თავს იდებდა და აღასრულებდა. რამეთუ დიდი სარწმუნოება ქონდა მას

წმიდა დოსიოესე.

წმიდისა დოროთეს მიმართ, რომელ ოდეს კითხის მას გულის სიტყვა რაიმე თვისი, და რაჲ იგი უბრძანის მან ესრეთ დარწმუნებით შეიწყნარის, ვითარცა პირისაგან იქთისა სმენილი, და ესრეთ დაუვიწყებელად დაიმარხის, რომელ ღღეთა მისთა ერთისა გულის-სიტყვისათვის ორჯერ არაოდეს უკითხავს ბერისა თვისისა.

შა, ხოლო ვითარცა ვსთქუ პირველად ფრიად-განუეკირდა მრავალთა სიტყვისა მისთვის წმიდისა ბარსანოფისა, რომელ იგი რქვა მას ვითარმედ წარვედ და წარმოუდგე წმიდასა სამებასა და მეოხ გვეყავ ჩენ, და იტყოდეს რაიმე იყო საქმე მისი, რამეთუ არა გვინახავს ჩვენ მისთანა, არცა დიდი რამე მარხვა, არცა ლოცვა, გინა მღვიძარება და არცა სიმხნე. ესე ვითარი. ხოლო ამისთვის ინება იმერთმან, რათამცა გამოაცხადნა დიდება იგი მისი, რომელი განუშხადა მორჩილებისა მისისათვის, და მადლი იგი რომელი ქონდა წმიდასა დოროთეს, ცხოვრებისათვის სულთასა, რომელმან იგი ესრეთ მსწრაფლ აცხოვნა და უცთომელად წარგზავნა წინაშე იქთისა.

ქ შემდგომად აღსრულებისა მისისა რაოდენიმე ჟამით ინება დიდმან ვინმე ბერმან; რათამცა იხილნა ძმანი მის მონასტრისანი, პირველ დაძინებულნი და ევედრა ამისთვის იმერთსა, რათა გამოუცხადნეს ყოველნი; და იხილნა ყოველნივე ერთბამად დიდსა დიდებასა შინა, და შორის მათსა იხილა, ერთი ვინმე მოყმე შვენიერი ფრიად, დიდითა პატივითა და გვირგვინი ბრწინვალე და პატიოსანი ფრიად, ედგა თავსა მისსა; და ვერ გულისხმა ყო ბერმან მან თუ ვინ არს იგი. და კითხა ანგელოსსა მას, რომელმან მიიყვანა იგი მუნ, ვითარმედ: „უფალო, ყოველთა ამათ მამათა ჩვენისა მონასტრისათა ვსცნობ, არამედ მიბრძანე მე, თუ მოყმე ესე გვირგვინოსანი, ვინ არს, რომელი იგი სდგას შორის მათსა? ხოლო ანგელოსმან მან რქვა მას ვითარმედ: „იგი არს დოსიოე, რომელმან

მოთხრობა

იღვაწა მორჩილებით ქრისტესთვის და სიყვარულისათვის მოძღვრისა, დაუტევა ყოველი ნება თვისი.“ ხოლო მოიქცა რა ბერი იგი ჩვენებისა მისგან, მოვიდა იგი ეკლესიად; და ყოველივე უთხრა მამათა. მაშინ ყოველთა მათ მამათა ღიღითა საკვირველებითა მადლი შესწირეს იმერთსა. ხოლო აწ იხილეთ ძმანო თუ რომლისა ცხოვრებისაგან, რომელსა საზომსა მიიწია, და მცირედთა მათ ჟამთა ღვაწლითა მიიღო გვირგვინი დაუქნობელი, და წარუვალი იგი ღიდება ქრისტესგან. რამეთუ შეიკრძალა მან მორჩილება, და დაუტევა სრულიად ნება თვისი მეთისათვის. რომლისა არს სუფევა ძალი და ღიდება, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.





**სწავლანი წმიდისა მამისა ზოროთენისი, თითო სახენი მოწაფეთა თვისთა მიმართ, რაჟამს წარვიდა იგი მონასტრისაგან მამისა სერილონისა, და აღაშენა მონასტერი თვისი ნებითა ივთისათა, უმადგომად აღსრულებისა მამისა იოანე წინასწარ-მეტყველისა; და სრულიად დადუმებისა წმიდისა მამისა ჩვენისა ბარსანოფისა.**

სწავლა პირველი.

გამოსვლისათვის სოფლით.



**პ**ასაბამსა ოდეს დაბადა იმერთმან კაცი,\*) და დაადგინა იგი სამოთხესა შინა, და შეამკო იგი ყოვლითა სათნოებითა, და მისცა მას მცნება, რათა არა სჭამოს ხისა მისგან, რომელი იყო შორის სამოთხესა; და იყოფოდა იგი ყოვლითა შვეებითა და ლოცვითა, და ყოვლითა კეთილითა; და ქონდეს მას საცნობელნი თვისნი წმიდად, და იყო იგი ბუნებითა საქმეთა შინა, ვითარცა დაბადა იგი იმერთმან. რამეთუ ხატად თვისად დაბადა იმერთმან კაცი, ესე არს, რამეთუ ყო იგი უკვდავ, თვით უფალ, და შემკულ ყოვლითა სათნოებითა.

**ქ** ოდეს გარდახდა მცნებასა, და სჭამა ხისა მისგან, რომლისა ამცნო იმერთმან რათამცა არა სჭამა მისგანი, მაშინ განიძო სამოთხისაგან, (შექმ. 3), რამეთუ დაეცა იგი ბუნებითა მისთა საქმეთაგან, და შთავარდა იგი ცოდვასა, და დიდების მოყვარებასა და გემოთ-მოყვარებასა ამის ცხოვრებისასა; და სხვათა მათ ვნებათაგან იუფლა: რამეთუ ნებსით დაუმონა მათ თავი თვისი გარდასვლითა მით მცნებისათა.

**ჩაშინ** აღორძნდა უკეთურება, და სუფევდა სიკვდილი, და არლარა იყო ივთის-მეცნიერება, არამედ ყოველ-

\*) შექ. 2. 20.

სწავლა ზარგელა

თავან უგულის-ხმოება ივთისა; ხოლო მცირედთა ვიეთმე უწყოდეს იმერთი, რომელთა დაემარხათ ბუნებითი იგი სჯული, ვითარ იყო აბრაამ და სხვანი იგი მამათ მთავარნი ნოე იაკობ: და ფრიად იშვითნი იყვნეს.

მაშინ ეშმაკმან განთინა ყოველივე უკეთურება თვისი, და ეუფლა ცოდვა; მაშინ იწყო კერბთ მსახურებამან, და მრავალ ღვთაებამან, და კაცის კვლამან, და გრძნებამან, და სხვათა ყოველთა უკეთურებათა სუფევად. მაშინ შეიწყალნა სახიერმან იმერთმან დაბადებულნი თვისნი, და მოსცა დაწერილი სჯული მოსეს მიერ, რომელსა შინა, რომელნიმე საქმენი ძაგნა, და რომელნიმე აქნა.

ჲ ესე არს ვითარმედ, ამას რასმე იქმოდეთ, და ამას რასმე ნუ იქმთ; რამეთუ მეყვსეულად იტყვის: **ო**ფალი იმერთი შენი, **ო**ფალი ერთ არს (მეორე სჯ. 6, 4), ესე სთქვა, რათა გონება კაცთა განაშოროს მრავალ-ღვთაებისაგან, და კვლად იტყვის: შეიყვარო **ო**ფალი იმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა (მატ. 5). და ყოველგან იტყვის ვითარმედ ერთ არს იმერთი, და ერთ არს **ო**ფალი, და არა არს სხვა. რამეთუ თქვა: შეიყვარო **ო**ფალი იმერთი შენი, აჩვენა სიტყვითა ამით, ვითარმედ ერთ არს იმერთი, და ერთ არს **ო**ფალი. დაკვალად ათთა მათ სიტყვათა შინა იტყვის: **ო**ფალსა იმერთსა შენსა თაყვანისცე, და მას მხოლოსა მსახურებდე, და მას მხოლოსა შეეყო, და სახელსა მისსა მონებდე (მეორე სჯ. 6, 13), და კვლად იტყვის: არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი (ჩემსა გარეშე), არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე (გამოსლ. 20, 3. 4), ხოლო ესე ამისთვის სთქვა, რამეთუ მაშინ კაცნი მსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებელსა.

ჲ სახიერმან იმერთმან მოსცა სჯული შეწევნად და მოქცევად და გამართვად, და არა გაიმართა. მოუვლინ-

გამოსვლისათვის სოფლით.

ნა წინასწარ-მეტყველნი, და ვერცა მათ განკურნეს წყლუ-  
ლება იგი დიდი, რამეთუ გარდაემატა ბოროტი, ვითარ-  
ცა იტყვის ისაია: არა არს მის შორის სიმრთელე, არცა  
წყლული, არცა ნაგვემი, არცა ბრძვილი განსივებული,  
არა არს სალბუნი დასადებელად, არცა ზეთი, არცა შე-  
საკვრელნი (ისაია, 1, 6). ხოლო სიტყვისა ამის თარგმა-  
ნი ესე არს, ვითარმედ არა მცირელი არს ბოროტი, არ-  
ცა ერთსა ადგილსა, რათამცა განვკურნეთ იგი, არამედ  
ყოველივე გვამი შეუბურეს, რომელ არს სული: და რა-  
მეთუ ყოველივე დაუმონებიეს ცოდვასა, და ყოველივე  
დაუბურიეს მას. **ზა იერემია** იტყვის: ვკურნებდით ბაბი-  
ლონს და არა განიკურნა (იერემ. 51, 9); ესე იგი სახელი  
შენი გამოუცხადეთ, და მცნებანი შენნი მიუთხრენით,  
ქველის მოქმედებანი და აღთქმანი, მტერთა მოსლვა წი-  
ნასწარვე მიუთხართ, ესე ყოველი უყავთ ბაბილონსა და  
არავე განიკურნა, ესე იგი არს ვითარმედ არა შეინანა,  
არა შეიშინა, და არცა მოიქცა უკეთურებისაგან თვისი-  
სა. და სხვასა ადგილსა იტყვის: არა შეიწყნარეს მათ წვ-  
რთილება (იერემ. 2, 30), ესე იგი არცა სწავლა, არ-  
ცა მხილება. **ზა ფსალმუნსა** შინა იტყვის: ვითარმედ  
ყოველი ჭამადი მოიძაგა სულმან მათმან, და მიეახლნეს  
ბექთა სიკვდილისათა (ფსალმ. 106, 18).—

**ზა** შინ სახიერმან და კაცთ-მოყვარემან იმერთმან,  
მოავლინა მხოლოდ შობილი ძე თვისი; რამეთუ ივთისა  
მხოლოდსა იყო განკურნება ეგე ვითარისა მის სენისა და  
წინასწარ-მეტყველთა ესე უწყოდეს. ამისთვისცა დავით  
ცხადად იტყოდა: რომელი ზი ქერაბინთა ზედა განსცხადენ,  
და აღადგინე ძალი შენი და მოვედ ცხოვრებად ჩვენდა  
(ფსალ. 79. 2. 9), და კვალად იტყვის: **ო**ფალო, მოსდ-  
რიკენ ცანი და გარდამოხედ (ფსალ. 143, 5).— და სხვანი  
ეგე ვითარნი მრავალნი სიტყვანი სთქვენეს ამანცა და სხვა-  
თაცა წინასწარ-მეტყველთა. რომელნიმე ევედრებოდენ,  
რათამცა გარდამოხედეს იგი, და სხვანი გულს-მოადგინე

### სწავლა ჰარველა

ქმულ იყენეს, ვითარმედ მოვალს, და ესრეთ იტყოდეს.

ჰოვიდა **ო**ფალი ჩვენი, და ჩვენთვის კაც იქმნა, რათა ვითარცა იტყვის წმიდა გრიგორი; მსგავსითა მსგავსი განკურნოს; სულითა-სული, და ხორცითა-ხორცინი, რამეთუ იგი თვინიერ ცოდვისა ყოვლითურთ კაც იქმნა. მან მიიღო არსება ჩვენი, დასაბამი იგი ცთომილებისა ჩვენისა, და იქმნა იგი ახალ ადამ, ხატად დაბადებულისა მისისა, და განაახლა ბუნება იგი, და განსწმიდნა საცნობელნი, ვითარცა იყენეს პირველად. განაახლა დაცემული იგი კაცი, რაჟამს იქმნა იგი კაც, დამონებულნი იგი ცოდვისაგან განათავისუფლა, მიმძლავრებული იგი მისგან, რამეთუ მიმძლავრებულ და უფლებულ იყო კაცი მტერისაგან, და რომელთა არა უნდა ცოდვის იგინიცა უნებლიეთ ცოდვიდეს, ვითარცა იტყვის მოციქულივით არამედ: რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი მას ვყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი მას ვიქმ (რომაელთა 7. 19).

**ქ** იქმნა რა **ი**მერთი ჩვენთვის კაც, განათავისუფლა კაცი მონებისაგან მტერისა. რამეთუ ყოველივე ძალი მისი შემუსრა, და სიძხნე იგი მისი მოაუძღურა, და მისხნა ჩვენ მონებისაგან მისისა, და ხელთაგან მისთა გამომიყვანა ჩვენ, და უკეთუ ჩვენ თვით არა გვინდეს ცოდვის, ვერღარავინ გვბატოქობს. რამეთუ განგვწმინდა ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა წმიდითა ნათლისღებითა და მოგვცა ჩვენ ხელმწიფება, დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა და ყოველსავე ძალსა მტერისასა (ლუკა. 10. 19), რამეთუ წმიდა ნათლისღება განგვწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა. ხოლ-კვალად სახიერმან **ი**მერთმან, უწყოდა ვითარმედ შემდგომად ნათლისღებისა კვალად ვიქმთ ცოდვასა ვითარცა წერილ არს, ვითარმედ მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა მისთ სიჭაბუკით მისით (შექმნ. 8 21); ამისთვის სახიერებისაებრ მისისა, მოგვცნა

გამოსვლისათვის სოფლით.

წმიდანი მცნებანი მისნი, რათა დაღაცათუ ესცოდოთ, უკეთუ გვინდეს შემძლებელ ვართ განწმედად, დამარხვითა მცნებათა მისთათა, არაოდენ ცოდვათაგან, არამედ ვნებათაგანცა. რამეთუ სხვანი არიან ცოდვანი, და სხვანი არიან ვნებანი. ვნებანი არიან: გულის წყრომა, ცულად მზვაობრობა, გემოთ მოყვარება, სიძულილი, გულისთქმა ბოროტი და სხვანი ეგე ვითარნი. ხოლო ცოდვანი არიან, ოდეს კაცმან ვნებანი იგი საქმით აღასრულნეს, და ხორცითა თვისითა ქმნეს იგინი; რამეთუ მრავალნი არიან, რომელთა ქონან ვნებანი, ხოლო საქმით არა აღასრულებენ მათ.

ქ მოგვცნა ჩვენ მცნებანი, რომელნი განგვწმედენ ჩვენ ვნებათაგანცა რომელნი არიან შინაგან ჩვენსა: რამეთუ გვიჩვენა ჩვენ გზა ბოროტისა და კეთილისა, და გვითხრა ჩვენ, თუ რაჲ მიგვიყვანებს ცოდვასა: რამეთუსჯული იტყვის: არა იმრუშო, ხოლო **თავალი** იტყვის: ნუცა გულის თქმასა შეიწყნარებ; რამეთუ უკეთუ გულის თქმა გაქვენდეს, და ღაცათუ ოდეს არა ქმნა, არამედ ოდეს იგი შინაგან იყოს ბოლოდ დაგცემს. კვალად იტყვის: არა კაც კლა, ხოლო მე ვიტყვი, არცა განრისხებად (მატთ. 5, 27, 28). უკეთუ გაქვენდეს გულის წყრომა ძმისა მიმართ შენისა, ოდესმე შთავრდომად ხარ ძვირის ზრახვასაცა, და ესრეთ მცირე მცირედ მოხვალ კაცის კვლასცა: კვალად სჯული იტყვის: თვალი თვალისა წილ, და კბილი კბილისა წილ, და სხვანი (ლევიტ. 24, 20). ხოლო **თავალი** გვამცნებს რათა ოდეს ვინ გცეს ყვრიმალსა, არა თუ ოდენ მოვითმინოთ, არამედ მეორეცა მიუბჸრათ სიმდაბლით.

ქ მაშინ სჯული იტყოდა, რათა ამის შიშისათვის არავინ იქმოდის ბოროტსა; ხოლო აწ ეძიებს ჩვენგან განძებასა სიძულილისა და გემოთ მოყვარებისა. დიდების მოყვარებისა და სხვათა ვნებათათა. ხოლო ენება მეუფესა ჩვენსა: ქრისტესა, რათამცა გვიჩვენა ჩვენ, თუ სადათ შთავარდით ყოველთა ამათ ცოდვათა, ანუ სადათ მოვიწიენით ბოროტთა ამათ ღღეთა. პირველად ვითარცა ვსთქუ წმიდითა ნათლის-ღებითა, განმათავისუფლნა ჩვენ ცოდვათა

### სწავლა ზარკელი

ჩვენთაგან, და მოგვცა ჩვენ ხელმწიფება, რათა უკეთუ გვინდეს არა ესცოდოთ, რამეთუ აწ ვერლარა მოგვიყვანებს ჩვენ ეშმაკი უნებლებით ცოდვასა ვითარ პირველად.

ჲ მაშინ საბლითა ცოდვათა ჩვენთათა შეკრულ ვიყვნით, ვითარცა წერილ არს: ვითარმედ სჯულისა გარდამავალობა მოინადირებენ კაცსა, ხოლო საკვირველითა ცოდვათა თვისთასა შეიკვირიან თითოეულნი (იგავ. 5. 22).

ჲ ოფალმან მოგვცა მცნებანი თვისნი, რომელნი განგვწმედენ ჩვენ ვნებათა ჩვენთაგან, რათა კვალად არა შთავცვივნეთ ცოდვათა მათ პირველთა; და პირველად გვიჩვენა ჩვენ მიზეზნი; რომელნი მოგვიყვანებენ ჩვენ ურჩებასა და შეურაცხებასა ივთისა მცნებათასა, და მერმე გვიჩვენებს ჩვენ წამალთა მათ, რომლითა შესაძლებელ არს განკურნებად მათდა. ხოლო რაჲ არს კურნება იგი, ანუ რაჲ არს მიზეზი რომლითა მოვალთ შეურაცხებასა მცნებათა ივთისათა? იხილეთ რასა იტყვის ოფალი: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ, და მდაბალ გულითა, და პოოთ განსვენება სულთა თქვენთა (მატთე, 11, 29). აჰა ერესა აწ, ძმანო, მან გვიჩვენა ჩვენ ერთითა სიტყვითა ძირი იგი მიზეზი ყოველისა ბოროტისა; და კვალად გვიჩვენა ჩვენ წამალი იგი მისი ძირი ყოველისა კეთილისა; ვითარმედ სიმაღლემან დაგვცნა ჩვენ, და რამეთუ შეუძლებელ არს სხვითა სახითა პოვნა წყალობისა, გარნა წინააღმდეგობითა მით მისითა, რომელ არს სიმდაბლე.

ჲ სიმაღლე შობს შეურაცხებასა მცნებათა ივთისათა და ურჩებასა ბოროტსა, ხოლო სიმდაბლე შობს მორჩილებასა და ცხოვრებასა სულისასა, არა სიტყვით, გინა სახით სიმდაბლესა ვიტყვი, არამედ ჭეშმარიტსა მას სიმდაბლესა, რომელი დაენერგვის გონებასა შინა კაცთასა.

ჲ რომელსა უნდეს ცხოვრება სულისა თვისისა ისწავენ სიმდაბლე, და მაშინ იხილოს ვითარმედ სიმდაბლესა შინა არს, ყოველი განსვენება და სიხარული და დი-

გამოსვლისათვის სოფლიო

დება; ხოლო ამპარტავანებისაგან იშვების ყოველი ბოროტი. რამეთუ სადაჲთ შთავეარდით ესოდენთა ამათ ბოროტთა? არა ამპარტავანებისაგან ჩვენისა დავეცენითა? არა ურჩებისათვის ჩვენისა, და აღსრულებისათვის ბოროტთა ნებათა ჩვენთა წარგვეკიდაა ესე ყოველი? არა დაიბადაა კაცი ყოვლითა კეთილითა და არა სამოთხესა შინა იყოა, სიხარულითა, და განსვენებითა და დიდითა დიდებითა?

შა რქვა მას იმერთმან: ამას რასმე ნუ იქმ. ხოლო მან ქმნა. ხედავთაა ამპარტავანებასა მისსა? ხედავთაა ურჩებასა მისსა? მაშინ იმერთმან იხილა უგუნურება მისი, და თქვა: ესე ცოფ არს, და უკეთუ არა იხილნეს დღენი ბოროტნი წარწყმდების სრულიად, უკეთუ არა სცნას თუ რაჲ არს ჭირი, ვერ სცნობს გემოსა განსვენებისასა, მაშინ მიაგო მას რომლისაცა ღირს იყო. —

შა გამოხადა იგი სამოთხით; მაშინ მიეცა ხორცთ მიყვარებასა და ნებასა თვისსა, რათა ამათ შემუსრნენ ძვალნი მისნი, და რათა ისწავოს არა მინდობა თავისა თვისისა, არამედ მცნებისა იფთისა, რათა ჭირმან ურჩებისამან მოდრიკოს იგი, ვითარცა იტყვის წინასწარ-მეტყველი ვითარმე: მოგწვართოს (გსწავლენ) შენ განდგომილებამან შენმან (იერემ. 2. 19).

შა ოფალმან იმერთმან, ვითარცა ვსთქუ არა უგულუბელს ყო დაბადებული თვისი, არამედ კვალად ეტყვის: მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ (მატთ. 11. 28). ესე არს ვითარმედ: აჰა ესერა დაშვერით, და გამოიცადენით ნაყოფითა მით ურჩებისა თქვენისათა; აწ მოიქეცით და სცანთ უძლურება თქვენი, რათა მოხვიდეთ კვალადცა პირველსა პატივსა და დიდებასა თქვენსა. მოვედით, და სცხონდით სიმდაბლითა, ვინაითგან მოკვედით ამპარტავანებითა. ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ. და მდაბალ გულითა, და პოოთ განსვენება სულთა თქვენთა (მატთ. 11, 29)



სწავლა ზირველა

ძი საკვირველი! ძმანო, რასღა იქმს ამპარტავანება, ანუ რაჲ ძალუცს სიმდაბლესა! რამეთუ უკეთუმცა კაცი პირველად დამდაბლებულ იყო, და ესმინა ივთისა, არამცა შემთხვევულ იყო ესე ყოველი.

ზა კვალად შემდგომად დაცემისა, იმერთმან მისცა მას მიზეზი სინანულისა, არამედ ქელი მისი ფიცხელ იყო, და არა შეინანა. რამეთუ იმერთი მოვიდა რქვა მას: ჰდამ სადა ხარ? ხოლო სიტყვისა ამის თარგმანი ესე არს ვითარმედ: რომლისა დიდებისაგან, რომელსა სირცხვილსა მოხვედ შენ? და მერმე კითხა მას: რად სცოდე, რად გარდახედ მცნებასა. ხოლო ამას ყოველსა ეტყოდა, რათამცა ეთქვა თუ: „შემინდვე“. ხოლო მან არა შეინანა, არამედ სიტყვა უგო და თქვა: დედა კაცი ესე, რომელი მომეც მე (მაცთუნა მე), და არა სთქვა თუ: „ცოლმან ჩემმან მაცთუნაო“, არამედ „დედა კაცი ესე, რომელი მომეც მეო“, ვითარმცა: „განსაცდელი ესე რომელი მოაწიე ჩემ ზედაო“, და აბრაღა იმერთსა. რამეთუ ესრეთ არს ძმანო ჩემნო: ოდეს კაცი თავსა თვისსა არა აბრაღებდეს, მოვალს ივთისაცა ბრაღობასა.

ზაშინ მოვიდა იმერთი დედაკაცისა მისდა, და რქვა მას: რად გარდახედ შენ მცნებასა ჩემსა? რამეთუ ელოდა ნუ უკვე ამან თქვას-თუ: „შემინდვე“, რათამცა შეიწყალა იგი. არამედ არა რომლისა მათგანისა თანა იპოვა, ვითარმედ „შემინდვე“. არამედ მანცა თქვა ვითარმედ: გველმან მაცთუნა მე; ვითარმცა გველსა ეცოდა, და არა მას. რასა იქმთ უბადრუკნო? შეინანეთ, მოიღრიკენით მუხლნი, გულის-ხმა-ყავთ შეცოდება თქვენნი. და სწუხდეთ სიშიშვლისა თქვენისითვის. და არავინ მათგანი ღირს იქმნა თავისა თვისისა ბრაღობასა, არა ვის მათგანისა თანა იპოვა მცირედიცა სიმდაბლე. აწ იხილეთ, თუ რომელსა საზომსა, ანუ რომელსა ბოროტსა მოგვიყვანნა ჩვენ თავისა გამართლებამან, და თავისა თვისისა მინდობამან, და ნებისა თვისისა დამპირვამან. ყოველნი ესე არიან შვილნი მტე-

გამოსვლისათვის სოფლიო.

რისა ივთისა, ამპარტავანებისანი-

ქ სიმდაბლისა შვილნი არიან: თავისა თვისისა ბრალობა, არა მინდობა თვისისა განზრახვისა, და სიძულილი ნებისა თვისისა; რამეთუ ამათ საქმეთა მიერ შემძლებელ არს კაცი მიწვენად პირველსა საზომსა დაცვითა ქრისტეს მცნებათათა. რამეთუ თვინიერ სიმდაბლისა არა შესაძლებელ არს დაცვა მცნებათა, არცა აღსრულება კეთილისა რაისამე. ვითარცა იტყვის წმიდა მამა მარკოს: „ვითარმედ თვინიერ გულის შემუსრვისა, შეუძლებელ არს განყენება ბოროტისაგან, და შეუძლებელ არს მოგება სათნოებისა.“

ქ მისთვის ვიტყვი ვითარმედ: შემუსრვითა გულისათა შეიწყნარებს კაცი ნებათა, და განყენების ბოროტისაგან, და მოიგებს სათნოებათა, და მერმე მოვალს პირველსავე მას განსვენებასა. ესე უწყოდეს წმიდათა, და ამისთვის ისწრაფდეს, რათამცა სიმდაბლითა მით, მიეახლნეს იმერთსა. რამეთუ იყვნეს ვიეთნიმე ივთის-მოყვარენი, რომელთა შემდგომად წმიდასა ნათლის-ღებისა, არა ოდენ აღსრულება ვნებათა საქმით მოიწყვიდნეს, არამედ თვით ვნებათაცა ძლევად ისწრაფეს, და იქნეს უვნებელ, ვითარ იყვნენ წმიდა ანტონი და პახუმი და სხვანი იგი იმერთ შემოსილნი მამანი.

ქ აქნდა მათ გულის სიტყვა მხურვალე, განწმედად თავთა თვისთა, ვითარცა იტყვის მოციქული, ყოვლისაგანვე შეგინებისა სულისა და ხორცოსასა (2. კორ. 7, 1), და უწყოდეს მათ ვითარმედ დამარხვითა მცნებათათა, ვითარცა ვსთქუთ განწმინდების სული, და ესრეთ განათლდების გონება და მოვალს პირველსავე საზომსა თვისსა; რამეთუ მცნებანი ოფლისანი ბრწყინვალე არიან და განანათლებენ თვალთა (ფსალმ. 18, 9).

ქ გულის ხმა ყვეს მათ, ვითარმედ სოფელსა შინა უკეთუ იყვნენ, ვერ აღრე წარმართებენ სათნოებათა, და გამოიხანეს თავთა მათთათვის ცხოვრება რაიმე უცხო, რომელ არს მონაზონება, და იწყეს სივლტოლად სოფლისაგან;

სწავლ. ზარეკლა

და ყოფად უდაბნოთა შინა, მარხვითა და ლოცვითა, და ხმელსა ზედა წოლითა, და სხვითა მრავლითა მოღვაწე-ბითა, და განეშორნეს ყოვლითურთ მამულთა და ნათე-სავთა, და სახმართა: და რასა მრავალსა ვიტყოდე: ჯვარს აცუნეს თავნი თვისნი სოფელსა. და არაოდენ მცნებანი დაიმარხნეს, არამედ ძღვენიცა შესწირეს ივთისა; და გითხრა თუ ვითარ: მცნებანი უფლისანი თანანადებნი არიან, და თანა აც ყოველსა ქრისტეანესა დამარხვა მათი; რამეთუ ხარკნი არიან, ვითარცა ხარკი მეფისა, რომელი თანა აც ყოველთავე მიცემად.

II ვინ არს რომელმანცა თქვა თუ მეფესა ხარკსა არა მივსცემო, და განერაშცა იგი ტანჯვასა? ხოლო არიან სოფელსა შინა კაცნი დიდნი და ბრწყინვალენი, რომელ-ნი არაოდენ ხარკსა, არამედ ძღვენსაცა შესწირვენ მეფე-სა: და ღირს იქმნებიან იგინი პატივთა და ნიჭთა დიდთა მეფისაგან. ხოლო ეგრეთვე წმიდათა მამათა, არაოდენ მცნებანი დაიმარხნეს, არამედ ძღვენიცა შესწირეს ივთი-სა. ძღვენი უკვე არიან ესენი: ქალწულება და უბოვა-რება. რამეთუ არა სადა წერილ არს ვითარმედ: ნუ იქორ-წინებთ. არცა მოგვცა ქრისტემან მცნებად თუ: განყიდე მონაგები შენი (მატ. 19, 21); რამეთუ გულის-ხმა-ყვეს მათ, რაჟამს მოუხდა მას სჯულისა მეცნიერთ იგი და რქვა: მოძღვარო სახიერო რა ვქმნე კეთილი, რათა ცხოვ-რება საუკუნო დავიმკვიდრო. მიუგო უფალმან და რქვა: მცნებანი იცნი, არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო და არცა ცრუ სწამო და შემდგომი ამისი. ხოლო მან რქვა: ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. მაშინ რქვა მას უფალმან: უკეთუ გნებავს სრულ ყოფა, განყი-დე მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა და შემდგომი ამისი (მატ. 19, 21). აჰა ესერა არა რქვა მას მცნებად თუ განყიდე მონაგები შენი, არამედ ვითარცა განაზრახებდა მას. რამეთუ სიტყვა ესე: უკეთუ გინებს ქმენ, არა ამც-ნებს, არამედ განაზრახებს.

გამოსკლასიანთვის სოფლათ.

14 ვითარცა ვსთქუთ შესწირეს წმიდათა მამათა მკეთისა, სხვათა სათნოებათა თანა ძღვენიცა ქალწულება და უბოვარება. ვითარცა პირველად ვსთქუ ჯვარს აცვეს თავი თვისი სოფელსა, და ისწრაფდეს რათა სოფლისა თანაცა ჯვარს აცვან თავი თვისი; ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ: ჩემდა სოფელი ჯვარცმულ არს, და მე სოფლისა (გალატ. 6, 14). ვითარი განრჩევა არს ამათ შორის? ვითარ ჯვარს აცვამს კაცსა სოფელი, და კაცი სოფელსა? ოდეს კაცი განეშოროს მისგან, და ყოველთაგან საქმეთა მისთა; მამულთა და ნათესაუთაგან; მაშინ ჯვარს ეცმის სოფელი კაცისა. რამეთუ განეშორა მისგან, და ესე არს რომელსა იტყვის მოციქული, რამეთუ ჩემდამო სოფელი ჯვარცმულ არს. კვალად იტყვის ვითარმედ, და მე სოფლისა. ვითარ ჯვარს ეცმის კაცი სოფლისა? ოდეს შემდგომად განშორებისა გარეგანთა საქმეთასა ისწრაფდეს კაცი, რათა გულის თქმაჲცა მათ საქმეთა მოიწყვიდოს, და სრულიად დაუტევოს ნება თვისი, და მოაკვდინნეს ვნებანი თვისნი, მაშინ თვით იგი ჯვარს ეცმის სოფლისა. და ღირს იქმნების მოციქულისა ებრ თქმად, ვითარმედ: ჩემდა სოფელი ჯვარცმულ არს, და მე სოფლისა.

15 წმიდათა მამათა ჯვარს აცვეს თავისა მათისა სოფელი, ისწრაფეს რათამცნა თავნიცა მათნი სოფლისა ჯვარს აცვენეს. ხოლო ჩვენ დაუტევეთ სოფელი, და მოვედით მონასტრად, და ვგონებთ თუ სოფელი თავისა თვისისა ჯვარს ვაცვთ; ხოლო თავთა ჩვენთა სოფლისა ჯვარცმასა არა ვლამით, რამეთუ წუთ გვექონან გულის თქმანი მისნი, და გვიყვარს დიდება, ჭამადნი და სამოსელნი; უკეთუ რაიმე იყოს ჭურჭელი შვენიერი გვინებს ქონება მისი, და მიუშვებთ, ვითარცა სთქვა მამამან ზოსიმე, რათა მცირემან ჭურჭელმან ყოს ჩვენთანა ადგილი კენტინარისა<sup>1)</sup> და ვგონებთ თუ დაგვიტევიების სოფელი

1) ლეტინარი ° ასი ლიტრა ძველი

საქმეების შარკელა.

და საქმენი მისნი; არამედ მოვალთ მონასტრად და არა რაითა საქმითა აღვასრულებთ სიყვარულსა მისსა.

ქ ესე არს უგუნურებისაგან ჩვენისა, რამეთუ დაუტევეთ ყოველივე რაიცა გვაქენდა, გინათუ დიდი, გინათუ მცირე; და აწ ამით არა რაითა აღვასრულებთ გულის თქმასა ჩვენსა. ხოლო არა ჯერ არს ჩვენდა ეგე ვითარისა საქმის ქმნად, არამედ რათა ვითარცა განვეყენენით სოფლისაგან, და საქმეთა მისთაგან, ეგრეთვე განვეყენნეთ გულის-თქმათა და სიყვარულისა მისსა; და რათა ვიცოდეთ, თუ რაჲ არს გამოსლვა სოფლით. და თუ რაჲ არს მონასტერი, და რაი არიან სახენი ესე ჩვენნი, რომელ გვმოსიან.

ქ სახენი ჩვენნი ესე არიან, სამოსელი უსახელო, და სარტყელი ტყავისა, და სქემა და კუნკული. ხოლო ესე ყოველნი სახენი არიან ჩვენნი, და ჯერ არს რათა უწყოდეთ, თურაჲსა მომატყუებელ არიან სახენი ესე. რად გვმოსია სამოსელი უსახელოჲ, ვინაითგან ყოველთა ასხენ სახელონი? ესე ამისთვის, რამეთუ სახელონი სახენი არიან ხელთა; ხოლო ოდეს მოგვიხდეს გულის სიტყვა ქმნად რაისამე ხელითა ჩვენითა ძველისა მის კაცისა, გინა მოპარვა, ანუ ცემა, სხვა რაიმე საქმე, რომელიცა იქმნების ხელითა: გვიხმს მიხედვაჲ სახესა მას ჩვენსა, ვითარ არა გვასხენ სახელონი, რომელ არიან სახე ხელთა; რათამცა რაიმე ვქმენით ძველისა მის კაცისა.

ქ არს სამოსელსა ჩვენსა ზედა სახე რაიმე იისფერი. რას ნიშნავს სახე იგი იისფერი? რამეთუ ყოველი რომელი იყოს მხედარი მეფისა, სამოსელსა მისსა არს სახე რაიმე იისფერი, ამისთვის რამეთუ მეფესა იისფერი სამოსელი აცვია, რომელ არს პორფირი; და ეგრეთვე მხედართა მისთა სახე რაიმე იისფერი აქვს სამოსელსა მათსა, რათა მით გამოჩნდენ, ვითარმედ მეფისანი არიან. ეგრეთვე ჩვენ გვაქვს სახე რაიმე იისფერი, სამოსელთა ჩვენთა, რათა ესჩნდეთ, ვითარმედ ქრისტეს მხედარნი ვართ, და თანა გვაც მოთმინება ყოველთავე ვნებათა მისთა, რომელ მო-

გამოსდვისათვის სოფლით

ითმინა ჩვენთვის. რამეთუ უფალმან ჩვენმან ოდეს ივნო პორფირი შემოსეს მას; ერთად ვითარცა მეუფესა, რამეთუ იგი არს მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა. შა კვლად რამეთუ ემღერდეს მას უსჯულონი იგი. ეგრეთვე ჩვენ გვიხმს მოთმენა, ყოველთავე ვნებათა მისთა რომელთა გვაქვს სახე იისფერი. და ვითარცა მხედარი არა დაუტეობს მხედრობასა თვისსა, და წარვალს და იქმნების იგი მუშაკ ანუ ვაქარ, რათა არა დაეცეს პატივისაგან თვისისა, ვითარცა მოციქული იტყვის: არაფინ მხედარი შეემსკვალების სოფლისა უცალოებათა, რათა უფალსა თვისსა სათნო ეყოს (2. ტიმოთ. 2, 4); ეგრეთვე ჩვენ გვიხმს, რათა ვიღვაწოთ და უზრუნველ ვიყვნეთ, ყოვლისაგან საქმისა, რათა სათნო ვეყვნეთ მამართსა, ვითარცა წერილ არს ვითარმედ, ქალწული იგი არსმცა უზრუნველ და მზა (2. ყორინთ. 11, 2).

ჩ რად გვარტყია ჩვენ სარტყელი ღვედისა? პირველად რათა მზა ვიყვნეთ საქმესა: რამეთუ ყოველი კაცი ოდეს ლამოდის საქმისა რაისამე ქმნასა, პირველად მოირტყამს წელთა, და ეგრეთ იწყებს საქმისა რაისამე ქმნასა, ვითარცა წერილარს. იყვენ წელნი თქვენნი მორტყმულ (ლუკა. 12, 35); ხოლო მეორედ ამისთვის, რათა ვითარცა სარტყელი იგი ჩვენი არს მკვდრისა გვამისაგან, ეგრეთვე ჩვენ მოვაკვდინეთ გულის თქმანი ჩვენნი. ხოლო არს სარტყელი ჩვენი წელთა ზედა ჩვენთა, და მუნ არიან თირკმელნი; ხოლო თირკმელთა შინა არს გლის-თქმა სულისა, და ამისათვის იტყვის მოციქული: მოაკვდინენით ასონი თქვენნი, ქვეყანასა ზედა, სიძვა არა წმიდება და შემდგომი ამისი (კოლ. 3, 5).

ჩოლო გვაქვს ჩვენ სქემაეცა, და გარდავიცვამთ მას სახედ ჯვარისა მხართა ზედა ჩვენთა. რამეთუ ესე არს სახე, ვითარცა უფალი იტყვის: პიღე ჯვარი შენი და შემოიღეგ ზე (მარკ. 8, 34). ხოლო რაჲ არს აღება ჯვარისა, და შედგომა უფლისა? სრულიად მოკვდინება თავი-

### სწავლა ზარგელი

სა თვისისა. ხოლო მოკვდინება თავისა თვისისა იქმნების ქრისტეს მიმართ სარწმუნოებითა, ვითარცა წერილ არს მამათასა შინა: ვითარმედ სარწმუნოება გზასა მას სულიერსა განგვიფართოებს, რომელი იგი მიგვიყვანებს ჩვენ მოკვდინებასა თავისა თვისისასა, რათა მოვაკვდინეთ თავნი ჩვენნი, სოფლისა საქმეთაგან. და უკეთუ დაგვიტევებთან ნათესაენი, დაუტევოთ სურვილიცა მათი; და უკეთუ დაგვიტევებთან სახმარნი და მონაგებნი, დაუტევოთ სიყვარულიცა მათი; და ესე არს სრული იგი გამოსლვა სოფლით.

ხოლო შევიმოსთ ჩვენ კუნკულსაცა, რომელ არს სახე სიმდაბლისა. რამეთუ ჩვილთა უმანკოთა ჰმოსია კუნკულები; ხოლო კაცსა სრულსა კუნკული არა აცვია; და ჩვენ ამისთვის გვაცვია, რათა ჩვილ-ვიყვნეთ ბოროტისა საქმეთათვის. ვითარცა მოციქული იტყვის: ნუ ხართ ჩვილ გონებითა, არამედ ჩვილ იყვენით უკეთურებისათვის (1 კორინთ. 14. 20).

ქას ნიშნავს სიტყვა ჩვილ ვიყვნეთ ბოროტის საქმეთა? რამეთუ ჩვილი უმანკო არს: უკეთუ იგინოს, არა განრისხნების; და უკეთუ იქოს, არა ამაღლდების, და არცა თავსა განიმართლებს, და არცა ეძიებს დიდებასა. და კვალად კუნკული არს სახე მადლისა იფთისა, და ვითარცა კუნკული დაჰფარავს თავსა ყრმისასა, ეგრეთვე მადლი იფთისა დაფარავს გონებასა ჩვენსა, ვითარცა წერილ არს მამათასა შინა: „ვითარმედ კუნკული სახე არს მადლისა იფთისა, მაცხოვრისა ჩვენისა, რომელი ფარავს გონებასა ჩვენსა, და დაიცავს ქრისტეს მიერ სიჩქოსა ამას ჩვენსა საღმრთოსა, მათგან რომელნი გვბრძანან ჩვენ.“

ჴჳა ესე რა არს სარტყელი წელთა ზედა ჩვენთა, რომელ არს მოკვდინება გულის-თქმისა; და სქემა მხართა ზედა ჩვენთა, რომელ არს სახე ჯვარისა, და კუნკულიცა, რომელ არს სახე საღმრთოჲსა მის სიჩქოისა ჴარისტეს მიერ. აჴ ძმანო, ვიდოდეთ სახეთაებრ ჩვენთა, ვით-



გამოსდგისათვის სოფლით.

არცა თქვეს მამათა, რათა არა უცხო სახე გვემოსოს, არამედ ვითარცა დაუტევით სიფელი, ეგრეთვე დაუტევით სიყვარული მისი, რათა სიყვარულმან მცირეთა რათამე და უნდოთა საქმეთამან, არა მიგვიყვანნეს ჩვენ კვალად სოფლადვე; ხოლო აწ ძმანო, უკეთუ გვინებს, რათა განვერნეთ სიყვარულისაგან სოფლისა, მაშ ვისწავოთ დატევება ნებათაცა ჩვენთა.

ძი ძმანო ჩემო, საყვარელო! მოვედით და ვისწრაფოთ დატევებად ნებათა ჩვენთა, მცირე-მცირედ, რათა ესრეთ შეწვევითა მითისათა, მოვიდეთ სიძულილსა სოფლისასა; და მაშინ დიდთაცა ვნებათა ზედა შეუძლოთ წინა-აღმდგომად, და დართუნვად ნებათა ჩვენთა; რამეთუ არა რაჲ ესრეთ ერგების კაცსა, ვითარ დატევება ნებისა თვისისა, და ამით წარმატების კაცი უფროს ყოველთა სათნოებათასა.

მა ვითარცა კაცი, რომელი ისწრაფინ მისვლად საღამე, და იცინ მან გზა მოკლე მიმავალი ადგილსა მას, სადა ჰნებაუნ მისვლად, და დაღაცათუ იწრო არნ გზა იგი, არამედ იწროთა მით გზითა მსწრაფლ მიიწიის ადგილსა მას ვრცელსა, და განსასვენებელსა თვისსა კეთილსა; ხოლო აწ, ეგრეთვე არს კაცი, რომელმან დაუტეოს ნება თვისი, რამეთუ ესრეთ მცირე-მცირედ დატევებითა ნებისა თვისისათა მოვალს სიძულილსაცა სოფლისასა, და დაორგუნვად ვნებათა დიდთა. და მაშინ უვნებელოზისაგან მოვალს სისრულედ და გულის ხმის ყოფად, და აღსრულებად ნებისა მითისა; და უკეთუ უნდეს კაცსა ებოვების ყოველსავე ჟამსა ჟამი, რათა დაუტეოს ნება თვისი; და ესრეთ მცირე-მცირედ ისწაოს დატევება ნებისა თვისისა. და მეგითხრა თქვენ, თუ ვითარ.

ძი უკეთუ ვინმე ვიდოდის და რქვას მას გულის სიტყვამან მისმან, ვითარმედ: „მიზნდე იქი.“ და არა მიჰხედნეს; აჰა ესერა დაუტევა ნება თვისი. და კვალად უკეთუ უბნობდეს ვინმე, და რქვას მას გულის სიტყვამან მისმან,

### სწავლა ზარკელა.

ვითარმედ: „შენცა თქუ, რაჲმე სიტყვა,“ და არა თქვას, დაუტევებდეს ნება თვისი. და უკეთუ კვალად რქვას გულის სიტყვამან მისმან, ვითარმედ: „წარვედ, და ნახე თუ რასადი აგობს დღეს მზარეული,“ და არა წარვიდეს, დაუტევა ნება თვისი.

შა კვალად რქვას გულის სიტყვამან მისმან, ვითარმედ: „მიხედე გზით კერძო, ნუ უკვე მოვინმე-ვიდოდეს საყვარელი შენი“, და არა მიხედნეს, დაუტევებია ნება თვისი. და კვალად იხილოს რაიმე, და რქვას მას გულის სიტყვამან მისმან, ვითარმედ: „კიოხე, თუ ვის მოუღებდეს ეგე,“ და არა კითხოს, დაუტევა ნება თვისი.

ქ უკეთუ ესრეთ იქმოდის მცირედთა და სუბუქთა ამთ საქმეთა ზედა, დაეჩვიოს დატევებასა და ძლევასა ნებისა თვისისასა; მაშინ შეწევნითა ივთისათა დიდთადა და მძიმეთა საქმეთა ზედა, ადვილად სძლოს და დაუტეოს ნება თვისი, ვინაიღგან არა იქმოდის ჩვეულებასა. და ესრეთ ყოველსავე ზედა განისვენებდეს, რაიცა მოიწიოს მის ზედა; და ყოველივე ნებას და ერთად უჩნს, ვინაიღგან არა იქმს ნებასა თვისსა.

ქ რომელმან დაუტეოს ნება თვისი, რაიცა ვინ რქვას, და რაიცა მოიწიოს მის ზედა, ყოველივე უნებს, და ყოველივე ნება მისი არს, და ამით საქმითა, ვითარცა პირველად ვსთქუთ მოვალს სიძულილი სოფლისა, და სიძულილითა სოფლისათა მოვალს სრულსა უვნებელობასა.

შა უწყოდეთ ვითარმედ, მცირე-მცირედ დატევება ნებისა, დიდსა საზომსა მიიყვანებს; და იხილეთ ნეტარი იგი დოსითე. თუ ვითარისა ცხოვრებისაგან, და ვითარისა ფუფუნებისაგან და შვებისა რომელსა საზომსა მიიწია? კაცი რომელსა არა სადა ასმიოდა სიტყვა ივთისა ყოვლადვე,—და გასმიოდის მისთვის ვითარსა მადლსა ღირს იქმნა, რამეთუ დაიმჭირა მან ჟამთა მათ მცირეთა მორჩილება, და დატევება ნებისა თვისისა? ხლო იხილეთ,

გამოსლვისათვის სოფლათ.

ვითარ აღიდა იგი იმერთმან, რამეთუ არა უტევა სათნოებისა მისისა დავიწყებად, და დაფარვად ქვეყანასა ზედუ, არამედ გამოუცხადა იგი დიდსა მას ბერსა მდგომარე დიდითა დიდებითა, შორის წმიდათა თანა სასუფეველსა ცათასა.

შა გითხრა თქვენ სხვაცა საქმე განსაკვირვებელი, რომელი იგი იქმნა ჩემზე რათა გულის-ხმა-ყოთ, ვითარ სიკვდილისაგანცა იხსნის მორჩილება, და დატევება ნებისა თვისისა. რამეთუ ოდეს ვიყავ მონასტერსა შინა მამისა სერიდოისსა, მოვიდა მუნ მოწაფე დიდისა ბერისა, რომელი იგი იყოფოდა კერძოთა ასკალონისათა, და წარმოვევლინა ბერსა ძმა იგი საქმედ მამისა თანა სერიდოისა, და მეყვსეულად იქმნა ჰაერი ფიცხელი, ქუხილი და წვიმა. და აღიძრა საშინელად ხევი იგი, რომელი იყო მახლობელად ჩვენსა, ხოლო ძმა იგი ლამოდა წასვლასა. რამეთუ შეეთვალა ბერსა მისსა, რათა მას მწუხრსა მუნვე მიიქცეს. და ჩვენ ვევედრებოდით, რათამცა დაადგრა მას მწუხრსა ჩვენთანა, და ვეტყოდით მას ვითარმედ; შეუძლებელ არს დღეს განსვლა კაცისაგან მდინარესა მას. ხოლო იგი არა გვერჩდა ჩვენ და გვეტყოდა ვითარმედ: მამასა ჩემსა უბრძანებიეს, რათა ამასვე მწუხრსა მუნ მივიდე, და ვერ შემიძლია უგულლებელს ყოფა სიტყვისა მისისა ძმანო. ხოლო ჩვენ ვიხილეთ ვითარმედ არა გვისმინა, ვსთქუთ: მიუშვათ ვიდრე მდინარედმდე; და იხილოს რაჲ მდინარე იგი, მაშინ ნებისთ თვისით მოიქცეს. და ჩვენ შეუდევით უკანა მისსა, და ვითარ მიიწია მდინარესა მას სიშინელსა, მეყვსეულად შთაიგლო თავი მისი მას შინა; ხოლო ჩვენ შევსძრწუნდით და უყიოდით ტირილით, რამეთუ ყოვლადვე არა ვგონებდით განრომასა მისსა; ხოლო იგი მეყვსეულად, მსწრაფლ იპოვა იმიერსა კიდესა, მოიქცა მუნ, და მოგვიდრიკნა ჩვენ მუხლნი, და დაგვევედრა ჩვენ ლოცვასა და წარემართა. ხოლო ჩვენ განგვიკვირდა ძალი სათნოებისა მისისა, რა-

### სწავლა პარკელა

მეთუ ჩვენ ხელვითაცა ზარი დაგვეცემოდა, და იგი ესრეთ უვნებელად განვიდოდა სასტიკისა მისგან მდინარისა შეუორგულებელისა მის მორჩილებისა მისისათვის.

ზა კვალად ძმა იგი, რომელი წარავლინა მამამან, სახმრისა მათისათვის სოფლად, მსახურისა მიმართ მათისა (მეთისა მიერ), და ოდეს იხილა, რამეთუ ქალწულმან დახშა კარი მის ზედა; ხოლო მან ესე ოდენ სთქვა: „იმერთო ლოცვითა მამისა ჩემისათა განმარინე მე,“ და მეყვსეულად იპოვა გზასა ზედა სკიტისასა, მიმავლად მამისა თვისისა. აწ იხილეთ ძმანო, ძალი სათნოებისა ამის, თუ ვითარი შეწევნა აქვს, უკეთუ ხადოდის კაცი ლოცვასა მამისა თვისისასა? რამეთუ ესე ოდენ, თქვა ძმამან მან, ვითარმედ: „იმერთო ლოცვითა მამისა ჩემისათა განმარინე მე,“ და ამისთვისმეყვსეულად იპოვა გზასა ზედა სკიტისასა მშვიდობით მიმავალი ბერისა თვისისა.

ჴ აწ იხილეთ ორთავე ამათ განკრძალულება და სიძაბლენი, რამეთუ იყვნეს იგინი დიდს იწროებასა შინა, და უნდა ბერსა მას რათამცა წარავლინა ძმა იგი მსახურისა მის მათისა, რამეთუ დაეყოვნა მას და არა მოართვა საზრდელი მათი, და იყვნეს იგინი ჭირსა და იწროებასა დიდსა: და არა ეტყოდა ბერი იგი ძმასა მას, ვითარმედ: „წარვედ,“ არამედ ამას ოდენ კითხვიდა, ვითარმედ: „გინებსა რათა წარხვიდე?“ და კვალად ძმა იგი არა იტყოდა თუ: „წარვიდე,“ არამედ ეტყოდა მას: „ვითარცა გნებავს მამაო, ვყო“; რამეთუ ეშინოდა ორისაგანვე ვნებისა დაცემისაგან სიძვითა, და ურჩებისაგანცა მამისა თვისისა. ხოლო ვითარცა ფრიად მისჭირდა მათ: მაშინ რქვა მას ბერმან: „აღსდგე შვილო, და წარვედ სახელითა ოფლისათა, და ვესაჯ იმერთსა, რათა ლოცვითა მამისა ჩემისათა დაგიფაროს შენ“; და არა რქვა მას თუ: ვესაჯ იმერთსა, რათა დაგიფაროს შენ; არამედ ესრეთ ვითარმედ: „ვერავ ღმერთსა, რათა ლოცვითა მამისა ჩემისათა დაგიფაროს შენ“. და მაშინ წარვიდა ძმა იგი, და ვითარცა მივიდა, არა პოვა შინა მსახური იგი მათი; ხოლო ასულმან მისმან დახშა მის ზედა კარი.—და იხილა ძმამან მან, ვი-

### გამოსდგისათვის სოფლიო

თარმედ განსაცდელი დიდი მოიწია მის ზედა: ხოლო არა თქვა თუ: „იმერთო ჩემო, განმარინე მე,“ არამედ ესრეთ სთქვა: „იმერთო! ლოცვითა მამისა ჩემისათა, განმარინე მე;“ და მეყვსეულად იბოვა გზასა სკიტისასა. აწ, იხილეთ ზ მძანო ჩემნო, ვითარ თითოეული მათი, ლოცვასა მამათა მათასა ესვიდეს, და მას ხალოდეს, ოდეს იყვნინან განსაცდელსა შინა.

იხილეთლა მძანო, ვითარ დააბნეს ერთსა უღელსა მორჩილება და სიმდაბლე, და ვითარცა ორითა ფრთითა აღფრინდეს სიმალლედ განსასვენებელად სულიერად. ხოლო ვითარცა უხმან მფრივენელსა, ორნივე ფრთენი შეუღლებულად სწორად, რათა ფრინვიდეს კეთილად. ეგრეთვე ორნი იგი სათნოებანი, სწორად უხმან მონაზონსა, და თვინიერ ამათსა ვერ შესაძლებელ არს, რათამცა სცხონდა ვინ, ანუ განერა სხვითა ღონითა, საბრხეთაგან ეშმაკისათა; უკეთუ არა შეაერთოს მორჩილება და სიმდაბლე. ხოლო ვერ ვინ მოიგნეს სათნოებანი ესე, დიდნი და შვენნიერნი და საძირკველნი ყოველთა სათნოებათანი, უკეთუ არა, ვითარცა ვსთქუ: აძულოს თავსა თვისსა, და მისცეს სიკვდილად დატევებისათვის ნებისა თვისისა. შა კვალად ვსთქვათ თუ, ვითარ დაუტევოს ნება თვისი: ხოლო მე ამას ვიტყვი, რათა ყოველთა ძალითა თვისითა, მისცეს თავი თვისი მამასა თვისსა სულიერსა, და არა რასა ზედა ურჩ ექმნებოდის, არამედ ყოველსავე ზედა, ვითარცა იმერთსა ეგრეთ მორჩილებდეს.

ჲ მე გითხრა თქვენ მძანო, სხვა სახეცა მორჩილებითათვის: რამეთუ წარვლიდა ოდესმე წმიდა ბასილი მონასტერსა ერთსა თვისსა, და შევიდა მუნ, და მოუწოდა მამასახლისსა, და რქვა მას: „გყავს ვინმეა, რომელსა უნებს ცხოვრება სულისა თვისისა კეშმარტად?“ ხოლო მამასახლისმან რქვა მას: „სე წმიდაო, ყოველთა უნებს ცხოვრება წმიდითა ლოცვითა თქვენითა,“ მიუგო და რქვა მას წმიდამან ბასილ: „უწყი ვითარმედ ყოველთა

### სწავლა პირველი

უნებს ცხოვრებისა, ხოლო მე გკითხავ მისთვის, რომელსა ჭეშმარიტად უნებს. ხოლო მაშინ კვალად გულის-ხმაყო მამასახლისმან, რამეთუ იყო იგიცა ფრიად სულიერი, და რქვა მას: „ჰე წმიდაო, მყავს ვითარცა ბრძანებ.“ მაშინ რქვა მას წმიდამან ბასილი: „მომგვარე მე იგი აქა.“ და ვითარცა უხმეს, და მოვიდა.-რქვა მას წმიდამან ბასილი: „მომართვ წყალი, რათა ხელნი დავიბანნე.“ და ვითარცა დაიბანა ხელნი წმიდამან ბასილი; აღიღო წყალი იგი და რქვა მას: „აწ შენ მომიბჸურენ ხელნი, რათა მე დაგისხა.“ ხოლო მან ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა. და ვითარცა გამოსცადა ამას ზედა, და ბოვა მორჩილად; კვალად რქვა მას: „ოღეს შევიდოდე ჟამის წირვად, მოვედ და მითხარ, რათა გაკურთხო შენ-დიაკონად, და აღმოხვიდე ჩემთანა ჟამის წირვად. ხოლო იგი მასცა ზედა შეუორგულებელად დამორჩილდა; და შევიდოდა რა წმიდა ბასილი, ჟამის წირვად, ბრძანებისა ებრ-მისისა მოვიდა ძმა იგი, და მოახსენა მას. ხოლო მან აკურთხა იგი, და წარიყვანა იგი ყოვლადვე ყვა მისთანა; -რამეთუ კურთხეულსა მას ძმასა ჭეშმარიტად შვენოდა, ესე ვითარისა მმერთ-შემოსილითსა თანა ყოფა მას. უწყოდეთ ძმანო ჩემნო საყვარელნო, რამეთუ რომელსა არა აქვს გამოცდილება შეუორგულებელის მორჩილებისა, მან არა იცის განსვენება სულიერი და კეთილი.

¶ მე ოდესმე ვკითხე, მამასა მარსანუფის, ვითარმედ: „რაჲ ვყო მამაო, რამეთუ მესმის მე წერილთაგან, ვითარმედ: მრავლითა ჭირითა უხმს შესვლად კაცსა სასუფეველსა ცათასა (საქმ. 14: 22), და მე ვხედავ თავსა ჩემსა, ვითარმედ არა რაჲ მაქვს ჭირი, და არცა გულის კლება, არცა რაჲ ზრუნვა, და ჭეშმარიტად ეგრეთცა იყო, არა რაჲ მაქვნდა, ესე ვითარი ურვა. რამეთუ ოდეს მომიხდის გულის სიტყვა რაიმე, მუნთქვესვე აღვიხვნი ფიცარნი და დავსწერი; რამეთუ წერილით ვეუბნებოდი მას, ოდეს ჯერეთ არა შევესრულ ვიყავ მსახურებასა მას მისსა. და

გამოსვლისათვის სოფლით.

ქეშმარიტსა გითხრობ ძმანო, რამეთუ უფროს ჯერ-ჯერეთ წერა არა განმესრულის, გულის სიტყვა იგი ოდეს მელხინის; ესე ვითარი მაქნდა სარწმუნოება ბერისა მიმართ წმიდისა ვითარცა იყო ქეშმარიტად. 'მა ვითარცა ვთქუ, ვკითხე მას ვითარმედ: მესმის წერილთაგან, ვითამედ მრავლითა ჭირითა უნებს შესლვა სასუფეველსა ცათასა, და მე არა რაი მაქვს ჭირი და ზრუნვა, რაი იყოს ჩემდა? ხოლო ბერმან მრქვა: „ნუ გულისა გაკლს ძმაო, დაიჯერე ჩემი. რამეთუ ყოველმან რომელმან მისცეს თავი თვისი მორჩილებასა მამათასა, -ესე ვითარი უზრუნველობა და განსვენება აქვს მას, შეწევნითა 'ჩრისტესითა.“ რამეთუ მისი არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ს წ ა ვ ლ ა მ ე ო რ ე ე .

სიმდაბლისათვის,



აჲ არს ძალი ბერისა ამის სიტყვისა, რომელსა იტყვის ვითარმედ: „უწინარეს ყოვლისა გვიხმს სიმდაბლე, და არა იტყვის თუ, უწინარეს ყოვლისა გვიხმს შიში ივთისა?“

ქა იტყვის წერილი, ვითარმედ: დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა (ფსალ. 110, 9). და სხვა ადგილსა წერილ არს: შიში ღვთისა მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან (იგავ. 15, 27). ანუ რად არა იტყვის თუ უწინარეს ყოვლისა გვიხმს ჩვენ მოწყალება, ანუ სარწმუნოება? რამეთუ წერილ არს: მოწყალებითა და სარწმუნოებითა განწმდებიან ცოდვანი (იგავ. 15, 27), და მოციქული იტყვის: თვინიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს სათნო



### სწავლა მეორე

ყოფა ღვთისა (ებრაელ. 11, 6); ხოლო უკეთუ ესე ყოველი ეგრეთ არს, და თვინიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს სათნო ყოფა იღვთისა; და უკეთუ სარწმუნოებითა და მოწყალებითა განწმდებიან ცოდვანი, და უკეთუ შიში მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან; და უკეთუ დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა, და უკეთუ მოღვაწეთა მარადის უხმს მარხვა, რად არა თქვა ბერმან ამათ ყოველთაგანი ერთი? არამედ თქვა ვითარმედ, უწინარეს ყოვლისა გვიხმს ჩვენ სიმდაბლე, რათა მზა ვიყვნეთ, ყოველსა სიტყვასა ზედა თქმად ვითარმედ: შემინდევ; რამეთუ სიმდაბლითა ყოველი ძალი მტერისა და წინა აღმდგომისა მის დახსნდების. აჰა ესერა იხილეთ ძმანო, რა ზომი ძალი აქვს სიმდაბლესა, და სიტყვასა ამას ვითარმედ: შემინდევ.

ჩ რად ეწოდების ეშმაკსა, არაოდენ მტერი, არამედ წინააღმდეგომცა? მტერ ამისთვის ეწოდების, რამეთუ არს იგი კაცთ მოძულე, და კეთილის მოძულე, და ბოროტის განმზრახ; ხოლო წინააღმდეგომ, მისთვის ეწოდების, რამეთუ ყოველსა საქმესა კეთილსა ებრძვის და აყენებდ: ოდეს ვისუნდეს ლოცვა — იგი აყენებს ბოროტითა გულის-სიტყვითა, და წარტყვევნითა გონებისათა და მოწყინებითა; უკეთუ ვისმე უნდეს მოწყალებისა ქმნად, იგი ბრძავს ვეცხლის-მოყვარებითა. უკეთუ ვისმე უნდეს მღვიძარება, — იგი ბრძავს დახსნილობითა და სიცოწილითა; და ყოველსავე საქმესა, ესრეთ წინა აღუდგების, ამისთვისცა ეწოდების მას, არაოდენ მტერ, არამედ წინააღმდეგომიცა. ხოლო სიმდაბლისა მიერ, ყოველი ძალი მტერისა და წინააღმდეგომისა დაიხსნების. ქვეშარიტად დიდარს სიმდაბლე, და ყოველთა წმიდათა სიმდაბლით ვლეს, და შრომითა შეამკვეს გზა მათი, ვითარცა წერილ არს: იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომა ჩემი, და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი (ფსალ. 24. 18), და დაემდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან (ფსალ. 114, 6).

### სიმდაბლასათვის

ჴ შემძლებელ არს სიმდაბლე მარტოდ შეყვანებად კაცისა სასუფეველსა, ვითარცა იტყოდა მამა იოანე.

ჴ აწ ძმანო, დავმდაბლდეთ ჩვენცა მცირედ და ვსცხონდეთ. დაღაცათუ ვერ შემძლებელ ვართ შრომად უძღურებისაგან ჩვენისა, მაშ ვისწრაფოთ, რათა დავმდაბლდეთ; და მრწამს ივთისა რომელ მცირედითა მით, რომელსა ვიქმოდით სიმდაბლით ვიპოვნეთ წმიდათა მამათა ჩვენთა თანა, რომელნი იგი ფრიად დაშვრეს, და ფრიად მსახურეს იმერთსა. ჰე, ვერ შემძლებელ ვართ შრომად; და ნუ თუ დამდაბლებად ვერ შემძლებელ ვართა? ნეტარ არს ჰეშმარიტად, რომელთა აქვს სიმდაბლე, ძმანო, რამეთუ დიდ არს სიმდაბლე.

ჴ ესე არს ჰეშმარიტი სიმდაბლე, რომელი თქვა წმიდამან ვითარმედ: „სიმდაბლე არა განრისხდების, არცა ვის განარისხებს; მრავალთა უჩნ უცხო სიტყვა ესე, რამეთუ სიმდაბლე ცუდათ მზვაობრობასა ოდენ წინააღუდგების, და მისგან ოდენ დაიცავს კაცსა; ხოლო განრისხება მოვალს არა ცუდათ მზვაობრობისაგან, არამედ სახმართა თვისცა დანაყროვანებისაგან.

ჴ რად იტყვის თუ სიმდაბლე არა განრისხნების, არცა ვის განარისხებს? ამისთვის იტყვის, რამეთუ სიმდაბლე დიდ არს, ვითარცა ვსთქუთ, და შემძლებელ არს იგი მოყვანებად მადლისა ივთისასა სულსა ზედა; ხოლო ოდეს მოვიდეს მადლი ივთისასა სულსა ზედა, იგი დაიცავს მას ორთა ამათ ვნებათაგან მძიმეთა. რამეთუ რაი უმძიმეს არს, ოდეს კაცი განრისხნეს, ანუ განარისხოს ძმა თვისი? ვითარცა იტყვის ბერი ვინმე ვითარმედ: „უცხო არს ყოვლადვე მონაზონისაგან რისხვა, და არცა განრისხება სხვათა.“ რამეთუ ეგე ვითარმან მან, უკეთუ ადრე არა შეიკრძალოს თავი თვისი სიმდაბლითა, მცირემცირედ მოვალს საზომსა ეშმაკისასა შფოთითა და აღძვრიითა. ამისთვის იტყვის ვითარმედ სიმდაბლე არა განრისხნების, არცა ვის განარისხებს.

### სწავლას მეორე

ქად ვიტყვი თუ არა ამათ ორთა ვნებათაგან დაიცავს კაცსა: ოდეს იხილნა მამამან პნტონი ყოველნი საბრხენი ეშმაკისანი ქვეყანასა ზედა განფენილნი, და კითხა იმერთსა სულთქმით ვითარმედ: „რაიმე თანა წარხდეს ამათ?“ მაშინ რქვა მას იმერთმან: „სიმდაბლე განერება მათ;“ და სხვა საკვირველი სიტყვა შესძინა-ვითარმედ: „იგინი არცა შეეხნენ მას.“ იხილეთ ძმანო, ძალი სათნოებისა ამის, და მადლი იგი მისი? ჭეშმარიტად არა რაი უძლიერეს არს სიმდაბლისა, და ვერცა რაჲ სძლევს მას; რამეთუ რაიცა რაჲ გულის კლება მოიწიოს მდაბალსა ზედა, მეყვსეულად თავსა თვისსა აბრალებს და უხარის; და არავის აბრალებს სხვასა, და არცა ვის ზედა დასდებს მიზეხსა; და ამისთვის თანა წარხდების ყოველსავე უშფოთველად და განსვენებით. და ამისთვის არცა განრისხნების, არცა ვის განარისხებს. და ამისთვის კვალად სთქვა ბერმან ვითარმედ: უწინარეს ყოვლისა გვიხმს ჩვენ სიმდაბლე.

¶ არიან ორნი სიმდაბლენი, და ორნი ამპარტავანებანი. პირველი ამპარტავანება არს: ოდეს კაცი შეურაცყობდეს მოყვასსა თვისსა, ვითარცა არა რასა, და თავი თვისი უჩნდეს უფროს მისსა; ესე ვითარმან მან—უკეთუ არა აღრე განიფრთხოს მცირე-მცირედ მოვალს მეორესაცა ამპარტავანებასა; რათა თვით იმერთსა ზედაცა ამპარტავან იქმნას, და იტყოდის, ვითარმედ; თვისითა ძალითა იქმს სათნოებათა და არა შეწევნითა ივთისათა. † ძმანო, ვიხილე მე კაცი მოსრული საზომსა ამას საწყალობელი; ხოლო დასაბამსა უკეთუმცა ვინმე აქო ძმა მისთანა მეყვსეულად დანერწყვდა მას, და ეტყოდა: „არავინ არს დიდ, არამედ ზოსიმე,“ და მსგავსნი: და შემდგომად მცირედისაცა ჟამისა იწყო შეურაცხ ყოფად მისაცა, და იტყოდა: „არავინ არს დიდ, არამედ მამა მაკარი.“ და შემდგომად მცირედისა ჟამისა მის იწყო შეურაცხ-ყოფად მისაცა, და იტყოდა: „არავინ არს დიდ არამედ ბასილი და

სიმდაბლისათვის

ბრიგორი.“ ხოლო მცირედ-ჟამისა შემდეგ იწყო თქმად: „ვინ არს ბასილი? ან ვინ არს ბრიგორი? არავინ არს დიდ, არამედ პეტრე და პავლე.“<sup>1</sup> მე ვარქე მას: „ქეშმარიტსა გეტყვი შენ ძმაო, რომელ ესენიცა შეურაცხ-ყოფად გისხენ,“ - გრწმენინ ძმანო, ვითარმედ მცირედისა ჟამისა შემდგომად იწყო თქმად კვალად: „ვინ არს პეტრე? ანუ პავლე? არავინ არს დიდ, არამედ წმიდა სამება“ ხოლო უკანასკნელ თვით იმერთსაცა ზედა ამაღლდა, და სრულიად წარსწყმდა. ამისთვისცა გვიხმს ჩვენ ძმანო, ღვწად ყოვლითა ძალითა ჩვენითა, რათა არა ვიძლივნეთ პირველისა ამპარტავანებისაგან, რამეთუ პირველი მოიყვანებს ამპარტავანებასა სრულსა.

<sup>1</sup> არს სხვა ამპარტავანება ერის კაცთა, და არს ამპარტავანება მონაზონთა; ერის კაცთა ესე არს, ოდეს კაცი ამაღლდებოდეს მოყვასსა თვისსა ზედა, და იტყოდეს ვითარმედ: მე უმდიდრეს ვარ, ანუ უშვენიერეს ვარ, ანუ უფროს მისსა გემოსიეს კეთილი სამოსელი. ოდეს ვიხილნეთ თაენი ჩვენნი, ამათ ესე ვითართა საქმეთა შინა, ანუთუ მონასტერი ჩვენი უძლიერეს არს, ანუ მრავალნი ძმანი გვყვანან ჩვენ, იციომცა, ვითარმედ ჯერეთ ერის კაცებრივსა ამპარტავანებასა შინა ვართ <sup>2</sup> მრავალნი ბუნებითა საქმეთა ზედა მალლოიან, გინა ხმა კეთილობასა ზედა, ანუთუ იტყოდის ვითარმედ: კეთილად და წმიდად ვმსახურებ მე. ესენი წინა-პართა მათ უსუბუქეს არიან, გარნა ესენიცა ერის კაცურისა ამპარტავანებისანი არიან. ხოლო მონაზონური ამპარტავანება არს. ოდეს ზვაობდეს კაცი მღვიძარებისათვის, გინა მარხვისათვის, გინა სხვისა რაისამე მოღვაწებისათვის. ხოლო არს კაცი რომელი დამდაბლდების დიდებისათვის, ესე ყოველნი არიან მონაზონთა ამპარტავანებისაგანნი. ხოლო უმჯობეს არს უკეთუ ვზვაობთ, რათა ბარე სამონაზნოთა საქმეთა ვზვაობდეთ და არა საერის კაცოთა.

<sup>2</sup>ჰა ესერა ვსთქვით ჩვენ თუ რაჲ არს პირველი ამ-

### სწავლა მეორე

პარტავანება, ანუ რაჲ არს მეორე; ვსთქვით ეგრეთვე, თუ რაი არს მონაზონთა ამპარტავანება, ანუ რაჲ არს ერისკაცთა. ხოლო აწ ვსთქვათ თუ, რომელნი არიან ორნი იგი სიმდაბლენი. პირველი სიმდაბლე არს ოდეს უჩნდეს კაცსა ძმა თვისი უგულის ხმიერ თვისსა, და ყოველსა ზედა უკეთეს, ვითარცა წერილ არს: „რათა ქონდეს თავი თვისი ყოველთა უქვეშე“. ხოლო მეორე სიმდაბლე არს ოდეს იგონებდეს კაცი, ვითარმედ რასაცა იქმს შეწევნითა მცხეთისათა იქმს, და არა ძალითა თვისითა, ესე არს სრული იგი სიმდაბლე წმიდათა. ესე ბუნებით მოვალს სულსა ზედა აღსრულებითა მცნებათათა. ეს ვითარცა ხესა, რომელსა ქონდის ნაყოფი ფრიადი, იგი ნაყოფითურთ დასდრეკს რტოსა მას ქვეშე. ხოლო რომელსა რტოსა არა ესხას ნაყოფი აღვალს იგი მართლ ზე; ხოლო არიან რომელნიმე ხენი და რაიზომცა ზე აღვიდოდის რტო მისი, არა გამოიღებს ნაყოფსა; და უკეთუ ვინმე აღიღოს ქვა, და დაკიდოს იგი რტოთა მისთა, და დადრიკოს იგი ქვე, მაშინ გამოიღებს იგი ნაყოფსა; ეგრეთვე სული, რაზომცა დამდაბლდებოდეს, ეგეზომცა ნაყოფსა გამოიღებს, და რაჲ ზომცა გამოიღოს ნაყოფი, ეგეზომცა დამდაბლდების; რამეთუ რაზომცა მიეახლებიან წმიდანი მშერთსა, და ეგე ზომცა უჩნს თავი თვისი ცოდვილად.

ჩახსოვს მე, რამეთუ ოდესმე უბნობლით სიმდაბლიათვის, და იყო ხელმწიფე ვინმე ქალაქის ღაზისა, და ესმა ჩვენი, რამეთუ ვიტყოდით სიტყვასა ამას, ვითარმედ რაიზომცა კაცი მიეახლებოდეს მშერთსა, ეგეზომცა უჩნს თავი თვისი ცოდვილად; და უცხო უჩნდა მას საქმე ესე. და გვკითხვიდა ჩვენ, რათამცა უთხრათ მას სიტყვა იგი თუ ვითარ არს? ხოლო მე მიუგე და ვარქვ მას: „მითხარ მე უფალო, თუ ვითარ გიჩნს შენი თავი შენი ქალაქსა შინა შენსა?“ ხოლო მან მომიგო: „ვითარმედ მიჩნს თავი ჩემი, ვითარცა პირველი და თავი მის ქალაქისა“. ხოლო

### სიმდაბლისათვის

მე ვარქვ მას: „უკეთუმცა წარხვიდე კესარიად, ვითარ გიჩნს მუნ თავი შენი?“ და მრქვა მე: „ვითარმედ მიჩნს თავი ჩემი უქვეს მუნ მყოფთა მათ დიდთა“. და მე ვარქვ მას: „და უკეთუ წარხვიდე ანტიოქიას, ვითარ გიჩნს შენ თავი მუნ?“ ხოლო მან მრქვა მე: „მიჩნს მუნ თავი ჩემი, ვითარცა ერთი გლახაკი.“ ხოლო მე ვარქვ მას: უკეთუ წარხვიდე კონსტანტინეპოლს მახლობელად მეფისა, მუნ ვითარ გიჩნს თავი შენი? მომიგო და მრქვა მე: „მიჩნს თავი ჩემი მუნ, ვითარცა ერთი დავრდომილი“. მაშინ ვარქვ მას: „აჰა ესრეთ არიან წმიდანი, რაზომცა მიეახლებიან იმერთსა, ეგეზომცა უჩნსთ თავი თვისი ცოდვილად. რამეთუ აბრაამ, ოდეს იხილა იმერთი, მიწად და ნაცრად უწოდა თავსა თვისსა (შექმ. 18, 27); და ისაია იტყოდა: ოდეს იხილა იმერთი: ვაი მე უბადრუკსა, რამეთუ არა წმიდა ვარ მე (ისაია. 6, 5); და დანიელი, ოდეს იყო მღვიმესა შინა მხეცთა შორის, და მივიდა მისა ამბაკომ, და მიათვა მას პური და რქვა: მიიღე პური ესე, რომელი წარმოსცა შენთვის იმერთმან, ხოლო მან თქვა: რამეთუ მომიხსენა მე იმერთმან (დანი 14, 36, 37). **იხილე** თუ რაოდენი სიმდაბლე ქონდა გულისა თვისსა! რამეთუ იყო იგი მხეცთა შორის მღვიმესა შინა, და არა ავნებდეს მას; და თვითცა უკვირდა და იტყოდა: „რამეთუ მომიხსენა მე იმერთმან!“

**იხილეთ** სიმდაბლე იგი წმიდათა, თუ ვითარ იყვნენ, გულნი მათნი? რამეთუ მრავალთა წარავლენნ იმერთი შეწევნად კაცთა, და მათ არა უნებნ სიმდაბლით, რამეთუ ივლტიედ იგინი დიდებისაგან. რამეთუ ვითარცა კაცსა რომელსა ემოსის პორფირი, უკეთუ მივარდის მისზედა ძონძი არა წმიდა ივლტინ იგი, რათა არა შეიგინოს სამოსელი იგი მისი პატიოსანი: ეგრეთვე წმიდათა, რომელნი შემკულ არიან სათნოებითა, ივლტიან იგინი კაცობრივისაგან დიდებისა, რათა არა შეიგინენ მისგან. ხოლო რომელსა უყვარდეს დიდება კაცობრივი, მსგავს არს იგი შიშ-

### სწავლა მეორე

ველსა, რომელი ეძიებს მცირესა ძონძსა, რათამცა დაიბურა სარცხვენელი თვისი: ეგრეთვე შიშველი სათნოებან ეძიებს დიდებასა კაცთაგან. ხოლო წმიდათა, რაჟამს წარავლენნ იმერთი შეწევნად კაცთა, არა უნებნ მათ სიმდაბლისაგან მათისა. რამეთუ მოსე ეტყოდა იმერთსა: გვედრები შენ მიავლინე სხვა უძლიერესი ჩემსა, რამეთუ მე ხმა წვლილ ვარ, და ენა მძიმე (გამოს. 4, 10). და იერემია ეტყოდა: ჭაბუკ ვარ მე (იერ. 1, 6), და ყოველთა წმიდათა ესე ვითარი სიმდაბლე მოიგეს, ვითარცა ვსთქუთ აღსრულებთა მცნებათათა. ხოლო სიმდაბლესა ამას სიტყვით ვერაჲინ გამოსთარგმნის.

ოდესმე მამა ზოსიმე იტყოდა სიმდაბლისათვის. ხოლო იბოვა მუნ ვინმე ფილოსოფოსი, და იწყო კითხვად მისა: „მითხარ მე ვითარ გიჩნს თავი შენი ცოდვილად, არა იცია ვითარმედ გქონან შენ სათნოებანი? არა იცია, რამეთუ ხარ შენ წმიდა? და აჰა ესერა აღასრულებ მცნებათა, ვითარ გიჩნს თავი შენი ცოდვილად?“—ხოლო ბერი ვერ პოვებდა, რაიმცა გამოუთარგმნა მას, არამედ ეტყოდა: „არა ვიცი, თუ ვითარ გითხრა შენ, არამედ ესრეთ მიჩნს მე, ვითარმედ ცოდვილ ვარ.“ ხოლო ფილოსოფოსი წინა აღუდგებოდა, რამეთუ უნდა მას, რათამცა სცნა თუ ვითარ არს. რქვა მას წმიდითა მით მისითა სიწრფოებათა: „ნუ გარდამაქცევ მე; რამეთუ ესრეთ მაქვს.“

ჴ მე ვარქვ მას: „ნუ უკვე ეგრეთ არს, ვითარცა საფილოსოფია, და ვითარცა სამკურნალო? რამეთუ ოდეს კაცი ისწავლიდეს მას კეთილად, და შვრებოდის მას ექმნების რაიმე ჩვეულება მის შორის, და ვერღარა გამოთარგმნის სიტყვით, თუ ვითარ იქმნა ჩვეულება იგი მის შორის: რამეთუ ვითარცა ვსთქუ მცირე-მცირედ მიიღო მან ჩვეულება იგი უცნაურად ზედას ზედა ქმნისაგან. --ნუ უკვე ესრეთ არს სიმდაბლესა, რამეთუ აღსრულებისაგან მცნებათასა, და ენერგვის კაცსა თანა გონება მდაბალი, და სიტყვათა არა ითქმის იგი.“ ხოლო ვითარცა ესმა ესე მა-



სიმდაბლსათუას

მასა ზოსიმეს, განიხარა და მეყვსეულად შემიტკბო, და თქვა: „ვბოვე შენგან, თუ ვითარ არს საქმე ესე, ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ.“ ხოლო დაიჯერა ფილოსოფოსმანცა სიტყვა იგი.

შამათა მრავალთა სთქვეს, რათამცა გულის ხმა ვყავთ ჩვენ სიმდაბლე ესე, გარნა თუ ვითარ არს, და ვითარ დაენერგვის იგი გულსა შინა კაცისასა, ვერ ვინ სთქვა. რამეთუ მამა პლათონ, ოდეს აღესრულებოდა, რქვეს მას ძმათა: „შენცა გეშინიანა მამაო?“ რქვა მათ ვითარმედ: „მე ძალისა ებრ ჩემისა ვიღვაწე დამარხვად მცნებათა, არამედ კაცი ვარ, რაჲ ვიცი თუ, საქმე ჩემი სათნო-უჩინს იმერთსა? რამეთუ სხვაჲ არს სასჯელი ივთისა, და სხვა სასჯელი არს კაცთა.“ აჰა ესრეთ გულის ხმა გვიყო ჩვენ, ცნობად მისსა, და გვიჩვენა ჩვენ გზა მიწევნად მისსა. ხოლო თუ ვითარ არს იგი, ანუ ვითარ მოვალს იგი სულსა ზედა, ვითარცა მრავალ გზის ვსთქუ, ვერვინ თქვა, ვითარცა ვინ მისწვთა მას სიტყვით, არამედ მარტოდ სული იგი, რომელი ღირს იქმნა საქმით მიწევნად და ცნობად მისსა. ხოლო თუ რაჲ არს, რომელი მოიყვანებს მას ჩვენთანა. თქვეს მამათა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ძმამან კითხა ბერსა და რქვა მას: რაჲ არს სიმდაბლე? მიუგო მას ბერმან და რქვა: სიმდაბლე დიდი საქმე არს და საღმრთო; ხოლო გზანი სიმდაბლისანი არიან შრომანი ხორციელნი, გულის ხმის ყოფით; რათა ემჭიროს კაცსა თავი თვისი ყოველთა ქვეშე, და რათა ევედრებოდეს იმერთსა მარადის. ხოლო სიმდაბლე არს საღმრთოჲ და მიუწლომელი.

შა რად იტყვის თუ შრომანი ხორციელნი მოიყვანებენ კაცსა სიმდაბლედ? ამისთვის იტყვის, რამეთუ ხორციელნი შრომანი სათნოებათანი არიან სულიერნი. ხოლო ყოველთა ქვეშე დამჭიროვა თავისა თვისისა, ვითარცა ზემო ვსთქუ, წინა აღუდგების იგი ძალსა და პირველს-ამპარტავანებასა: რამეთუ რომელსა ემჭიროვს და-

### სწავლა მეორე

ვი თვისი ყოველთა ქვეშე, ვითარ ქონდეს მას უფროს მოყვისისა თვისისა, ანუ ვითარ ვის აბრალებდეს, ანუ ვითარ ვინ შეურაცხ ყოს მან?

❧ ვედრება ივთისა მიმართ მარადის, ამისთვის თქვა ბერმან, რამეთუ წინააღუდგების იგი მეორესა ამპარტავანებასა: რამეთუ რომელი იყოს მდაბალი, მან უწყის, ვითარმედ თვინიერ შეწვევისა ივთისა ვერას წარმართებს; და ამისთვის ევედრების იმერთსა მარადის. **შ**ა რომელი მარადის ევედრების იმერთსა, უკეთუ რაიმე სათნოება წარმართოს, იცის ვითარმედ შეწვევითა ივთისათა-წარუმართებიეს იგი; და არა ამაღლდების იგი, არცა იტყვის თუ ჩემითა ძალითა წარმიმართებიეს საქმე ესე, არამედ ივთითა და მარადის მადლობს; და ევედრების ძრწოლით, რათა არა დაუტყოს იგი, და არა გამოაჩინოს უძლურება და უღონოება მისი. და ესრეთ სიმდაბლისა მიერ ილოცავს, და ლოცვისა მიერ დამდაბლდების; და რაჯზომცა დამდაბლდებოდის, უფროს შეეწვევის მას იმერთი და წარემართების სიმდაბლითა.

❧ რად იტყვის თუ ხორციელნი შრომანი მიიყვანებენ კაცსა სიმდაბლედ?—ანუ რასა შეეწვევიან ხორციელნი შრომანი სიმდაბლესა; რამეთუ სიმდაბლე სულსა შინა კაცისასა არს; და ვითარ მოიღებენ მას ხორციელნი შრომანი? მე გითხრა თქვენ: ოდეს დაეცა სული მცნებათა გარდასვლისაგან, დასაბამსა დაემონა უბადრუკი იგი თვით-რჩულობასა ცჳომისასა, და გემოთ მოყვარებასა, ვითარცა იტყვის წმიდა გრიგოლი, და შეიყვარა მან ხორციელი, და იქმნა იგი ყოვლითურთ ხორც, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა მათ თანა, რამეთუ არიან იგინი ხორც (შექ. 6), ხოლო სული დაემონა ხორცთა დაიჭირვის იგიცა ხორცთავე თანა, და ნებასა ხორცთასა იქმს მისთანავე. **წ**მისთვის თქვა ბერმან, ვითარმედ ხორციელნი შრომანი მიიყვანებენ სიმდაბლესა. რამეთუ სხვა არს სული მრთელისა, და

### სიმდაბლისათვის

სხვებრ უძლურისა, და სხვებრ არს მამდრისა, და სხვებრ მშიერისა. და სხვებრ არს ცხენსა ზედა მჯდომარისა, და სხვებრ ვირსა ზედა მჯდომელისა; სხვებრ არს გონება საყდა რთა ზედა მჯდომელისა, და სხვებრ ქვეყანასა ზედა მჯდომელისა; სხვებრ არს გონება, რომელსა ემოსოს სამოსელი კეთილი, და სხვა არს რომელსა ემოსოს ხენეში. რამეთუ შრომა დაამდაბლებს ხორცთა; და დარამდაბლდენ ხორცნი დამდაბლდების სულიცა: ამისთვის მართლად სთქვა ბერმან, ვითარმედ ხორციელი შრომა მოიღებს სიმდაბლესა.

ღმისთვის ოდეს ევაგრი შთაჲარდა ბრძოლათა შინა გმობისა გულის-სიტყუათასა, მაშინ მან, ვითარცა კაცმან გონიერმან, იცოდა რომ გმობა გამოვალს ამპარტუანებისაგან, და ოდეს სხეული დამდაბლდება, მაშინ ერთად მისთანა სულიცა დამდაბლდება. განატარა მან ორმეოც დღე უსართულოდ ჰაერსა ქვეშე, ესრეთ რომელ, ვითარცა იტყვის მისი ცხოვრების აღმწერელი, სხეულსა მისსა გამოესხა მუწუკები, რომელშიდაც გაუჩნდენ მატლნი; და ამგვარი შრომა აღიღო მან, არათუ გმობისათვის, არამედ სიმდაბლისათვის, და ესრეთ კეთილად თქვა ბერმან. ვითარმედ ხორციელნი შრომანი მიიყვანებენ სიმდაბლისადმი. სახიერმან იმერთმან, მოგვცეს ჩვენ სიმდაბლე, რამეთუ იგი იხსნის კაცსა მრავალთა ბოროტთაგან, და დაიფარავს მათ დიდთა განსაცდელთაგან. იმერთსა დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ს წ ა კ ლ ა მ ე ს ა მ ე

სვინადისასათვის.



დეს დაბადა იმერთმან კაცი, დასთესა მის შორის წმიდა რაიმე გულის სიტყვა მზურვალე და

### სწავლა მეორე

ვი თვისი ყოველთა ქვეშე, ვითარ ქონდეს მას უფროს მოყვისისა თვისისა, ანუ ვითარ ვის აბრალებდეს, ანუ ვითარ ვინ შეურაცხ ყოს მან?

ქ ვედრება ივთისა მიმართ მარადის, ამისთვის თქვა ბერმან, რამეთუ წინააღუდგების იგი მეორესა ამპარტავანებასა: რამეთუ რომელი იყოს მდაბალი, მან უწყის, ვითარმედ თვინიერ შეწვევისა ივთისა ვერას წარმართებს; და ამისთვის ევედრების იმერთსა მარადის. **ზ**ა რომელი მარადის ევედრების იმერთსა, უკეთუ რაიმე სათნოება წარმართოს, იცის ვითარმედ შეწვევითა ივთისათა-წარუმართებიეს იგი; და არა ამალღდების იგი, არცა იტყვის თუ ჩემითა ძალითა წარმიმართებიეს საქმე ესე, არამედ ივითითა და მარადის მადლობს; და ევედრების ძრწოლით, რათა არა დაუტყოს იგი, და არა გამოაჩინოს უძლურება და უღონოება მისი. და ესრეთ სიმდაბლისა მიერ ილოცავს, და ლოცვისა მიერ დამდაბლდების; და რაჯომცა დამდაბლდებოდის, უფროს შეეწვევის მას იმერთი და წარემართების სიმდაბლითა.

ქ რად იტყვის თუ ხორციელნი შრომანი მიიყვანებენ კაცსა სიმდაბლედ?—ანუ რასა შეეწვევიან ხორციელნი შრომანი სიმდაბლესა; რამეთუ სიმდაბლე სულსა შინა კაცისასა არს; და ვითარ მოიღებენ მას ხორციელნი შრომანი? მე ვითხრა თქვენ: ოდეს დაეცა სული მცნებათა გარდასვლისაგან, დასაბამსა დაემონა უბადრუკი იგი თვით-რჩულობასა ცთომისასა, და გემოთ მოყვარებასა, ვითარცა იტყვის წმიდა გრიგოლი, და შეიყვარა მან ხორციელი, და იქმნა იგი ყოვლითურთ ხორც, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა მათ თანა, რამეთუ არიან იგინი ხორც (შექ. 6), ხოლო სული დაემონა ხორცთა დაიჭირვის იგიცა ხორცთავე თანა, და ნებასა ხორცთასა იქმს მისთანავე. **ღ**მისთვის თქვა ბერმან, ვითარმედ ხორციელნი შრომანი მიიყვანებენ სიმდაბლესა. რამეთუ სხვა არს სული მართელისა, და

### სიმდაბლისათვის

სხვებზე უძლურისა, და სხვებზე არს მაძღრისა, და სხვებზე მშიერისა. და სხვებზე არს ცხენსა ზედა მჯდომარისა, და სხვებზე ვირსა ზედა მჯდომელისა; სხვებზე არს გონება საყდართა ზედა მჯდომელისა, და სხვებზე ქვეყანასა ზედა მჯდომელისა; სხვებზე არს გონება, რომელსა ემოსოს სამოსელი კეთილი, და სხვა არს რომელსა ემოსოს ხენეში. რამეთუ შრომა დაამდაბლებს ხორცთა; და დარამდაბლდენ ხორცილი დამდაბლდების სულიცა: ამისთვის მართლად სთქვა ბერმან, ვითარმედ ხორციელი შრომა მოიღებს სიმდაბლესა.

ამისთვის ოდეს ევაგრი შთავარდა ბრძოლათა შინა გამობისა გულის-სიტყვათასა, მაშინ მან, ვითარცა კაცმან გონიერმან, იცოდა რომ გამობა გამოვალს ამბარტავანებისაგან, და ოდეს სხეული დამდაბლდება, მაშინ ერთად მისთანა სულიცა დამდაბლდება. განატარა მან ორმოცდღე უსართულოდ ჰაერსა ქვეშე, ესრეთ რომელ, ვითარცა იტყვის მისი ცხოვრების აღმწერელი, სხეულსა მისსა გამოეხსა მუწუკები, რომელშიდაც გაუჩნდენ მატლნი; და ამგვარი შრომა აღიღო მან, არათუ გამობისათვის, არამედ სიმდაბლისათვის, და ესრეთ კეთილად თქვა ბერმან. ვითარმედ ხორციელი შრომანი მიიყვანებენ სიმდაბლისადმი. სახიერმან იმერთმან, მოგვცეს ჩვენ სიმდაბლეს, რამეთუ იგი იხსნის კაცსა მრავალთა ბოროტთაგან, და დაიფარავს მათ დიდთა განსაცდელთაგან. იმერთსა დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



ს წ ა კ ლ ა მ ე ს ა მ ე

სვინაღისისათვის.



დეს დაბადა იმერთმან კაცი, დასთესა მის შორის წმიდა რაიმე გულის სიტყვა მხურვალე და

### სწავლა მესამე

განათლებული, მსგავსი ნაკვერცხალისა, რომელი იგი განანათლებს გონებასა, და უჩვენებს ბოროტსა კეთილსაგან: ამისთვის ეწოდების სვინიდისი, რომელ არს რჩული ბუნებითი. ამისთვის იტყვიან მამანი: ჯურღმულნი რომელთა სწმედდა ისაჲ და აღმოავსებდეს მას ფილისტიმელნი (შექმნათა. 26).

ღმით რჩულითა, რომელ არს სვინიდისი, ყოველნი მამათ-მთავარნი და ყოველნი წმიდანი, უწინარეს დაწერილისა რჩულისა სათნო ეყვნეს იმერთსა. ხოლო ესე რა დაითრგუნა კაცთა მიერ, გარდასლვითა მცნებისათა, და ქმნითა ცოდვისათა, მაშინ გვიხმდა ჩვენ განსაკუჩნებულად დაწერილნი რჩული; და გვიხმდეს ჩვენ წმიდათა წინასწარმეტყველთა სიტყვანი; და გვიხმდა ჩვენ თვით უფლისა ჩვენისა მოსლვა, რათამცა გამოაბრწყინვა და აღადგინა, და განაცხოველა, დათრგუნვილი იგი ნაკვერცხალი, რომელ არს სვინიდისი, დაცვითა წმიდათა მისთა მცნებათათა.

ჲ აწ ჩვენ შორის არს იგი, და უკეთუ გვინდეს დავსთრგუნავთ მას კვალად; და უკეთუ გვინდეს და უსმენთ მას, ბრწყინვიდეს იგი და განგვანათლებდეს ჩვენ. რამეთუ ოდეს გვეტყოდეს ჩვენ სვინიდისი ჩვენი თუ ქმენ ესე რაჲჲ და ჩვენ არა უსმენდეთ მას, და კვალად გვეტყოდის და უგულვებელს ვყოფდეთ მას. მერმე დავსთრგუნავთ მას, და ვერღარა შეუძლებს მხილებათ ჩვენდა, სიმძიმისა მისგან მის ზედა მდებარისა; არამედ ვითარცა სანთელი, რომელი ჰნათობნ ჭიქასა შინა, ეგრეთ იწყებნ ნათობად ჩვენდა უბნელესადრე, და არა გვიჩვენებს ჩვენ საქმეთა წმიდად. და ვითარცა წყალსა შინა აღმრღვეულსა ვერვინ დაინახავს სახესა თვისსა; ეგრეთვე ვიპოვებით ჩვენცა, და ვერღარა გავიგონებთ, თუ რასა გვეტყვის ჩვენ სვინიდისი ჩვენი; და ეგე ზომსა სიბნელესა შინა შევვარდებით, ვიდრელა გვეგონოს თუ ყოვლადვე არა არს იგი ჩვენთანა. ხოლო არა არს კაცი რომლისამცა თანა არა იყო იგი,

სვინიდისისთვას

რამეთუ ვითარცა ვსთქუ წმიდა რამე არს იგი; და არა ოდეს წარწყმდების იგი, არამედ ყოვლადვე გვეტყვის ჩვენ კეთილსა; ხოლო ჩვენ ვითარცა ვსთქუ ჩვენისა უგულისხმოებისაგან ვერ გავიგონებთ, რამეთუ დაგვიორგუნავს იგი.

ამისთვისცა იგლოვდა წინასწარ-მეტყველი ეფრემისთვის და იტყოდა: ეუფლა და მძლავრ ექმნა ეფრემ წინააღმდგომსა თვისსა და დასთრგუნა სასჯელი (ოსია 5, 10). წინააღმდგომ უწოდა სვინიდისსა. ამისთვის სახარება იტყვის: იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუ უკვე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურსა, და საპრობილედ შევარდე; ამინ გეტყვი შენ: ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი კოდრატი (მატ. 5, 25, 26).

რად უწოდა სვინიდისსა წინააღმდგომ? ამისთვის ეწოდების მას წინააღმდგომ, რამეთუ იგი მარადის წინააღმდგომების ნებასა ჩვენსა ბოროტსა და გვამხილებს ჩვენ; რომელი თანა გვაც ქმნად, არა ვიქმთ, და კვალად რომელი არა თანა გვაც ვიქმთ, იგი წინააღმდგომების ჩვენ, და ამისთვის ეწოდების მას წინააღმდგომ; და ამისთვის გვამცნებს და იტყვის: იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა. ხოლო უზა არს ვითარცა წმიდაბასილი იტყვის—სოფელი ესე.

წრამედ ვისწრაფოთ, ძმანო, დაცვად სვინიდისისა ჩვენისა, ვიდრეღა ვართ სოფელსა ამას, და ნუ უტევებთ მას მხილებად ჩვენდა ნურასა ზედა საქმესა; ნუცამცა დავსთრგუნავთ მას ყოვლადვე: დადაცათუ მცირე რაიმე საქმე იყოს. ხოლო ესე იცოდეთ, რომელ მცირეთა ამათგან, რომელ ჩვენ გვგონია თუ: არა რაე არს იგი, მღვალთ დიდთაცა. რამეთუ ოდეს იტყოდის კაცი თუ: „არა რაე არს, უკეთუ ვსთქვა ესე რაიმე სიტყვა? ანუ რაე არს თუ შევჭამო ესე მცირელი რამე? ანუ რაე არს



### სწავლა მესამე

უკეთუ მიზეხდნე იმას რასამე?“ ამით საქმით მიიღებს კაცი ბოროტსა ჩვეულებასა; და მერმე იწყებს დიდთაცა საქმეთა უგულვებელს ყოფად და დათრგუნვად სვინილისისა თვისისა. და ესრეთ ოდეს წარემართებოდის, ცოდვასა შინა დაინთქმის, და სრულსა უგულვის-ხმოებასა შინა. ამისთვის, ძმანო, გვედრები თქვენ, ნუმცა უდებ ვიქმნებით მცირედთა ამათ ზედა, არა მცირენი არიან, არამედ ბოროტი ჩვეულება არს ძნელ. განვიფრთხოთ ძმანო, და ვბრძოდეთ ცოდვასა, ვიდრედა იყოს იგი სუბუქ, და არა იქმნენ ივინი მძიმე. და რამეთუ სათნოებაჲცა და ცოდვაჲცა მცირისაგან დაიწყების და დიდსა მოვალს.

ამისთვის ოფალი ჩვენი გვამცნებს, დამარხვად სვინილისისა ჩვენისა, და ვითარმცა პირის-პირ ვის ეტყოდა ესრეთ იტყვის: „იხილე უბადრუკო! და განეკრძალე მსაჯულსა შენსა, ვიდრე ხარლა გზასა ზედა მის თანა.“ და გვითხრობს ჩვენ შიშსაცა მის საქმისასა, და იტყუჱს: რათა არა მიგცეს შენ მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურთა, და შეგაგდონ შენ საპურობილესა: ამინ გეტყვი შენ, არა გამოხვიდე მიერ, ვიდრე მისცე უკანასკნელი კოდრატი. ხოლო. ხოლო ვითარცა ვსთქუ: სვინილისი ჩვენი გვახილებს ჩვენ ბოროტსაცა და კეთილსაცა; და გვიჩვენებს ჩვენ თუ რაი ჯერ არს ჩვენდა ქმნად; და უკეთუ არა უსმინოთ მას, იგივე შეგვასმენს ჩვენ დღესა მას; და მისთვის იტყვის: რათა არა მიგცეს შენსა მსაჯულსა და შემდგომი ამისი.

დაცვასა მისსა ფრიალი განყოფა აქვს; რამეთუ უნებს კაცსა დამარხვად სვინილისისა თვისისა მითისა მიმართ; და მოყვისსა მიმართ; და სახმართა მიმართ.

მითისა მიმართ ესრეთ: რათა არა უგულვებელს ყვნეს მცნებანი მისნი; არამედ რათა, რომელსა კაციცა ვერ ხედვიდეს მას, და რომლისათვის არავისგან ეშინოდის, რათა მას ზედა დაიცვას სვინილისი თვისი, ესე ვითართა საქმეთა ზედა ოდეს ილოცვიდეს, უკეთუ მოუხდეს მას

### სვინიდისისთვას

გულის სიტყვა ბოროტი, და არა შეიკრძალოს თავი თვისი, არამედ დაამტკიცოს იგი. გინათუ იხილოს მოყვასი თვისი, რომელი იტყვინ რასაჲმე, ანუ იქმან და განიკთხოს იგი ამათ ზედა და ამათთა მსგავსთა, რომელთა ვერვინ სცნობს, გარნა იმერთი, უხმს დამარბვა სვინიდისისა თვისისა. ესე არს ითვისა მიმართ დაცვა სვინიდისისა.

ჴ მოყვასისა მიმართ დაცვა სვინიდისისა ესე არს: რათა არა რაი ქმნას კაცმან, რომელსა ზედა იცოდის, ვითარმედ დაბრკოლდების მოყვასი; გინათუ საქმით, გინათუ სიტყვით, გინა სახით, გინა შეხედვით. რამეთუ იქმნების სახითაცა დაბრკოლება მოყვასისა და შეხედვითაცა, და რასაცა ზედა იცოდის, ვითარმედ დაბრკოლდების მოყვასი რათა არა ქმნას იგი: ესე არს მოყვასისა მიმართ დაცვა სვინიდისისა.

ჴ სახმართა მიმართ ესე არს, რათა არა უტეოს ჭურჭელისა რაისაჲმე განრყვნად. არამედ დადაცათუ იხილოს დაგდებული რაიმე, რათა აღიღოს იგი და დასდვას თვისსა ადგილსა, დადაცათუ მცირე რაიმე იყოს. — და რათა არა გარყვნიდეს თვისსა სამოსელსა; რამეთუ არს კაცი რომელსა შეუძლია სამოსლისა თვისისა მოსად; სხვასა ხუთსა თვესა და ზედა-ზედას რცხითა განსცვეთს მას, და არს ესე სვინიდისისაგან გარეგანი. და კვალად არს კაცი რომელსა ეყოფის ერთი სასთაული და იგი ეძიებს დიდსა საგებელსა; და უკეთუ ქონდის სამოსელი ძაძისა, და ენებოს მას სამოსელი ახალი და შვენიერი; ამბარტავანებისაგან ანუ მოწყინებისა, და ეყოფინ მას ერთი ჭილი და იგი ეძიებნ ლანატსა; და იქმს მისთვის შფოთსაცა. ხოლო უკეთუ იწყოს მიხედვად ძმისა თვისისა, და იტყოდეს თუ: „მას აქვს ესე რაიმე, და მე არა?“ ეგე ვითარი იგი არა სანატრელ არს. და კვალად განფენს კაცი თვისსა სამოსელსა მზესა, დაუდებ ყოფს იგი მას, და დაიწვის და ესეცა სვინიდისისაგან გარეგანი არს. და კვალად საჭამადსა ზედა შემძლებელ იყოს განძლომად მცი-

### სწავლა მესამე

რედითა მხლითა, ანუ ცერცვითა, ანუ მცირედითა ზეთის-ხლითა; და იგი ეძიებნ საჭამადსა უჰამოვნესსა. და ესე ყოველნი სვინილისისაგან გარეგან არიან. ხოლო თქვეს მამათა, ვითარმედ არა ჯერარს მონაზონისა, რათა უტეოს სვინილისსა თვისსა მხილებად მისა რასაცა ზედა საქმესა. ჯერარს ჩვენდა ძმანო, რათა ფრთხილ ვიყვნეთ ყოველადვე, და რათა დავიცვნეთ თავნი ჩვენნი ამათ ყოველთაგან, რათა არა დავინთქნეთ: რამეთუ თვით **ო**ფალი გვამცნებს ჩვენ, ვითარცა ზემო ვსთქუთ. **მ**მერთმან ღირს-მყვენინ ჩვენ სმენად და ქმნად სიტყვათა მათ, რათა არა დასასჯელად გვექმნენ ჩვენ სიტყვანი მამათა ჩვენთანი.

### ს წ ა ვ ლ ა მ ე ო თ ს ე

#### შაშისა-თვის ივთისა.



**მ**იდა **ი**ოანე იტყვის კათოლიკესა შინა თვისსა, ვითარმედ: სრული სიყვარული გარე განსდევნის შიშსა (1. იოან. 4, 18) იხილეთ თუ რასა იტყვის **მ**იდა ესე, და რომელსა სიყვარულსა იტყვის, ანუ რომელსა შიშსა? რამეთუ წინასწარმეტყველი დავით ფსალმუნსა შინა იტყვის: გეშინოდენ უფლისა ყოველთა წმიდათა მისთა (ფსალ. 33, 10), და სხვათა ბევრეულთა ეგე ვითართა იტყვიან წმიდანი წერილნი. **ხ**ოლო უკეთუ წმიდათა რომელთა უყვარს **ო**ფალი მათ ეშინიანცა მისგან, მაშ ვითარ იტყვის თუ სიყვარული გარე განაძებს შიშსა? უნებს წმიდასა ამას, რათამცა გვიჩვენა ჩვენ, ვითარმედ ორნი არიან შიშნი: ერთი იგი ახალთა; და მეორე იგი სრულთა, რომელნი იგი განსრულებულ არიან და მიწვენულ საზომსა მის სიყვარულისასა. რამეთუ არს კაცი რომელი იქმს ნებასა **ი**ვთისასა შიშისათვის სატანჯველ-

### შეშისათვის ღვთისა.

თასა, ესე ვითარი ესე, ვითარცა ესთქუ ჯერეთ ახალი არს; ესე ვითარი არა იქმს კეთილისაზვის, არამედ შიშისათვის წყლულებათასა. ხოლო სხვა არს, რომელი იქმს ნებასა ივთისასა, სიყვარულისათვის ივთისა, რათამცა სათნო ეყო იმერთსა, ამან იცის თუ რაჲ არს კეთილი, და ესე არს რომელსა აქვს ჭეშმარიტი სიყვარული, რომელსა იტყვის წმიდა ესე. ხოლო ესე ვითარი იგი სიყვარული მიიყვანებს მას სრულსა შიშსა, რამეთუ ესე ვითარსა მას ეშინიან ივთისაგან და იქმს ნებასა მისსა, არღარა შიშისათვის სატანჯველთასა, არამედ ვითარცა ესთქუ უხილავს გემო სიტკბოებისა მის ივთისა თანა ყოფისა; და ეშინიან რათა არა დაეცეს მისგან. ხოლო ესე ვითარი იგი შიში შობილი სიყვარულისა, განაძებს შიშსა მას პირველსა; ამისთვის იტყვის ვითარმედ: სრული სიყვარული გარე განაძებს შიშსა.

ჲ შეუძლებელ არს მოსლვა შიშისა მის სრულისა; უკეთუ პირველად არა მოვიდეს შიში იგი ახალთა. ხოლო სამნი საზომნი არიან, ვითარცა წმიდა ბასილი იტყვის, რომლითა სათნო ვეყოფით იმერთსა: ანუ შიშისათვის სატანჯველთასა, ანუ მადლისათვის, ანუ კეთილისა საქმისათვის. ხოლო სამთა ამათ ვიქმთ მცნებათა: **ო**კეთუ ვიქმოდით შიშისათვის სატანჯველთასა; ვართ ჩვენ საზომსა მონისასა. და უკეთუ ვიქმთ მადლისათვის; ვართ ჩვენ საზომსა მუშაკისასა. **ჴ**ოლო უკეთუ ვიქმთ კეთილისათვის, ვართ საზომსა ძისასა. რამეთუ ძეოდეს მოვიდეს ცნობასა იქმს ნებასა მამისა თვისისასა; არა შიშისათვის ცემისა, არცა მისთვის რათამცა აღილო მისგან ფასი, არამედ სიყვარულისათვის მისისა, რამეთუ დაუმარხავს მას სიყვარული და პატივი, რომელი უხმს ძესა მამისა მიმართ თვისისა დამარხვად; და იცის მან, რამეთუ ყოველივე მამისა მისი არს; ხოლო ესე ვითარსა მას, არღარა ეწოდების მონა; არამედ ძედ და თანა მკვიდრად ივთისა **ჴ**რისტეს მიერ (გალ. 4, 7). ხოლო ეგე ვითარსა მას არღარა ეშინიან ივთისაგან,

### სწავლა მეოთხე

შიშითა მით პირველითა, არამედ უყვარს იმერთი, ვითარ-  
ცა სთქვა მამამან ანტონი, ვითარმედ მე არა მეშინიან  
ივთისაგან, არამედ მიყვარს იგი.

შა კვალად ოფალი აბრაჰამს ეტყოდა ოდეს შეს-  
წირვიდა ძესა თვისსა: **ჴ**ვი ვიცი, რამეთუ გეშინის შენ ივთისა  
(შექ. 22, 12). სრულსა მას შიშსა ოდენ ეტყოდა, რომე-  
ლი იგი მოვალს სიყვარულისაგან. **ჴ** ვითარ ეტყოდა მას  
თუ აწ ვიცი, რამეთუ გეშინის შენ ივთისა: ეგოდენნი ჭი-  
რნი მოითმინნა, და მორჩილებდა იმერთსა: და დაუტევა  
თვისი ქვეყანა, და მივიდა იგი უცხოთა ქვეყანასა, დანათე-  
სავესა კერპთ-მსახურსა, სადა არა იყო კვალი ივთის-მეც-  
ნიერებისა; და ამას ყოველსა ზედა, მოითმინა საქმეცა იგი  
შვილისა თვისისა დაკლვისა. **შა** ამას ყოველსა ზედა ეტ-  
ყოდა მას იმერთი: აწ ვიცი რამეთუ გეშინის შენ ივთი-  
სა; საცნაურ არს, ვითარმედ შიშსა მას სრულსა წმიდათა-  
სა იტყოდა; რამეთუ წმიდათა არა ეშინისთ ივთისაგან,  
შიშისათვის სასჯელისა, არცა მადლისა მიღებისათვის,  
არამედ სიყვარულისათვის ივთისა, რათა არა ქმნან გარე-  
გან ნებისა ივთისა. და ამისთვის იტყვის ვითარმედ: სიყ-  
ვარული გარე განაძებს შიშსა: რამეთუ არა შიშისაგან  
იქმან, არამედ სიყვარულისაგან ეშინიან; ესე არს სრული  
შიში.

**ჴ** სრული იგი შიში, ვითარცა ესთქუ არა მოვალს  
უკეთუ პირველად არა მოვიდეს მცირე იგი, რამეთუ წე-  
რილ არს: დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა (იგავ  
1, 7). და კვალად იტყვის: შიში ღვთისა არს დასაბამი და  
დასასრული (ისო ზირ. 1, 15, 18). დასაბამად იტყვის პირ-  
ველსა მას შიშსა; ხოლო დასასრულად მეორესა მას შიშ-  
სა სრულსა ივთისასა. ხოლო შიში იგი პირველი არს სა-  
ზომისა ჩვენისა, რომელი დაიცავს სულსა, ყოვლისაგან  
ბოროტისა, რამეთუ წერილ არს ვითარმედ: შიში ოფლი-  
სა მოსდრეკს კაცსა ყოვლისა ბოროტისაგან (იგავ. 15, 27).

**ჴ** უკეთუ შიში სასჯელთა მოსდრეკს კაცსა ბორო-

მომსახურების ღვაწლის

ტისაგან, ვითარცა მონასა, რომელსა ეშინინ უფლისაგან თვისისა; ამის მიერ მოვალს კაცი კეთილისა საქმესა. და მერმე მცირე-მცირედ მოვალს სასოებასა კეთილისა საქმისასა, ვითარცა მუშაკი. ხოლო ოდეს ეშინოდის ვითარცა მონასადა ივლტოდის ბოროტისაგან, და კვალად იქმოდის კეთილისა სასოებისათვის, ვითარცა მუშაკი: ხოლო ოდეს ესრეთ დაეყოვნის კეთილისა შინა შეეყოფის იგი მძვინვარება და გემოსა იხილავს კეთილისასა, და მერმე ვერღარავინ განაშორებს მას მისგან, რამეთუ ვითარცა მოციქული იტყვის: ვინ განაშოროს იგი სიყვარულისაგან ქრისტესისა? (რომ. 8, 35). და მერმე მიიწვევის იგი საზომსა მას ძისასა, და ესე არს სრული იგი შიში, ამისთვის წინასწარმეტყველი გვასწავებს ჩვენ განყოფისა ამათ შიშთასა და იტყვის: მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი, და შიში ოფლისა გასწაო თქვენ (ფსალ. 33, 12). გულის-ხმა-ვყოთ სიტყვა ესე წინასწარმეტყველისა, ვითართითოეულსა სიტყვასა მისსა აქვს ძალი; პირველად გვიწოდს ჩვენ სათნოებისა მიმართ, და იტყვის: მოვედით და შესძინა ესეცა ვითარმედ: შვილნო: შვილად უწოდებენ წმიდანი სიტყვითა მათითა მოქცეულთა, უკეთურებისაგან სათნოებად, ვითარცა იტყვის მოციქული: შვილნო რომელთა თვის მე ვიჭირვი, ვიდრემდის ქრისტე განბრწყინდეს თქვენ შორის (გალატ. 4, 9). და მერმე იტყვის ვითარმედ: შიში უფლისა გასწაო თქვენ. ხედავთა ამა წმიდის კადნიერებასა? ჩვენ ოდეს რასაც ვიტყოდეთ ესრეთ ვიტყვით ვითარმედ: „გინებასა, რათა ვსთქვათ შიშისათვის იმისა, გინა სხვისა რაისათვისმე სათნოებისა? ხოლო წმიდა ესე არა ესრეთ, არამედ კადნიერებით, იტყვის: მოვედით შვილნო ისმინეთ ჩემი, და შიში უფლისა გასწაო თქვენ: ვინ არს კაცი რომელსა ეშინის უფლისა, და უყვარან მას ხილვად დღენი კეთილისანი? ხოლო ვითარმცა ვინმე ეტყოდა თუ: მე მინებს მასწავვე შიში ოფლისა: ესრე იტყვის: დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან, და ბაგენი შენნი სუ იტყვიან ზაკვასა. აჰა

### სწავლა ქუთხე

ესერა გვიჩვენა ჩვენ საქმე ბოროტისა რათა არა ვიქმო-  
დით მას. რამეთუ დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან არს  
რათა არა დააბრკოლოს კაცმან მოყვასი თვისი, და რათა  
არა ძვირი უზრახოს: ხოლო ბაგენი შენნი, ნუ იტყვიან  
ზაკვასა: ესე არს, რათა არა ზაკოს მოყვასსა თვისსა  
პირველად თქვენა ცოდვანი სახელდებით: ძვირის ზრახ-  
ვა და ზაკვა და მერმე თქვენა ყოვლისათვისვე ცოდვისა: ვი-  
თარმედ მოიქეც ბოროტისაგან, ესე არს ვითარმედ ივ-  
ლტოდე ყოვლისაგან ბოროტისა. და მოიქეც ყოვლისა-  
გან საქმისა მომყვანებელისა ცოდვასა, და არა ესოდენ  
თქვა, არამედ იტყვის ქმენ კეთილი. რამეთუ არს კაცი,  
რომელი არა იქმს ბოროტსა, არცა კეთილსა. და არს  
კვალად რომელი არავისთანა იქმს უსამართლოსა, არა-  
მედ არცა მოწყალეებასა. **შა** არს კაცი, რომელსა არავინ  
სძულნ, არცა უყვარს. **ჴ** კეთილად იტყვის წმიდა ესე  
ვითარმედ: მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი. აჰა  
ესერა გვიჩვენა ჩვენ, ვითარ შეუდგა ერთმან ერთსა სამნი  
ესე საზომნი, რომელნი პირველად ვსთქვენით: ვითარ  
შიშითა ივთისათა გვასწავებს ჩვენ მოქცევასა ბოროტი-  
საგან. და კვალად გვასწავებს ჩვენ ქმნად კეთილისა, რა-  
მეთუ ოდეს ღირს იქმნას კაცი მოქცევად ბოროტისაგან,  
მერმე თვით ბუნება მისი მიიზიდავს მას კეთილისა მი-  
მართ.

**ჴ** ესე რა გვასწავა ჩვენ, წმიდამან ამან მოქცევა ბო-  
როტისაგან და ქმნა კეთილისა, მეყვსეულად იტყვის:  
მოიძიე მშვიდობა და მისდევდი მას. და არა თქვა ესე  
ოდენ თუ მოიძიე იგი; არამედ ესეცა სთქვა, ვითარმედ  
მისდევდი მას მსწრაფლ რათა მიეწიო. გულის ხმა ყავთ  
სიტყვა ესე წმიდისა მის და იხილეთ გამოწვლილვა მისი.

ოდეს ღირს იქმნას კაცი მოდრეკად ბოროტისაგან,  
და ქმნად კეთილისა, მეყვსეულად მოვლენ მის ზედა  
ქირნი მრავალნი და ბრძოლანი მტერისანი. და ამისთვის  
იჭირვის იგი და დაშვრების, არათუ ამისთვის ოდენ რა-



შიშასათვის ღვთისა

თამცა არა შეიქცა კვალად ბოროტისა საქმესა; ვითარცა ვსთქუთ მის მონისათვის, არამედ სასოებისათვისცა მადლისა მიღებისა ვითარცა მუშაკი. ხოლო ოდეს ბრძოდის მტერსა თვისსა და ისწრაფდეს მერმე იქმს კეთილსა; გარნა ჭირითა და იწროებითა. ხოლო ოდეს დაეჩვიოს იგი კეთილისა საქმესა ივთისა მიერ, მაშინ იხილავს გემოსა მშვიდობისასა, და განსვენებასა მისსა; მაშინ სცნობს თუ რაჲ არს ჭირი ბრძოლისა; ანუ თუ რაჲ არს განსვენება და სიხარული მშვიდობისა, და მაშინ ისწრაფის, რათა მიიწიოს მას და რათა მოიგოს იგი, რათა დაიმტკიცოს იგი თავსა შორის თვისსა; და მიერითგან იქმნების იგი სანატრელ.—რამეთუ რაილა უსანატრელეს იყო მის კაცისა, რომელი ღირს ქმნულ იყოს მის საზომისა? ესე ვითარი იგი, ვითარცა მრავალ გზის ვსთქუთ, არს საზომსა ძისასა, ვითარცა წერილ არს: ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ივთისა იწოდნენ (მატთ 5, 9); ესე ვითარი იგი არღარა იქმს სხვისა რაისათვისმე კეთილსა, არამედ განსვენებისათვის მის კეთილისა, არა იცის სიხარული იგი, არამედ მანვე, რომელმან უწყის და იცნობს მას. ხოლო მან იცის თუ, რაი არს სიხარული იგი შიში. აჰა ესერა გვითქვამს პირველიცა იგი შიში, და მეორეცა, და თუ რაისაგან მოგვაქცევს ჩვენ შიში ივთისა, ანუ რასა მოგვიყვანებს.

ჴ აწ ვსთქვათ, თუ ვითარ მოვალს შიში ივთისა, ანუ რაი არს რომელიგანაძებს მას ჩვენგან. თქვეს მამათა ვითარმედ, შიში ივთისა მოიგების ხსენებითა სიკვდილისათა და სატანჯველთათა.—და რათა ყოველთა მწუხრთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარდავლო დღე იგი: და ყოველთა დიღეულთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარდავლო ღამე იგი, და რათა არა ქონდის კადნიერება. და რათა შეეყოს კაცსა ივთის-მოშიშსა; რამეთუ წერილ არს ვითარმედ ძმამან კითხა ბერსა ვისმე და რქვა: „ვითარ მოვიგო მამაო შიში ივთისა?“ რქვა მას ბერმან: „წარვედ

### სწავლა მეოთხე

და შეეყავ კაცსა ივთის-მოშიშსა, და ოდეს მას ეშინოდეს ივთისაგან, შენცა გასწაოს შიში ივთისა. “**ჴ** განაძებენ ჩვენგან შიშსა ივთისასა, არა ხსენება სიკვდილისა და სატანჯველისა; და რამეთუ არა ვეკრძალებით თავთა ჩვენთა, არამედ უწესოდ ვსცხონდებით, და უწესოთა თანა ვიქცევით. და კადნიერება რომელი არს სრული წარწყმედა, რამეთუ ესრეთ არა რაჲ განაძებს შიშსა ივთისასა სულისაგან, ვითარ კადნიერება. ამისთვის ოდეს კითხეს მამასა აღათონს კადნიერებისათვის. მაშინ რქვა მათ: „მსგავს არს კადნიერება ხორშაკსა დიდსა, რომელმან ოდეს იკინინის ყოველნი ივლტიედ პირისაგან მისისა, და ხეთა ნაყოფი განხრწნის.“ ხედავა ძალსა ამის ვნებისასა? და კვალად კითხეს მას, ვითარმედ: ესე ოდენ ფიცხელ არსა კადნიერება? ხოლო მან, თქვა: „არა არს ვნება უძვირესი კადნიერებისა: რამეთუ მშობელი არს იგი ყოვლისა ვნებისა, რამეთუ იგი განაძებს შიშსა ივთისასა.

**ჴ** ვითარცა წერილ არს უკეთუ შიში ივთისა მოსდრეკს კაცსა ყოვლისაგანვე ბოროტისა (იგავ. 15, 27); მაშინ საცნაურ არს ვითარმედ სადა არაიყოს შიში ივთისა, მუნ არს ყოველი ბოროტი.

იმერთმან გვიხსენინ ჩვენ ბოროტისა ამის ვნებისაგან კადნიერებისა. ხოლო კადნიერება მრავალ სახე არს: არს კადნიერება სიტყვით და ხელის მიყოფით და შეხედვით. და მოიყვანებს კადნიერება კაცსა ცუდად მეტყველებასა, და ცუდად უბნობასაცა საერისკაცოსა და სიცილსა უწესოსა საქმესა ზედა. კადნიერება არს შეხება ვისიმე თვინიერ ჭირისა, და მიყოფა ხელისა სიცილით; გამოტაცება რაისამე მეორისაგან; შეხედვა ვისიმე ურცხვენელად. ამას ყოველსა იქმს კადნიერება; ესე ყოველი ამისგან იქმნების, ოდეს არა იყოს შიში ივთისა სულსა შინა. ხოლო ამათგან მოვალს კაცი უგულებელს ყოფასა მცნებათასა.

ამისთვის იმერთი ოდეს მისცემდა მცნებათა რჩულინათა, იტყოდა: კრძალულ ყვენით ძენი ისრაილისანი

შაშისათვის ღვთისა

(ლევ. 15. 31), რამეთუ თვინიერ კრძალულებისა, არცა თვით იმერთსა ვინ პატივსცემს, არცა რას მცნებასა დამარხავს. ამისთვის არაჲ უძვირეს არს კანდიერებისა, და ამისთვის მშობელი არს იგი ყოველთა ბოროტთა; რამეთუ განაძებს კრძალვასა და შიშსა ივთისასა, და რამეთუ შობს იგი უგულბელს ყოფასა მცნებათასა; რამეთუ კანდიერებისაგან მოვალს ურცხვინოებასა, და ერთმან ერთისა ბოროტად ზრახვასა: და კანდიერებისაგან უკეთუ ნახოს ვინმე საქმე რაიმე უსარგებლოჲ, მეყვსეულად წარვალს და უთხრობს მას სხვასა ძმასა, და არა ოდენ თვით ივნებს, არამედ ძმასაცა თვისსა ავნებს, რამეთუ ჩაუთესს გულსა მისსა გესლსა ბოროტსა. და ნუ უკვე იყო გონება მისი ლოცვასა, ანუ სხვასა რასმე კეთილსა, და იგი მივალს და შთაუთესს გულსა მისსა ბოროტსა გულის-სიტყვასა, არათუ ოდენ სარგებელისაგან დაახრწევს მას, არამედ განსაცდელსაცა შეაგდებს; არა რაჲ არს ამის საქმისა უმძიმესი, არცა უბოროტესი: ოდეს კაცი არა თავსა თვისსა ოდენ, არამედ მეორესაცა ავნებდეს.

უკაქედესმცა კრძალვა ძმანო და გვეშინოდენ ვნებისა თავთა ჩვენთასა და მოყვისისასა. პატივს-ვსცემდეთ ერთმანერთსა, ვისწრაფდეთ არა შეხედვით ერთმან ერთისა პირთა ყოველადვე, რამეთუ ესეცა კანდიერებისა სახე არს, ვითარცა იტყოდა ბერი ვინმე. და უკეთუ იხილო ძმა თვისი ცოდვასა შინა ნუ უგულბელს ყოფ მას და თანა წარხდები; ნუცა კვალად განიკითხავ მას და ძვირსა უზრახავ, არამედ სიყვარულით და შიშითა ივთისათა უთხარ იგი, ვისა შეეძლოს მოქცევად მისა. ანუ შენ არქვ მას სიყვარულით და სიმდაბლით, ვითარმედ: „შემინდვე ძმაო, რამეთუ არა კეთილად ვიქმთ საქმესა ამას.“ და უკეთუ არა გისმინოს შენ. უთხარ რომლისა იცოდე, ვითარმედ აქვს გულს მოდგინება მისა მიმართ. ანუ უხუცესსა მისსა, გინათუ მამასახლისსა, უკეთუ იყოს ცთომა ვგე ვითარი, და უზრუნველმცა ხარ; არამედ ვითარცა ვსტქუთ, ამით გულის სი-

### სწავლა მკათსე

ტყვითა, რათამცა განემართა ძმა იგი: უთხარ ცთომა იგი მისი, და ნუ ძვირსა უზრახავ მას, ნუცა შეურაცხოყოფ; და ნუ გამოისახავ გარეგნით, ვითარმცა გინდა კეთილი მისი და შინაგან გაქვნიდეს ვნება რაჟმე. რამეთუ დაღაცათუ მოძღვარსა ვინ უთხრობდეს და არა კეთილისათვის მის ძმისა იტყოდეს; გინა თვისსა ვნებასა აღიარებდეს, ძვირის ზრახვა არს არამედ, გამოიძიოს გული თვისი, და უკეთუ ბოროტისა რაისათვისმე იყოს გულსა მისსა და მისთვის ლამოდის თხრობასა ნუ უთხრობს. ხოლო უკეთუ დასთურობით იცოდის, ვითარმედ სარგებელისათვის ძმისა ლამის თხრობასა, ხოლო იყოს შინაგან გულის სიტყვა რაიმე ვნებული, უთხრას თვისიცა და ძმისაცა მამასა და რქვას ვითარმედ: მეწამების მე სვინიდიისი ჩემი, რამეთუ სარგებელისათვის მის ძმისა ვიტყვი, არამედ შინაგან ვხედავ ვითარმედ მაქვს გულის სიტყვა ვნებული: არა ვიცი თუ ძვირის ხსენება არს, არა ვიცი თუ ეშმაკისაგან არს; რათამცა არა იქმნა სარგებელი მის ძმისა, და მაშინ მამამან გითხრას შენ, თუ ჯერ იყოს თქმად, ანუ არა.

ქ მრავალ გზის უთხრობს კაცი არა კეთილისათვის მის ძმისა, არცა ძვირის ხსენებით, არამედ ცუდად მეტყველებისაგან. და ესეცა რა დსახმარ არს, ნუ უკვე ესმეს ძმისა მას, ვითარმედ თქვა რაიმე მისთვის, და აღიძრას და იქმნას საქმე სავნებელ. ხოლო ოდეს იტყოდის სარგებელისა თვის, არა მიუშვებს იმერთი, რათამცა იქმნა შფოთი, გინა გულის კლება.

ქ პირველად ვსთქუთ; ისწრაფეთ დამჭირვა ენისა თქვენისა, რათა არა ბოროტსა იტყოდით მოყვისათვის, და რათა არავინ დააბრკოლოთ, ნუცა სიტყვით, ნუცა სახით, ნუცა ხართ თქვენ უთმინო, რათა ოდეს გესმას რაიმე სიტყვა ძმისაგან, არა აღიძროდით მეყვსეულად, და მიუგებდით სიტყვასა ფიცხელსა ანუ დააჭებოდით გულ კლებულად; რამეთუ ესე საქმენი, არა არიან მოღვაწეთანი, რომელთა უნებს მოგება შიშისა ივთისა.

### შიშისათვის დგოისა

ჩოიბოვეთ შიში ივთისა, და კრძალულებით შეეშთ-  
თხვევოდეთ ერთმან-ერთსა, და თავთა თქვენთა მოუდრეკ-  
დეთ ურთიერთსა და დამდაბლდებოდეთ წინაშე ივთისა  
და ძმისა თქვენისა, და დაუტეობდეთ ნებათა-თქვენთა. კე-  
თილ არს უკეთუ კაცი იქმოდის რასმე, და იხილოს ძმა  
თვისი; ვითარმედ უნებს საქმე იგი, რათა მიუშვას საქმესა  
ზედა, და უკეთუ ესრეთ ქმნას, მან უფროს ირგოს მის ძმი-  
სა. მე ვიცი ქეშმარიტად ვითარმედ კეთილი არა რაჲ მი-  
ქმნიეს, გარნა ამისგან დაცულ ვარ მე, რამეთუ არა რას  
ზედა ბატივ ვეც თავსა ჩემსა უფროს ძმისა ჩემისა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მამისა სერილოისსა, და-  
სნეულდა მოწაფე მამისა იოანესი, და მიბრძანა მე მამან  
რათა ვმსახურებდე მას. ხოლო ესე ვითარი სარწმუნოება  
მაქვენდა მამისა მიმართ, რომელ კარსა სენაკისა მისისასა  
შევემთხვევოდი ვითარცა ჯვარსა, რამეთუ ვისმცა არა  
უნდა მსახურება, ეგე ვითარისა წმიდისა? ხოლო ქონდა  
მას სამნი სიტყვა კეთილნი, რამეთუ მას, ოდეს მე აღვა-  
სრული მსახურება მისი, და მოუდრიკნი მას მუხლნი, რა-  
თა ვიკუთხო მისგან და წარვიდე. ხოლო ქონდეს მას  
სამნი სიტყვანი კეთილნი, და ერთსა მათგანსა მეტყოდა:  
„იმერთმან ძმაო, დაიცევი სივარული შენი. იტყვიან  
მამანი ვითარმედ: დაცვა სვინიდოსისა მოყვისსაგან შობს  
სიმდაბლესა.“

შა კვალად მეორესა მწუხრსა, მრქვის მე „იმერთ-  
მან ძმაო, მოგმადლენ სიყვარული, ივლტოდე კაცობრივისა  
საქმისაგან, და ცხოვრდე.“ და კვალად მეტყოდა მე მესა-  
მედ: „იმერთმან ძმაო, მოგეცინ სიყვარულნი ერთმანერ-  
თისა: სიმძიმესა იტვირთევდით, და ესრეთ აღასრულეთ  
სჯული ღირსტესი (გალატ. (ი, 2);“ ამათ სამთგან ერთსა  
რომელსამე მეტყოდა ბერი, ყოველთა მწუხრთა, და მე  
მაქვენდიან იგინი დასაცველად ცხოვრებისა ჩემისა. და ვი-  
თარცა მქონდა მე, ეგე ვითარი გულს მოღვინება მისა  
მიმართ, და ესრეთ მინდა მსახურება მისი; და ოდესმე ეს-

### სწავლა მეათხე

ცან ძმისა ერთისათვის, რამეთუ გულისა აკლდა, რამეთუ უნდა, რათამცა იგი მსახურებდა მას, არამედ არა ინება, არცა მამამან არცა ბერმან, არამედ მე ძალისაებრ ჩემისა პატივ ვეც ძმასა მას. და დავყავ მონასტერსა მას შინა ცხრა წელი, და არ მახსოვს მე თუ მითქვამს ვისდამე სიტყვა ხენეში, და მეპყრა მე მსახურება. გრწმენინ ძმანო, რომელ ერთსა დღესა, სასწეულოთ ეკკლესიამდე მოვიდოდა ძმა ვინმე უკანით ჩემსა, და მაგინებდა მე; ხოლო მე არა რაი მიუგე მას. და უკანა მის ოდენ ცნა მამამან; და უნებდა განკანონება მისი. ხოლო მე დავარდი პირსა ზედა და ვეტყოდი: „ნუ მამაო ითვისათვის რამეთუ მე ვსცეთ.“ და კვალად სხვა ძმაჲ, არა ვიცი თუ ეშმაკისაგან და თუ სიწრფოებისა მისისა; წელიწადსა ერთსა წყალსა თვისსა, სასთუნალსა ჩემსა გვერდით დათხევდა, ვიდრეღა ლოგინიცა ჩემი დასოვლდებინ. და კვალად სხვანი ძმანი ვიეთნიმე მოვიდოდეს დღისი, და ჭილობსა მათსა, კართა ზედა სენაკისა ჩემისათა დაებრტყდეს, და ვხედვედი მე კორიდთა (ბაღლინჯათა) სიმრავლესა, რომელი შემოვიდოდიან სენაკსა ჩემსა, და ვერ ვეწიფებოდი კვლასა მათსა სიმრავლისაგან; და ოდეს წარვიდი დაძინებად, შემოკრბიან იგი ყოველნი ჩემ ზედა: ხოლო ფრიადისა შრომისაგან მოვიდის ძილი, არამედ ოდეს აღვსდგი: ვპოვი ყოველი გვამი ჩემი შეჭმული, და არავის ვარქვ თუ ნუ იქმთ მაგას? და არა ვისდა მითქვამს, სიტყვა შემაწუხებელი. ეგრეთვე თქვენცა ისწრაფეთ ტვირთვაჲ ერთმან ერთისა; ისწავეთ კრძალვაჲ ერთმან ერთისა.

შა უკეთუ ვისმე თქვენგანსა ესმეს ძმისაგან თვისისა სიტყვა გულის საკლები, ნუ სულმოკლე იქმნების, და მეყვსეულად აღიძვრის, რათა არა იპოოს ლოცვასა შინა დახსნილ და უძლოურ, და ვერ თავს იღვას და წინა აღუდგეს ერთსაცა გულის სიტყვასა, ვითარცა ნესვი: რომელსა უკეთუ მცირე ჭია მიეახლოს, მეყვსეულად იქმნე-

შიშისათვის ღვთისა

ბის იგი წყლულება დიდ და დაღბების, არამედ გაქვსმ-  
ცა გული მყარი და სულგრძელება გაქენდინ, და სიყვა-  
რულიმცა თქვენი ურთიერთ არს, სძლევს ყოველსავე.

ჲ უკეთუ ვისმე ქონდის მსახურება რაიმე, გინათუ  
ვისმე ედვას საქმე ხელოსნისა ვისმეს-თანა, განათუ ოსტი-  
განისა (საქმელ-სასმელთა მნისა), გინათუ სხვასა ვისმეს  
თანა ისწრაფისმცა, იგიცა რომელი ითხოვდეს, და იგი-  
ცა რომელი მისცემდეს, რათა უწინარეს ყოვლისა თვის-  
სა წესსა ეკრძალნენ, რათა არა იქმნეს შფოთი. და რათა  
არა წინა აღუდგენ ერთმან ერთსა, და რათა არა მიდრ-  
კენ მცნებისაგან ივთისა, არამედ რაიცა იყოს საქმე იგი  
უმჯობეს არს, რათა იგი წარწყმდეს, ვიდრე წესი თქვე-  
ნი, რათა არა ევნოს სულთა თქვენთა.

ჲ რასაცა საქმესა იქმოდით, დაღაცათუ სასწრაფო  
რაიმე იყო და საჭირო, არა მნებავეს რათა იქმოდით მას  
სიტყვის გებით და ცილობით; ხოლო ესემცა უწყით,  
ვითარმედ რაიცა იყოს საქმე იგი გინათუ დიდი, გინათუ  
მცირე, მერვესა ნაწილსა ეძიებს იმერთი თქვენგან საქმი-  
სა მის, ხოლო დამარხვასა წესისა თქვენისასა შვიდ წილ  
ეძიებს. ხოლო უკეთუ გინებს სრული სარგებელი რასა-  
ცა იქმოდით ისწრაფეთ, რათა რასაცა იქმოდით იგიცა  
აღასრულოთ, და რათა თქვენიცა წესი დაიმარხნეთ, და  
შეიძინოთ რვა ნაწილი. ხოლო უკეთუ ვინ ერთმან არა  
დაიმარხოს წესი თვისი, არამედ ავნოს და ივნოს საქმისა  
მის აღსრულებისათვის შვიდ წილს წარსწყმედს, და ერთ-  
წილს შეიძენს, და რაჲ კეთილი არს ესე.

ჲ ესე არა არს გულის-ხმის-ყოფა, არამედ ანუ ცუ-  
დად მზვობრობისა თვის, ანუ კაცთ მოთნებისათვის იქმს  
და აცილობს, და წინააღუდგების, რათამცა სთქვის კაც-  
თა, თუ აჰა ვერაჯობა მას მან ვინმე, არამედ მან ძლია.

ჲჰა საკვირველი! ესე არსა ძლევად? არა ესე არს  
ძლევად ძმანო, ნუ იყოფინ, არამედ დაჭირვება და წარწყ-  
მელა. მე, ამას ვიტყვი უკეთუ ვინმე თქვენგანი წარვიდეს



### სწავლა მკოთხე

საქმედ რაისამე, და იხილო მუნ შფოთი, ანუ ვნება რაიმე სულისა დაუტევენ საქმე იგი, და სულსა თვისსა ნუ ივენებნ, ნუცა მეორესა ავენებნ. რამეთუ უგუნურება არს ერთისა ნაწილისა შეძინება და შეიღისა დაჭირვება; ხოლო ამას ვიტყვი, არა ამისთვის, რათა სულ მოკლე იქმნებოდით, და უგულვებელს ყოფდით საქმესა მონასტრისასა, და დასთრგუნვიდეთ სვინიდისსა თქვენსა, არცა რათა ურჩ იქმნებოდით, და იტყოდეთ ვითარმედ: ვერ შემოძლია ესე საქმე, რამეთუ მევენების და სიტყვიტა ამით, ვერას მსახურებასა იქმთ, და ვერცა აღასრულებთ მცნებასა იეთისასა; არამედ რათა იღვაწოთ ქმნად საქმეთა თქვენთა სიყვარულით და სიმდაბლით, ერთმან ერთისა თავის მოღრეკითა, რამეთუ სიმდაბლისა უძლიერესი არა რაჲ არს.

¶ უკეთუ ვინმე იხილოს ძმა თვისი გულს-კლებულად, დაუტევენ ნება თვისი, რათა არა ივნოთ სულითა, რამეთუ მრავალ ჯერ ვსთქუ: უმჯობეს არს რათა იქმნეს საქმე იგი, არა ვითარცა თქვენ გინდეს, არამედ ვითარცა ქამმან მოიღოს, და თავისა განმართლებისათვის და დახსნილობისა, ნუ დააბრკოლებთ ერთმან ერთსა, რათა არა დაგჭირდეს შეიღი იგი ნაწილი. ხოლო მრავალ გზის შეიღესა მას ნაწილსა წარსწყემდს კაცი და ვერცა ერთსა მას შეიძენს, და ცალიერი დაშთების. ყოველსა საქმესა რასაცა ვიქმოდეთ, რათამცა ვირგეთ რაიმე მისგან, ხოლო რაჲ ვირგოთ ოდეს ერთმანერთსა არა დაუშდაბლდეთ, არამედ დავაბრკოლოთ ერთმან-ერთი. არა იცითა რამეთუ წერილ არს ვითარმედ: „მოყვისისაგან არს-ცხოვრება და სიკვდილი?“

¶ წვრთილით სიტყვათა ამათ გულთა შინა თქვენთა ძმანო, და ისწრაფდით სიყვარულითა და შიშითა იეთისათა, და ეძიებდით სარგებელსა თქვენსა და ერთმან-ერთისასა; რამეთუ უკეთუ ეს საქმე დაიმჭიროთ, რაიცა მოიწიოს თქვენ ზედა ირგებდით და წარემართებოდით

მიშისათვის ღვთისა

შეწვევითა წეთისათა. და მან თავადმან იმერთმან ჩვენ-  
მან, ვითარცა კაცთ მოყვარემან მოგეცინ შიში მისი,  
რამეთუ წერილ არს ვითარმედ: გეშინოდენ ღვთისაგან,  
და მცნებანი მისნი დაიმარხენ (ეკკლ. 12, 13). რამეთუ  
ხელთა შინა მისთა არს ყოველი ხორციელი. მისა დიდე-  
ბა და სიმტკიცე უკუნისამდე. ამინ.



ს წ ა გ ლ ა მ ე ს უ თ ე .

ქათა არა მიჰმედვნეთ განზრახვათა და გულის ხმ-  
ის ყოფათა ჩვენთა.



აყვარელნო ძმანო ჩემნო, და მამანო, გულის-ხმა  
ყავთ ვითარ წერილ არს სიბრძნესა შინა სოლ-  
ომონისასა, ვითარმედ: რომელთა არა აქვს მწყემსი, და-  
ცვივენ იგინი, ვითარცა ფურცელი, ხოლო ცხოვრება-არს  
მრავლითა განზრახვითა (იგავ. 11, 14). იხილეთ ძმანო,  
ძალი სიტყვისა ამის? იხილეთ, თუ რასა გვასწავებენ ყო-  
ველნი წმიდანი წერილნი? უცთომელ ყოფა ჩვენი ნებაჲს  
მათ, და ფრიად განვაკრძალებენ, რათა არა მივენდვნეთ  
თავთა ჩვენთა, და განზრახვათა ჩვენთა, და არა გვიჩნდენ  
ჩვენ, თავნი ჩვენნი ბრძენ, და არა ვირწმუნოთ გულის-  
სიტყვა ესე ბოროტი ვითარმედ შეგვიძლია ჩვენ თავთა  
ჩვენთა მწყსად,

ო, წყოდეთ ძმანო, რამეთუ გვიხმს ჩვენ შეწვევა სხვა-  
თაგან, და თვინიერ ყოვლისა ცილობისა გვიხმს ჩვენ  
მწყემსი, რათა გვმწყსიდეს ჩვენ. რამეთუ არა არს უბო-  
როტესი, არცა რაჲ არს უფროს ამისა ნება ეშმაკისა,  
რათამცა არა გვყვა ჩვენ მწყემსი, რომელ არს მოძღვარი  
ჩვენი. ხოლო რად იტყვის: რომელთა არა ყვეს წინამძღ-  
ვარი და დასცვივენ ვითარცა ფურცელნი? გულის ხმა

### სწავლა მესუოე

ყავთ ძალი სიტყვისა ამის: რამეთუ ფურცელი არს პირველად მწვანე, და შვენიერი და ნედლი, ხოლო მერმე მცირე-მცირედ განხმის, და დასცივის და დაითრგუნვის იგი ყოველთაგან. ეგრეთვე არს მონაზონი, რომელსა არა ყვეს მოძღვარი, და არა შეუდგეს ნებასა მამისა თვისისასა; რამეთუ დასაბამს არს მხურვალე ლოცვისათვის, მარხვისათვის და მყუდროებისათვის, მღვიძარებისათვის, და ყოვლისა საქმისა კეთილისათვის; და მერმე მცირე-მცირედ მხურვალეობა იგი დაივსების, რომელი შედგომილ იყოს ნებასა თვისსა და არა ყვეს მას წინამძღვარი, რათამცა კვალად აღანთო მხურვალეობა იგი მისი. ესრეთ უცნაურად განხმების და დაეცემის, რომელი ნებასა თვისსა მონაზონებდეს, და იქმნების დასათრგუნველ ეშმაკთა.

ქ რომელნი შეუდგენ მოძღვარსა თვისთა ნებასა, და არა მიედვენ თავთა თვისა, არამედ განზრახვსა და ნებასა მამისა თვისისასა შეუდგენ, ესე ვითარნი არა დაეცნენ, რამეთუ ხელის-აღმპყრობელი მათი 'ხრისტე არს, და ვითარცა ვსთქუთ ვითარმედ: ცხოვრება არს მრავლითა განზრახვითა. არათუ ესრეთ იტყვის თუ ყოველთა კაცთა განზრახვიდეს, არმედ მოძღვარსა თვისსა თანა ოდენ განზრახვიდეს მას ყოვლისავე საქმისათვის, და უთხრობდეს მას, და აღუარებდეს ყოველთა გულის-სიტყვათა-თვისთა, და უფროსად რომელი იყოფოდის, გინა ყოფილ რაიმე იყოს საქმით, ანუ ყოფილ იყოს ბორბოტსა რასმე ჩვეულებასა შინა, ანუ აღზრდილობასა, უკეთუ არა კეთილად აღიარებდეს ესე ვითარი, მაშინ პოვებს ეშმაკი ერთსა რასმე ნებასა მისსა, და მით დასცემს მას.

ოწყითმცა ძმანო, უკეთუ ნებასა ჩვენსა შეუდგეთ, დაღაცათუ მარჯვნივთ კერძო ვბრძოდით, არამედ აღრე დავეცნეთ; რთუ ეშმაკი მანქანა არს, და გვეტყვის ჩვენ სიძვისა თვის; ან პარვისათვის, რამეთუ იცის ვითარმედ არა უსმენთ მას, ეგე ვითართა-თვის; არამედ პირველად გვეტყვის ჩვენ

რათა არა მივედგნო განსრავსავთ ჩვენთა

კეთილისა რაისამე საქმისათვის, რომელი ჩვენცა ფრიად გვინდეს, და ესრეთ დავგაჩვენეს შედგომად-ნებასა-ჩვენსა, და მას შინა უეჭველად დავცემს ჩვენ, ანუ მარჯვენით, ანუ მარცხენით: და უფროსდა ხოლო მარჯვენით, ვითარცა წერილ არს ვითარმედ უფროსად მაშინ იქმს ეშმაკი ბოროტსა, რაჟამს სიმართლესაცა თანა შეერთვის (იგავ 11. 15). ხოლო ესე იგი არს, ოდეს შეუდგეთ ნებათა ჩვენთა, და თვით გამოვიჩვენდეთ სათნოებათა. რამეთუ გგონებთ, ვითარმედ კეთილსა ვიქმთ, არამედ მაშინ უფროს ვსცთებთ და სულთა ჩვენთა წარვსწყმედთ. უწყოდეთ ძმანო, და დაჯერებულ ყვენით გონებანი თქვენნი, ვითარმედ კაცი რომელი ნებითა თვისითა მონაზონებდეს და შეუდგეს მას, იგი ნებასა ივთისასა ვერ იქმს და შორავს მისგან. და სიტყვასა ამას ჩემსა მეწამების წმიდა იგი მამა პიმენ, რამეთუ იტყვის ვითარმედ: ნება კაცისა ზღუდე არს შორის მისსა და შორის ივთისა; და კვალად შესძინა და თქვა კლდე არს წინა აღმდგომი.

იხილეთ ძმანო, ძალი სიტყვისა ამის? იხილეთ და გულის-ხმა-ყავთ თუ ვისა წინა აღმდგომად იტყვის წმიდა იგი. იტყვის წინა-აღმდგომად ნებისა ივთისა, და ყოველთა გზათა მისთა წმიდათა. ხოლო უკეთუ დაუტეოს ნება თვისი, თანა-აც თქმად ვითარმედ: ღუთისა ჩემისა მიერ, გარდავხედ ზღუდესა; ღმერთო ჩემო, უბიწო არიან გზანი შენნი (გამოსლ. 17. 30, 31). იხილეთ ძმანო, საკვირველრ ესე საქმე? იხილეთ და იღვაწეთ მისთვის გვედრებით; რამეთუ ოდეს დაუტეოს კაცმან ნება თვისი, მაშინ იხილავს გზასა ივთისათა, უბიწოდ და წრფელად. და მისთვის შეუდგინა სიტყვა ესე, ვითარმედ იმერთო ჩემო უბიწო არიან გზანი შენნი; და კვალად განმართლებისა თვის თავისა იტყვის ვითარმედ უკეთუ განმართლება თავისა შეეყოს ნებასა თანა კაცისასა, უწყოდეთ ვითარმედ კაცი იგი ვერას იქმს კეთილსა ყოვლადვე. იხილეთ ძმანო, თუ რაოდენნი ძალნი ქონან სიტყვასა წმიდათასა! რა-

სწავლა მესიოე

მეთუ ქეშმარიტად სიკვდილი არს ნება კაცისა, და განმართლება თავისა: უკეთუ ერთად შეკრბენ, და დიდი შიში უხმს კაცსა მას, რომელი იყოს შორის ორთა ამათ ღელვათა ბოროტთა, რამეთუ მაშინდა დაეცემის სრულიად უბადრუკი იგი, რომელი იყოს მოყვარე ორთა ამათ ეშმაკთა, რომელ არიან ორნი ესე ვნებანი: შედგომა ნებისა თვისისა, და განმართლება თავისა თვისისა.

ბ ვინდა შეუძლოს მაშინ რწმუნებად მისსა, ვითარმედ სტოები მაგას რასმე საქმესა, ანუ სიტყვასა, და მაშინ სრულიად შეუდგების უბადრუკი იგი ნებასა და გულის სიტყვასა თვისსა; და ესრეთ მიეცემის ხელთა ეშმაკისათა შეუწევნელად, რამეთუ პირველად თვით ექმნა ეშმაკ თავისა თვისსა. უწყოდეთ ძმანო, რამეცუ ფრიად სძულს ეშმაკსა გზა იგი უცთომელობისა, და არა თუ ეძულების ოდენ, არამედ სახელსაცა მისსა ვერ ისმენს და ხმასა მისსა. ხოლო რაჲ არს უცთომელობა? ესე იგი არს, რათა არა შეუდგეს კაცი ნებასა თვისსა, და ყოველსავე რასაცა იქმოდეს, განკითხვით იქმოდის. და არა ვიტყვი თუ ქმნას და არავე კითხოს, არამედ პირველად საქმისა კითხოს, რათა არა სცნას ეშმაკმან, ვითარმედ იქმს ნებასა თვისსა, რამეთუ ფრიად უმძიმს მას განკითხვა სარწმუნოებით, და გამოცხადება გულის სიტყვათა.

ბ აართუ უმძიმს ოდენ მას, არამედ ვითარცა ცეცხლისაგან ივლტის ადგილისა მისგან სრულიად, რამეთუ ყოველი ძალი მისი დაიხსნების და სირცხვილეულ იქმნების სრულიად გამოცხადებისაგან და აღსარებისა გულის სიტყვათასა, და ყოვლისა საქმისა: რამეთუ გამოცხადების უკეთურება მისი, და ვერღარა მიიყვანებს იგი კაცსა ნებასა და სიმარჯვესა თვისსა.

ბ იმერთსა ესრეთ ნებავს, რათა არა ნებასა და განზრახვასა ჩვენსა შეუდგეთ, არამედ მოძღვართა ჩვენთა ვკითხვიდეთ, და მათ უცთომელ გვეყენეს ჩვენ, რამეთუ გვეტყვის: „ესე რაიმე ქმენ, და მას რასმე ნუ იქმ; ესე

რათა არა მივენდვნეთ გასწრასწავთა ჩვენთა

კეთილ-არს, და იგი ბოროტ არს; ამისი რაისამე: აწ ჟამი არს, და ჯერ არს.“ უკეთუ ესრეთ კითხვიდეს კაცი მოძღვარსა თვისსა, და რასაცა იგი ეტყოდის მასცა იქმოდის, მაშინ ვერღარა პოვებს ეშმაკი ჟამსა თუმცალა ავნოს მას, და ყოველნი ღონენი მისნი ამით საქმით დაიხსნებიან: და ნუ გიკვირს. რამეთუ იმერთსა ესრეთ ნებავს, და ესრეთ განაგო საქმე ესე.

❧ ბოროტსა ეშმაკსა ფრიალ უყვარან იგინი, რომელთა არა ყავნ მოძღვარი, და არა გამოაცხადებენ გულის სიტყვათა თვისთა. რისთვის? მისთვის რომ რამეთუ დაეცემიან იგინი მსთვად, ვითარცა ფურცელნი. და ამისთვის უყვარდა ეშმაკსა ძმა იგი, რომლისათვის ეტყოდა იგი მამასა მაკარის, ვითარმედ: არს ძმა ერთი და ფრიალ მიყვარს იგი და ვიხარებ მისთანა. იხილეთ ძმანო, ვითარ უყვარს ეშმაკსა იგი რომელსა არა ყავს მწყემსი. რამეთუ არათუ ყოველთა თანა მივიდოდა ეშმაკი იგი, ვითარცა იხილა წმიდამან მაკარი, რომელსა იგი ეკიდნეს მრავალნი იგი აყირონი, არათუ ყოველთავე არა მიაართვნა იგინი, არამედ თითოეული მათი უთხრობდა მამასა თვისსა, და განეკრძალებოდეს სიტყვათა მოძღვართა მათათა, რამეთუ ვინაითგან არა მინდობილ იყვნეს თავთა თვისთა, არამედ თითოეული მინდობილ იყო მოძღვარსა თვისსა, და ამისთვის ფარვიდა მათ იმერთი ყოველთაგან მახეთა და ხელოვნებათა ეშმაკისათა, და ვერა რაჲ ვის ვერ ავნო ეშმაკმან.

❧ რამედ იგი ოდენ უბადრუკი პოვა მინდობილ თავსა თვისსა უმწყემსოდ, და მისთვის ყვა ეშმაკსა მას სამღერელად თვისსა, და ყოვლადვე აკუროხვენ მას, და სხვათა სწყევნ; ხოლო ოდეს უთხრა ეშმაკმან წმიდასა მაკარის, საქმე იგი და სახელი ძმისა მის, რომელსა ერქვა თეოპემპტოს, მაშინ შეყვსეულად სცნა წმიდამან მაკარი მიზეზი იგი წარწყმედისა მისისა, ვითარმედ არა ყავს მას მწყემსი. **ზა** მსწრაფლ წარვიდა სენაკსა მისსა, და პოვა

### სწავლა მეხოთე

იგი, რამეთუ არა აქენდა ჩვეულება აღსარებისა; და კითხვიდა მას მაკარი, ვითარმედ: ვითარ ხარ, შვილო? ხოლო იგი ეტყოდა მას: კეთილად ვარ, ლოცვითა შენითა მამაო. და კვალად წმიდა იგი ეტყოდა მას: და არა გბრძვანანა გულის სიტყვანი? და რქვა მას ვითარმედ: ჯერეთ არა რაჲ მაქვს ეგე ვითარი ბრძოლა, და არა უნდა მას აღსარების; მაშინ წმიდამან იხმია ხელოვნება სიბრძნისა, და იწყო აღსარებად დაგამოცხადებად გულის სიტყვათა მის-თანა, ვითარმედ ლოცვა ყავ ჩემთვის. ძმაო, ფრიად მბრძავს მე ეშმაკი. და ესრეთ კარი იგი კეთილი აღსარებისა განულო მას; და იწყო მანცა გამოცხადებად გულის სიტყვათა; მაშინ უცთომელ ყო იგი წმიდამან მაკარი და წარვიდა. —

ქ ეშმაკი იგი კვალად მოვიდა ჩვეულებისაებრ თვისისა, და უნდა დაცემა მისი და ვერ შეუძლო, რამეთუ ბოვა იგი განკრძალული, და არღარა მინდობილი თავსა თვისსა, და ესრეთ წარვიდა ეშმაკი იგი უქმად და სირცხვილდებული მისგან. — და კვალად იხილა წმიდამან მაკარი, ეშმაკი იგი, და კითხა: „ვითარ არს აწ ძმა იგი მოყვარე შენი?“ მაშინ არღარა უწოდა მას მოყვარედ, არამედ მტერად, და დაწყევა იგი და თქვა, ვითარმედ: „იგიცა გარდამექცა, და არღარას მისმენს, არამედ ყოველთასა უფროსად განდგომილ იქმნა იგი ჩემგან.“ ხოლო აწ გულის ხმა ყავთ ძმანო, რამეთუ ამისთვის უმძიმს ეშმაკსა გამოცხადება გულის სიტყვათა, და ხმასაცა აღსარებისასა ვერ ისმენს, რათამცა გვეუფლა ჩვენ იგი სრულიად. და კვალად გულის ხმა ვყოთ, თუ რად უყვარან მას იგინი, რომელნი მინდობილ არიან თავთა თვისთა, და შეუდგებიან ნებასა თვისსა? რამეთუ ესე ვითარნი ნებასა ეშმაკისასა შეუდგიან, და ეშმაკსა შეეწევიან წარწყმედად სულთა მათთა.

ღაწყოდეთ ძმანო, ვითარმედ ესრეთ სრულიად დაცემის მონაზონი, უკეთუ ირწმუნნეს გულის-სიტყვანი



რათა არა მივენდებოდეთ განზრახვათა ჩვენთა

თვისნი და შეუდგეს მას.—რამეთუ რომელნიმე იტყვიან სხვითა სახითა დაცემასა მონაზონისასა. ხოლო მე ვიტყვი, ვითარმედ: არა რაისაგან დაეცემის მონაზონი, ვითარ ესრეთ რომელი მიენდოს თავსა თვისსა, და შეუდგეს ნებასა თვისსა. და უკეთუ ვინმე იხილოთ დაცემული სრულიად ცანთ, ვითარმედ მიენდო თავსა თვისსა, და შეუდგა ნებასა თვისსა. რამეთუ არა რაი არს უბოროტესი და მსწრაფლ დამცემელი მონაზონისა, ვითარ მინდობა თავისა თვისისა, და შედგომა ნებისა თვისისა. დამითარა მე იმერთმან დელვისა ამისგან წარმწყმედელისა, რამეთუ ყოვლადვე მეშინოდა მე, ვნებისა ამისგან ბოროტისა: და ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მამისა სერიდოხსა, ყოველსავე გულის სიტყვასა ჩემსა უთხრობდი მე მამასა იოანეს, და თვინიერ განზრახვისა მისისა არარას ვიქმოდი. და ზოგჯერ მრქვის მე გულის სიტყვამან ჩემმან, ვითარმედ: მაგასავე გეტყვის შენ ბერო, რომელი ეგე თვით იცი, და მას რასალა აჭირვებ? ხოლო მე მიუგე გულის სიტყვასა მას ჩემსა, ვითარმედ: წყეულმცა ხარ შენ, და გულის-ხმის-ყოფა შენი, და გამონახვა შენი, და სიბრძნე შენი, რამეთუ რომელნიცა იცი ყოველი ეშმაკთაგან იცი.

მა წარვიდი და ვკითხი ბერსა, და ზოგ ჯერ მრქვის იგივე, რომელსა მე ვიგონებდი, მაშინ კვალად მრქვის მე გულის სიტყვამან ჩემმან: „არა იგივე გრქვაა შენ ბერმან, რომელსა შენ თვით იგონებდი: ნუ უკვე არა ცუდად დასაჯვა ბერი?“ ხოლო მე კვალად მიუგე მას ვითარმედ: „აწ კეთილ არს, ვინაითგან სიტყვითა მის ღირსისა მამისათა არს სულისაგან წმიდისა; რამეთუ შენი ყოველი ეშმაკთაგან იყო, და ვნებულებისაგან შენისა.“ და ესრეთ არა რასა ზედა არა შეუნდობდი გულის სიტყვასა ჩემსა, რათამცა ყო ნება თვისი, თვინიერ კითხვისა ბერისა, და არა რას მივენდებოდე თავსა ჩემსა, თუმცა ვყავ რაიმე თვის გულით მცირედცა რაამე, თვინიერ კითხვისა ბერისა. და გრწმენინ ჩემი ძმანო, რამეთუ დიდ-

სწავლა მკვთოე

სა განსვენებასა შინა ვიყავ, საქმისა ამის მიერ, და გულსა ცა მაკლდა ეგე ზომი იგი განსვენება, და უზრუნველობა ჩემი, ვითარცა სხვასაცა აღგილსა გიოხარ თქვენ; რამეთუ მესმოდა მე წიგნთაგან, ვითარმედ: მრავლითა ჭირითა გვიხმს ჩვენ შესლვად სასუფეველსა ღვთისასა (საქმ. 14, 21), და მე ვხედვედი თავსა ჩემსა, ვითარმედ: დიდი განსვენება მაქვნდა, და მეშინოდა ფრიად, რამეთუ არა უწყოდი მაღლი ესე ვითარისა განსვენებისა, ვიდრე მრქვა მე ბერმან, ვითარმედ: ნუ გულს გაკლს, რამეთუ ყოველმან რომელმან მისცეს თავი თვისი მორჩილებასა მამათასა, ეგე ვითარი კეთილი განსვენება და უზრუნველობა აქვს მას.

ჴ თქვენცა ძმანო ისწრაფეთ, რათა არა მიენდვეთ თავთა თქვენთა, და შეუდგეთ ნებათა თქვენთა. იხილეთ თუ რაჲ ზომ განსვენება და უზრუნველობა აქვს საქმესა ამას: ხოლო რომელი გარქვ თქვენ ვითარმედ არა რაჲ ჭირი მაქვნდა.

ჴწ ისმინეთ თუ რაჲ მოიწია ჩემ ზედა ამისთვის; რამეთუ ვიყავ რაი მე, მონასტერსა მას შინა, მოიწია ჟამსა შინა ერთსა ჩემზედა გულის კლება დიდი შურისაგან ეშმაკთასა. და ვიყავ მე ჭირსა შინა დიდსა, ხოლო განსაცდელი რომელი იყოს შურისაგან ეშმაკთასა დაღაცათუ მძიმე არს, არამედ მცირედ ჟამ არს ჭირი იგი, რომელი იქმნების ბნელად, მძიმედ, უნუგეზოდ, არსილამ არ გამოუჩნდების განსვენება, არამედ ყოვლით კერძო შეწუხება, და ყოველგნით შეიწროება, გარნა იმერთმან მსწრაფლ მოუვლინის სულსა წყალობა და შეწევნა თვისი. რამეთუ უკეთუმცა არა მოვევლინოს მაღლი ივთისა, ვერვინ შემძლებელ არს დათმენად ამისა. ხოლო მე ვითარცა ვსთქუ ვიყავ რა ჭირსა მას შინა. დღესა ერთსა ვსდევ კართა თანა ეკკლესიისათა და ვევედრებოდი იმერთსა განსაცდელისა მისთვის ჩემისა; და შევიხედენ ეკკლესიად, და ვიხილე კაცი ვინმე საშინელი სახითა ებისკო-

რათა არა მიგეჩვენეთ გასრასკათა ჩვენთა

პოსისათა და შევიდა საკურთხეველად.—

ქ მე ჩვეულება მაქვნდა, რომელ უცხოსა არავის მივეახლებოდი, თვინიერ საჭიროჲსა რაისამე საქმისა, ანუ მრქვის რაჲ ვინმე; ხოლო მაშინ რამანმე მიმზიდა, და შევედ უკანა მისსა და დადგა იგი ხელ გაპყრობით მყო- ვარ ჟამ ცად მიმართ, და მოიწია ჩემ ზედა შიში დიდი ხედვისაგან მისისა. და დაასრულა რაჲ ლოცვა, მოიქცა და მოვიდა ჩემდა მომართ; და რაჲზომცა მომეახლებოდა, ეგეზომცა გულის-ხმა ვყოფდი, ვითარმედ განმეშორებო- და შიშიცა და მწუხარებაცა იგი ჩემი. ხოლო მორაიწია ჩემდა დადგა წინაშე ჩემსა, და ხელითა თვისითა მცა მკერ- დსა ჩემსა და თქვა: თმენით დაუთმე **ო**ფაღსა, და მომ- ხედნა მე, და ისმინა ლოცვისა ჩემისა: აღმომიყვანა მღვი- მისაგან გლახაკობისა თიხისაგან და უყისა: დაამტკიცა კლდესა ზედა ფერხნი ჩემნი, და წარმართნა სღვანი ჩემ- ნი, და აღავსო პირი ჩემი გალობითა ახლითა, ქება ღვ- თისა ჩვენისა, იხილეს მრავალთა და შეეშინა და ესვი- დეს უფალსა (ფს. 39 2-4). და მუხლნი ესე თქვნა სამ- ჯერ და ესრეთ განვიდა. და მეყვსეულად შემოვიდა გულისა ჩემსა ნათელი სიტკბოებისა, სიხარულისა და დი- დისა მხიარულებისა; და ვიქმენ ვითარცა პირველ ვიყავ. და განვედ უკანა მისა, რათამცა ვიბოვე და ვერღარა ვი- ხილე იგი, რამეთუ მიმეფარა. და მიერიტგან მოწყალე- ბითა **ი**ვთისათა, არღარა მოსრულ არს ჩემ თანა არცა მოშიშება არცა მწუხარება, არამედ **ო**ფაღმან დამიფარა მე აქამომდე ლოცვითა მით წმიდათა ბერითათა.

ქ ესე ყოველი ამისთვის გითხარ თქვენ ძმანო. რათა სცნათ თუ, რაზომი ნუგეშინისცემა და განსვენება და უცთომელობა აქეს, არა მინდობასა თავისა თვისისასა, და არა შედგომასა ნებისა თვისისასა.—და ამისთვის მიან- დობენ, რომელნი არიან ბრძენნი და **ი**ვთის-მოშიშნი, თავთა თვისთა სხვათა, და შეუდგებიან კაცსა ძლიერსა, რომელსა შეეძლოს მწყსა მათი, შეწვევითა **ი**ვთისათა.

### სწავლა მეხუთე

ქ აწ თქვენცა ისწრაფეთ ძმანო, რათა არა მიენდვნეთ თავთა თქვენთა, და არა შეუდგეთ ნებათა თქვენთა, რამეთუ ესე არს სიმდაბლე იგი სრული და სიხარული სულისა, და განსვენება უვნებელი, და უწყითმცა, რამეთუ ცხოვრება კაცისა თვინიერ ამისა არა ეგების.

ქ არს კაცი, რომელი იტყვის ვითარმედ უკეთუ არავინ მყვეს, რომელსა ვკითხო რაჲ ვყო? და ამით ლამის ნუგეშინის-ცემასა თავისა თვისისასა? ხოლო მე ესრეთ ვიტყვი უკეთუ ქეშმარიტად ვინმე დაიმდაბლოს თავი თვისი, და დაუტეოს ნება თვისი, და ენებოს და შეუდგეს ყოვლითა გულითა ივთისათვის, ნებასა მასწავლებელისა თვისისასა სარწმუნოებით, დაღაცათუ ჩვილსა ყრმასა კითხოს, არა დაუტეობს მას იმერთი, არამედ მიუძღვის ნებასა თვისსა, და განანათლებს გონებასა მის ყრმისასა, რათა ასწაოს მას ნება ივთისა.

ქ უკეთუ არა სარწმუნოებით და სიმდაბლით კითხვიდეს, ყოფად ნებისა ივთისა, კაცი იგი დაღაცათუ წინასწარმეტყველსა კითხოს გულისაებრ მისისა დრკუსა უთხრობს, დაღაცათუ კათილი რქვას იგი ვერავე იქმს და უფროსი სასჯელი მიიღოს, ვითარცა იტყვის წერილი: და წინასწარ-მეტყველი თუ სცოეს და სთქვას სიტყვა, მე უფალმან შევაცოთუნე (ვათქმევიე) იგი (იეზეკიილ. 14, 9); და ამისთვის გვიხმს ჩვენ რათა არა მივენდვნეთ განზრახვათა ჩვენთა, არამედ ყოვლითა გულითა ჩვენითა სიმდაბლით და სარწმუნოებით ვკითხვიდეთ მამათა ჩვენთა; და რომლისა რა მათ გვიბრძანონ, ეგრეთ ერთითა გულითა შევიწყნაროთ, ვითარცა ღვთისაგან სმენილი. და ვყოთ იგი შეუორგულეებელად. ხოლო კვალადმცა გვიხმს ჩვენ გულის ხმისყოფა ქმნასაცა შინა კეთილისასა; ხოლო გულის ხმის ყოფასა მე ამას ვიტყვი, რამეთუ დაღაცათუ გვიბრძანონ ჩვენ მოძღვართა ჩვენთა, გინა სხვათა ვიეთმე წმიდათა ბერთა საქმე რაჲმე კეთი-

რათა არა მიგუნდნეთ განწრასკათა ჩვენთა

ლი, და ჩვენ ვყოთ იგი ბრძანებისაებრ მათისა, არამედ არა გვიხმს ჩვენ მოგონებად, ვითარმედ: კეთილად ვიქმთ ჩვენ საქმესა ამას, არამედ საქმე იგი ოდენ გვიჩნდინ კეთილად, ხოლო ქმნა ჩვენი ნუ გვიჩნ კეთილად, ვითარმედ ვითარცა ხამს და ჩვენ ეგრეთ ვიქმთ კეთილად; არამედ ვიტყოდეთ გულთა შინა ჩვენთა ვითარმედ: საქმე ესე ფრიად კეთილ არს, და სათნო ივთისა, არამედ ჩვენ არა ვიქმთ კეთილად, ვითარცა ჯერ არს; და ვითარცა სხვანი მამანი იქმან საქმესა ამას. და კვალად ოდესმე ვიქმოდეთ რასამე სათნოებასა, გვიხმს ჩვენ, რათა ვიქმოდით მას ყოვლითა ძალითა ჩვენითა, და თანა ვკითხვიდეთ მისთვის მამათა ჩვენთა და მათგან ვსცნობდეთ თუ ვითარ ვიქმთ მას.

შა კვალად ყოველსავე საქმესა ზედა, სასჯელსა ივთისასა მოველოდეთ, ვითარცა წმიდა პლათონი, რამეთუ ჟამსა სიკვდილისა მისისასა კითხვიდეს მას, ვითარმედ: „შენცა გეშინიანაა მამაო?“ ხოლო მან რქვა მათ ვითარმედ: „მე რომელი ვიცოდი ძალისაებრ ჩემისა მიქმნია, არამედ არა უწყი იმერთსა სათნოეყო ანუ არა; რამეთუ სხვა არს სასჯელი ივთისა, და სხვა არს სასჯელი კაცთა.“

ჰ ძმანო, აწ გულის-ხმა-ვყოთ ძალი საქმისა ამის, რამეთუ ოდესღა წმიდა იგი და ივთივ-განბრძნობილი მამა, ვერ მინდობილ იყო საქმეთა თვისთა, ჩვენ უგუნურთა ვითარ ჯერ არს მინდობა თავთა ჩვენთა, არამედ ვევედრნეთ იმერთსა, რათა დაგვიცვნეს მინდობისაგან თავთა ჩვენთასა, და შედგომისაგან ნებათა ჩვენთასა. ო მისა შვენის ყოველი დიდება პატრივი და თაყვანის ცემა უკუნისამდე. ამინ.

## სწავლა მეექვსე.

### ზრბ განკითხვისათვის მოყვსისა.



კეთუმცა ვიხსენებდეთ ძმანო, სიტყვასა წმიდათა ბერთასა, და უკეთუმცა მარადის ვიწვრთიდეთ მათ, არამცა შთაუვარდებოდეთ ცოდვასა, და არამცა უღებ ვიქმნებოდეთ რამეთუ უკეთუმცა, ვითარცა მათ თქვეს: ვეკძალებოდეთმცა მცირეთა ცოდვათა, და არცამცა შთაუვარდებოდეთ ცოდვათა დიდთა და მძიმეთა.

ჩე ამას გეტყვი თქვენ, ვითარმედ მცირეთაგან, ოდეს ვიტყოდეთ თუ „რაი არს უკეთუ ვქმნა ესე რაიმე, გინა იგი რაიმე,“ დაეჩვევის სული ბოროტისა საქმესა, და მერმე იწყებს დიდთაცა უგულვებელს ყოფად. იხილეთა რამეთუ არა რაჲ უმძიმეს არს მოყვსისა განკითხვისა, და არცა რაი სძულს ესრეთ იმერთსა, ვითარცა სთქვეს მამათა, ვითარმედ: „არა რაი უძვირეს არს განკითხვისა?“ ხოლო ოდეს კაცმან იწყოს ჰაზრითა გამონახვად, და იტყოდის თუ: „რაი არს, უკეთუ ყური მიუბყრა, რას უბნობს ისი ვინმე? ანუ რაი არს უკეთუ ვთქვა მეცა რაიმე?“ ამათ ესე ვითართა საქმეთაგან იწყებს გონება დატევებად თვისთა ცოდვათა, და წვრთად მოყვსისათა. და მერმე ამისგან იქმნების: განკითხვა, და ძვირის ზრახვა, და შეურაცხყოფა მოყვსისა.—და მერმე რაისათვის მოყვასსა განკითხვიდეს, მასვე შინა შევარდების იგიცა. რამეთუ არა ზრუნვისაგან თვისითა ცოდვათასა, ვითარცათქვეს მამათა: „და არა ტირილისაგან თვისისა მკვდრისა,“ ვერ წარმართებს კაცი ვერა რას კეთილსა, არამედ ყოვლადვე მოყვასსა განკითხავს.

შა არა რაი ესრეთ განარისხებს იმერთსა, და არცა რაჲ ესრეთ განაშიშვლებს კაცსა შეწევნისაგან ივთისა, ვითარ ძვირის ზრახვა და განკითხვა და შეურაცხყოფა მოყვსისა.

არა განკითხვისათვის მოყვასისა.

Ⲓ სხვა არს ძვირის ზრახვა, და სხვა არს განკითხვა, და სხვა არს შეურაცყოფა მოყვასისა. განკითხვა ესე არს, ოდეს სთქვას კაცმან ვითარმედ: მან ვინმე იტყუევა, ანუ განრისხნა, გინათუ ისიძევა, ანუ თუ სხვა რაიმე ქმნა ეგე ვითარი. აჰა ამან ძვირი უზრახა ძმასა, რამეთუ თქვა ვნებულად ცოდვა იგი მისი. ხოლო განკითხვა არს, ოდეს სთქვას კაცმან: იგი ვინმე მტყუარი არს, ანუთუ მრისხანე, ანუთუ მსიძავი არს. აჰა ესერა თქვა საქმე მისი ყოვლისათვისვე ცხოვრებისა მისისა და თქვა ვითარმედ: ეგე ვითარი რაჲმე არს; აჰა ესერა ესე არს განკითხვა მძიმე. რამეთუ სხვა არს თქმა თუ: „იგი განრისხნა,“ და სხვა არს თუ: „მრისხანე არს,“ და (ცოდვა) განკითხვისა ეგე ზომი უმძიმეს არს ესე ყოველსავე ცოდვასა, რომელ ჰარისტე თვით იტყვის: ორგულთა აღმოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა, და მერმე მიხედენ აღმოღებად წველი თვალისაგან ძმისა შენისა (ლუკ. 6. 42), სახელსდვა ცოდვასა მოყვასისასა წველად, ხოლო განკითხვასა-დვირედ. ეგე ზომად უძნელეს არს ყოვლისა ცოდვისა.

Ⲓ ფარისეველი იგი, რომელი ილოცვიდა და მადლობდა იმერთსა სათნოებათათვის მისთა, არა თუ ტყუოდდა და მისთვის დაისაჯა: რამეთუ გვიხმს ჩვენცა მადლობა ივთისა, რაიცა სათნოება ვქმნეთ, რამეთუ იგი არს მომნიჭებელი კეთილისა. და ამის-თვის ფარისეველი, ვითარცა ვსთქუ არა დაისაჯა, არცა ოდეს სთქვა ვითარმედ: არა ვარ მე, ვითარცა ვიეთნიმე კაცნი; არამედ ოდეს მოიქცა იგი მეზვერისა მის მიმართ, და თქვა: და არცა ვითარცა მეზვერე ესეო, მაშინ დამძიმდა იგი; რამეთუ განიკითხა პირის-პირ, და ყოველივე ცხოვრება მისი. ამისთვის ვარდამოვიდა მეზვერე იგი უმართლეს მისსა (ლუკ. 18. 11).

Ⲓ არა რაჲ უძვირეს არს განკითხვისა და შეურაცყოფისა მოყვასისა.



### სწავლა შეკვლა

ძად არა თავთა ჩვენთა განვიკითხავთ, და ბოროტთა ჩვენთა, რომელნი დასტურობით და ხელოვნად ვიცით, და რომლისათვის გვინებს სიტყვის მიცემა **ივთისა?** რად მოვიტაცებთ სასჯელსა **ივთისასა?** რაჲ გვინებს დაბადებულისაგან მისისა? არა ვსძრწით ოდეს გვესმეს, რაჲ წარეკიდა დიდსა მას ბერსა, რომელსა ესმა ძმისა ვისთვისმე, ვითარმედ: დაეცა სიძვითა, და თქვა: „**ჴი ბოროტი საქმე ქმნა!**“

**ჴ**რამე უწყითა, რაჲ წერილ არს მისთვის ძმისა მამათასა შინა? რამეთუ წარიყვანა წმიდამან ანგელოსმან სული იგი მის ძმისა, ბერისა მისდა და რქვა მას: „აჴა რომელი იგი განიკითხე აღესრულა; სადა ბრძანებ შთაგდებასა მისსა, სასუფეველსა ანუ ჯოჯობეთსა?“ არსმეა რაჲ ხმისა ამის უსაშინელესი? რამეთუ ესე არს სიტყვა იგი ანგელოსისა ბერისა მიმართ: ვინაითგან შენ ხარ მსაჯული ცოდვილთა და მართალთა, რას იტყვი სულისა ამისთვის? შეიწყალებ ამას, ანუ სტანჯავ ამას? წმიდა იგი ბერი ფრიად შეწუხებულ იქმნა, და დაყვნა ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი იწროებით, სულთქმით და ტირილით, რათამცა შეუნდოს მას **იმერთმან** ცოდვა იგი, და ესერა ქმნა შემდგომად შენდობისა; რამეთუ რქვა მას ანგელოსმან ვითარმედ: „აჴა ესერა გიჩვენა შენ **იმერთმან**, სიძძიმე განკითხვისა, ნურღარა-იქმ ამას,“ ხოლო სიტყვა ესე შენდობისა არს; გარნა სულსა მის ბერისასა არა ნუგეშინის-ეცემოდა ვიდრე სიკვდილადმდე.

**ჴ** აწ ძმანო, ჩვენცა რაჲ გვინებს მოყვისისაგან? რასა ვეძიებთ უცხოთა ცოდვათაგან? თითოეული ჩვენი, თვისსა თავსა და ბოროტთა თვისთა ზრუნევდინ. რამეთუ— მხოლოესა **ივთისა** არს განმართლება და დასჯა, რომელმან უწყის თითოეულისა-ცხოვრება, და ძალი, და აღზრდილობა, აგებულება და მადლი; და თითოეულისა ვითარცა მან მხოლომან იცის, შემსგავსებულად ამასთანავე

არა განკითხვისათვის მოყვასისა

განიკითხავს. რამეთუ სხვებრ სჯის იმერთი უხუცესსა, და სხვებრ მოწაფესა; სხვებრ ბერსა, და სხვებრ ჭაბუქსა; სხვებრ უძღურსა, და სხვებრ ძლიერსა; და ვინ უწყის სასჯელნი ესე, არამედ მან მხოლომან, რომელსა დაუბადებთან ყოველნივე, და უწყის ყოველნივე.

ჩახსოვს მე საქმე ესე ვითარი, რამეთუ მივიდა ოდესმე ნავი ქალაქსა ერთსა, რომელსა ყვა ტყვე ფრიად. ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ქალწული ერთი წმიდა განკრძალული ფრიად, და ვითარცა სცნა ნავისა მისთვის განიხარა, რამეთუ გული უთქმიდა მას რათამცა იყიდოს მან ქალი ერთი მცირე; რამეთუ იტყოდა ვითარმედ: აღვზარდო იგი, ვითარცა მინდეს, და არა უჩვენო მას გემო უკეთურებათა ამის სოფლისათა. და წარავლინნა და უხმო ნავის უფალსა მას; და პოვნა მისთანა ორნი ქალნი დიდად მცირენი, ვითარნიცა თვითან უნდეს, და მეყვესულად მისცა ფასი, და აღილო ერთი იგი მათგანი ქალი. ხოლო ვითარცა წარმოვიდა ნავის უფალი იგი, და ვლო მცირელი შეემთხვია მას მეძავი ერთი ბოროტი და იხილა მეორე იგი ქალი მისთანა და მოიყიდა იგი. იხილეთა საიდუმლო ივთისა? იხილეთა სასჯელი ივთისა? ვინ შემძლებელ არს საქმისა ამის გამოთარგმანებად?.

ხოლო აღილო წმიდამან ქალი იგი, და ასწავა შიში ივთისა, და ყოველივე წესი სამონაზონო. ხოლო მეძავმან მან აღილო უბადრუკი იგი და ყო ჭურჭელი ეშმაკისა; რამეთუ რაიცა ასწავა რისხვამან მან. არამედ წარწყმედა სულისა თვისისა. ხოლო აწ რაჲ ვჰსთქვათ საშინელისა ამის სასჯელისათვის? ორნივე მცირე წლოვანნი იყვნეს, ორნივე განისყიდნეს, და არა იცოდეს. თუ სადა წარვლენ, და ერთი იგი იბოვა ხელთა შინა ივთისათა, და მეორე იგი შთავარდა ხელთა ეშმაკისათა.

ჟესაძლებელ არსაა თქმად, თუ რასა ეძიებს იმერთი, თანასწორად მოკითხავს, როგორც მისგან, მასვე ეძიებს მეორისაგან? უკეთუ ორნივე დაეცნენ სიძვითა შესაძლებელ

### სწავლა მექმნე

არს თქმად, თუ ორთავე ერთი სასჯელი აქვს, დაღაცათუ ერთი-იყოს ცთობა მათი? ვითარ შესაძლებელ არს ესე? რამეთუ ერთი იგი ისწავებდა სასჯელისათვის და სასუფეველისათვის ივთისა, და ღღე და ღამე იწვრთიდა სიტყვათა ივთისათა; ხოლო მეორესა მას უბადრუკსა არა ოდეს ასმიოდა სიტყვა კეთილი, არამედ ყოველივე საეშმაკო და საძაგლეება: და ვითარ შესაძლებელ არს თუმცა ორნივე სწორად დასაჯნა იმერთმან?

ხლო ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ: ვერ ვინ მისწვდების სასჯელსა-ივთისასა, არამედ თვით იგი მხოლო, რომელსა ყოველივე ძალ-უცს, და ყოველივე უწყის. ხოლო თუ ქმნას ძმამან რაიმე საქმე სიწრფოებით; და ქონდის მას სათნოება ერთი, რომელი სათნო ეყოფოდის იმერთსა, უფროს ყოვლისა ცხოვრებისა შენისა; და შენ განიკითხავ მას; და ავნებ სულსა შენსა და დასჯი, და რაჲ იცი თუ მას უწინარეს მის საქმისა, რაზომი იღვაწა, და ნუ უკვე იმერთმან უწინარესისა მის შრომისა მისისათვის შეუწდვის მას ცოდვა იგი: და რა იცი თუ რაზომნი ცრემლნი დაუთხევინა წინაშე ივთისა მის საქმისათვის შემდგომად ქმნისა? და შენ ცოდვა იგი ნახე, და სინანულსა მისსა ვერ ხედავ, და იმერთი შეიწყალებს მას. ხოლო შენ განიკითხავ მას და წარსწყმედ სულსა შენსა.

ჲ მრავალ-გზის არა ოდენ განვიკითხავთ, არამედ შეურაცხ-ყოფთცა მოყვასთა; რამეთუ სხვა არს განკითხვა, და სხვა არს შეურაცხ-ყოფა. შეურაცხ-ყოფა არის ის, ოდეს სძაგდეს კაცსა მოყვასი თვისი; და არს ესე განკითხვისა უძვირესი.

ჲ რომელთა უნებს ცხოვრების, იგინი ყოვლადვე არა მიხედვენ სხვისა ცოდვათა. არამედ თვისთა და ესრეთ მას წარემართებიან. ვითარცა ძმა იგი, რომელმან იხილა სხვა ცოდვასა ზედა და სულთ-ითქვნა, და თქვა: „ვაიმე! რამეთუ ღღეს ესე სცოდავს, ხოლო მე ხვალე.“ იხილეთაა უცთომელობა?—და განმზადებულება სულისა

არა განკითხვისათვის მოყვასისა

მისისა? ვითარ განერა განკითხვასა მოყვასისა, სიტყვითა ამით, ვითარმედ: „მე ხვალე შთავრდომად ვარ ცოდვასა,“ მოიპოვა შიში და ზრუნვა და ესრეთ განერა განკითხვასა მოყვასისა, და თავიცა თვისი დაიმდაბლა და სთქვა, ვითარმედ: „ესე შეინანებს, ხოლო მე არა.“

ჴედავა განათლებულებასა მისსა? რამეთუ არათუ ოდენ განკითხა იგი, არამედ თავიცა მისი ქვეშე მისსა მოაქცია. ხოლო ჩვენ უბადრუკნი ესე მას განვიკითხავთ ძმათა ჩვენთა, და შეურაცხ ვყოფთ. უკეთუ მცირედიცა რაიმე ვნახოთ, ანუ გვესმეს, ანუ აზრით ვყოფთ; და უბოროტესი ესე არს, რომელ არა ოდენ თვით ვივნებთ, არამედ უკეთუ ძმასა ვისმე შევემთხვივნეთცა მეყვსეულად ვიტყვით ვითარმედ: ესე რაიმე ქმნა და ვავნებთ მასცა, და ჩაუგდებთ გულსა მისსა ბოროტსა. და არა გვეშინის მისგან, რომელმან სთქვა: ვაი მისდა, რომელმან ასვას ძმასა თვისსა სასმელი აღმამრღვეველი (ამბაკ. 2, 15), და ვიქმთ ჩვენ საქმესა ეშმაკთასა, რამეთუ ეშმაკისა საქმე ესე არს, რათა ავნოს კაცმან და აღაშფოთნეს; და ვიპოვებით ჩვენ შემწედ ეშმაკთა, და წარსაწყმედელად თავთა ჩვენთა, და მოყვასთაცა ჩვენთა: რამეთუ რომელი ავნებდეს სულსა სხვისასა, იგი ეშმაკთა შემწე არს, ეგრეთვე რომელი არგებდეს სულსა ანგელოსთა შემწე არს. ხოლო ესე ყოველი ბოროტი სადათ წაგვეკიდების არა ამისგანაა, რამეთუ არა გვაქვს სიყვარული? რამეთუ უკეთუმცა გვაქვდა სიყვარული, და ცთომათამცა მოყვასისათა სიყვარულით და ტკივილითა გულისათა ვხედვედითმცა, ვითარცა წერილ არს ვითარმედ: სიყვარული ბოროტსა არა იგონებს და შემდგომი (ამისი 1. კორინ. 13, 5). რამეთუ სიყვარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათა (1 პეტრე. 4. 8).

ჴ ვითარცა ვსთქუ, უკეთუმცა გვაქვდა სიყვარული, იგიმცა ყოველთავე ცთომათა ჩვენთა დაფარვიდა. არათუ წმიდანნი ცოდვასა კაცთასა არა ხედვიდეს? და არათუ

### სწავლა ქექვსე

ცოდვა არა სძაგდეს? არამედ ცოდვილნი არა სძულდათ, და მისთანა იჭირვოდიან, და ასწავებდენ და კურნებდიან, ვითარცა ასოთა უძღურსა, და ყოველივე ღონე ყვიან, რათამცა აცხოვნეს იგი. რამეთუ ვითარცა მეთევზურთა ოდეს შთააგდიან სამჭედური ზღვასა, შეიპყრიან თევზი დიდი, ცნიან ვითარმედ აღშფოთებულ არს და კრთის, არა მეყვსეულად მოიზიდიან რათა არა განსწყვიტოს საბელნი, და სრულიად წარსწყმიდონ იგი, არამედ მიუშვებენ ხელოვნურად საბელსა, რათა წარვიდეს იგი სადაცა უნდეს; და ოდეს სცნიან, ვითარმედ დაშვრა და დასცხრა კრთომისაგან მისისა მაშინდა ჰამო-ჰამოდ მოზიდვენ მას: ეგრეთვე წმიდანი სიყვარულით და სულგრძელეზითა მოიზიდვენ ძმასა უძღურსა, და არა გარემიაქცევენ მას, და არცა სძაგნ იგი. არამედ ვითარცა დედა, რომელსა ყავს შვილი მახინჯი, არა სძულობს მას, არცა გარე მიიქცევის მისგან, არამედ ამკობს მას სიყვარულით, და ყოველსავე რასაცა იქმს, სანუგეშოდ მისდა იქმს: ეგრეთვე წმიდანი მარადის ფარვენ, ამკობენ და შეეწევიან, რათა ერთ-დროს მოაქციონ ცოდვილიც, და არცავინ სხვამან არ მიილოს მისგან ვნება. და მათ თვით უმეტეს წარემატნენ სიყვარულსა შინა ჴრისტესსა.

დაჲ ქმნა მამამან ამონ, ოდეს მოვიდეს ძმანი იგი მისთანა და რქვეს ვითარმედ: „მოვედ და იხილე, ვითარმედ სახლსა მის ვისმე ძმისასა დედაკაცი არს.“ იხილეთ სიყვარული მისი, იხილეთ მოწყალება მისი, რამეთუ სცნა ვითარმედ ჭურსა შინა დაუმალავს იგი, წარვიდა და დასჯდა მას ზედა, და რქვა მათ: მოძებნეთ ყოველსა სახლსა შინა. და ვითარ არა პოვეს მაშინ რქვა მათ: „უფალმან შეგინდვენ თქვენ.“ და ესრეთ არცხვინნა ივინი, რათა არა დაიჯერებდენ აღრე მოყვისისა ბოროტსა; ხოლო მასცა არგო, არა ოდენ ამით რომელ დაიცვა იგი, არამედ შემდგომად განსლვისა ყოველთასა რქვა მას: „იზრუნე ძმაო თავისა შენისათვის.“ და მეყვსეულად კაცთ

სრს განკეთვისათვის მოყვასისა

მოყვარებამან ივთისამან მოდრიკა გული მისი.

ი აწ ძმანო ჩვენცა მოვიგოთ სიყვარული, რათა განვერნეთ ბოროტსა ძვირის-ზრახვასა და განკითხვასა, და შეურაცხ-ყოფასა მოყვისისასა; შევეწინეთ ერთმან-ერთსა, ვითარცა თვისთა ასოთა. ვინარს კაცი იგი, რომელისამცა წყლული იყო ხელი, ანუ ფერხი, ანუ სხვა რაიმე ასო და მასმცა სძაგდა იგი, ანუ მცა მოიკვეთა იგი, დაღაცათუ დაღბეს? არამედ ისწრაფის განწმედად მისსა და წამალთა დაიდებს და შეიხვევს, და ისხურებს ნაკურთხის წყლით, და წმიდათა ევედრების რათა ულოცონ მას, ვითარცა სთქვა მამამან ზოსიმე. ერთი სიტყვით არავინ არ დაუტევებს თვისსა ასოსა, არცა ზიზლით უკუნ იქცევის მისგან არცაღა სუნ მყარლობისაგან მისისა, არამედ ყოველივე ღონის ძიებას იხმარს, რათა განკურნოს იგი. ეგრეთვე ჩვენ გვიხმს ქმნად, და რათა ერთმანეთისათვის ვიჭირვოდეთ და ხელსა აღუბყრობდეთ, ყოველსავე ღონესა ვიქმოდეთ შეწვევისათვის ერთმანერთისა, რათა ჩვენცა ვირგოთ.

ქ ვითარცა მოციქული იტყვის: „ჩვენ ყოველნი ერთ ხორც ვართ, და თითოეული ჩვენი ერთმან ერთისა ასოები (რომაელ. 1. 2. 5), და: უკეთუ ერთსა ასოსა შეშვირდეს რაიმე, მისთაელმის ყოველთა ასოთა (1 კორინ. 12, 26). რაჲ გგონია თქვენ მონასტერნი? არა ერთ ხორც არიანა, და ერთმან ერთისა ასოები? რამეთუ რომელნი ეურვიან და მართვენ მონასტერსა იგინი არიან—თავი; ხოლო რომელნი ხედვენ, და ყოველსავე უწესოსა საქმესა განმართვენ, იგინი არიან - თვალ; და რომელნი სიტყვით მართებენ, იგინი არიან - პირ; და რომელნი ისმენენ, იგინი არიან—ყურ; რომელნი შვრებიან, იგინი არიან—ხელ; და რომელნი მსახურებენ, იგინი არიან-ფერხ.

აკეთუ თავი ხარა? იურვოდე. უკეთუ თვალი ხარ? ეკრძალე, განიხილე. უკეთუ პირი ხარ? ასწავე სასარგებ-

### სწავლა მეძველე

ლო. უკეთუ ყური ხარ?—ასმინე. უკეთუ ხელი ხარ?—შვერ (იქმოდე). უკეთუ ფერხი ხარ? მსახურე ყოველნივე მსახურებდით გვამსა თითოეული ძალისაებრ თვისისა; ისწრაფდით რათა ერგებოდით ერთმან ერთსა: გინა სიტყვით, გინა საქმით, გინა სხვითა რაიმე, ვითარცა ვსტყუთ თითოეული ძალისაებრ თვისისა ისწრაფდით მიახლებად ძმისა თვისისა სიყვარულით, რამეთუ რაჯომცა კაცი შეერთდებოდის ძმასა თვისსა, ეგეზომცა შეერთდების ივთისა.

ზა გითხრა თქვენ სახე რაიმე მამათაგან სწავლული. რათა გულის-ხმა-ყოთ ძალი სიტყვისა. მის: გამოსწერეთდა რაიმე მრგვალი კარაკინითა-მოვლებული, და შორის მისსა დასვით წერტილი, და გამოსწერენით გზანი შემავალნი წერტილსა მის მიმართ.—და ვითარმცა არს მოვლებული იგი მრგვლიად—სოფელი; ხოლო საშუალი წერტილი იმერთი. და გზანი იგი არიან სათნობანი. ხოლო რაჯომცა შევლენ წმიდანი შეღმართ მიახლებად ივთისა, და ეგზომცა მიეახლებიან-ერთმანერთსა, და რაჯომცა მიეახლებიან ურთიერთარს მიეახლებიან იმერთსაცა.

ზა კვალად რაიზომცა განეშორებოდინ იმერთსა, ეგეზომცა განეშორებიან ერთმანერთსა; და რაიზომცა განეშორებიან ურთიერთ არს განეშორებიან იმერთსაცა.

ზა ესერა სცანთ ვითარმედ ესრეთ არს ბუნება სიყვარულისა: რაჯომცა კაცმან შეიყვაროს იმერთი, ეგეზომცა შეიყვარებს მოყვასა თვისსა, და როჯომცა შორს იყო კაცი ივთისაგან, ეგეზომცა შორს არს სიყვარულისაგან მოყვისსა. ხოლო რაჯომცა უყვარდეს კაცსა მოყვასი თვისი, ეგეზომცა მიეახლების იმერთსა. ოფაღმან მოგვმადლენ ჩვენ სმენა უმჯობესისა, და ქმნა მისი; რამეთუ რაჯომცა ვიქმოდით კეთილსა იგი უფროსდა შეგვეწვევის ჩვენ, და გვასწავებს ნებასა მისსა. მისსა დიდება და პატივი, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



## სწავლა მეძვიდე

თავის ბრალობისათვის.

«ამოვიძიოთ, ძმანო, თუ ვითარ არს, რომელ ოდეს ესმე ძმასა ვისმე სიტყვა გულის-საკლებელი, და თავს-იდვას იგი უშფოთველად, ხოლო ოდესმე ესმის და მეყვსეულად აღშფოთნის. რაიმე არს მიზეზი საქმისა ამის? ანუ მრავალნი მიზეზნი არიან, ანუ ერთი? მე ვგონებ თუ მრავალნი მიზეზნი არიან, არამედ ერთი არს მშობელი მათ-ყოველთა. ხოლო ესტკვა თუ ვითარ. პირველად ესე არს, ანუ იყოს გონება მისი ლოცვასა შინა, ანუ სხვასა რასმე კეთილსა, და ოდეს ესმეს სიტყვა გულის საკლებელი აიძულდეს თავსა თვისსა და არა აღშფოთნების.

«ანუ ქონდის ხორციელი სიყვარული მისა მიმართ და მისთვის უკეთუ რქვას მას სიტყვა გულის საკლებელი აიძულდეს თავსა თვისსა და არა აღშფოთნების. ანუთუ უგულბებელს ყოფდეს შემაწუხებელსა მას თვისსა, და არა უჩნდეს იგი ადგილსა კაცისასა, და მისთვის სიტყვა მისი არად განაკვირვოს.

«უა ვითხრა თქვენ საქმე ეგე ვითარი რათა გიკვირდეს. იყო ძმა ვინმე მონასტერსა შინა, უწინარეს წარმოსლვისა ჩემისა მიერ, და ვხედვედი მე მას, ვითარმედ არა ოდეს აღშფოთნებინ, ხოლო მრავალნი აგინებდეს და შეურაცყობდეს და ესრეთ მოითმენდა ჭაბუკი იგი თითოეულისაგან, ვითარმცა ყოველივე არა ვინ უზმიდა მას და მე ვხედვედი მას ესრეთ ძვირ-უხსენებლობასა მისსა, მიკვირდა და მიწდა, რათამცა ვსცნა თუ, ვითარ მოუგიან მას სათნოება იგი. ხოლო ერთგზის განვიყვანე იგი თვისაგან, და მოუდრიკენ მას მუხლნი, დავარქვ: გვედრები შენ, ძმაო, მიოხარ მე, რომელი გულის სიტყვითა მოითმენ ყოველთაგან გინებასა და შეურაცხე-

### სწავლა მეშვიდე

ბასა ესრეთ. ხოლო მან მრქვა მე ამპარტავანებით და მემცა ყურსა მიუპყრობდი, ამათ არა რათა და შევიწყნარებდიმცა სიტყვასა მათსა, ვითარცა კაცთასა? ხოლო მე ვითარცა მესმა ესე დავიდრიკე თავი ჩემი ქვე, და ესთქვი გულსა შინა ჩემსა, ვითარმედ პოვა გზა ძმამან ამან და დავიწერე ჯვარი პირსა ჩემსა, და წარვედ და ვილოცვედ, რათა იმერთმან მეცა დამიფაროს, და იგიცა ამისთვის ვთქუ, ვითარმედ შეურაცხყოფისაგანცა მოითმენს კაცი სიტყვასა გულის-საკლებელსა.

ქ კვალად აღშფოთნება ძმისა მიმართ, შემაწუხებელისა მისისა იქმნების ამისგან; ოდეს კაცი იყოს ეამსა მას არა კეთილითა გულის-სიტყვითა, და ვითარცა ესმეს სიტყვა გულის-საკლებელი, მეყვსეულად აღიძვრის; ანუ ქონდის მტერობა მისა მიმართ, და ვითარცა ესმეს მისგან სიტყვა რაიმე მეყვსეულად აღიძვრის. ხოლო არიან სხვანიცა მიზეზნი, არამედ ჭეშმარიტი მიზეზი ყოვლისა დაბრკოლებისა არს, არა ბრალობა თავისა თვისისა, ამისთვის ვერ ვპოვებთ განსვენებასა.

ძ თავთა ჩვენთა არა ვაბრალებთ. საკვირველ არს, რამეთუ გვესმის წმიდათაგან ვითარმედ სხვა გზა არა არს თვინიერ ამისა. და ვხედავთ ვითარმედ არავინ ვლო სხვასა გზასა ამისგან კიდე, და პოვა განსვენება; და ჩვენ ველით თვინიერ ამისა განსვენებასა; და ვგონებთ თუ გზა წრფელი გვიპყრიეს, რომელნი ესე თავთა ჩვენთა, ყოვლადვე არა ვაბრალებთ. ჭეშმარიტად უკეთუ აღასრულნეს კაცმან მრავალნი სათნოებანი, და არა დაიმჭიროს გზა ესე, ვერ პოოს მან განსვენება, და არცა ოდეს დასცხრეს გულისკლებისაგან და შფოთისა და წარსწყმელს ყოველთა შრომათა მისთა.

ჩ რომელსა ქონდის იგი, მას მარადის აქვს განსვენება და სიხარული, ვითარცა იტყვის მამა პიმენი, ვითარმედ: რომელი თავსა თვისსა აბრალებდეს, რაიცა მოიწიოს მის ზედა, გინათუ უპატიოება, გინათუ დაჭირ-

თავის ბრალდობასთვის.

ვება ყოველსავე ზედა თავი თვისი უღირსად უჩნს, და ყოველსავე განსვენებით თანა წარხდების. არსმე რაჲ ამისა უზრუნველესი საქმე?

ჲ არს კაცი რომელი იტყვის, ვითარმედ: უკეთუ გულისა მაკლოს ძმამან ჩემმან, და გამოვიძიო, და ვერა რაჲ ცთომა ვბოო თავსა ჩემსა თანა, მაშინ ვითარ-ძალ მიძს ვაბრალობდე თავსა? ხოლო მე ამას ვიტყვი ვითარ-მედ უკეთუ გამოვიძიოს კაცმან თავი თვისი შიშითა ივეთისათა, პოოს ვითარმედ არაი მიზეზი მიუცემია მას ჟამსა შინა, ანუ საქმით, ანუ სიტყვით, ანუ სახით. მაშა სხვასა ჟამსა გულს-ეკლო მისდა, ანუ სხვასა ძმასა და თანა-ედვა; რათა მცამასცა გულსა-შეაკლდა; ანუ თუ სხვისა რაისათვისმე ცოდვისა. — და ამისთვის ვიტყვი; უკეთუ კაცმან შიშითა ივეთისათა გამოვიძიოს, პოოს თავი თვისი ბრალეულად.

ჲ კვალად ჯდეს კაცი სენაკსა თვისსა და ეგონოს ვითარმედ მშვიდობით ზის, და რქვას მას ძმამან სიტყვა გულის საკლებელი, მეყვსეულად აღშფოთნის, და იტყვის ვითარმედ: მე მშვიდობით ვსჯედ სენაკსა ჩემსა; და უკეთუმცა არა ეთქვა ჩემდა სიტყვა იგი, არამცა აღშფოთებულ ვიყავ. — ამანცა უწყოდენ, ვითარმედ ეშმაკნი ემღერაიან მას. არათუ რომელმან რქვა მას სიტყვა იგი, მან შთაუგდო გულსა მისსა ვნება იგი? არამედ უჩვენა მას ვნება იგი, რათა თუ უნდეს შეინანოს. რამეთუ მსგავს არს იგი სიმინდსა წმიდასა, რომელი შინაგან დაგესლებულ არნ, და გარეგან წმიდა ჩნდის; ხოლო ოდეს განსტეხიან იგი, მაშინ გამოსჩნდის გესლი იგი მისი. ეგრეთვე მას ეგონა, ვითარმედ ზის მშვიდობით, ხოლო შინაგან მისა იყო ვნება იგი, და არა იცოდა; და ვითარცა სთქვა ძმამან სიტყვა იგი მცირე მეყვსეულად გამოსჩნდა გესლი იგი მის შორის დამალული. და უკეთუ უნდეს შეინანოს და განიწმინდოს გესლი იგი, და უფროსდა უხმს, რათა მაღლობდეს ძმასა მას, რომელი იგი მიზეზ ექმნა მას, ეგვ

### სწავლა მეშეაღუ.

ვითარისა მის სარგებელისა. რამეთუ არღა დამძიმდებიან, მის ზედა განსაცდელნი, არამედ რაიზომცა წარემართებოდის, უფროსღა აუსუბუქდებიან მას; რამეთუ რააზომცა სული წარემართებოდის უფროსღა ძლიერ იქმნების, წინა აღმდგომად ვნებათა. რამეთუ ვითარცა პირუტყვი, უკეთუ იყოს ძლიერ, მძიმესა ტვირთსა აღიკიდებს, და დაღაცათუ შებრკოლდეს მალე აღსდგების; ხოლო უკეთუ იყოს უსუსურ, სუბუქიცა ტვირთი უმძიმს მას აღებად, და უკეთუ შებრკოლდეს იგი და დაეცეს, უხმს შეწევნა ფრიადი რათა აღსდგეს.—ეგრეთვე არს სული, რააზომცა იქმოდის ცოდვასა, ცოდვა იგი მოასუსურებს მას; რამეთუ ცოდვა მომაუძღურებელი არს სულისა, და ამისთვის რაიცა მოიწიოს მის ზედა, ყოველივე უმძიმს მას. ხოლო უკეთუ იწყოს ქმნად სათნოებათა, რომელნი იგი ოდესმე აუძიმდეს აუსუბუქდებიან მას; და ამისთვის არა რაა ესრეთ გვერგების ჩვენ, ვითარ თავთა თვისთა ბრალობა, და რაიცა მოიწვევის ჩვენ ზედა განგებითა ივთისათა არს; რამეთუ თვინიერ განგებისა ივთისა არა რაა მოიწვევის ჩვენ ზედა.

ჩ მრავალნი იტყვიან ვითარმედ: „უკეთუ მიხმდეს, რაიმე საქმე, და ვერ ვბოლო იგი, და მიხმდეს იგი საჭიროდ, ვითარ არა გულისა შემაკლდეს; „არცა ამას ზედა აქვს სიტყვა, თუმცა ვისმე აბრალა. რამეთუ უკეთუ უხმდეს რაიმე საჭირო, და ვერ მიემთხვიოს მას, ჯერ არს რათა თქვას ვითარმედ: „იმერთმან უფროს იცის ჩემსა, და უკეთუმცა იყო უმჯობეს ჩემი, მიმცა მიძღვა მე, რათამცა ვბოვე საქმე ესე მანმცა მომცა იგი.“ ძეთა ისრაილისათა ჭამეს მანანა უდაბნოს ორმოცსა წელსა; დასახე მანანაჲსა მის ერთი იყო, ხოლო თითოეულსა ვითარცა უყვარნ ეგრეთცა აუჩნდის: რომელსამე უყვარნ მარილიანი, აუჩნდის მას მარილიანად; და რომელსამე უყვარნ ტკბილი,—ექმნის მას ტკბილი; და თითოეულსა ექმნის შეზავებულ გონებასა თვისსა. ამისთვის ვიტყვი

თავის ბრძალობისათვის.

ვითარმედ, უკეთუ ვის გუული უთქმიდეს კვერცხსა, და პოოს მან მხალი, უხმს რათა სთქვას, ვითარმედ: „უკეთუმცა უმჯობეს იყო ჩემთვის კვერცხისა პოვნა, იმერთსამცა კვერცხი მოეცა ჩემდა, რამეთუ მას—შეუძლია ქმნად მხალისა ამის კვერცხად.“ და მრწამს ივთისა, ვითარმედ გულის-სიტყვა ესე ექმნას მას საწამებელად, რამეთუ ქეშმარიტსა ვიტყვი.

აკეთუ ღირს იყოს კაცი განსვენებასა, და უმჯობეს იყოს სულისა-მისისათვის განსვენება სარკინოზთაცა გულსა მოდრეკს იმერთი განსვენებად მისსა. ხოლო უკეთუ არა ღირს იყოს განსვენებასა, ანუთუ არა ჯერ იყოს მისდა განსვენება, დაღაცათუ ქმნას ახალი ცაჲ და ახალი ქვეყანა, ვერ პოებს იგი განსვენებასა.

ჩოდესმე არა მისცემს სახმარსა თვისსა (მატ. 4. 4). და ამით ასწავებს მოთმინებასა. სადაჲთ იქმნების ესე, რამეთუ ოდესმე პოებს კაცი უფროს სახმარსა თვისისა, ხოლო ოდესმე ვერცა სახმარსა თვისსა პოებს, რამეთუ იმერთი მოწყალე არს, და ყოველთავე მისცემს სახმარსა მათსა. ხოლო რომელსამე მისცემს უფროს სახმარსა მისისა და ასწავებს მას მადლობასა. და ამის ყოვლისათვის გვიხმს, რათა იმერთსა ვმადლობდეთ, და თავთა ჩვენთა ვაბრალდებდეთ. თუ ვინმე კეთილი გვიყოს, გინა ბოროტი, რათა იმერთსა ვმადლობდეთ, ვითარცა სთქვეს მამათა, რათა უკეთუ კეთილი რაიმე მოიწიოს ვიტყოდეთ ვითარმედ, განგებითა ივთისათა არს ესე. ხოლო უკეთუ ბოროტი რაიმე მოიწიოს, რათა ვსთქვათ ვითარმედ ქეშმარიტად ცოდვათა ჩვენთაგან არს. ქა წმიდანი ივთისათვის. იჭირვოდეს, ანუ რათამცა გამოჩნდეს სათნოება მათი სასარგებლოდ მრავალთა, ანუ გვირგვინთა მისაღებელად ივთისაგან. რამეთუ ჩვენ უბადრუკნი ესე ცოდვათა ჩვენთათვის, რომელნი ესე მას ვსცოდავთ, და დაგვიტევენბია წრფელი გზა, რომელი თქვეს მამათა, თავისათვისისა ბრალობა, და ვალთ გზასა ამას დრკუსა, რომელ

### სწავლა მეშვიდე

არს ბრალობა ერთმანერთისა. და ყოველნივე ვისწრაფით, რათამცა მოყვასსა ზედა მივაგდეთ მიზეზი ცთომად. რამეთუ ჩვენ თვით უდებებასა შინა ვართ, და მოყვისსაგან ვეძიებთ მცნებასა აღსრულებასა.

ჴოვიდეს ჩემთანა ოდესმე ძმანი, დაბრკოლებულნი ერთმან-ერთისა-მიმართ, და უზუცესი იგი იტყოდა უმრწემესისათვის, ვითარმედ: „ოდესმე ვეტყვი მას საქმესა რასმე, და არა მისმენს მე, და გულს მაკლს და ვიტყვი: უკეთუმცა ქონდა ჩემდა მომართ საწმუნოება და სიყვარული მისმენდამცა მე გულს-მოდგინებით რასაცა ვეტყოდი.“ და კვალად უმრწემესი იგი იტყოდა, ვითარმედ: „შემინდევნი, მამაო, რამეთუ არა მეტყვის ეგე, რასაცა მეტყოდის შიშითა ივთისათა, არამედ უფლებით, და ამისთვის არა გულს-მოდგინე ვიქმნები, ვითარცა სთქვეს მამათა.“ იხილეთ, ვითარ ერთმანცა მათგანმან, არა აბრალა თავსა თვისსა, არამედ მოყვასსა თვისსა.

ჴვალად სხვანი ორნი ძმანი დაბრკოლდეს ერთმან-ერთისა მიმართ, და მოუდრიკნეს ურთი ერთარს მუხლნი, და არავე დამშვიდნეს გულნი მათნი. და ერთი იგი იტყოდა ვითარმედ: „არა ყოვლითა გულითა მომიდრიკნა მე მუხლნი, და ამისთვის არა გულს მოდგინე ვიქმენ“ ვითარცა სთქვეს მამათა.—და მეორე იგი იტყოდა ვითარმედ: უწინარეს მუხლთა მოდრეკისა არა იყო სიყვარული ჩემი გულსა მისსა, და ამისთვის არა გულს მოდგინე ვიქმენ მე.

ჴედავთა ძმანო, ვითარ გვაცთუნებენ ჩვენ ეშმაკნი! ვითარ განდრეკილ არიან გულნი ჩვენნი! იმერთმან უწყის, განტეხილ ვარ საქმესა ამას ზედა, რამეთუ სიტყვათაცა მამათასა მოვიდებთ ნებათა ჩვენთა ებრ ბოროტთა, და წარსაწყმედელად სულთა ჩვენთა. რამეთუ უხმდა თითოეულსა მათსა თავისა თვისისა ბრალობა: ერთსა მას უხმდა თქმად, ვითარმედ; არა ყოვლითა გულითა მოუდრიკენ ძმასა ჩემსა მუხლნი, და ამისთვის არა გულს

თავის ბრძალობისათვის.

მოდგინე ყო იგი იმერთმან; და მეორესა მას უხმდა თქმად ვითარმედ, არა მქონდა მე სიყვარული მისა მიმართ, და ამისთვის არა გულს მოდგინე ვიქმენ მე. ვგრეთვე ორთა მათ რომელნი იგი პირველად ვახსენე უხმდა თქმად ერთსა მას, ვითარმედ: მე უფლებით უბრძანებ ძმასა ჩემსა, და ამისთვის არა გულს მოდგინე იქმნების სიყვარულსა ჩემსა ზედა; და კვალად მეორესა მას უხმდა თქმად ვითარმედ: ძმა ჩემი სიყვარულით და სიმდაბლით მეტყვის მე, არამედ მე ვარ ურჩ და უშიში ჩთვისა. და ერთმანცა მათგანმან არა აბრალა თავსა თვისსა, ვერცა პოვა გზა, არამედ მოყვასსა თვისსა აბრალებდა თითოეული მათი.

ღჳა ესერა ვითარცა ვსთქუ, ამისთვის ვერ წარვმართებთ ვერარას სათნოებასა, ვერცა რას ვირგებთ, რამეთუ თითოეული ჩვენი თავსა თვისსა განვიმართლებთ და დაუტევებთ თავთა ჩვენთა, ვითარცა ვსთქუ და არცა ერთსა რას მცნებასა აღვასრულებთ, და მოყვისისაგან ვეძიებთ მცნებათა აღსრულებასა, ამისთვის ვერ გულისხმა-ვყოფთ, თუ რაი არს კეთილი; რამეთუ დაღაცათუ მცირედი რაიმე სათნოება წარვმართოთ, მეყვსეულად მოყვისისაგან ვეძიებთ მას და ვიტყვი: თუ რად არა იგიცა იქმს ესრეთ? და რად არა უფროსლა თავთა ჩვენთაგან ვეძიებთ სათნოებათა და თავთა თვისთა არა ვაბრალებთ, რომელნი ესე არა აღვასრულებთ ყოვლადვე ერთსაცა მცნებასა?

ხადამე არს ბერი იგი, რომელსა კითხეს, ვითარმედ: „რაჲ წარგიმართების გზასა ამას, მამაო?—ხოლო მან სთქვა, ვითარმედ: „ყოველსა ზედა თავისა თვისისა ბრალობა.“ ამისთვისცა მკითხველმან მან აქო, და რქვა მას: „სხვა გზა არა არს, თვინიერ ამისა.“ და კვალად მამამან პიმენ თქვა, ვითარმედ: „სულთქმით ყოველნი სათნოებანი, სოფელსა ამას შემოვიდეს თვინიერ ერთისა, და თვინიერ მისა, შრომით გიეს კაცი.“ და კითხეს მას ვითარმედ: „რაჲ არს ეს სათნოება? ხოლო მან სთქვა, ის რათა კა-



### სწავლა მეშუადე

ცი აბრალებდეს თავსა თვისსა.“

მა კვალად მამამან ანტონი, სთქვა: „ესე არს დიდი საქმე, რათა კაცმან ცთომი თვისი თავსა ზედა თვისსა დაიკრიბოს წინაშე ივთისა, და მოელოდის განსაცდელსა ვიდრე უკანასკნელად სულთქმამდე.“ ყოველთაგან ვპოვებთ, ვითარმედ მამათა ესე დაიმარხეს, და რაიცა მოიწიის ყოველივე ივთისა მიმართ მიაგდიან, და ამისთვის განისვენეს.

იხილეთ რა იგი თქვა წმიდამან ბერმან, ოდეს დასნეულდა: ძმამან ცთომით ურთო საქმელსა მისსა თაფლისა წილ ზეთი სელისა, რომელი ფრიად მანებელია. ხოლო ბერმან ჭამა იგი დუმლით, და არა აბრალა ძმასა მას; ხოლო მან ცნა რა იგი ექმნა შეწუხნა, და რქვა მას: „მამაო, მოგკალ შენ, და შენ მოაგდე ცოდვა ჩემზედა, რამეთუ არა რაჲ მარქე მე;“ იხილეთ ვითარ სიმშვიდით რქვა მას: „ნუ გულს გაკლს შვილო, რამეთუ უკეთუმცა ენება იმერთსა, რათა ესჭამე თაფლიმცა გესხა.“ და მეყვსეულად გონება მისი მიიყვანა ივთისა თანა. ვითარ არა მოეგონა მას, თუ ძმა ესე შესცთა, და რაი საქმე უც ამას შინა იმერთსა, არამედ თქვა: „უკეთუმცა უნდა იმერთსა თაფლიმცა ერთო ძმასა ამას;“ საკვირველ-არს, რამეთუ ეგეზომსა უძღურებასა შინა, და ეგეოდენტა მათ დღეთა, არა ეჭამა, და არცა ესრეთ დაბრკოლდა ძმისა მიმართ, არამედ მადლობდა იმერთსა და განისვენა.

ქ ჩვენ ყოველსა საქმესა ზედა მოყვასსა ჩვენსა ვაბრალებთ, და გვიჩნს იგი ვითარცა მოძულე ჩვენი, არამედ დაღაცათუ სიტყვა რაიმე გვესმეს მას მეყვსეულად ვიტყვით ვითარმედ, თუმცა არა უნდა გულის კლება ჩემი, არამცა ერქვა ჩემდა სიტყვა ესე. სადამე არს წმიდა იგი რომელი იტყოდა სემეესთვის: უტევეთ ეგე რათამე მწყყოს მე, რამეთუ იმერთმან უბრძანა მას რათა სწყყოს დავითს ( 2. მეფ. 16). კაცსა კაცის მკვლელსა ეუბნებისა იმერთი, რათამცა სწყევდა წინასწარ-მეტყველსა? ნუ

თავის ბრალდებისათვის.

იყოფინ. არამედ წინასწარმეტყველი იყო გულის-ხმის-ყოფით სავსე და უწყოდა ვითარმედ, ვითარ განსაცდელნი ესრეთ და არა რაი სხვა მოიყვანებს წყალობასა ივთისასა სულსა ზედა, და ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: უფალმან უბრძანა მას რათა სწყევდეს დავითს. რისთვის? რათა იხილოს იმერთმან სიმდაბლე ჩემი, და მომცეს მე კეთილი წყევლისა წილ მისისა. იხილეთ გულის-ხმის-ყოფა მისი? ვითარ ეტყოდა მათ, რომელნი იგი ლამოდეს შუ-რის ძიებასა მის ზედა, რომელი იგი სწყევდა მას: ხოლო იგი ეტყოდა: რაი არს ჩემდა და თქვენდა ძენო სარუინისანო? უტევეთ მას, რათა მწყევდეს, რამეთუ უფალმან უბრძანა მას ( 2. მეფ. 16).

ჴ ჩვენ უკეთუ რაიმე გვრქვას ძმამან ჩვენმან, არა ვიტყვით, თუ იმერთმან უბრძანა მას, არამედ მეყვსეულად მივემსგავსებით ძაღლსა, რამეთუ იგი უკეთუ ვინმე სტყორცის მის ზედა ქვა, დაუტევებს მას, რომელსა ეტყორცოს, და მივალს და უკბენს ქვასა მას. ეგრეთვე ჩვენ დაუტევებთ იმერთსა, რომელი მოუშვებს ჩვენ ზედა განსაცდელსა, შესანდობელად ცოდვათა ჩვენთა, და ვბრძავთ ძმასა ჩვენსა, და ვიტყვით ვითარმედ: რად მრქვა? ანუ რად მიყო ესე რაიმე?—და სარგებელისა წილ, ვაწნებთ თავთა ჩვენთა, და არა ვუწყით ვითარმედ ყოველი განგებითა ივთისათა მოიწვევის ჩვენ ზედა სარგებელისათვის ჩვენისა. არამედ უფალმან იმერთმან გულის-ხმა-გვიყოს ჩვენ მეოხებითა ყოველთა წმიდათათა. რამეთუ მისა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკუნისამდე. ამინ.

## ს წ ა ვ ლ ა მ ე რ ე ე .

ძვირის ხსენებასათვის.



ქვა ბერმან ვინმე<sup>0</sup> ვითარმედ: უცხო არს მონაზონისაგან რისხვა, გინათუ შეწუხება ვისიმე. და კვალად წერილ არს ვითარმედ: „რომელმან გულის-წყრომასა სძლოს, მან ეშმაკთა სძლო, ხოლო რომელი ვნებისა ამის დამონებულ არს, იგი ყოვლად მონაზონთა წესისაგან უცხო არს,“ და შემდგომი ამისი. ხოლო რაჲ ვსთქვათ ჩვენ საწყალობელთა ამათ, რომელნი ესე არა ხოლო რისხვითა და გულის-წყრომითა ოდენ ვიძლევით, არამედ ძვირის ხსენებადცა მოვალთ? სხვა არა რაჲ გვაქვს სიტყვა, არამედ რათა ვსტიროდეთ, საწყალობელთა ამათ სულთა ჩვენთა! და კაცთა ბუნებისა გარეგანსა ზმას ცხოვრებასა ჩვენსა. ვისწრაფოთ ძმანო, და განვიფრთხოთ, რათა განვერნეთ ბოროტისა ამის ვნებისაგან.

ქ მრავალგზის, რაჲმს აღშფოთნეს ურთიერთარს ვიეთნიმე, და მოუდრიკნეს ერთმან-ერთსა მუხლნი, არამედ დაადგრებიან შემდგომად შენდობისა მათისა ძვირის ხსენებასა ზედა. ხოლო ეგე ვრთართა მათ უხმს ღვაწლი, რათა არა დაადგრეს იგი გულსა მათსა და დაინთქნენ. რამეთუ მოუდრიკნენ რაჲ ურთი-ერთ-არს მუხლნი მცნებისათვის ივთისა რისხვა იგი. მას ჟამსა განაქარვეს, არამედ ძვირის ხსენებისათვის არა იღვაწეს, და ამისთვის დაადგრა გულსა შინა მათსა ერთმან ერთისა ძვირი.

ქ სხვა არს ძვირის ხსენება, და სხვა არს რისხვა, და სხვა არს გულის წყრომა, და სხვა არს შფოთი: და გითხრა თქვენ სახე რაიმე, რათა განეშოროთ. რომელი აღაგზებდეს ცეცხლსა, პირველად აქვს მცირე ნაკვერცხალი: ესე არს სიტყვა ძმისა მიმართ გულის საკლებელი, და უკეთუ გინდეს შემძლებელ ხარ დავსებად მისსა მოთმი-

### სწავლა მკრვე

ნებიითა.

ჴ უკეთუ დაადგრე და იგონებდე, თუ: „რად მრქვა მე ესე რაიმე, და მეცა ვრქვა მას სიტყვა გულის-საკლებელი,“ აჰა ესერა ამით გულის სიტყვითა დართავ შეშასა, გინათუ სხვასა რასმე, და აღადგენ კვამლსა; ხოლო კვამლად ვიტყვი შფოთსა. და შფოთი არს აღძვრა და განზრახვა გულის სიტყვათა მოყვისისათვის, რომელი აღსძრავს და განაფიცებს გულსა.

ჴ სიფიცხლე არს წვრთა ნაცვლისა მიგებისა, შემაწუხებელისა თვისისა, რომლისაგან იქმნების კადნიერება, ვითარცა იტყვის წმიდა აბბა მარკოსი ვითარმედ: „სიბოროტე გულსა შინა მოწვრთილი განაფიცებს გულსა, და რაჟამს ლოცვითა და სასოებითა განქარდეს იგი, მაშინ შეიმუხრვის გული.“ რამეთუ უკეთუმცა გეტვირთა მცირე იგი სიტყვა ძმისა შენისა, დაგვესოცა ნაკვერცხალი იგი, ვიდრე არღა მოსულ-იყო შფოთი; არამედ უკეთუ გინდეს შემძლებელ ხარ მისდაცა დავსებად, დუმილითა და ლოცვითა. და ერთითა გულითა მუხლთა მოდრეკითა.

ჴოლო უკეთუ იწყო კვამლისა მის აღძვრად, რომელ არს სიფიცხლე გულისა, მერმე ვითარცა ვსთქუ ურთიერთისა ცემისაგან გულის-სიტყვათასა განხურდების გული, და მერმე აღენტების გულის-წყრომა. რამეთუ გულის წყრომა არს აღდუღება გულთადისა მის სისხლისა, ვითარცა იტყვის წმიდა ბასილი. აჰა ესერა ესე არს გულის-წყრომა, რომელსა ეწოდების ეგრეთვე ნაღველ-ფიცხელობა, ხოლო უკეთუ გნებავს შესაძლებელ-არს ამისაცა დავსება.

ჴრამედ უკეთუ დაადგრე შფოთსა და გულის წყრომასა ზედა. მაშინ ემსგავსები კაცსა მას, რომელი დაურთვიდეს შეშასა და უფროსდა აღაგზებდეს ცეცხლსა, და მერმე იქმნებიან ნაკვერცხალნი, რომელ არს რისხვა. ხოლო ესე არს რომელსა იტყოდა მამა ზოსიმე, რაჟამს კითხეს მას, ვითარმედ რაი არს სიტყვა ესე: „სადა არა არს

### ძვირის ხსენებისათვის.

გულის-წყრომა მუნ დაყუდდების შფოთი. " რამეთუ პირველად, ვითარცა ვსტქუ, ოდეს იწყოს აღგზებად კვამლისა, უკეთუ ვინმე უსწრას და აბრალოს თავსა თვისსა და შეუვრდეს (მოყვასსა მთხოვნელი შენდობისა), უწინარეს, ვიდრე არა აღგზებულ იყოს გულის-წყრომა; მაშინ იგი დაიცავს მშვიდობასა.

ჴოლო უკეთუ შემდგომად გულის წყრომისა არა დაყუდნეს, არამედ დაადგრეს შფოთსა და სიფიცხლესა ზედა; იქმნების იგი მსგავს მისა, რომელი ურთვიდეს ცეცხლსა ზედა შეშასა, ვიდრემდე იქმნენ ნაკვერცხალნი დიდრონნი. ხოლო ვითარცა ნაკვერცხალნი იქმნებიან ნახშირ, და დაიმარხვიან იგინი მრავალთა ჟამთა, და არცაღა თუ წყალი ვინ დაასხას მას ზედა დაღებებიან: ეგრეთვე რისხვა, უკეთუ დაადგრეს გარდაიქვევის ძვირის-ხსენებად, რომლისაგან კაცი ვერ-განთავისუფლდება, ვიდრემდის არ დასთხევს სისხლთა თვისთა .)

ჴჳა ესერა გითხარ თქვენ თითო სახენი იგი განყოფანი. და გითხრა თქვენ თუ რაჲ არს პირველი იგი შფოთი, ანუ თუ რაჲ არს გულის წყრომა, ანუ რაი არს რისხვა, ანუ რაი არს ძვირის ხსენება. იხილეთაა თუ ვითარ ერთისა სიტყვისაგან მოვიდა ესოდენ სიბოროტემდი? რამეთუ უკეთუმცა პირველითგანვე ებრაღა თავსა-თვისსა (მოთმინებით), და ეტვირთა სიტყვა იგი ძმისა თვისისა, და არა განემართღა თავი თვისი, და არა მიეგო ერთისა წილ სიტყვისა ხუთი, გინა ათი და ბოროტისა წილ ბოროტი, არამცა წარეკიდებოდეს ეგე ზომნი ბოროტნი. ამისთვის, მე გეტყვი თქვენ ვითარმედ: ბრძოდეთ ვნებათა ვიდრეღა არიან ჩხვილნი, რათა არა განდიდნენ, და მერმე იქირვოდით, რამეთუ სხვა არს აღმოფხვრა მცირისა თივისა, და სხვა არს დიდისა ხისა.

ჴრა რაიმესა ესოდენ არ განკვირვებულ ვარ, როგორც მას-ზედ, რომელ თვით ჩვენ ვერ გულის-ხმა

ჴ) სიტყვა სისხლთა დასთხვისა --- ნიშნავს აქ: დადს ღვაწლსა და შრომასა.

### სწავლას მერვე

ვყოფთ რასაც ვლოცულობთ. რამეთუ ჩვენ ვლოცულობთ ყოველ-დღეს, ვსწყევთ თავთა ჩვენთა, და მას ვერ გულის ხმა ვყოფთ.

ნუ თუ მოვალე არა ვართ, რომ გულის ხმა ვყოთ ამისი რასაც ვლოცულობთ? ჩვენ ვიტყვით მარადის: რამეთუ უკეთუ მემცა სადა ვაგე, ყოველთა რომელთა მომაგეს მე ბოროტი: განსადა-ვარდე მე მტერთა ჩემთაგან ცუდი (ფსალ. 7. 5). რაჲ არს განვრდომა მტერთაგან? ოდეს კაცი სდგეს, ძალუძს მას ბრძოლად მტერისა თვისისა; დაღაცათუ ოდესმე სძლევედეს, და ოდესმე იძლეოდეს; არამედ იგი კვალად სრულებით სდგეს. ხოლო თუ შეემთხვეს მას დაცემა, მაშინ ვითარ შემძლებელ არს იგი ბრძოლად მტერთა თვისთა? ხოლო ჩვენ ვილოცავთ, რათა არა ოდენ დავეცნეთ, არამედ ამასცა ვილოცავთ რათა არა ცუდად დავეცნეთ. ხოლო რაჲ არს მტერისაგან ცუდად დაცემა? ვსთქვით ვითარმედ დაცემა არს, რომელსა არღა ქონდეს ძალი წინააღდგომად მტერისა; ხოლო ცუდი არს რომელსა არა რაჲ კეთილი ქონდეს, რომლითა შემძლებელ იყოს კვალად აღდგომად. თუ რომელი აღსდგეს მას შეუძლია კვალად ზრუნვა თავისა თვისისა. ხოლო კვალად ვიტყვით: დევნოს მტერმან სული ჩემი, და ეწიოს მას; არათუ ოდენ დევნოს, არამედ ეწიოსცა მას. რათა ვიქმნეთ ქვეშე ფერხთა მისთა (დამორჩილებულ), და რათა ქონდეს მას ჩვენ ზედა ხელმწიფება, უკეთუ მივაგოთ ბოროტის მყოფელთა ჩვენთა ბოროტი. და არა ოდენ ამას ვილოცავთ, არამედ ვიტყვითცა: დათრგუნოს ქვეყანასა ცხოვრება ჩემი. რაჲ არს ცხოვრება ჩვენი? ცხოვრება ჩვენი არიან სათნოებანი, და ჩვენ ვილოცავთ, რათა დასთრგუნოს მტერმან ცხოვრება ჩვენი ქვეყანად. რა იქმნას გონება ჩვენი და ცხოვრება ჩვენი ქვეყანასა. და დიდება ჩვენი მიწასა ზედა დაემკვიდრნენ:

ხოლო რაჲ არს დიდება ჩვენი? დიდება ჩვენი არს გულის ხმის ყოფა იგი, რომელი მოვალს ჩვენ ზედა.

ძვარას ხსენებისათვის,

დაცვითა მცნებათათა. და ამისთვის ვიტყვი, რათა იქმნეს დიდება ჩვენი, ვითარცა იტყვის მოციქული სირცხვილ ჩვენდა, დაითრგუნოს ცხოვრება ჩვენი და დიდება ჩვენი მიწასა, რათა ვერღარას საღთოსაგან ვიგონებდეთ, არამედ ყოველსავე ხორცთასა, ვითარცა წერილ არს: ვითარმედ: „არა დაემკვიდროს სული ჩემი კაცთა ამათ თანა, რამეთუ არიან იგინი ხორც (შექმნ. წ. 3). აჰა ესერა ამათ ყოველსავე ვილოცავთ, და თავთა ჩვენთა ვსწყევთ, უკეთუ მივაგებდეთ ბოროტსა ბოროტისა წილ

— ჩოლო ვითარ მივაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, და ვითარ არა გულის ხმა ვყოფთ? რამეთუ არს ბოროტისა მიგება, არაოდენ საქმით, არამედ სიტყვითაცა, და სახითაცა; ხოლო არს რომელსა გონიეს, ვითარმედ არა მიაგებს ბოროტსა საქმით, გარნა მიაგებს იგი სიტყვითა გინა სახითა, გინა შეხედვითა. რამეთუ არს შეხედვაცა რომლითა შესაძლებელ არს დაბრკოლება მოყვისსა, და არს ესეცა ბოროტისა მიგება. არს კაცი რომელი არცა საქმით არცა სიტყვით, არცა სახით მიაგებს ბოროტსა, ხოლო არს გულსა მისსა ძვირი მისსა მიმართ. არს სხვა რომელსა არცა გულსა შინა, უძს ძვირი მისა მიმართ, ხოლო უკეთუ ესმეს მისი რაიმე ბოროტი უხარიან, და არს ესეცა ბოროტისა მიგება გულსა შინა. არს სხვა რომელსა არცა ძვირი რაიმე უძს გულსა შინა, არცა უხარიან ბოროტი მისი, არამედ გულსა აკლს, და არა უნებს კეთილი მისი, და ესეცა ძვირის ხსენება არს უსუბუქესი სხვათასა, გარნა ესეცა არს ძვირივე.

— ჩოლო არს სხვა, რომელსა უხარიან კეთილი ძმისა, და ყოველსა ღონესა იქმს პატივისცემად და დიდებად მისა.

— ჩოლო ვითარცა ვსთქუთ. პირველ არს სხვა ოდეს დაბრკოლდენ ურთიერთ არს მოუღრიკნა მას მუხლნი, და რისხვა იგი მას ჟამსა განკურნა. ხოლო ძვირის ხსენებისათვის არა იღვაწა, არამედ დაადგრა ძვირი მისი გულ-



### სწავლა შერვა

სა მისსა.

ქ არს სხვა უკეთუ ვისდამე მიმართ დაბრკოლდეს და შეუვრდენ ურთიერთ-არს იქმს მშვიდობასა და არა დაიმპირავს გულსა თვისსა ძვირსა; ხოლო უკეთუ შემდგომად დღეთა რაოდენთამე იქნეს მათ შორის დაბრკოლება, მეყვსეულად მოიხსენებს პირველსა მასცა და აღიძვრის არა მეორისა თვის ოდენ, არამედ პირველისათვისცა; ხოლო ესე ვითარი მსგავს არს კაცისა მის, რომელსა ქონდეს წყლულება რაიმე, და განიკურნოს იგი, არამედ ჯერეთ იყოს უძლური ადგილი იგი, და უკეთუ რაიმე ეცეს მას მეყვსეულად იწყებს იგი უფროს ყოველთასა გვამისა ტკივილთა.

ჟერეთვე ამას აქვნდა წყლულება და განიკურნა იგი სინანულითა, ვითარცა პირველმან მან რისხვაჲ. ხოლო იწყო ბრძოლად ძვირის ხსენებამან, რამეთუ არა აქვნდა გულსა მისსა ძვირი, ხოლო ჯერეთ არა სრულიად განკურნებულ იყო იგი, არამედ წუთ იყო ნეშტი ძვირის ხსენებისა მისთანა, და ამისთვის მალედ აღიძრა ყოველივე იგი წყლული. და ესრეთ უხმს მას, რათა იღვაწოს სრულიად განკურნებად წყლულისა მის, რათამცა გამოხდეს ადგილსა მისსა, მისსა, და არა-ჩნდეს ყოვლადვე თუ ყოფილ არს წყლული ადგილსა ამას. ვითარ შესაძლო არს ამის მიწევნა? ხოლო ამას წარმართებს მას ლოცვითა შემაწუხებელისა თვისისათა, რათა იტყოდის: **იმერთო!** შეეწიე ძმასა ჩემსა და მეცა, დამიცევ ლოცვითა მისითა, და აღასრულებს იგი ღმობიერებასა და სიყვარულსა.

ღ ულოცავნ ძმასა თვისსა და სიმდაბლით ითხოვს ლოცვითა მისითა ივთისაგან შეწევნასა: ხოლო სადა არს ღმობიერება და სიყვარული და სიმდაბლე მუნ ვერა რაჲ ძალ უძს გულისწყრომასა და ძვირის ხსენებასა, არცა სხვასა რას ვნებასა, ვითარცა სთქვა მამამან ზოსიმე, ვითარმედ: „უკეთუ აღძრნეს ყოველნი მანქანებანი უკეთუ-

ქვირის სსენებისათვის.

რებისა მისისანი ეშმაკმან, ყოველთა ეშმაკთა მისთა თანა ყოველნივე მოუძღურდებიან და შეიმუხრვიან სიმდაბლი-სა მიერ მცნებისა ქრისტესისა.“ და კვალად წერილ არს: „რომელი ულოცვიდეს მტერთა თვისთა იგი ძვირ-უხსე-ნებელ არს.“

ქმოდეთ და გულის-ხმა-ყავთ კეთილად, რამეთუ რაიცა გვესმოდის კეთილი; უკეთუ საქმით არა იქმიდეთ, სიტყვითი ვერა რას კეთილსა ისწავებთ. ვინ არს კაცი რომელი ისწავებდეს ხელოვნებასა რასმე და სიტყვით ოდენ მცა დაისწავა იგი? არამედ პირველად დაშვრების და იჭირვის და რომელსამე იქმს და განრყვნის. და ეს-რეთ ოდენ იჭირვოდის იმერთი შეეწვევის მას და ისწავე-ბს. ხოლო ხელოვნებასა მას ხელოვნებათასა სიტყვით ვლამით დასწავლასა, და ვითარ იქმნეს ესე? ვეკრძალნეთ თავთა ჩვენთა ძმანო და ვიქმოდეთ მოსწრაფებით კეთი-ლსა, ვიდრეღა გვაქვს ჟამი. იმერთმან მოგვმადლენ და-მარხვა, რომელიცა გვესმოდის კეთილი, რათა არა დასა-სჯელად გვექმნეს ჩვენ ღღესა მას სასჯელისასა. **ძ** მისა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკე ან.

სწახვლა მეცხრე

ტყუადისათვის

ზნებავს, ძმანო, თქმად თქვენდა ტყუილისათვის მცირედ რაჲმე, რამეთუ გხედავ თქვენ ვითარმედ არა ისწრაფით დამარხვად ენისა თქვენისა, და ამის საქმისა-გან მრავალთა ბოროტთა შთაიჭრებით. იხილეთ ძმანო ჩემნო, რამეთუ ყოველსავე საქმესა ზედა ჩვეულება არს კეთილსაცა ზედა და ბოროტსაცა. ხოლო გვიხმს ჩვენ ბრძოლა, რათა არა წარვიტაცებოდით ტყუვილისაგან, რამეთუ არავინ მტყუარი მიეახლების იმერთსა.

**ძ** წერილ-არს ვითარმედ ტყუილი ეშმაკისაგან არს, და კვალად წერილ არს ვითარმედ, და მტყუარი არს

### ტყუილისათვის

მამაცა მისი (იოან. 8, 44). აჰა ესერა მამად ტყუილისად იტყვის ეშმაკსა, ხოლო ჭეშმარიტება არს იმერთი; რამეთუ იტყვის: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება (იოან. 14. 6). იხილეთ თუ ვისგან განვეშორებით, ანუ ვის შეეყოფით ტყუილითა: საცნაურ არს ესე ვითარმედ ეშმაკსა.

ჴოლო უკეთუ გნებავს ჭეშმარიტად ცხოვრება, ვეკრძალნეთ ყოვლითა ძალითა ჩვენითა ტყუილსა, და დავიმჭიროთ ჭეშმარიტი, რათა არა განვეშორნეთ ჭეშმართისა ცხოვრებისაგან. ხოლო სამნი ტყუილნი არიან: არს ტყუილი გონებით, და სიტყვით და საქმით: გონებით არს ოდეს კაცი დაიჯერებდეს ჰაზრსა, და ოდეს ვინ იხილოს, ვითარმედ უბნობს მეორისა თანა: იტყვის ვითარმედ ჩემთვის უბნობენ.

შა უკეთუ არღა უბნობდენ, იტყვის: ჩემთვის დაუტევეს უბნობა იგიო. და უკეთუ ვინმე სთქვას სიტყვა რაიმე იტყვის ვითარმედ გულის კლებისა ჩემისათვის თქვა. და ესრეთ რაიცა იხილოს საქმე მოიგონებს, ვითარმედ ჩემთვის ქმნა მან ვინმე ესე საქმე. ესე არს გონებით ტყუილი, რამეთუ არა-რას ჭეშმართსა იგონებს; ხოლო ამისგან მოვალს განკითხვა მოყვისისა, ყურის მიპყრობა, შფოთი, ძვირის-ზრახვა. ხოლო ნუ უკვე, რომელი იგი მან ჰაზრი ყვის არნ ეგრეთ, და მიფრითგან იწყის დაჯერებად, და სცდებინ იგი მიზეზითა კეთილისათა, და იტყვიან ვითარმედ უკეთუ ვინმე იტყოდის ჩემთვის ბოროტსა რასმე; რამეთუ უკეთუ მიწთომილ ვიყო, განვმართლდე; ხოლო ვითარ შესაძლებელ არს ესე, რამეთუ მან პირველად ტყუვილით იწყო გამონახვად ჰაზრთა, და რომელი არა იცოდა მოიგონა; ხოლო ვითარ შესაძლებელ არს, თუმცა ხემან ხენეშმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს? (მატთ. 7, 18).

ჴარნა უკეთუ უნებს განმართლება ბოროტისაგან, ოდეს რქვას მას ძმამან მისმან, ვითარმედ მაგას რასმე ნუ

### სწავლა მეცხრე

იქმ; ანუ ეგე რაიმე არა კეთილად ქმენ, ნუ აღშფოთნების, არამედ მოუდრიკნეს მას მუხლნი და მადლობდეს. და უკეთუ იხილოს იმერთმან ეგე ვითარი მისი გულს მოდგინება, არა უტეოს იგი შთავერდომად ცოდვასა, არამედ მოუფლინოს მას კაცი, რომელი ეტყოდეს უმჯობესსა მისსა. ხოლო ესე საქმე თუ აგონოს, ვითარმედ ამისთვის დავიჯერებ ჰაზრთა, რათამცა ბოროტისაგან განვეკრძალებ, ეშმაკისა მანქანება არს ესე რათამცა მოგვაცთუნნა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა, მაცთუნებდა მე გულის სიტყვა ჩემი, ვითარმედ შეხედვით ვსცნობ საზომსა კაცისასა; ხოლო ერთი საქმე შემემთხვია მე, ესე ვითარი. ოდესმე ვსდგე და ვიხილე დედაკაცი ერთი, რომელ წარმოვლიდა; და მოქონდა მას წყალი კოკითა, და არა ვიცი თუ ვითარ აღმიტაცა გონებაჲმან ჩემმან, და შევხედენ თვალთა მისთა, და ვითარცა ვგონე ვითარმედ მეძავი არს, და ესე რაჲ მომეგონა ფრიად გულსა შემაკლდა, და უთხარ ბერსა მამასა იოანეს, ესრეთ: „მამაო, უკეთუ ვისიმე ქცევად ვიხილო, და მომეგონოს, თუ ეგე ვითარი რაიმე არს კაცი ესე კეთილ არსა?“ და მომიძნო ბერმან ესრეთ: „ნუ დავიჯერებ ჰაზრსა, რამეთუ მრუდი ჩვეულება მართალსადა განაბრუდებს, და მტყუვარ არიან ჰაზრნი და მავნებელ.“ ხოლო მიერიტვან უკეთუმცა მრქვა გულის სიტყვამან მზისათვის, თუ მზე არს; ანუ ღამისათვის თუ ღამე არს არა დავიჯერი. ეგეზომ ბოროტ არიან აზრნი, რომელ ოდეს დაეყოვნოს ჩვენ თანა, ესე ზომ ვიძლევიტ რომელ, საქმესადა რომელი არა იყოს გვეჩვენებოდის. და გითხრა თქვენ საქმე ესე ვითარი რომელი მე თვით მიხილავს.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მას შინა, იყო მუნ ძმა ვინმე ფრიად უფლებული ვნებისა ამისგან, და ესრეთ დაირწმუნებდა რომელ არღარა ეგებოდა მისი დაჯერება საქმისა მისთვის, რომელი მოეგონის თუ ესრეთ არს;

### ტყუალისათვის

ხოლო ვითარცა ჟამითი ჟამად ბოროტი იგი წარმატებოდა: ერთსა დღესა შევიდა მტილსა, რამეთუ მას უმზირდა იგი და ყურსა უპყრობდა რათამცა ვინმე იხილა ბოროტისა რაისამე საქმესა ზედა; და იხილა მან ძმა ერთი, რომელი რეცა თუ სჭამდა ლედვსა; ხოლო იყო პარასკევი და ჟამი მეორე; ხოლო იგი დუმილით განვიდა მუნით. და ვითარცა წარვიდეს ჟამსა ზიარებად, დაუგლო მან თვალი, რათამცა იხილა თუ ეზიარების რა ძმა იგი; და ვითარცა იხილა ვითარმედ იბანდა იგი ხელთა, რათამცა შევიდეს და ეზიაროს. მეყვსეულად წარვიდა და რქვა მამასახლისსა ვითარმედ: „იხილე, ძმა ესე ვითარნებავს ზიარება; მე ვიხილე იგი დღეს მტილსა შინა, რომელი იპარვიდა ლედვსა და სჭამდა.“ ხოლო ვითარ შევიდა ძმა იგი ღმობიერებითა დიდითა ზიარებად, რამეთუ იგო იყო ფრიად სულიერი. მოუწოდა მას მამასახლისმან, ვიდრე არა მიახლოებულ იყო იგი მღვდლისა, და განიყვანა იგი თვისაგან და რქვა მას: „მიტხარ, ძმაო, რაი არს რომელ ქმენ დღეს?“ ხოლო მან. რქვა: „სადა, მამაო?“ რქვა მას მამამან: „ოდეს შეხვედ მტილსა, რასა იქმოდო?“ ძმა იგი განკვირდა სიტყვასა მას ზედა, და რქვა მას: „მამაო, მე დღეს არც მტილი მიხილავს, არც ვიყავ მე აქა, არამედ აწლა მოვედ გზით, რამეთუ გამოვედით რაჲ ეკლესიით, წარმავლინა მე იკონომოსმან მას რომელსამე საქმესა, ხოლო იყო საქმე იგი შორს მრავლით მილიონით. და უხმო მამასახლისმან იკონომოსსა და რქვა ვითარმედ: „სად წარავლინე ძმა ესე დღეს?“ მანცა იგივე რქვა, რომელი თქვა ძმამან მან. მამასახლისმა რქვა იკონომოსს: „რასათვის შენ არ მოიყვანე ჩემთან ეგე კურთხევის მიღებისათვის?“ მოიდრიკნა მუხლნი და თქვა: „შემინდვე მამაო, რამეთუ განისვენებდით თქვენ მცირედ, და ამისთვის დავაცადე, და არა მოვიყვანე იგი რათამცა აღილო ლოცვა თქვენგან“.

ოდეს იღუმენი დარწმუნებულ იქმნა, მაშინ წარავ-

### სწავლა ქეცხრე

ლინა ძმა იგი ლოცვით რათა ეზიაროს; და მოუწოდა ძმასა მას, და დასდვა მას კანონი და განაყენა იგი ზიარებისაგან. და არა ესოდენ არამედ წინაშე ყოველთასა ამხილა მას, და ცრემლით ასწავებდა ყოველთა; და ესე ყო სამის სარგებელისათვის: ერთად რათა ეშმაკსა რცხვენეს, რომელმან მოაგონა მას იგი; და მეორედ, რათა შეენდოს ძმასა მას ცოდვა იგი სირცხვილითა მით, და მიერთებან შეეწიოს მას იმერთი; ხოლო მესამედ, რათა ერგოს ძმათა და ეკრძალებოდენ ვნებასა ამას.

შა ფრიად გვასწავა ჩვენ, და ძმასა მას, და იტყოდა ვითარმედ არა რაჲ უმძიმეს არს საექვო-ჰაზრთა და გვიჩვენებდა ჩვენ მაგალითთა საქმისა მისგან, და სხვათა მრავალთა სახეთა გვითხრობდა, რათა არა დავიჯერებდეთ ჰაზრითა.

ქრამედ ვისწრაფოთ, ძმანო, ყოველითა ძალითა ჩვენითა, რათა არა დავირწმუნებდეთ ჰაზრთა, რამეთუ არა რაი ესრეთ განაშორებს კაცსა ზრუნვისაგან ცოდვათა თვისთასა; არამედ მას გამოეძიებს საქმეთა, რომელნი არად არიან სარგელ მისსა: ამის საქმისაგან არა რაჲ კეთილი მოვალს, არამედ ყოვლადვე შფოთი, და გულის კლება; ამისგან ვერ მოვიგებთ შიშსა ივთისასა.

შაღაცათუ ბოროტი რაჲმე ჰაზრი ვყოთ, გარდავაქციოთ იგი კეთილად, რამეთუ ბოროტი არს იქვი და ფრიად ავნებს სულსა. და ესე არს ბუნებით ტყუვილი.

ქ სითყვიტ ტყუვილი არს, ოდეს კაცსა სცონოდის აღდგომად ლოცვასა, და არა იტყოდის ვითარმედ „შემინდვე, ვითარმედ უდებებისაგან ვერ აღვსდვე;“ არამედ იტყვის: ათსა ტყუვილ სიტყვასა, რათამცა არა დამდაბლდა და მოიდრიკნა ერთი მუხლი. და უკეთუ კვალად ვინმე აბრალოს მას საქმისა რაისათვისმე იწყებს მეყვსეულად სარჩლად, და განმართლებად თავისა თვისისა, ვითარმედ: „შენ სიტყუ, ანუ თუ შენ ქმენ, და არა მე;“ და მრავალთა სიტყვათა იტყვის; რათამცა არა დამ-

### ტყუილასათვის

დაბლდა. და კვალად უკეთუ რასმე გული უთქმოდეს, არა იტყვის თუ ამას რასმე „გული მითქვამს;“ არამედ იწყებს სიტყვათა მოქცევად თუ „ესე რაიმე მჭირს მე, ანუ თუ იგი რაიმე მჭირს, და ესე რაიმე მინებს“ ვიდრემდის აღასრულოს გულის თქმა თვისი.

ღი ყოველი ცოდვა იქმნების, ანუ გემოთ მოყვარებისაგან, ანუ ვეცხლის მოყვარებისათვის, ანუ დიდების მოყვარებისათვის: და ეგრეთვე ტყუილი სამთა ამათგან იქმნების. ანუ ამისთვის ტყუვის კაცი, რათამცა არა აბრალებს თავს და არ დამდაბლდება; ანუ რათამცა ყო ნება თვისი, ანუ რათამცა შეიძინა რაიმე ესე ვითარისა ამისგან, არა რაისა ეგების დაჯერება, არამედ დალაცათუ ჭეშმარიტსა იტყოდის საეჭველად ებოვების იგი.

ჩოლო უკეთუ იყოს საქმე ესე ვითარი რაიმე, რომელ უკეთუ არა დაფაროს მოვიდოდის იგი უფროს შფოთსა და გულის კლებასა; მაშინ ჭირისა მაგიერ თქვას სიტყვა ტყუილით უმეტესისა ბოროტისათვის, ვითარცა რქვა მამამან ალონი<sup>5</sup>, მამასა აღათონს. ვითარმედ აჰა ესერა ორთა კაცთა წინაშე შენსა კაცი მოკლეს, და ერთი იგი წარვიდა და დაიძალა სენაკსა შინა შენსა, და მსაჯული ეძიებს მას, და გკითხეს შენ, ვითარმედ რაჲ იქმნა კაცი იგი, და შენ უკეთუ არა დაფარო მისცემ კაცსა მას სიკვდილად. ხოლო ოდეს ჭირი ეგე ვითარი მოიწიოს, ნუცა მაშინ უზრუნველ იქმნების კაცი, არამედ რათა ევედრებოდის იმერთსა ცრემლით, და რათა უჩნდეს ჟამი იგი ჟამად განსაცდელისა.

ჩრამედ ზედას ზედა, ნუცა ამას იქმან, რამეთუ ვითარცა თერია და ვითარცა წამალი განსახსნელი, უკეთუ ზედას ზედა ვინმე მიიღებდეს მათ ავნებს; ხოლო უკეთუ წელიწადსა შინა ერთგზის მიიღებდეს ჭირისა რაისათვისმე ერგებიან ფრიად; ეგრეთვე საქმე ესე ჭირისა მაგიერ, რათა ტყუოს შიშით და ძრწოლით, და რათა უჩვენოს იმერთსა გულს მოადგინებაცა თვისი და ჭირიცა იგი და



### სწავლა მეცხრე

მან დაიცვას. და უკეთუ არა-ამისგანცა ვენების.

წჳა ესერა ვსთქუთ თუ რაჲ არს გონებით ტყუილი, ანუ თუ რაჲ არს სიტყვით ტყუილი. ხოლო აწ ვსთქვათ თუ რაჲ არს ცხოვრებასა შინა თვისსა ტყუილი. ცხოვრებასა შინა ტყუილი არს ოდეს კაცი მსიძავი იყოს და აჩვენებდეს მარხვასა; ანუ ოდეს იყოს ანგარ და ასწავებდეს მოწყალებასა, ანუ ამპარტავან იყოს და უკვირდეს სიმდაბლისათვის, და არა ქებისათვის მის სათნოებისა უკვირს იგი; რამეთუ უკეთუმცა ამით გულის სიტყვითა იტყოდა, პირველადმცა უძლურება თვისი აღეარა და თქვა: „ვაიმე უბადრუკსა, რამეთუ დაცუდებულ ვარ ყოვლისა კეთილისაგან;“ და მერმემცა აქებდა სათნოებასა ამას, არამედ არა ამისთვის აქებს. სათნოებასა მას, ხოლო უხმდა მას კრძალვა, რათამცა არავინ დააბრკოლა.

შა რათამცა იტყოდა ვითარმედ: „დაღაცათუ მე უკეთურ ვარ, არამედ სხვასა არა რა ვაწნო.“ დაღაცათუმცა თვით ცოდვიდა, არამედ თავისა თვისისა ბრალლობა სიმდაბლე არს, და კეთილ არს ესე; რამეთუ მოყვისა რიღობა, ღმობიერება არს. არამედ არა რაისათვის ამათგანისა აქებს სათნოებასა მას, არამედ რათამცა დაფარა სირცხვილი თვისი; და ამისთვის შეიმოსს სახესა სათნოებისასა, და უბნობს მისთვის, ანუ რათამცა აწნოს ვისმე. რამეთუ ვერა რაი ბოროტი, ვერცა მწვალებელნი, ვერცა თვით ეშმაკი ვერა რაით აცთუნებს ვის, უკეთუ არა შეიმოსოს სახე სათნოებისა. ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ უკეთუ ეშმაკი იცვალოს. ანგელოსად ნათლისად, არა დიდ არს, უკეთუ მსახურთა მისთა. შეიმოსონ სახე მსახურთა სიმართლისათა (2 ლორ. 11. 14. 15). ეგრეთვე არს მტყუვარი, ანუ შიშისათვის სირცხვილისა აქებს სათნოებასა, ანუ თუ ვისიმე უნდეს ცთუნება და ამისთვის აქებდეს სათნოებასა, ვითარმცა თვით იგი იქმოდა მას: ესე არს რომელი ტყუვის ყოველსავე შინა

### ტყუალისათვის

ცხოვრებასა თვისსა;

ესე არა არს კაცი მარტივი, არამედ ორკეცი, რამეთუ სხვაჲ არს შინაგან, და სხვა არს გარეგან. ორკეცი არს ცხოვრება მისი და ორივე ცთუნებული. აჰა ესერა ვსთქუთ ტყუილისათვის, რამეთუ ეშმაკისაგან არს და ვსთქვით ჭეშმარიტებისათვის, ვითარმედ ჭეშმარიტება იმერთი არს. ხოლო აწ ძმანო ვივლტოდით ტყუვილისაგან, რათა განვერნეთ ნაწილისაგან ეშმაკისა, და მოვიდოთ ჭეშმარიტება, რათა მივეახლნეთ მას, რომელმან სთქვა: მე ვარ ჭეშმარიტება (იოან. 14. 6). იმერთმან ღირს მყენინ ჩვენ ჭეშმარიტებასა თვისსა. ამინ.

### სწავლა ძეათე

რათა შრომათა და გულის ხმის ყოყითა ვიდოდეთ გზათა იგთა-სათა.



იზრუნოთ ძმანო, თავთა ჩვენთათვის, განვიფრთხოთ და შევიგონოთ, რა უნდა მოგვცეს ჟამმანამან. ნუ თუ ვკარგვიდეთ ამოდ? ჭეშმარიტად უწყოდეთ, რომ ვეძიებდეთ დღეთა ამათ და ვერ ვბოვებდეთ. აბბა არსენი ეტყოდა მარადის თავსა თვისსა ვითარმედ: „არსენი, მოიხსენე რომ აღასრულო, რომელიცა გაქენდა გონებაში, გამოხვიდოდი რაჲ სოფლით.“

ხოლო ჩვენ იმოდენი უდებებით ვიქცევით, რომ არცა თუ ვიცით, რისთვის გამოვედით სოფლით, და არცა ვუწყით რაჲ იყო რომელიცა გვინდოდა: და ამისთვის არცა თუ წარვემატებით, არამედ ვიჭირვით მარადის და ესრეთ არს ჩვენ ზედა განუფრთხობელობისა გამო ჩვენისა; უკეთუ გვენება ჭეშმარიტი ღვაწლი მცირედ: არცადა ვიჭირვოდით მრავალსა, არცათუ გვენება მრავალი შრომა; უკეთუ დასაწყისიდან აქვს ვიეთნიმე შრომა,

### სწავლა მკათე

გარნა მცირითა მით ღვაწლითა აღუსუბუქდების, და შემდეგ უჭირველად იქმს სათნოებასა; რამეთუ ღმერთი ხედვიდეს რა შრომასა, მისცემს მას შეწევნასა. აწ ვისწრაფოთ ძმანო თავთა თვისთა თვის, ვქმნეთ დაწყება და გვინდოდინ კეთილი.

ჲ უკეთუ დასასრულსა ვერ მიწვენილ ვიყვნეთ და გვსუროდესცა მიწვენა, დაწყებასავე ვართ გზისა მის ცხოვრებისასა. რამეთუ სურვილითა მოვალთ შეწვევითა ივთისა ღვაწლსა შინა, და რაჲ ვიღვწოდეთ გვიხმს შეწვენა ვიეთგანმე სულიერთა მამათა, რათა მოვიგნეთ სათნოებანი. რამეთუ ამისთვის იტყოდა ვიეთნიმე მამათაგანი „მიეცი სისხლი, და მიიღე სული,“ ეგრეთ იღვწოდეთ და იბოვნეთ სათნოებათა შინა. ხოლო ოდეს ვისწავებდი სწავლათა საფილასოფოსთა, დასაწყისში ვიჭირვოდი მრავალსა, და ოდეს მივიდოდი წიგნის ასაღებად მივიდი ვითარცა სურინ მონადირესა ნადირობად ნადირისა; და ვითარცა ვიყავი მოსწრაფე თვისთა თავთათვის, შემწე მეყოილმერთი. რამეთუ იმზომადმდე დავეჩვიე სწავლაში, არცა-ლათუ იწყოდი რასალა ვსჭამდი და ვსვემდი და ვითარ დავიძინი მხურვალეებისაგან სწავლისა, და არცა ოდეს მივიდი სიყვარულისათვის საჭმელ სასმელისა მეგობართა ჩემთა თანა, და არცა თუ ვზრახვედი მათ, ჟამსა სწავლისასა. ხოლო ოდეს წარვიდი სასწავლოთ დავიბანნი; რამეთუ მრავლისა კითხვისაგან ვერ მოვითმენდი უბანელად, და მერმე წარვიდი საწოლად ჩემდა. ხოლო მყვა მე მოყვარე ერთი, და იგი განმიმზადებდა მე საჭამლსა, და რაიცა რა განემზადის მას ვსჭამდი. და ვსჭამდი რა წიგნი თანა მიძნ და ვიკითხვიდი, და ოდეს დავიძინი, მახლობელად ჩემსა სძვენ, საკარცხულსა ზედა მცირედ რა დავიძინი, მეყვსეულად აღვსდგი, და ვიკითხვიდი, და კვალად მწუხრსა აღვანთი სანთელი და შუალამემდი ვიკითხვიდი.

ჲ ოდეს მოვედ მონასტრად, ვეტყოდი თავსა ჩემსა: უკეთუ საფილასოფოსოს სწავლასა ზედა, ეგე ვითარი სი-

თუ როგორ ჟერ არს განვლა გზათა-მკთისათა.

მხნე მქონდა, ვითარმედ უფროსლა აწ ჯერ-არს, რათა მქონდეს მხურვალეობა ეგე ვითარი სულიერთა სათნოებათა ზედა, და მომეცემოდა ფრიადი ძალი საქმისა ამისგან. ხოლო ესე უწყოდეთ ვითარმედ, რომელსა უნებს მოგება სათნოებათა, არა უხმს მას განცხრომა, არცა უწყესობა, არამედ რათა მას ოდენ ებრძოდის. რამეთუ ვითარცა კაცსა რომელსა უნდეს სწავლა ხუროებისა არა ებრძვის სხვათა სახელოსნოთა, არამედ მას ოდენ; ეგრეთვე სულსა უხმს რომელსა უნდეს მოგება სათნოებათა რაისამე, რათა სხვათა საქმეთა არა რას მიხედვიდეს, არამედ რათა ღამე და დღე მას იწვრთიდეს, თუ ვითარ მოიგოს იგი. ხოლო რომელი არა ამით სასოებითა ებრძოდის საქმესა სულიერებრისა იგი ურგებად იჭირვის. რამეთუ უკეთუ კაცმან არა ფრთხილად დაიცვას თავი თვისი მალე მიდრკების იგი მართლისა გზისაგან. რამეთუ სათნოებანი საშუალნი არიან, ვითარცა სთქვა წმიდამან ბერმან, ვითარმედ: „გზასა სამეფოსა ვიდოდეთ და მილითა თვალევიდით.“ ხოლო ვითარცა ვსთქუ სათნოებანი საშუალნი არიან, რამეთუ არცა მეტი არს კეთილ, არცა ნაკლები, ამისთვის წერილ არს, ვითარმედ: ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეფოსა ვიდოდეთ (ჰეორ. 5, 32, 17, 11). და წმიდა ბასილი იტყვის. „ვითარმედ წრფელი გულითა იგი არს, რომლისა გული არა იყოს მოყვარე მეტისა, გინა ნაკლებისა, არამედ რათა დგეს იგი საშუალსა გზასა ზედა სათნოებათასა.“ რამეთუ მე ამას ვიტყვი ვითარმედ ცოდვა თავით თვისით არა რაი არს, არცა არსება არს იგი, არცა ხორცნი ასხენ, ნუ იყოფინ; არამედ ოდეს სული მიდრკეს სათნოებისაგან იქმნების იგი ვნებულ, და მერმე აღასრულებს იგი ბოროტსა, და მერმე მის მიერ იტანჯვის, რამეთუ ბუნებითა განსვენებასა ვერა პოებს მისთანა. ვითარცა შეშა, არათუ თვით შეშასა შინა არს ჭია, არამედ იქმნების მას შინა მცირედი სიმბალე, და სიმბალისა მისგან იშვების

### სწავლა მეათე

ქია, და ქია იგი შესჭამს მას.

მა ვითარცა სპილენძი თვით იქმს გესლსა და თვითვე გესლისა მისგან განილთვის და ვითარცა სამოსელი თვით იქმს გრკილსა (მლილსა) და მერმე მისგან შობილი იგი გრკილი განრბწნის მას, ეგრეთვე სული თვით შობს ბორროტსა, და რომელი იგი არა სადა ჩნდა და არცა სადა იყო; და მერმე თვით სული იტანჯვის ბორროტისა მისგან; ვითარცა ხორცნი უძღურნი. რამეთუ ოდეს რაიმე ევწროს სხეულსა, და არა განიკურნოს თავი თვისი სიმართლესავე თვისსა, ნივთთა მისთაგანი ერთი ანუ აღემატების, ანუ დააკლდების, და მისგან დასწეულდების. და კვლად ოდეს განმრთელდეს, არა სადა იპოვების სწეულება იგი. ეგრეთვე ცოდვა სენი არს სულისა. რაჟამს დააკლდეს სული სიმართლისაგან თვისისა ბუნებითისა, რომელ არს სათნოება, მეყვესეულად მოუძღურდების. ხოლო ვითარცა ვსთქუთ სათნოებანი საშუალნი არიან, რამეთუ სული მხნე საშუალ არს მოშიშებისა და სიფრთხილისა. მა სიმდაბლე საშუალ არს ამპარტავანებისა (ზვაობისა) და კაცთ მოთნებისა; ეგრეთვე კეთილ კრძალულება—საშუალ არს, სირცხვილისა და ურცხვინოებისა, და ეგრეთვე მსგავსად ამისა ყოველნი სათნოებანი. და უკეთუ აბოოს კაცი, რომელთა ღირს იქმნას დამარხვად სათნოებათა ამათ, იგი იპოვოს პატიოსან წე ივთისა. ხოლო უკეთუ არა იმარხვიდეს კაცი თავსა თვისსა ფრთხილად, ადრე მიდრკების იგი მარჯულ, ანუ მარცხულ: ესე არს ანუ სიმაღლედ, ანუ სიმდაბლედ, და მერმე მოუძღურდების სული. აჰა ესერა ესე არს გზა იგი სამეუფო, რომელი ვლეს ყოველთა წმიდათა.

ხოლო მილნი ესე არიან ცხოვრებანი თითო სახენი, რომელთა უნებს კაცსა თვალვა ყოვლადვე და ხედვა თუ რომელსა მილსა მიწვევულ არს, რამეთუ ყოველნივე მსგავს ვართ კაცთა მათ, რომელთა აქვენ გულის სიტყვა წარსლვად იერუსალიმად, და გამოვიდეს ერთი ქალაქით,

თუ როგორ ჯერ არს ცნება ცხათა-მცისათა.

და რომელთამე ვლეს ხუთი მილიონი და დადგეს, და რომელთამე ვლეს ათი, და რომელთამე ვლეს ვიდრე ნახევრადმდე გზისა, და რომელნიმე გამოოდენ ვიდეს ქალაქით თვისით და ყოვლადვე არა ვლეს, მუნ გარეგან ქალაქისა დაადგრეს და ქალაქად არა შევიდეს, ვგრეთვე ვართ ჩვენ, რამეთუ არიან ვიეთნიმე ჩვენგანნი, დაუტყვევს სოფელი და მოვიდეს მონასტრად გულის-სიტყვითა სათნოებათა მოგებისათა, და რომელთამე წარმართეს მცირედნი, და რომელთამე უფროსრე წარმართეს და დაარჩეს, და რომელთამე ნახევარი ვლეს სრბა იგი მათი და დაარჩეს, და რომელთამე ყოვლადვე არა წარმართეს.

მა გამოვიდეს იგინი სოფლით და დადგეს ზვინი საქმეთავე შინა სოფლისათა და სიმყარლესა შინა ვნებათათასა; ხოლო არიან ვიეთნიმე, რომელნი აღაშენებენ სახონოებასა რასმე და კვალად დაარღვევენ მას; და კვალად არიან სხვანი, რომელნი უფროს აღშენებულსა მის მათრსა დაარღვევენ. ხოლო სხვანი არიან; რომელთა წარმართნეს სათნოებანი, არამედ აქენდა მათ ამპარტავანება და შეურაცხყოფა მოყვისისა, და დაშთეს იგინი გარეგან ქალაქისა, და შინა ვერ შევიდეს, და ვერცა მათ ჰოფს გულის-სიტყვისა ებრ მათისა; დაღაცათუ ბჭეთა ქალაქისათა მიიწინეს, არამედ შინა ვერ შევიდეს და იგინიც ვერ მიემთხვივნეს გულის თქმასა თვისსა. ხოლო ამისთვის ვიტყვი ვითარმედ თითოეულმან ჩვენგანმან სცნან თუ სადა არს: უკეთუ გამოვიდა ქალაქით თვისით და დაშთა გარეგან ბჭისა, სიმყარლესა შინა ქალაქისასა; ანუ წარვლო მცირედი რაიმე, ანუ ნახევარი წარუვლია, ანუ უკლო ორი მილიონი, და წარუვლია ხუთის მილიონის, ანუ თუ მიიწია ბჭეთა ქალაქისათა და შინა ვერ შევიდა, ანუ თუ შესრულ არს ქალაქსა მას წმიდასა იერუსალიმსა, თითოეულმანცა იცის საზომი თვისი, თუ რომელსა საზომსა არს.

ქ საშნი საზომი (სულისა) კაცისანი არიან: არს ორი

### სწავლა მეათე

მელი აღასრულებდეს ვნებასა; და არს, რომელი დააყენებს მას, და არს რომელი აღმოფხვრის მას; აღმასრულებელი ვნებისა არს, რომელი იქმოდის მას და იუოს გონება მისი დამტკიცებულ მას ზედა.

ქ დააყენებელ ვნებისა არს, რომელ არცა იქმოდის მას, არცა გარდაკვეთდეს მას, გარნა თანა წარხდებოდის მას. ხოლო ვნება იგი არს მას შორის, და რომელი აღმოფხვრის ვნებასა, არს რომელი წინა-აღუდგებოდის მას. ხოლო სამთა ამათ საქმეთა აქვს ფრიადი განყოფილება დი სივრცე.

ქ აჰა ესერა ვსთქვათ, რომლისა თვისცა გინებს ვნებისა. თუ გინებს ამბარტავანებისათვის? თუ გინებს სიძვისათვის? თუ გინებს ვსთქვათ უფროს ყოველთასა ცუდად მზვაობრობისათვის?

ქ უფროს ყოველთასა ვიძღვევით მისგან ცუდად მზვაობრობისაგან, ვერ თავს-იდებს კაცი, რომელი ოდეს რაიმე ესმას ძმისაგან თვისისა სიტყვა შეურაცხი, და ერთისა სიტყვისა წილ მიუგებს ხუთსა, გინათუ ათსა და შემდგომად ამისა დაიძვირავს გულსა შინა თვისსა და ინანის თუ რად არ რქვა მას უფროსი, და ამზადებს სიტყვათა უფიცხლესთა.

შა იტყვის თუ რად არა ვარქვ მას, ესე რაიმე, და იგი რაიმეო. აჰა ერთი საზომი, რომლისა გული დამტკიცებულ არს ბოროტსა ზედა. იმერთმან გვიხსენინ ჩვენ საქმისა ამისგან, ესე ვითარისა. ესე საქმე არს ჯოჯოხეთისა ქვეშე. რამეთუ ყოველი საქმით ცოდვა, ჯოჯოხეთისა თანამდებ არს. ხოლო ესე ვით არსა ამას, დაღაცათუ უნდეს სინანული ვერ შემძლებელ არს მარტო სინანულად, ძღვეად ვნებათა, უკეთუ არა ქონდის მათ შეწევნა ვიეთგანმე წმიდათა, ვითარცა მამანი იტყვიან. ეგრეთვე მე ვიტყვი ისწრაფეთ რათა სძლოთ ვნებათა, ვიდრე არა დავეჩვიენეთ მათ.

ჴლო არს სხვა, რომელსა ოდეს რქვას ვინმე სიტყვა რაიმე მეყვსეულად აღიძვრის და მიუგებს ხუთსა გინა



თუ როგორ ჰქვარს განგლა გზათა-ჩეთისათა.

ათსა, ერთისა წილ და გულსა აკლს თუ, რად არა რქვა სხვა უფროსი, არამედ გამორახდენ მცირედნი დღენი დამშვიდდების იგი; ხოლო არს სხვა, რომელი დაყოფს მსგეფესა ერთსა და დამშვიდდების; და არს სხვა, რომელი აღიძვრის და აგინებს და მეყვსეულად დამშვიდდების. ხოლო აწ იხილეთ რაოდენნი საზომნი არიან, ყოველნივე ესე თანამდებ არიან ჯოჯოხეთისა. რამეთუ საქმით იქმან ვნებასა. ვსთქვათ აწ მათთვისცა, რომელნი დააყენებენ ვნებასა.

ღრს კაცი რომელსა ოდეს ესმას რაიმე სიტყვა გულსა შეაკლდების და შეწუხნების იგი, არათუ გინებისათვის, არამედ თუ რად არ მოვითმინე; ესე ვითარი საზომსა შინა არს მოღვაწეთასა, რომელნი დააყენებენ ვნებასა. არს სხვა რომელი იღვწის და იჭირვის, და უკანასკნელ იძლევის იგი სიმძიმისა მისგან ვნებისა. არს სხვა რომელსა არა ნებავეს ბოროტის სიტყვის მიგება, არამედ აღიტაცების იგი ჩვეულებისაგან. არს სხვა რომელი იღვწის არა მიგებად ბოროტისა ყოვლადვე, ხოლო გულსა აკლს მას რომელ იგინა, არამედ აბრალებს გულსა თვისსა, თუ რად გულსა აკლს გინებისათვის და ინანის. არს სხვა რომელსა არა გულსა აკლს, უკეთუ იგინოს, არამედ არცა კვლა უხარიათ. აჰა ესერა ესე ყოველნი არიან, რომელნი დააყენებენ ვნებასა. ხოლო ორთა მათ აქვს განყოფა სხვათაგან.

ის, რომელიც იძლევის მოღვაწებით, და ვინც მიიზიდების ჩვეულებითა, და ვინც დასჯის თავსა თვისსა, რომ მან ვერდაითმინა შეწუხებაჲ მადლობით, იმყოფებიან იგინი ჭეშმარიტად რიცხვთა შორის მოღვაწეთასა, ხოლო სხვათა უქადებს შიშთა, თანა-სწორ მათ თანა, რომელნიცა იქმოდეს ვნებათა. მე ვიტყვი მათ თვის, რომ იგინიც რიცხვთა შორის წინააღმდეგთა ვნებათასა არიან, ვინათგან ნებითა თვისითა დააყენნეს ვნებანი, და არ სურსთ მისებრ მოქმედებად, არამედ მწუხარე არიან

### სწავლა შეათე

და იღვწიან. შამათა უკვე სთქვეს, რომელ ყოველი საქმე, რომელიც სულსა არა სურს, იქმნების მცირე ჟამ.

გარნა ესრეთნი თანამდებ არიან გამოცდად თავისა თვისისა, არა აღასრულებენა იგინი, უკეთუ არა თვით ვნებათა, არამედ რაიმეს აღძვრელთა ვნებისადმი, და ამისთვის იძლევიან, ანუ მიიზიდვიან მათდა? იმყოფებიან ესე ვითარნი, რომელნიცა სცდილობენ დააყენონ ვნება, გარნა შეგონებისა გამო სხვათა ვნებათა: ერთი მღუმარე არს ცუდ დიდებობისა გამო, მეორე კაცთა მოყვარებისა გამო, ანუ სხვისა რაისამე ვნებათა გამო: ამ ბოროტებით სურსთ განკურნებად ბოროტთა. არამედ აბბა პიმენმა სთქვა, რომელ ბოროტი ბოროტსა არასგზით არ აღსპობს. ესრეთნი ეკუთვნიან მოქმედთა ვნებათასა, თუმცაღა თავსა თვისსა ატყუებენ.

ოკანასკნელ გვსურს ესთქვათ მათზედაცა, რომელნიც აღმოფხვრიან ვნებათა. სხვანი იხარებს ოდესაც მას შეაწუხებენ, გარნა მისთვის რომელ აქვსთ სახეში მიღება სასყიდლისა. ესე ეკუთვნის აღმომფხვრელთა ვნებათასა, გარნა უგუხურად. სხვანი იხარებს, მიმღები შეწუხებისა და ფიქრობს რომ იგი თანამდებ იყოს დათმენად შეწუხებისა, მისთვის რომელ თვით მან მისცა მიზეზი მისდამი: ესე გონიერულად აღმოფხვრის ვნებათა, რამეთუ შეწყნარება შეწუხებისა, დადება ბრალისა თავსა ზედა თვისსა, და შერაცხვა (ყოვლისავე) მოწვევილსა ჩვენზედა, ჩვენს საკუთრებად—არს საქმე გონიერებისა, მისთვის რომ ყოველი მვედრებელი მვთისა მიმართ: „**ოფალო**, მომეც მე სიმდაბლე“, მოვალე არს იცოდეს, რომელ იგი სთხოვს მმერთსა, რათა მან მოუვლინოს მას, ვინმე შემაწუხებელი. და ესრეთ ოდეს ვინმე შეაწუხებს მას, მაშინ ზვით მას მართებს წყენებად თავისა, და შეურაცხყოფა თავისა თვისისა გონებით, რათამცა მას ღროსა, ოდესაც მას სხვა დაამდაბლებდეს გარეგან, მან თვითონ დაიმდაბლოს თავი თვისი შინაგან. სხვანი არათუ იხარებენ ოდენ, ოდესაც მას შეაწუხებენ, და რაცხს ბრალეულად თვით

### სწავლა მკათა

თავსა თვისსა, არამედ შეწუხდებაცა აღშფოთებისათვის, შემაწუხებელისა მისისა. იმერთმან მოგვიყვანოს ჩვენცა ესე ვითარისა წესიერებისადმი.

„ხილეთაა, რაოდენ ვრცელია ესე სამნი წესიერება? და ესრეთ თითოეულმა ჩვენოაგანმან განიხილოს, როგორც მე ვსთქვი, თუ რომელს წესიერებასა შინა იმყოფების. ნება ყოფლობით მოქმედებს იგი ვნებულად და აკმაყოფილებს მას? ანუ არა მსურველია მოქმედებად მისებრ, იძლევის მისგან? ანუ მოქმედებს ვნებულად მიზიდული ჩვეულებითა, და ყოფს მას, სწუხს და ინანის, რომ ესრეთ მოიქცა? ანუ იღვწის გულის ხმის ყოფით დაყენებად ვნებათა? ანუ იღვწის პირდაპირ ერთის ვნებისა მეორისათვის, როგორც ჩვენ ვსთქვით, რომელ ზოგი მღუმარეა, ცუდ დიდებისა გამო, ანუ კაცთ მოთნებისა გამო, ანუ საზოგადოდ რაიმე კაცობრივის განზრახვისათვის? ანუ მან დაიწყო აღმოფხვრად ვნებათა, და გონიერად აღმოფხვრისაა მას, და მოქმედებს წინააღმდეგ ვნებათა? თითოეული სცნობს თუ სად იმყოფების იგი, და რომელს ასპარეზზე. ვინადგან ჩვენ მოვალე ვართ გამოცდად თავისა არათუ ოდენ ყოველსა: დღესა, არამედ ყოველსა წელსა და ყოველსა თვესა, და ყოველსა შვიდეულსა, და თქმად: წასრულს შვიდეულს მე ესრეთ მაწუხებდა ეს ვნება, ხოლო აწ როგორ-ვარ მე! ეგრეთვე ყოველს წელს კითხევდეს თავის თავს: წასრულს წელს მე ასე ვიძლეოდიამა ვნებითა, და ეხლა როგორ ვარ? ესრეთ მარადის თანამდებ ვართ გამოცდად თავისა, წარვემატენითა ჩვენ, რაოდენამდე, ანუ თუ ვიმყოფებით მასვე მდგომარეობასა შინა (როგორც უწინ ვიმყოფებოდით), ანუ თუ დავეციით უბოროტესად. იმერთმან მოგვცეს ჩვენ ძალი, რათა ჩვენ უკეთუმცა ვერ წარვემართოთ აღმოფხვრად ვნებათა, ამისთვის მიუცილებულად მაინც არ ვმოქმედებდეთ მისებრ, და წინა აღუდგებოდეთ მათ. ვინაიდან ჭეშმარიტად მძიმე საქმე ვრს მოქმედება ვნებულად და არა წინა აღმდეგობა მათი. მაგალი-

თუ როგორ ჯერ არს განვლა გზათა-მეთისათა.

თს გეტყვი თქვენ, თუ ვისა მსგავს არს იგი, რომელიც მოქმედებს ვნებულად და აკმაყოფილებს მას. მსგავს არს იგი კაცსა მას რომელი მოიწყვლის მტერისაგან თვისისა ისრითა, აღიღებს მათ და თვით თვისის ხელითა დაისობს გულსა თვისსა. წინაამდღენი ვნებათა მსგავს არიან გარშემო მტერისა მიერ თვისისა სროლილთა ისართა, გარუნა შემოსილისა ჯაჭვისა გამო არმიმდებსა წყლულებისასა. ხოლო აღმოფხვრელი ვნებათა მსგავს არს მისა, ვინც მყოფი სროლილთა ისრითა მტერისა თვისისათა, შემუსრავს მათ, ანუ უკუნ აქცევს გულსა შინა მტრისათა, როგორც თქმულ არს ფსალმუნსა შინა: მახვილი მათი განეწონენ გულსა მათსა, და მშვილდი მათი შეიმუსრნენ (ფსალ. 36, 15).

მა ესრეთ ვეცადოთ ჩვენ, ძმანო, უკეთუ ვერ შეუძლოთ მახვილსა მათსა უკუნ ქცევად გულთა შინა მათთა, ამისთვის მაინც მიუცილებელად ნუ მივიღებთ ისართა, და ნუ დავისობთ მათ გულთა ჩვენთა, არამედ შევიმოსოთ ჯაჭვი, რათა არა ვიქმნეთ მოწყლულნი მათგან. სახიერმან მმერთმან, დაგვიფაროს ჩვენ მათგან, და მოგვანიჭოს ჩვენ კრძალულება, და გვასწაოს ჩვენ გზა თვისი. რამეთუ მისა შვენის ყოველი დიდება პატივი და თაყვანისცემა უკუნისამდე. ამინ.

სწავლა მეათერთმეტე.

ძათა ვისწრაფდეთ მოწყვედად ჩნებათა, ვადრუდა იყვნეს მცირე, და ვადრუ არა დაჩვეულ იყვნეს სულნი ჩვენნი საქმესა მათსა.



კრძალენით გონებითა თქვენითა ძმანო, თავთა თქვენთა, ყოვლითა ძალითა თქვენითა, და სძლოთ ვნებათა, ვიდრელა იყვნეს მცირე, რამეთუ მცირედლიცა უდებება დიდთა ცოდვათა მოგვიყვანებს ჩვენ. მივედ

მწვევლად გზებათ.

დღეთა მათ ძმისა ვისამე, და ვბოვე იგი ნასნებად, და უბნობასა შინა ჩვენსა ვსცან, ვითარმედ შეიღსა ოდენ დღესა შეიპყრა იგი მხურვალეებამან, და აჰა ესერა აქვს სხვა ორმეოცი დღე, და ვერ განმრთელდა. იხილეთ ძმანო, ვითარ ბოროტ არს ოდეს კაცი შევარდეს უძლოურებასა შინა. რამეთუ პირველად არა ეკრძალებინ მავნებელთა მისთა საქმელთა, და არა იცისთუ უკეთუ მოუძლოურდენ ხორცინი მისნი, და უფროსლა უკეთუ პირველითგან უძლოურ იყვნენ, ძნიადლა იქმნების განმრთელება მისი. იხილეთ ვითარ შეიღსა ოდენ დღესა განახურვა ძმა იგი, და აჰა ესერა ორმეოცი დღე აქვს, და ვერ გამომრთელდა. ხოლო ვგრეთვე არს საქმე სულისა, რამეთუ პირველად იქმს კაცი მცირესა რასმე ცოდვასა, და ესრეთ მრავალ ჟამ იჭირვის, რათამცა მოიწყვიდა იგი.

შა ხორციელთა საქმეთა ზედა მრავალთა მიზეზთჳ ვჰბოვებთ: ანუ თუ წამალნი ძველნი იყვნიან, და ვერ გვარგიან ანუ თუ მკურნალი გამოუცთელი არნ, და სხვა სხვისა წამლისა წილ მოგვცის, ანუ თუ თვით უძლოურმან არა უსმინის სიტყვასა მკურნალისასა, არამედ ქმნის საქმე რაიმე მავნებელი თვისი, და ამისთვის ვერ განმრთელდის. ხოლო სულიერთა საქმეთა ზედა, არა ესრეთ არს: არცა მკურნალი გამოუცთელი არს, ამას ვიტყვი ნუ იყოფინ; და არა მოგვცნა ჩვენ წამალნი თითოეულისა სენისა ებრ შეზავებულნი.

ქა ქრისტე არს მკურნალი სულთა ჩვენთა, და მან ყოველივე უწყის თითოეულისა ვნებისა წამალი: რამეთუ ამბარტავანებისა წამლად მოგვცა ჩვენ, სიმდაბლვე; ხოლო გემოთ მოყვარებისათვის, მარხვა. და ვეცხლის მოყვარებისათვის, მოწყალება; და ესრეთ თითოეულისა ვნებისათვის, მოგვცა წამალი შეზავებულნი. და საცნაურ: არს ვითარმედ მკურნალი იგი ჩვენი, არა არს გამოუცდელი; და არცათუ წამალნი იგი მისნი სიძველისაგან ურგებ არიან; რამეთუ მცნებანი ჩრისტესნი, არა ოდეს

## სწავლა მეათერთმოცე.

დაძველდებიან, არამედ რაჯზომცა ვინ იქმოდის მათ, ეგე ზომცა განახლდებიან.

ხოლო აწ უკეთუ მკურხალი იგი არა გამოუცდელი არს და არცა წამალნი იგი მისნი სიძველისაგან ურგებ არა არიან ძმანო ჩემნო, რაილა არს დამაყენებელ ჩვენდა განკურნებისაგან? იცი თმცა ვითარმედ არა რაი არს, არამედ სიბოროტე ჩვენი, რამეთუ ვიქმთ საქმეთა მავნებელთა ჩვენთა. ხოლო აწ ვეკრძალნეთ თავთა ჩვენთა ზიძმანო, განვიფრთხოთ, და ვისწრაფდეთ ვიდრეღა ჟამი გვაქვს, რად უღებებასა შინა ვართ? მოვედით ვქმნეთ კეთილი რაიმე, რათა ვპოოთ ჟამსა განსაცდელისასა შეწევნა. რად წარვსწყმედთ ცხოვრებასა ჩვენსა? ესე ზომთა წიგნთა ვიკითხავთ და არა გვტკივის ჩვენ, არამედ თანა წარვხდებით. ვხედავთ ძმათა ჩვენთა ჩვენ შორის, ვითარ სიკვდილი წარიტაცებს, და არა გვეშინის: და ვიცი თ ვითარმედ ჩვენცა მცირე მცირედ მივეახლებით სიკვდილსა.

ჴჴა ესერა ვინაიდგან ვიწყეთ სიტყვად გარდავჴბადეთ ორი ჟამი გინა სამი ცხოვრებისა ჩვენისა, და მივეახლენით სიკვდილსა; და ვხედავთ ვითარ წარვლენ ჟამნი ჩვენი, და არა გვეშინის. და არა მოვიხსენებთ სიტყვასა მის ბერისასა, რომელსა იტყვის ვითარმედ: ოქრო ანუ ვეცხლი უკეთუ ვინ წარსწყმინდოს, შემძლებელ არს მისა ნაცვლად სხვისა პოვნად, ხოლო ჟამი რომელმან წარწყმინდოს, მისა ნაცვლად სხვასა ვერ პოვებს; ჴემმარტსა ვიტყვი, რომელ ვეძიებდეთ ჟამთა ამათგანსა ერთსა ჟამსა, და არა ვპოვებდეთ.

ძაოდენტა უნებს, რათამცა ესმა ერთი სიტყვა იფთისა და არა ეპოვების მათ, და ჩვენ ესე ზომნი სიტყვანი იფთისანი გვესმიან და უგულვებელს ვყოფთ მათ, და არა განვიღვიძებთ! იმერთმან უწყის, გრწმენინ ჩემი მიკვირს ესე ზომი ესე სიბრმე ჩვენი. რამეთუ შეგვიძლია ცხოვრება და არა გვენბავს: შემძლებელ ვართ ვიდრემ-

### მოწყვედად გნებაოა.

დისდა არიან ვნებანი ჩვენნი ჩვილ, მოწყვედად მათდა, და არა გვენებას, არამედ მიუშვებთ მათ განფიცებად, რათა უკანასკნელი ჩვენი უბოროტეს იყოს პირველისა. რამეთუ სხვა არს აღმოფხვრა მცირისა თივისა, ვითარცა მე მრავალ ჯერ გითხარი თქვენ, და სხვა არს აღმოფხვრა დიდისა ხისა.

ჲდა ბერი ვინმე დიდი მოწაფეთა თვისთა თანა, ადგილსა მას რომელსა იყვნეს კვიპაროზნი თითო სახენი, დიდროვანი და მცირენიცა. და რქვა ბერმან ერთსა მოწაფეთა მისთაგანსა: აღმოფხვარ კვიპაროზი ესე. ხოლო იყო იგი ფრიად მცირე და მეყვსეულად ერთითა ხელითა აღმოფხვრა იგი. მაშინ უჩვენა მას სხვაცა უფროსი. ძმამან დიდითა შრომითა აღმოფხვრა იგიცა. და კვალად უჩვენა მას სხვა დიდი, და მივიდა და ფრიად დაშვრა და აღმოფხვრა იგიცა: ხოლო მერმე უჩვენა სხვა უფროსი, და ფრიად დაშვრა და ვერ აღმოფხვრა იგი. და მაშინ ვითარცა იხილა იგი, ვითარმედ ვერ შემძლებელ არს, უბრძანა სხვასაცა ძმასა შეწვენად მისსა, და ესრეთ ორთავე აღმოფხვრეს იგი. მაშინ რქვა ბერმან ძმათა მათ: „აჰა ესერა ძმანო, ესრეთვე არიან ვნებანი, რაზომცა იყვნენ მცირე, შემძლებელ ვართ უჭირველად მოკვეთად მათთა; ხოლო რაიზომცა განფიცხდენ უფროსი შრომა გვინებს, ხოლო უკეთუ უმეტესადრე განფიცხდენ ვერცა შრომით ვსძლევთ მათ; უკეთუ არა გვაქვდეს ჩვენ შეწვენა წმიდათა კაცთაგან.

იხილეთ თუ რაზომი ძალი აქვს სიტყვასა წმიდათა ბერთასა? და კვალად წინასწარ-მეტყველი იტყვის ამისთვის: „ასული ბაბილოვნისაო უბადრუკო, ნეტარ არს რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელი შენ მომაგე ჩვენ; ნეტარ არს რომელმან შეახეთქნეს ჩვილნი შენნი კლდესა (ფსალ. 136, 8, 9). გამოვიძიოთ უკვე რაჲ არს სიტყვა ესე? ბაბილონად უწოდეს გულის თქმასა, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ესე. რამეთუ სულსა პირველად



### სწავლა მებათაროიკტა

გული უთქვამს, და ესრეთ აღასრულებს ცოდვასა. ხოლო უბადრუკ-ამისთვის უწოდს მას, რამეთუ ვითარცა პირველად ვსთქუ, ცოდვაჲ უხორცო არს და არა რაჲ, და ჩვენისა უღებებისაგან მოვალს არსად. და კვალად უკეთუ ვისწრაფოთ მოსწრაფებითა ჩვენითა იქმნების იგი უჩინო და არა რაჲ.

**ქ** ეტყვის მას წინასწარმეტყველი: ნეტარ არს რომელმან მიგავოს მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩვენ. გულის ხმა ვყოთ უკვე რაიმე ვიცით, ანუ მან რაჲ მოგვაგო, ანუ რაჲ გვინებს ჩვენ მიგება? მივეციტ ნება ჩვენი, და ნაცვლად მოვიღეთ ცოდვა: ხოლო აწ ნატრის წინასწარმეტყველი მათ, რომელთა კვალად მიაგონ იგი. ხოლო რაჲ არს მიგება მისი, რათა არღარა ქმნას იგი. და კვალად იტყვის: ნეტარ არს რომელმან შეუბყარას ჩჩვილთა შენთა, და შეახეთქნეს იგინი კლდესა; ესე არს ვითარმედ ნეტარ არს, რომელმან ნაშობნი შენნი, რომელ არიან ბოროტნი გულის სიტყვანი, არა უტევნა მის შორის აღზრდად, და აღსრულებად ბოროტისა; არამედ ვიდრემდისღა იყვნეს იგინი ჩჩვილ, ვიდრე არღა აღზრდილ იყვნეს და განფიცებულ მის ზედა შეიბყარნა, და შეახეთქნა იგინი კლდესა, რომელ არს ქრისტე (1. კორ. 10, 4). აჰა ესერა იხილეთ ძმანო, ვითარ წმიდანი მამანი და წმიდანი წერილნი ერთბამად გვასწავებენ მოწყვედად, ვიდრემდისღა არიან ვნებანი ჩჩვილ, და ვიდრე არღა გვეხილოს გემო სიმწარისა და უკეთურებისა მათისა. ვისწრაფოთ ძმანო, რათა ვბოიოთ წყალობა დავშრეთ მცირედ, რათა ვბოიოთ განსვენება მრავალ ქამ.

**ღ** ქვეს მამათა ვითარმედ უხმს კაცსა, რათა ყოველთა მწუხრთა გამოეძიებდეს: თუ ვითარ გარდავლო ღღე იგი, და კვალად ყოველთა დიღეულთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარდავლო ღამე იგი, და რაიცა ცოდვაჲ ექმნას ინანდეს მას წინაშე ღვთისა. ხოლო ჩვენ მოვიწყეთა ამათ გონებათა ჩვენთა თვის, გვინებს ყოველთა, გამოწვლილვა თავთა ჩვენთა, თუ რაისა ზედა გვიცო-

მოწყვედად ვნებათა

დავს, და რათა ბითოეული ჩვენი იტყოდეს, თავსა თვისსა შორის; ნუ უკვე დავაბრკოლე რასამე ზედა ძმა ჩემი? ანუთუ ვიხილე იგი საქმესა რასმე ზედა და განვიკითხე იგი? ანუ თუ წვენი არა ჰამო იყო, და ვსთქუ რაიმე და ვარცხვინე ოსტიგანსა, და ვავნე მას? ანუ მე თვით გულსა შინა ჩემსა ვიდრტვინე? რამეთუ გულსა შინაცა თვისსა ღრტვინვა ცოდვა არს. და კვალად რათა, ვიტყოდეთ: ნუ უკვე მრქვა მე ღეკანოზმან ანუ სხვამან ვინმე სიტყვა და არა ვიტვირთვე იგი, არამედ წინა აღუდგე მას? და ესრეთ გვინებს გამოძიება ყოვლადვე, თუ ვითარ გარდავიხადეთ ღღე იგი; და კვალად ვითარ უკვე გარდავლეთ ღამე იგი, და რათა ვიტყოდით: ნუ უკვე ლოცვად არა გულს მოდგინებით ვდგე? ანუ თუ მიხმო ძმამან ვინმე ლოცვად და აღვშფოთენ მისთვის? ანუ ვიდრტვინე? ხოლო უწყითმცა ვითარმედ რომელმან აღადგინოს ძმა თვისი ლოცვად დიდსა კეთილსა უყოფს მას; რამეთუ აღადგენს უბნობად ღვთისა და თხოვად შენდობასა ცოდვათა თვისთასა, და განათლებად სულისა მისისა. და უფროსდა არა უნებსაა მისდა მადლობა? და ჭეშმარიტად ჯერ არს მისდა, რათა იგონებდეს ვითარმედ მის მიერ მიიღო ცხოვრება მისი.

მა გითხრა თქვენ საქმე დიდი, რომელი მითხრა მე ბერმან წმიდამან დიდმან წინასწარ-მცნობელმან, ვითარმედ: ოდეს იწყიან ძმათა ლოცვად, ვხედვედ მე კაცსა ვისმე შვენიერსა, რომელსა ემოსა სამღვდელო სამოსელი, რომელი გამოვალნ საკურთხეველით; და აქვდა ხელთა მისთა ევლოგია (მცირე ჭურჭელი მირონით), და დააწის პატრუკი და მოვლინ ყოველთა ძმათა, და ყოველთავე დაბეჭდავენ მითა ჯვარის სახედ, ხოლო რომელნი არა ყოვნის რომელთამე ადგილები ეგრეთვე დაბეჭდის; ხოლო სხვათა რომელთამე ადგილთა, არა მყოფთა, თანაწარხდის. და კვალად ოდეს მოვიდიან უამსა გამოსლვისასა ეკკლესიით, ხედვენ მას ბერი იგი. გამოძავალსა საკუ-

### სწავლა მეათორთმეტე

რთხვევლით, და იქმნ ეგრეთვე. ხოლო ერთსა შინა დღესა შეიპყრა იგი ბერმან, და შეუვრდა ფერხთა მისთა, და ევედრა რათამცა უთხრას მას, თუ ვინ არს იგი? ანუ რაი არს, რომელსა იგი იქმს. მიუგო და რქვა მას: „მე ვარ ანგელოსი **ივთისა**, და მაქვს ბრძანება, რათა მივსცემდე ევლოგიასა ამას ყოველთა ძმათა, რომელნიცა დაწყებითგან, ვიდრე განსრულებადმდე არიან ლოცვასა შინა, გულს მოდგინებისა მათისათვის.“ ხოლო ბერმან კითხა მას: „და ვითარ რომელთამე ვერ პოვებ, და აღგილსა მათსა დაბეჭდავ, და რომელთასამე არა?.“ მიუგო მას წმიდამან ანგელოსმან, და რქვა: „რომელნიცა ძმანი არიან მოსწრაფენი ლოცვასა, და უძღურ-არიან, და სიტყვითა მამათათა განისვენებენ, მათცა მიეცემის ევლოგია. და კვალად რომელნი არიან მსახურებასა შინა, და არა სცალსთ მოსვლად ეკკლესიასა, მათცა მიეცემის. ხოლო მარტოდ მათ არა ხვდების, რომელთა შეუძლიათ აღდგომა და ლოცვა, და უდებებისაგან არა აღსდგებიან, მათ ოდენ არა ხვდების; რამეთუ თვით იგინი უღირს ყოფენ თავთა მათთა.“ აჰა ესერა იხილეთ ძმანო! თუ ვითარისა კეთილისა წინამძღვარ ექმნების ძმასა თვისსა: რომელი აღადგინებდეს მას კანონსა ეკკლესიისასა. ხოლო აწ ისწრაფეთ ძმანო, რათა არა დაგჭირდეს თქვენ ბეჭედი იგი წმიდისა ანგელოსისა, არამედ დაღაცათუ ვისმე თქვენგანსა ეძინოს და უდებ იქმნას აღდგომად, ოდეს უხმოს მას მეორემან ძმამან ნუ აღუფოთნების, არამედ რათა მადლობდეს მას ვინც უნდა იყოს.

ოდეს ვიყავ მონასტერსა შინა, დამადგინა მე მამასახლისმან ქსენადოქად (უცხოთ შემწყნარებელად), და ვიყავ მე ნასნები, და მოვიდოდეს უცხონი მრავალნი და მინდა მათი შეწყნარება; და კვალად მოვიდიან მეაქლემენი და შევიწყნარნი და დავიღვაწნი იგინიცა. და ფრიადი ყამი გამოხდის ღამისაგან, და ვითარცა წარვიდი და დავწვი ოდენ, მოიწიის სხვა რაიმე საქმე და მოვიდიან

ძაწკვედად გნებათა

და აღმადგინიან მე, და წარვიდი; და ვქმნი საქმე იგი და მე-  
რმე წარვიდი; და ვითარცა ოდენ თვალთა მიმტაცნის მეყვსე-  
ულად მოვიდის მნათე და მიხმის მე ლოცვად. ხოლო მე ვი-  
ყავი დამაშვრალ და ნასნებ, რამეთუ წუთ მაქენდა ხურვება  
თავ ქედისაგან და ვიყავ დახსნილ. და ვრქვი მას ძილ-მღ-  
ვიძრად; «კეთილ, იმერთმან მოგეცინ შენ მადლი სიყვა-  
რულისა: ბრძანე, მოვალ უფალო: ხოლო ვითარცა წარვი-  
დის იგი, კვალად მიმეძინის და ფრიად გულსა მაკლნ ოდეს  
დამეყოვნის ლოცვასა მისლვად. ხოლო იგი ოდეს არა მე-  
ყოფოდა მე ხმობად, მაშინ ვითხოვე მე მამისაგან ორნი ძმა-  
ნი: ერთი იგი, რათა განმადვიძებდეს მე, და მეორე იგი,  
რათა არა მიმიშვებდეს ფრიად დაძინებად. და გრწმენინ  
ჩემი ძმანო, რომელ ეგრე მიჩნდეს ორნივე იგი, ვითარმედ  
მათ მიერ არს: ცხოვრება ჩემი. ხოლო ესრეთვე გიხმს თქვე-  
ნცა, რათა მადლობდეთ მათ, რომელნი აღგადგინებდენ  
თქვენ ლოცვად, ანუ სხვად რადმე კეთილისა საქმედ. ხო-  
ლო ვითარცა ვსთქვით, უხმს კაცსა, რათა გამოეძიებდეს  
მას, თუ ვითარ გარდავლო დღე იგ ივინათუ ღამე: ანუ თუ  
ფრთხილად სდგა ლოცვასა; ანუ უკვე წარიტყვენა გო-  
ნება მისი? ანუ უკეთუ არა გულს მოდგინედ მოისმინა  
წიგნისა სიტყვანი? ანუთუ დაუტევა ეკლესია და განვი-  
და განცხრომად? და ესრეთ უკეთუ კაცი გამოეძიებდეს  
თავსა თვისსა, და რასაცა ცოდვასა პოებდეს თავსა თვის-  
სა შორის, მეყვსეულად ინანდეს მას წინაშე ივთისა; და  
მოიწყვედდეს მას ესრეთ მცირე მცირედ სძლევს ვნებათა;  
და უკეთუ იქმოდა ცხრასა, იწყებს ქმნად რვასა, და ეს-  
რეთ შეწვენითა ივთისათა, არა უტევებს ვნებათა აღზრ-  
დად, და განფიცებად. რამეთუ ვითარცა ვსთქუ, ბორო-  
ტი და მძიმე საქმე არს, ოდეს კაცი დაეწვიოს ბოროტსა  
რასმე; რამეთუ ეგე ვითარსა მას, ვერ შეუძლია განკურ-  
ნება, უკეთუ არა აქენდეს ვიეთაგანმე წმიდათა კაცთა შე-  
წვენა.

ღნებავსთ, რათა გითხრა თქვენ, საქმე ესე ვითარი,

### სწავლა მეათერთკეცა

რომელი ღირს არს ფრიადისა ტირილისა: ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა, არა ვიცი თუ ვითარ სცთებოდენ ძმანი თხრობად ჩემდა გულის სიტყვათა მათთა. ხოლო მამამან-ცა მიბრძანა მე საქმისა ამის საურავი. ხოლო ღღესა ერთსა მოვიდა ჩემდა ძმა ერთი და მრქვა: „შემინდვე მამაო, და ლოცვა ყავ ჩემთვის, რამეთუ ვიპარავ და ვსჭამ.“ ხოლო მე ვარქე მას: „რად შეილო, მოგემშვევისა?“ ხოლო მან მრქვა მე: „ჰე, მომემშვევის, რამეთუ არა მეყოფის მე ძმათა თანა ჭამა, და მე ვერ ვითხოვ.“ მიუგე და ვარქე მას: „და რად არა წარხვალ, და უთხრობ მამასა?“ ხოლო მან მრქვა: „მცხვენიან.“ და მე ვარქე მას: „გნებავისა, რათა მე უთხრა მას?“ ხოლო მან მრქვა: „ვითარცა გნეავს“ მაშინ წარვედი და უთხარ მამასა. ხოლო მან მრქვა მე: „ყავ სიყვარული და ქმენ ვითარცა იცი უმჯობესი მისი.“ მაშინ წარვიყვანე იგი ოსტიგნისა თანა, და ვარქე მას მისსა წინაშე: „ყავ სიყვარული, და ოდესცა მოვიდეს ძმა ესე შენთანა, მისცემდი მას, რაიცა უნდეს“. ხოლო მას ვითარცა ესმა მრქვა მე: „როგორც მიბრძანე, ეგრეთ აღვასრულებ.“ ხოლო დაყო ძმამან ესრეთ მცირენი ღღენი; და მოვიდა და მრქვა მე: „შემინდვე მამაო, რამეთუ კვალად ვიწყე პარვად.“ ხოლო მე ვარქე მას: „რად? ნუ უკვე არა მიგცემსა შენ ოსტიგანი, რაიცა რა გინდეს?“ ხოლო მან მრქვა მე: „მომცემს, გარნა მე მრცხვენიან.“ მიუგედა ვარქე მას: „მაშა ჩემგან გრცხვენიანა?“ ხოლო მან მრქვა: „არა“ მაშინ ვარქე მას: „მოვილოდე და მიიღებდი ჩემგან, დანუ იპარავ.“ რამეთუ მაქვენდა მაშინ, მსახურება იგი უძლურთა, და მაქვენდა სახმარი დამივსცემდი რაიცა უნებნ. ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო კვალად პარვად; და მოვიდა და მრქვა მწუხარებით: „აჰა ესერა კვალად ვიპარავ.“ ხოლო მე ვარქე მას: „რად? არა მიგცემა, რაიცა გინდეს?“ ხოლო მან მრქვა მე: „ჰე მომცემ“. მიუგე და ვარქე მას: „ნუ უკვე ჩემი გრცხვენიანა?“ ხოლო მან მრქვა მე: „არა“ მაშინ ვარქე

მოწყვედად ვნებთა.

მას: „და რადღა იპარავ?“ მომიგო და მრქვა მე: „არა ვიცი თუ რად, რომელ ვიცი ვიპარავ“ მაშინ ვარქვ მას: „ქეშმარიტი მითხარ მე, რასა უკვე უზამ მას, რომელსა იპარავ?“ მომიგო და მრქვა მე: „ვირსა ვსცემ მას.“ ხოლო იპოვა კვალად იპარვიდა ძმა იგი პურსა, და ფინიკსა და ლედვსა, ხახვსა, და სხვა რაიცა რა იპოვის, დამალის იგი ქვეშე საგებელსა მისსა, გინა თუ სხვასა ადგილსა, და ვითარცა იხილის იგი რამეთუ განირყვენბინ. წარიღის და დაყარის იგი, ანუ სახედართა დაუდვის იგი.

იხილეთ ვითარ ბოროტ არს: ოდეს კაცი დაეჩვიოს ვნებისა რაისამე ქმნად: იცოდა ვითარმედ ბოროტსა იქმს და გულსა აკლდა და ტიროდა, არამედ ჩვეულება იგი მიიზიდვიდა უბადრუქსა მას. ხოლო კეთილად იტყოდა მამა ნისთერონ ვითარმედ: „რომლისაგანცა ვნებისა კაცი იძლიოს, მონა მისა იქმნების.“ იმერთმან გვისხენინ ჩვენ ბოროტისა ჩვეულებისაგან, რათა არა ჩვენცა გვრქვას: რაიმე სარგებელ არს შენდა სისხლთა ჩემთა თვის, რაჟამს შთავიდე მე განსახრწნელად (ფსალმუნი 29. 10); აჰა ესერა მრავალ გზის გითხარ თქვენ: თუ ვითარ მოვალს კაცი ჩვეულებისაგან, გინა კეთილსა, გინა ბოროტსა. რამე თუ არცა ოდეს კაცი ერთგზის განრისხნეს, ეწოდების მას მრისხანე; არცა ოდეს ერთგზის ისიძვოს, ეწოდების მას მსიძავ; არცა ოდეს ერთ გზის ქმნეს მოწყალება, ეწოდების მას მოწყალე: არამედ კეთილიცა და ბოროტიცა; ზედა ზედას ქმნითა იქმნების ჩვეულება, სულსა შინა; და მერმე იგი ჩვეულება: ანუ სტანჯავს მას, ანუ განუსვენებს მას.

ხოლო ვითარ განუსვენებს სულსა სათნოება, ანუ ვითარ სტანჯავს მას ცოდვა, მე გითხრა თქვენ მრავალ გზის ვსთქუ, სათნოებანი ჩვენნი არიან, და ჩვენისა ბუნებისანი: ხოლო რაიზომცა იქმოდის კაცი კეთილსა მოვალს სათნოებად თვისსა ბუნებად და თვისად სიმრთელედ. ვითარცა კაცი სნებისაგან მოვალს სიმრთელედ.

### სწავლა მეათერთმეტე.

ვითარცა ბრმა ნათელსავე თვისსა ბუნებითსა; ხოლო ოდეს ვიქმოდით ბოროტსა უცხოსა რასმე, და ბუნებისა ჩვენისა გარეგანსა ჩვეულებასა მოვალთ ზედას ზედა ქმნითა ბოროტისათა, შთავეარდებით ჩვენ სენსა ბოროტსა, რომელ ვერღარა გავრთელდეთ, თვინიერ შეწევნისა წმიდათასა, და თვინიერ ლოცვისა და ცრემლთა მრავალთა დათხევისა, რომელნი შემძლებელ იყვნენ ჩვენ ზედა მოყვანებად წყალობასა ღრისტესსა.

ქ ვითარცა ხორციელნი სნეულებანი, რამეთუ არიან ვიეთნიმე საჭმელნი, შავისა ნაღვლისა მომატყუებელნი, რომელ არს კალნაბი (თავ დაუხვეველი კომბოსტო), გინა ოსპნი, ანუთუ სხვა რაიმე ეგე ვითარი. ხოლო ერთ გზის ჭამითა კალნაბისა, გინა ოსპნისათა, და რომელთამე სხვათა მსგავსთა მათთა, არა იქმნების კაცი შავისა ნაღვლისა უფალ, არამედ ოდეს მრავალ გზის ჭამდეს საჭმელსა შავისა ნაღვლისა აღმარძინებელსა, გარდაემატების. შავი ნაღველი და მისგან მოვალს კაცი მხურვალეებასა; ხოლო მხურვანება იგი დასწავს მას, და მისგან მოვალს კაცი მრავალთა სენთა, ეგრეთვე სული ოდეს ზედას ზედა იქმოდის ცოდვასა რასმე, მერმე ცოდვა იგი სტანჯავს მას, რამეთუ დაეჩვევის საჭმესა მისსა. ესე უწყოდეთ: ვითარმედ, არს კაცი რომელსა თვით ბრძოლა აქვს ცოდვისა, რაისამე მიმართ, და უკეთუ წარეკიდოს იგი ერთ გზის: მეყვსეულად იქმნების მის შორის ჩვეულება ერთ გზის ქმნითა მისითა, და ვერღარა მოიწყვედს მას, ვითარცა კაცი რომელი თვით არნ შავისა ნაღვლისა უფალი; და შემძლებელ არს ერთ გზისცა ჭამა საჭმლისა მავნებელისა მისისა მეყვსეულად აღძრვად ნაღვლისა მისისა.

ჴ აწ ჯერ არს ჩვენდა განფრთხობა, და სწავლა, და შიში, რათა არა შთავეარდეთ ბოროტსა ჩვეულებასა. გრწმენინ ძმანო, რომელ დაღაცათუ ერთი ვნება აქვნდეს კაცსა ჩვეულებით, სასჯელსა ქვეშე არს, რამეთუ მრავალ გზის იქმს კაცი ათსა კეთილსა და ერთსა ბოროტ-



მოწვევად გნებათა.

სა ჩვეულებით; და ერთი იგი ბოროტი რომელი ჩვეულებით ქმნას, სძლევს ათთა მათ კეთილთა.

ქ ვითარცა არწივი ნუ უკვე დადაცათუ ყოველი გვამი მისი გარე იყოს და მარტო ფრჩხილი (ქვანგი) მისი შეკრულ იყოს, არა მახესა ქვეშე არსა, ანუ არა ოდესცა უნდეს მონადირესა დასცემსა მას? ვგრეთვე სულისა: უკეთუ ერთიცა ვნება აქვდეს, ოდესცა უნდეს მტერსა დასცემს მას, რამეთუ მით ვნებითა აქვს მის ზედა ხელმწიფება.—ამისთვის მარადის გეტყვით თქვენ: მოიწყვიდეთ ყოველივე ჩვეულება ბოროტი: ხოლო აწ წმიდა ვყვნეთ თაჳნი ჩვენნი ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა.

შა ჴევედრებოდეთ იმერთსა დღე და ღამე, რათა არა შთავარდეთ განსაცდელსა. ხოლო უკეთუ ვიძლინეთ, ვითარცა კაცნი და ვქმნეთ ცოდვაჲ; ვისწრაფოთ, რათა აღრე მოვიწყვიდოთ იგი, და შევინანოთ წინაშე ივთისა; და ცრემლნი დავსთხივნეთ, განვიღვიძოთ, და წმიდა ვყვნეთ თაჳნი ჩვენნი, და იმერთი ოდეს ხედვიდეს გულს მოდგინებასა ჩვენსა, და სიმდაბლესა ჩვენსა, და შემუხრვილებასა ჩვენსა, აღგვიპყრას ჩვენ ხელი, და ყოს ჩვენთანა წყალობა. რამეთუ მისა შევენის ყოველი დიდება ბატონი და თაყვანისცემა. ამინ.

სწავლა მეათორმეტე.

შეშასათვის საუკუნოჲს სასჯელისა, და მისთვის, რომელსა უნდეს ცხოვრება, რათა არა ოდეს უსრუნველ იქმნეს, არამედ რათა მას სრუნჯადეს ცხოვრებისათვის სულისა თვისისა.



დეს ვიყავ მე სნეულ ფერხთა ჩემთაგან; და ვიტანჯებოდი მათგან რამეთუ რომელნიმე ძმანი მოვიდოდეს ნახვად ჩემდა, და მკითხვიდეს მე, რათამცა უთხარ მათ მიზეზი, თუ სადაით წარმეკიდა მე სენი იგი;

### სწავლას მეხოლობეკე

და მე ვითარცა ვგონებ: რამეთუ ორისა საქმისა თვის მკითხვიდეს: ერთად რათამცა ნუგეშინის მცეს მე, და მცირედმცა რაიმე ამისუბუქდა ტკივილი იგი; ხოლო მეორედ: რათამცა მოიღეს მიზეზი სულიერისა უბნობისა თვის. და მე მაშინ ტკივილისაგან, ვერ შემეძლო თქმად მათდა სიტყვათა სულიერთა. ხოლო აწ მის წილ ვიწყო თქვენდა სიტყვად.

ქი ოდეს კაცსა ჭირი რაიმე შეემთხვიოს, და გარდახდეს ჭირი იგი, მერმე სიხარულით მიუთხრობს მას მოყვასთა თვისთა. ვითარცა ნავი ოდეს იღელვებინ ზღვასა შინა, და მერმე განერნიან და განვლიან ქვეყანად, სიყვარულით უთხრობდიან ჭირსა მას მათსა. კეთილ არს ძმანო, ვითარცა მრავალ გზის გითხარ თქვენ, რათა კაცი ყოველსავე საქმესა ივთისა მიმართ მიაგდებდეს, და იტყოდეს, ვითარმედ: თვინიერ ნებისა ივთისა, არა რაჲ იქმნების, არამედ იცის ღმერთმან, ვითარმედ ესე არს უმჯობესი სულისა ჩემისა, და ამისთვის ქმნა ესე, დაღაცათუ მიზეზი საქმისა მის ჩნდეს; არამედ კაცსა უხმს, რათა ლვთისა-მიმართ მიაგდოს საქმე თვისი. რამეთუ მეცა მაქვენდა მიზეზი თქმად. რამეთუ ვსჯამე უცხოთა თანა ძმათა, და მცირედ დავიპატიყე თავსა ჩემსა, რათამცა განუსვენე მათ, და მისგან დამიძიმდა სტომაქი ჩემი, და შთავიდა სისხლი ფერხთა ჩემთა, და შემექმნა წყლულება და დავსნეულდი. და სხვანიცა მრავალნი მიზეზნი მქონდეს: რამეთუ უკეთუ კაცი მიზეზსა ეძიებდეს, არა დააკლდების; არამედ ჭეშმარიტი და კეთილი მიზეზი ესე არს; რამეთუ იმერთსა უნდა და იცოდა: ვითარმედ ესრეთ არს უმჯობესი სულისა ჩემისა და ამისთვის ქმნა. ხოლო ყოველნი საქმენი ივთისანი, კეთილ არიან, და სარგებელ ფრიად (შექმნ. 1, 31). არამედ ვითარცა ვსთქუ, არა უხმს კაცსა გულის-კლება: უკეთუ რაიმე მოიწიოს მის ზედა.

შა რათა ყოველისა თვისვე იტყოდის: ვითარმედ იმერთსა ნუ უკვე ესრეთ ჰნებავს, და ესრეთ განისვენოს

მაშისათვის საუკუნოსას სასჯელისა.

შეწევნითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა. რამეთუ არიან ვიეთნიმე, რომელ ოდეს რაიმე მოიწიოს მათ ზედა, ესე ზომ შეეჭირდების, რომელ სიკვდილსაცა ინატრიან, და ურჩევნით სიკვდილი ცხოვრებასა, და ჰგონებენ ვითარმედ უკეთუ მოკვდენ განერებიან ქირისაგან. ხოლო ესე არს სულმოკლებისაგან და ფრიადისა უგულის-ხმოებისა, რამეთუ ესე ვითართა არა უწყიან მათ ქირი იგი საშინელი: რომელი მოიწევის სულსა ზედა, შემდგომად გამოსვლისა მისისა ხორცთაგან.

ზიდი კაცთ-მოყვარება ივთისა არს ძმანო, რომელ ვართ სოფელსა ამას; არამედ ჩვენისა უგულის ხმოებისაგან, არა ვხედავთ საუკუნეთა მათ სასჯელთა, ვითარ მძიმე არიან; და ამისთვის აქანი იგი ქირნი, მძიმე გვიჩან. არა იცითა ვითარ წერილ არს მამათასა შინა? ვითარმედ ძმამან კითხა ფრიად მოსწრაფემან ბერსა ვისმე, და რქვა: „რაისათვის არს, რომელ სულსა ჩემსა უნებს სიკვდილი?“ რქვა მას ბერმან: მისთვის, რომ შენ ველტი ქირისაგან, და არა იცი, რომ საუკუნო იგი ქირი უძვირეს არს. და სხვამან კვალად კითხა, ვითარმედ: „რად მომეწყინების მე სენაკსა შინა ჯდომა?“ რქვა მას ბერმან: „რამეთუ წუთ არა გიხილავს გემო, არცა გასვენებისა მის, რომელსა ვესაუთ; არცა ქირისა მის, რომელ ყოფად არს საუკუნოსა; რამეთუ უკეთუმცა ესე იცოდე, დაღაცათუმცა მატლითა სავსე იყოს სენაკი შენი, და ვიდრე ყელადმდეცა მოვიდოდეს, არამცა მოგეწყინა, არამედ მოითმენდიმცა.“

ჩვენ ძილითა და განსვენებითა გვნებავს სასუფეველსა შესვლა, და ამისთვის სულ მოკლე ვიქმნებით. უკეთუ რაიმე მოიწიოს ჩვენ ზედა, ვჰმადლობდეთ იმერთსა, და ვნატრიდეთ თავთა ჩვენთა: რამეთუ ღირს ვიქმნენით მცირედსა რასმე ქირსა აქავე: რათა მუნ ვბოლოთ მცირედ რამე ლხინება. იტყოდა წმიდა ევაგრეცა ვითარმედ: „ვნებული, რომელი ევედრებოდის იმერთსა, რა-

### სწავლა მკჷორმეტე

თამცა აღრე განვიდა სოფლისგან; მსგავს არს იგი კაცსა მას, რომელი ევედრებინ ხუროსა, რათამცა შემუსროს სარეცელი სნეულისა.“

ჩინაითგან სულსა მყოფსა სხეულსა ამას შინა, თუმცაღა აქვს ბრძოლა ვნებათაგან, გარნა აქვს რომელიმე ნუგეშინის-ცემა, მისთვის რომ კაცი ჭამს, სვამს, დაიძინებს, საუბრობს, მსღვებლობს საყვარელთა თვისთა თანა მეგობართა (და მრავალთა საქმეთა შეექცევის). ხოლო ოდეს უკვე გამოვიდეს ხორცთაგან, მაშინ, მარტოდ იგი ოდენ დაშთების, და ვნებანი მისნი თვისთა თანა, და ამისთვის მარადის იტანჯება მათგან, და შეპყრობილ არს, და დაიწვის აღშფოთებისა და ტანჯვისა მათისაგან, ასე რომ ვერ ძალუძს ხსოვნადცა ივთისა. რამეთუ თვით ხსენება ივთისა სიხარულ არს სულისა და ანუგეშებს მას, ვითარცა ფსალმუნსა შინა წერილ არს მოვიხსენე ივთისა და ვიხარე (ფსა. 76, 4), არამედ არცა ივთისა მოხსენებადცა არა უტევებენ ვნებანი იგი.

უნებავსა რათა სახითა მკირედი რაიმე გაგაგონო თქვენ საქმე ესე? მოვიდეს ვინმე თქვენგანნი, და შევაყენო იგი სახლსა შინა ბნელსა სამსა ოდენ დღესა, და არა რაი ჭამოს, და არცა სვას, და არცა დაიძინოს, და არცა ვინ ეუბნოს, არცა ილოცოს, არცა თუ ღმერთი მოიხსენოს. და მაშინ იხილოს, თუ რასა იქმოდის მის შორის ვნებანი; და ჯერეთ სოფელსა შინა არს. რაოდენათა უკვე უმეტეს, შემდეგ გამოსლვისა სხეულითგან სულისა, მაშინ იგი მიეცემის ვნებათა და დაშთების მარტო მათთანა, ითმენს მაშინ იგი მწუხარებასა უბადრუკი იგი? აქაურისა მწუხარებისა გამო თქვენ შეგიძლიათ რაოდენიმე გაიგოთ თუ ვითარნი არიან იქაურნი მწუხარებანი. რამეთუ ოდეს ვინ იყოს შეპყრობილი მხურვალეებითა რაჲ არს სიმხურვალე მისი? ვითარი ცეცხლი, ანუ რომელი შემასწავს მას? ანუ უკეთუ ვინმე იყოს შავისა ნაღვლისა უფალი და უძლური სტომაქითა, არავცე თვისი

შიშისათვის საუკუნოის სასჯელის.

ბუნება სტანჯავსა მასვე და სწავს მას? ეგრეთვე სული ვნებული მარადის იჭირვის, თვისთავანვე საქმეთა, და სიმწარისა მისგან ცოდვათა თვისთასა, და ოდეს იხსენებდეს მათ, მაშინ ელმის მას მათგან, რამეთუ ივინი სტანჯვენ მას.

შა ამათ ყოველთა ზედა ძმანო, ვინ შემძლებელ-არს მითხრობად თქვენდა, ადგილთა მათ საშინელთა, და გვემათა მათ მტანჯველთასა, ხოლო სტანჯვენ სულთა ცოდვილთა ამით ყოვლითა, და არა განიხრწნებიან: მუნ არს ცეცხლი იგი დაუშრეტელი ბოროტი, და ბნელი იგი, და ძალნი იგი მრისხანენი, და სხვანი იგი ბევრეულნი სატანჯველნი, რომელნი იგი სხვად-და-სხვად სახედ თქმულნი არიან ყოველთა წმიდათაგან; და იგი ყოველნი საქმეთა ჩვენთა ბოროტთა მოსაგებელნი არიან.

ჲ ვითარცა წმიდანი მიიღებენ ადგილთა ნათლითა საესეთა და სიხარულსა ანგელოზებრივსა მისაგებელად კეთილთა საქმეთა მათთა: და ეგრეთვე ცოდვილთა მიეცემიან ადგილნი საესენი ჭირითა და ძრწოლითა.

ჲ ვითარცა იტყვიან ყოველნი წმიდანი: რამეთუ რაი არს უბოროტეს ადგილთა მათ სადაცა წარვლენ ეშმაკნი? და რაი არს უძვირესი სატანჯველთა მათ სადაცა ივინი დარსაჯებიან? ხოლო ცოდვილნიცა წარვლენ მათ ეშმაკთა თანა, ვითარცა იტყვის ჴარისტე; წარვედით ჩემგან ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის, და მსახურთა მისთათვის (მატ. 25, 40). და უსაშინელესია იგი: რომელსა იტყვის წმიდა იოანე ოქროპირი; ვითარმედ: „დაღაცათუმცა არა დიოდა მდინარე იგი ცეცხლისა, არცამცა დგეს ანგელოსნი იგი საშინელნი, არამედ ესე ოდენ, რამეთუ რომელნიმე კაცნი მიიწოდებიან დიდებასა და პატივსა: ხოლო რომელნიმე განიდევნებოდნენ გინებითა, რათა არა იხილონ დიდება ივითსა. არამე უმწარეს არსა ყოველსა გეჰენისას, სასჯე-

### სწავლა მეხორომეტე

ლი იგი სირცხვილისა მის, და გინებისა და ქირი იგი, და საღმობა იგი დამხოებისა ეგოდენტა მათ კეთილთასა?“ რამეთუ მაშინ თვით მხილება იგი სვინილისისა: და ხსენება იგი თვით ქმნულთა საქმეთა, უძვირეს არს ყოველთავე სატანჯველთა.

ქ ვითარცა მამანი იტყვიან: რაიცა ექმნას კაცსა აქა ყოველივე ახსოვს: გინათუ სიტყვით, გინათუ საქმით, გინათუ გონებით; და ვერარას ამათგანსა დაივიწყებს. ხოლო რომელსა იტყვის ფსალმუნსა შინა ვითარმედ მას დღესა შინა წარსწყმდიან ყოველნი ზრახვანი მათნი (ფსალ. 145, 4); ამისთვის იტყვის: რამეთუ მაშინ წარსწყმენდს კაცი ზრახვათა ამის სოფლისათა, ნაშენებთა და სახმართა, შვილთა და ნათესავთა; მიცემასა და მოღებასა, ამათ ყოველთა მაშინ წარსწყმედს, და არა რაი ამათგანი ახსოვს, არცა ზრუნავს. ხოლო უკეთუ რაიმე ექმნას სათნოება, ანუ ცოდვა ახსოვს იგი; და არცა ერთი რაჲ დაავიწყდების: არამედ უკეთუ ვისგანმე ერგოს, ანუ თუ სხვისათა მას ერგოს ორივე ახსოვს. და კვალად უკეთუ ვისგანმე ვნებოდის, ანუთუ მეორისადა მას ევნოს ყოველივე ახსოვს, და არა რაი ამათგანი დაავიწყდების, არამედ ყოველივე რაიცა აქა ექმნას, ოდეს ხორცთაგან განვიდეს ახსოვს სულსა, და უწმიდესადცა აწინდელისა ახსოვს, რამეთუ მაშინ განყენებულ არს ყოვლისაგანვე საურავისა ამის სოფლისა.

ოდესმე ვუბნობდი, დიდისა ვისმე ბერისა თანა ამისთვის, და იტყოდა ბერი იგი: ვითარმედ სულსა, ოდეს გამოვიდეს ხორცთაგან ახსოვს ვნებაცა, რომელი ექმნას, და ცოდვაცა, და პირი, რომლისა თანა ექმნას. ხოლო მე ვეტყოდი მას; არა ეგრეთ არს, არამედ ახსოვს გულის სიტყვა იგი, რომელი იყოს მის შორის საქმითა მის ცოდვისათა. და მრავალ ჟამ დავადგერით ცილობასა ზედა ამა საქმისათვის; და არა ირწმუნებდა ბერი იგი, არამედ იტყოდა ვითარმედ სახე მის ცოდვისა, და ადგილი,

ძაწვევებად ვნებათა.

და პირი რომლისა თანა ექმნას ახსოვს. და ჭეშმარიტად, უკეთუ ოდეს ესრეთ არს, უბოროტესი უკანასკნელი არს ჩვენი. უკეთუ არა ვეკრძალნეთ თავთა ჩვენთა. ამისთვის მე გეტყვი თქვენ: ისწრაფდით რათა მოიგნეთ კეთილნი გულის სიტყუანი, რათა პოვნეთ თქვენ იგინი მუნ. რამეთუ რაიცა ვის ქონდის აქა, იგივე განვალს მისთანა, და იგივე აქენდეს მუნ.

II. **ლო** აწ ვისწრაფოთ ძმანო განრისხებად ეგე ვითარისაგან ჭირისა. ვიღვაწოთ რათა ყოს იმერთმან ჩვენთანა წყალობა: რამეთუ იგი არს სასო ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა, და რომელნი არიან ზღვათა შინა შორს (ფსალ. 64. 6.). რამეთუ კიდეთა ქვეყანისათა იგინი არიან, რომელნი არიან სრულსა სიბოროტესა შინა. ხოლო ზღვათა შინა შორის არიან იგინი, რომელნი არიან უკანასკნელს სასოწარკვეთილებასა შინა, ხოლო **ჩრისტე იმერთი** არს სასოება და ესე ვითართა თვისთა თვის.

III. **რამედ** ჯერ არს ჩვენგანცა მცირედ რაიმე დაშრომა; დაეშვრეთ მცირედ რათა შეგვიწყალნეს ჩვენ იმერთმან. რამეთუ უკეთუ ვისმე ედგას ყანა, და დაუტეოს იგი, ვიდრემდის იქმნეს იგი კორდ, არა რაზომცა უდებ ყოს, აღმოეცნებიან მის შორის ეკალნი და კუროს თავნი: და რაზომცა აღმოსცენდენ, არა უმეტესი ჭირი უნებსა განწმედასა მას მისსა, ოდეს უნდეს აღმოფხვრა ბოროტისა მის თივისა, რომელი იგი აღმოხდა ქამსა მას უდებებისა მისისასა, არა უფროსლა დაიხოკნენა ხელნი მისნი: რამეთუ შეუძლებელ არს უკეთუმცა კაცმან არა მომკო, რომელი იგი დასთესა.

IV. **უხმს**, რომელსა უნდეს განწმედა ყანისა თვისისა, რათა პირველად აღმოფხვრას ღვარძლი ძირითურთ, რამეთუ უკეთუ ძირითურთ არ აღმოფხვრას, არამედ თავთავი ოდენ მოსჭრას, იგინი კვალად აღმოსცენდებიან. ხოლო უნებს კაცსა რათა ძირითურთ ამოგლიჯოს იგი; და ოდეს კეთილად განწმიდოს იგი, მაშინლა მოხნას იგი; და



### სწავლა მკათრომეტე.

ოდეს კეთილად განსწმიდოს და შეჰკაზმოს, მაშინ დასთესოს მას შინა თესლი კეთილი.

ჴოლო უკეთუ შემდგომად განწმედისა მისისა დაუტეოს იგი უქმად, აღმოვლენ თივანი; და პოვებენ მიწასა ლბილსა და განიყრიან ქვე სიღრმესა ძირთა, და უფროსლა განმრავლდებიან და განძლიერდებიან. ხოლო ესრეთვე არს საქმე სულისა: პირველად უხმს კაცსა, რათა მოიწყვიდნეს ძველნი იგი ბოროტნი ჩვეულებანი: რამეთუ რა უძვირეს არს ბოროტისა ჩვეულებისა, ოდეს დაენერგოს კაცისა თანა რამეთუ ჩვეულება მრავალ ჟამითგან დანერგული კაცისა თანა, ვითარცა ბუნებისა მისისაგანი ერთი იქმნების. ხოლო ვითარცა ვსთქუ უნებს კაცსა, რათა პირველად ჩვეულებანი ბოროტნი და ვნებანი მოიწყვიდნეს და მიზეზნიცა მათნი, რომელ არიან ძირნი, რამეთუ უკეთუ ძირნი არა აღმოიფხვრნენ ეკლნი კვალადცა აღმოსლვად არიან. რამეთუ არიან ვნებანი რომელნიმე, რომელ უკეთუ მიზეზნი ვინ მათნი მოსწყვიდნეს თავის თავ ვერა რას შემძლებელ არიან.

ჴითარცა შური თავით თვისით არა რაი არს, არამედ ჰქონან მას მიზეზნი, რომელთაგანი ერთი არს—დიდების მოყვარება; რამეთუ კაცსა ოდეს უნდეს დიდება, ეშურების მას, რომელსა ჰქონდის უფროსი მისა დიდება, გიწა პატივი.

მა ეგრეთვე რისხვა, სხვათა მიზეზთაგან მოვალს და უფროსლა გემოთ მოყვარებისაგან; ამისთვისცა მახსოვს მკაგრეს თქმული, წმიდისა ვისთვისმე, რომელი იტყოდა ამისთვის: „აღეკრებ გემოთა მრავალთა, რათა მიზეზნი იგი გულის წყრომისანი მოვიწყვიდნე.“

მა ყოველნი მამანი იტყვიან, ვითარმედ ყოველივე ვნება სამთა ამათგან იქმნების: დიდების მოყვარებისაგან; და გემოთ მოყვარებისაგან, და ვეცხლის-მოყვარებისაგან, ვითარცა მრავალ-გზის ვსთქუ.

ჴოლო უხმს კაცსა, რათა განიწმიდოს თავი თვისი

მოწყვედად გნებათა.

ვნებათაგან და მიზეზთაგანცა მისთა სრინანულითა და ტირილითა, და მაშინ რათა დასთესოს თესლი კეთილხ, რომელ არიან კეთილნი საქმენი. უკეთუ არა, ვითარცა ვსთქუ ყანისათვის; და შემდგომად განწმედისა მისისა არა დასთესოს თესლი კეთილი, აღმოვლენ ეკალნი; და პოებენ მიწასა ლბილსა და უფროსლა გამაგრდებიან მას შინა.

იგრეთვე კაცი, უკეთუ განიწმიდოს თავი თვისი ვნებათაგან, და შეინანნეს პირველნი იგი საქმენი მისნი ბოროტნი, და არა მოიგნეს სათნოებანიცა და კეთილნი საქმენი მერმე წაეკიდებიან მას, სიტყვისაებრ ოაფლისა; ვითარცა იტყვის წმიდა სახარებასა შინა: ვითარმედ ოდეს სული იგი არა წმიდა გამოვიდის კაცისაგან; წარვალს იგი და ვალს ურწყულობთ ადგილთა, და ოდეს ვერ პოვოს განსვენება. მერმე იტყვის შევიქცე სახილვე ჩემდა, საიდათცა გამოვედი; და მორავიდის პოვის იგი მოცულედ. რაისაგან მოცალედ? ყოვლისაგანვე სათნოებისა, — და არნ იგი შემკულ და შექურვილ. მაშინ წარვიდის და აღიხვნის მისთანა სხვანი შვიდნი სულნი, უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაემკვიდრის მის შორის; და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძვირეს პირველისა (მატთ. 12. 44).

ქ შეუძლებელ არს უკეთუმცა კაცი დაადგრა ერთსა ზედა, არამედ ანუ წარმართებად ანუ დაკლებად მოვალს, გინა კეთილსა ზედა, გინა ბოროტსა: ამისთვისცა კაცსა რომელსა უნდეს ცხოვრება, უხმს რათა არა ოდენ ბოროტნი დაუტეოს, არამედ რათა კეთილიცა ქმნეს, ვითარცა წერილ არს ფსალმუნსა შინა, ვითარმედ მოიქცე ბოროტისაგან და ქმენ კეთილი. არა წერილ არს მხოლოდ: მოიქცე ბოროტისაგან. არამედ და: ქმენ კეთილი. რათა უკეთუვინმე იყოს მავნებელ არა ავნებდეს, არამედ რათამცა სამართალსა იქმოდის.

შა უკეთუ იყოს მსიძავ, რათა არა ოდენ არა ისიძავიდეს, არამედ რათა მარხვაცა მოიგოს; და უკეთუ ვინმე

### სწავლა მეათორმეტე

იყოს მრისხანე, რათა არა ოდენ რისხვა მოიწყვიდოს, არამედ რათა სიმშვიდეცა მოიგოს; და უკეთუ ვინმე იყოს ამპარტავან, რათა არა ოდენ იგი დაუტეოს, არამედ რათა სიმდაბლესა მოიგოს.

**ზ**ა ესე არს: მოქცევა ბოროტისაგან და ქმნა კეთილისა. რამეთუ თითოეულსა ვნებასა აქვს წინააღმდეგომი თვისი სათნოება: ამპარტავანებასა—სიმდაბლე, ვეცხლის მოყვარებასა—მოწყალეობა, და სიძვასა—მარხვა, და სულმოკლებასა—მოთმინება, და რისხვასა—სიმშვიდე, სიძულვილსა—სიყვარული; და ესრეთ თითოეულსა ვნებასა აქვს წინა აღმდეგომი მისი სათნოება, ესე მრავალ გზის გითხარ თქვენ.

**ჴ**ოლო აწ ვითარცა განვასხენით სათნოებანი; და დავამკვიდრენით ვნებანი ჩვენ შორის, ეგრეთვე გვიხმს ჩვენ რათა ვიღვაწოთ, და არა ოდენ ვნებანი განვასხნეთ ჩვენგან, არამედ რათა სათნოებანიცა დავამკვიდრნეთ ჩვენ შორის და განვაწყვენთ იგინი თვისთა ადგილთა; რამეთუ სათნოებანი ჩვენისა ბუნებისანი არიან, მოცემულნი ჩვენდა **ღ**ვთისა მიერ.

**ქ** ოდეს დაბადა **იმერ**თმან კაცი, დასთესნა მის შორის სათნოებანი, ვითარცა იტყვის: ვქმნეთ ჩვენ კაცი ხატად ჩვენდა და მსგავსებად (შექმნათა, 2, 26) ხატად ესრეთ, რამეთუ **იმერ**თმან ქმნა სული უკვდავ და თავისუფალ ხოლო მსგავსებად—სათნოებათათვის იტყვის. რამეთუ კვალად იგივე **ოფალი** იტყვის: იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა მოწყალე არს (ლუკ. 6, 36), დამეორესა ადგილსა: წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ (1 პეტ. 1. 16). და მოციქული იტყვის: იყვენით სახიერ ურთიერთარს (ეფეს 4. 32). და ფსალმუნსა შინა თქმულ არს: ტკბილ არს უფალი ყოველთა მიმართ (რამეთუ **ოფალი** თქვენი სახიერ არს) (ფს. 144. 9). და ამის მსგავსნი; და ესე არს მსგავსება ღვთისა.

**ზ**ა ამისთვის ვიტყვი ვითარმედ, **იმერ**თმან ბუნებით

შაშისათვის საუკუნოსას სასჯელისა.

მოგვცნა სათნოებანი. ხოლო ვნებანი არა ბუნებისა ჩვენისანი არიან; და ამისთვის უხორცო არიან იგინი, და არა არსნი, ვითარცა ბნელი არა არსი არს, არამედ ვნება რაიმე არს ჰაერსა ზედა, ვითარცა წმიდა ბასილი იტყვის, მოკლებითა ნათლისათა მოვალს იგი; ეგრეთვე არიან ვნებანი: რამეთუ მიდრკა რა სული გემოთ მოყვარებითა, სათნოებათაგან, ქმნა ვნებანი და დაამტკიცნა იგინი თავისა თვისისა ზედა. ხოლო ვითარცა ვსთქუ ყანისათვის, ეგრეთ უხმს კაცსა, რათა დასთესოს მის თანათესლი კეთილი, რათა თესლისა ებრ გამოიღოს ნაყოფიცა.

ხოლო უხმს მთესვარსა, რათა ვითარცა დასთესოს მეყვსეულად დაფლას იგი; უკეთუ არა, მოვლენ მფრინველნი და წარიტაცებენ მას; და ოდეს დამალოს იგი, მაშინ ელის წყალობასა ივთისასა, რათა სწვიმოს და გამოიღოს თესლმან მისმან ნაყოფი და აღიზარდოს. რამეთუ რაზომნიცა ჭირნი ნახნეს მუშაკმან, უკეთუ არა წვიმოს ივთისა ბრძანებითა, ყოველივე შრომა მისი ცუდად არს. ეგრეთვე ჩვენდა ჯერ არს, რათა დაღაცათუ რაიმე კეთილი ვქმნეთ, დავფარვიდეთ მას სიმდაბლითა; და რათა ვევედრებოდეთ იმერთსა, და უჩვენებდეთ უძლურებასა ჩვენსა, რათა მოხედნეს შრომასა ზედა ჩვენსა: უკეთუ არა, ამაო არს შრომა ჩვენი. და კვალად ვინაითგან წვიმოს, და აღმოხდეს თესლი, უკეთუ კვალად ჟამსათვისა არა წვიმოს განხმების. რამეთუ ჯეჯილსაცა უნებს წვიმა, ვიდრემდის იგი განემტკიცოს, გარნა და ვერცა რაით მაშინ უზრუნველ იქმნების მუშაკი.

ჩნ მრავალ გზის, ვინაილგან განემტკიცოს და მოიწიფებოდის გამოვალს მკალი, ანუ სეტყვა, და აღაოხრებს მას. ეგრეთვე კაცმან ოდეს განიწმიდოს სული თვისი ყოვლისაგანვე ვნებისა, უხმს რათა ითხოვდეს წყალობასა ივთისასა, რათა არა დაუტეოს იგი და წარწყმდეს. რამეთუ ვითარცა ვსთქვი, თესლისათვის, რამეთუ შემდ-

### სწავლა მეათორმეტე

გომად აღმოსლვისა, და აღზრდისა, და ნაყოფის გამოაღებისა, უკეთუ არა წვიმოს განხმების იგი: ეგრეთვე კაცმან, ვინაიღვან ქმნეს ეგოდენი შრომანი, თუმცა იმერთი მცირე დროებით აღიღებდეს მისგან საფარველსა თვისსა, და დაუტევებდეს მას, მაშინ იგი წარწყმდების.

ჴოლო იმერთი დაუტევებს კაცსა მაშინ, ოდეს რაიმე ქმნას გარეგან წესისა თვისისა. მაგალითებრ, ოდეს იყოს განკრძალული — და იქმნას უწესო; ანუ თუ იყოს მდაბალ — და ქმნეს ამპარტავან. რამეთუ არა ეგეზომათ განეშორების იმერთი უწესოსა, ოდეს ქმნეს რაიმე უწესოება, არცა ამპარტავანსა უკეთუ უამპარტავანეს იქმნეს; ვითარ წესიერსა, ოდეს ქმნეს უწესო; ანუ მდაბალსა — ოდეს იქმნეს ამპარტავან, და ამისგან იქმნების მიზევებითა ივთისათა.

ჴმისთვისცა წმიდა ბასილი სხვებრ სჯის ცოდვასა წესიერისასა, და სხვებრ უწესოხსასა. და კვალად ოდეს დაიცვას კაცმან თავი თვისი, უხმს რათა ისწრაფოს, უკეთუ რასმე იქმოდეს, არა იქმოდეს მას ამპარტავანებით; ანუ კაცთ მოთნებით, რათა არა წარსწყმიდოს იგი; ვითარცა ესთქუ მკლხსათვის გინა სეტყვისა. და კვალად ოდეს მუშაკმან დაიცვას ყანა იგი თვისი კეთილად, ვიდრე მკადმდე, ვერცა მაშინ უზრუნველ იქმნების: რამეთუ ესეცა მოვალს, რომელ ოდეს მომკოს იგი და დაკრიბოს მოვალს კაცი ბოროტი და შეუგდებს ცეცხლსა ნაყოფსა მას მისსა, და დასწავეს მას: და წარსწყმედს ყოველსავე შრომასა მისსა და ნაყოფსაცა.

ჴრამედ ვიდრემდის იხილოს, ვითარმედ შემოკრიბა იგი, და შთაასხა იგი საუნჯესა, ვერ უზრუნველ იქმნების მუშაკი და ეგრეთვე არა უხმს კაცსა შემდგომად ამათ ყოველთა უზრუნველ ყოფა. რამეთუ ეშმაკი შემდგომად ამის ყოვლისა, პოებს ერთსა რასმე საქმესა, და მით აცთუნებს მას: ანუ ამპარტავანებითა, ანუ შთაუგდის მას გულის-სიტყვა ურწმუნოებისა; ანუ ბოროტისა წვალეებისა; და არა ოდენ შრომათა მისთა წარსწყმედს, არამედ ღვთისაგანცა განაშორებს მას; და რომელი იგი ვერ ქმნას

მიშისათვის საუკუნოის სასჯელისა.

საქმით, ერთითა გულის სიტყვითა აღასრულებს მას; რამეთუ შემძლებელ არს ჩვენდა ერთიცა გულის-სიტყვა განშორებად ჩვენდა ივთისაგან, უკეთუ შევიწყნარებდეთ-რამეთუ მოღვაწესა და რომელსა უნდეს ცხოვრების არა უხმს უზრუნველ ყოფაჲ ვიდრე უკანასკნელ სულთქმად-მდე; ხოლო ჯერ-არს ჩვენდა, რათა ვიღვაწოთ: და ვზრუნვიდეთ: და ვევედრებოდეთ იმერთსა, რათა მან დაგვიფარნეს და განგვარინნეს ჩვენ სახიერებითა მისითა. დიდებად წმიდისა სახელისა მისისა. ამინ.

სწავლა მებათცამეტე.

რათა უშფოთველად და ძაღლობით მრავითმქედოთ განსაცდელთა.



ეთილად სთქვა მამამან პიმენ, ვითარმედ სასწაული მონაზონისა განსაცდელსა შინა გამოსჩნდების; ხოლო უხმს მონაზონსა, რომელი მოსრულ იყოს ქვეშმარტად მსახურებად ივთისა, რათა წინასწარვე განმზადოს თავი თვისი მოთმინებად განსაცდელთა (ზირაქ. 2, 1), რათა ოდეს მოიწინენ არა უცხოად უჩნდეს, არცა აღშფოთნეს, არამედ რათა რწმენეს ვითარმედ თვინიერ განგებისა ივთისა, არა რაჲ იქმნების.

ჲ სადა არს განგება ივთისა, მუნ უეჭველად არს უმჯობესი სულისა; რამეთუ რასაცა იქმს ჩვენ თანა იმერთი, ყოველსავე უმჯობესისა ჩვენისაფვის იქმს, რამეთუ უყვართ ჩვენ.

შა გვიხმს ჩვენცა, ვითარცა იტყვის მოციქული: რათა ყოველსავე ზედა ვმადლობდეთ იმერთსა (ეფეს. 5, 20. 1, სოლ. 5, 18), და არა სულმოკლე ვიქმნებოდეთ. არა რასა ზედა, არამედ რათა შევიწყნარებდეთ ყოველსავე, რაიცა მოიწიოს ჩვენ ზედა სიმდაბლით და ივთისა

### სწავლან მკათაძე

მადლობით და რათა ვიტყოდეთ ვითარმედ; რასაცა იქმს ჩვენ თანა იმერთი ყოველსავე კეთილად იქმს; და რამეთუ უყვართ ჩვენ, რაამისთვის იქმს, რამეთუ მოწყალე არს იმერთი.

ჴოლო უკეთუ კაცსა ესვას მოყვარე, რაიცა წარეკიდოს მისგან გულის საკლებელი არა დაირწმუნებს ვითარმედ იგი გულის კლებისთვის იქმს მას, არამედ იტყვის ვითარმედ: უყვარ მე, და ამისთვის იქმს მას. და ვითარ არა უფროს გვიჩნდეს ჩვენ ივთისათვის ესრეთ, რომელმან დაგვადნა ჩვენ, და არა არსისაგან არსად მომიყვანნა, და ჩვენთვის განკაცნა, და ჩვენთვის მოკვდა; რამეთუ ყოველსავე უმჯობესისა ჩვენისათვის იქმს, და რამეთუ უყვართ ჩვენ. რამეთუ მოყვარისათვის შემძლებელ არს კაცი თქმად, ვითარმედ უყვარ მე, და მერიდების, გარნა არა აქვს ეგე ზომი სიბრძნე, და ამისთვის დაღაცათუ არა უნებს გულს მაკლებს მე. ხოლო ივთისათვის ამას ვერ ვიტყვით, რამეთუ იგი არს წყარო სიბრძნისა, და ყოველივე იცის და იქმს უმჯობესსა ჩვენსა, ვიდრე მცირედცა რადმე საქმედ. და მოყვარისათვის შესაძლებელ არს თქმად ვითარმედ უყვარ მე. და უნებს კეთილი ჩემი, და აქვს სიბრძნეცა, არამედ არა აქვს ძალი, რათამცა ქმნა უმჯობესი ჩემი.

ჴოლო ვერცა ამას ვიტყვით ივთისათვის, რამეთუ წინაშე მისსა ყოველივე შესაძლებელ არს, და არა რაჲ არს მისგან შეუძლებელ; ხოლო აწ უკეთუ ესე ყოველი ესრეთ არს და იმერთსა უყვარს დაბადებული თვისი; და იგი არს წყარო სიბრძნისა, და იცის უმჯობესი ჩვენი, და არა რაჲ შეუძლებელ არს მისა, არამედ ყოველივე მორჩილებს ნებასა მისსა. მაშა რაიცა მოიწიოს ჩვენ ზედა, ყოველსავე ზედა უწყოდითმცა, ვითარმედ უმჯობესისათვის ჩვენისა იქმს იმერთი; და რათა ვმადლობდეთ მას, და შევიწყნარებდეთ ყოველსავე სიხარულით, ვითარცა ქველის-მოქმედისა და სახიერისა მეუფისაგან მოსრულსა, დაღაცათუ გულის საკლებ იყოს. რამეთუ იმერთი ყო-



მოთმინებასთვის განსაცდელთა.

ველსავე მართლითა სასჯელითა სჯის, რომელი ესოდენ მოწყალეა, რომელ არა უგულვებელს ყოფს გულის კლებასა, და არცაღა მცირესა ჭირსა ჩვენსა.

ჴ არს კაცი რომელი იტყვის, ვითარმედ: „უკეთუ მოიწიოს რაიმე და ცოდვასა შთავეარდებოდი მე გულისკლებისაგან, ვითარ ვსთქვა თუ ესე ჩემისა უმჯობესისათვის იქმნა? ხოლო ესე არა ესრეთ არს, რამეთუ ცოდვასა შინა ჩვენის უთმინოებისაგან შთავეარდებით; რამეთუ არა გვნებავს მოთმენა ერთისაცა ჭირისა, და არცა ვლამით, რათამცა რაიმე შეგვემთხვია გარეგან ნებისა ჩვენისა, უკეთუ არა იმერთი, ჩვენ ზედა ვეგე ვითარსა განსაცდელსა არა მოუშვებს, რათამცა მის მიერ შთავეარდეთ ცოდვასა, ანუშმცა იყო იგი უმეტესი ძალისა ჩვენისა, ვითარცა იტყვის მოციქული; სარწმუნო არს იმერთი, და არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროს ძალისა თქვენისა. (1. კორინთ, 10, 13).

ჴრამედ ჩვენ არა გვაქვს მოთმინება, და არცა გვნებავს მცირედისა ჭირისა მოთმენა, და არცა რას შევიწყნარებთ სიმდაბლით, ამისთვის შევიმუხსვრით, და რაიზომცა ვისწრაფით განრომად განსაცდელთაგან, უფროსდა ჩვენ ზედა მოიწევიან იგინი; და რაზომცა სულ მოკლე ვიქმნებოდეთ, ვერვე განვერებით მათ. არიან ვიეთნიმე, რომელნი ცურვენ ზღვასა შინა, სახმრისა რაისათვისმე, და უკეთუ კეთილად იცოდინან ხელოვნება იგი მცურველობისა, ოდეს მრვიდეს მათ ზედა ღელვა, მოდრკებიან ქვეშე მისსა, ვიდრემდის წარხდეს მათ და ესრეთ უვნებელად ცურვენ.

ჴოლო უკეთუ უნდეს წინა აღდგომად ღელვასა ვერარას ირგებენ; არამედ განყრის მათ გარე და შეაქცევს უკუდმართ; და კვალად ოდეს იწყონ ცურვად, ოდეს მოვიდეს სხვა ღელვა უკეთუ იწყონ წინა აღდგომად, კვალად შეაქცევს მათ უკუდმართ, და განყრის გარე, და

### სწავლა მეათეამეტე

ვერა რას ირგებენ. ხოლო უკეთუ, ვითარცა ვსთქუ, დაუმაბლონ მას თავი თვისი უშრომელად ცურვენ; და რაიცა უნდეს იქმან; რამეთუ ღელვა არა რას ავნებს მათ. ეგრეთვე არიან განსაცდელნი: რამეთუ უკეთუ დაუთმოთ მათ სიმდაბლით, და მადლობით თანა წარგვხდებიან უვნებელად; ხოლო უკეთუ დავადგრეთ გულის-კლებასა ზედა და შფოთსა, და სხვასა ვაბრალობდეთ, და არა თავთა ჩვენთა, ვერარას ვირგებთ, არამედ უფროსდა ვივნებთ, და დავამძიმებთ ჩვენ ზედა განსაცდელთა: რამეთუ განსაცდელნი ფრიად ერგებიან, რომელი შეიწყნარებდეს მათ მოთმინებით.

**შ**ა კვალად უკეთუ გაურვებდეს თქვენ ვნება რაიმე, ნუ აღშფოთნებით; რამეთუ ესეცა უგულის-ხმოებისა და ამპარტავანებისა საქმე არს: ოდეს კაცსა ბრძოდის ვნება რაიმე, და იგი აღშფოთნებოდის. და ესე იქმნების, ოდეს კაცმან არა იცოდეს უძლურება თვისი; და ოდეს ივლტოდის იგი შრომისაგან, ვითარცა სთქვეს მამათა: ამისთვის ვერ წარვემართებით, რამეთუ რაზომნიცა ჩვენნი არა ვიცნით, არცა გვაქვს მოთმინება, რომელსა საქმესა დავიწყებთ, არამედ უშრომელად გვენბავს სათნოებისა მოგება.

**ჩ**ოლო რად უცხო უჩნს ვნებულსა ოდეს ბრძოდეს მას ვნება რაიმე? რად შეშფოთდები? ქმენ შენ იგი პირველად, და დაამკვიდრე შენ შორის: და აწ შენთანა არს, და გბრძავს შენ, და შენ იტყვი, ვითარმედ: რად მბრძავს მე? წინდი მისი შინაგანსა შენსა არს, და შენ იტყვი, ვითარმედ: რად მბრძავს მეო? მოითმინე და იღვაწე და ევედრე იმერთსა, რამეთუ შეუძლებელ არს, თუმცა კაცმან ქმნა ცოდვა რაიმე, და მერმე არამცა ბრძოდა კვალად ვნება იგი. ვითარცა სთქვა მამამან სისო: ჭურჭელნი მათნი შინაგან შენსა არიან; მიეც მათ წინდი მათი და წარვიდენ შენგან.

**ჩ**ოლო ჭურჭლად სახელს დებს მიზეზსა ცოდვათასა,

მოთმანებისათვის განსაცდელთა.

ვინაიდან მიზეზნი იგი მათნი ჩვენ შევიყვარებით და მოვიყვანებით იგინი მოქმედებად; ამისთვის შეუძლებელ არს უკეთუშცა არა წარიტყვენოდა გონება მათგან, და თუმცა არა გებრძოდენ ჩვენ, წინააღმდეგ ნებისა ჩვენისა რათამცა უნებლიეთ გვაქმნიეს ცოდვა, ვინათგან ჩვენ ნფესით ჩვენით მივსცენით თავნი ჩვენნი ხელთა შინა მათთა. ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ფორემისთვის, რომელმან დასთრგუნა წინააღმდეგომი თვისი, რომელ არს სვინიდი, და დაუტევა სამართალი (ოსია 5, 11), და იტყვის მისთვის წინასწარმეტყველი, ვითარმედ ნებსით ეძიებდა იგი ეგვიპტესა, და უნებლიათ მივიდა იგი ასურეთად. მოვედით და გულის ხმა ვუთ სიტყვა ესე, რამეთუ ეგვიპტედ იტყვის-ნებასა ხორცთასა, რომელი იგი მიგვიყვანებს ჩვენ, ხორცთა განსვენებასა. ხოლო ასურეთად იტყვის — არა წმიდათა გულის სიტყვათა, რომელნი იგი აღამრღვევენ და შეაგინებენ გონებასა, და აღავსებენ მას სახითა არა წმიდებისათა, და მოიყვანებენ მას უნებლიათცა ცოდვისა საქმით ქმნასა.

ხოლო უკეთუ კაცმან ნებსით მისცეს თავი თვისი ნებასა ხორცთასა: მერმე უნებლიათცა მისლვად არს იგი ასურეთად, რათა მსახუროს ნაბუქოდონოსორსა. ხოლო ესე უწყოდა წინასწარ-მეტყველმან, ამისთვისცა ეტყოდა ერსა მას: ნუ შთახვალთ ეგვიპტედ. რასა იქმთ უბადრუკო? დამდაბლდით მცირედ, მოიდრიკებით მხარნი თქვენნი, და მსახურეთ მეფეება ბაბილონისასა, რათა დასხდეთ ქვეყანასა მამათა თქვენთასა (იერემ. 42, 19. 27, 12). და კვალად განამხნობს მათ და ეტყვის: ნუ გეშინინ პირისა მისისაგან, რამეთუ თქვენ თანა არს იმერთი, რომელსა ძალ უძს განრინებად თქვენდა ხელთაგან მისთა (იერ. 42. 11). იხილეთ ვითარ პირველადვე უთხრობს ჭირსა მათ ზედა მოწვევადსა: უკეთუ ურჩ ექმნეთ იმერთსა და იტყვის. უკეთუ შთახვიდეთ ეგვიპტედ იყვნეთ საწუნელ და მონა და შეურაცხ და საყვედრელ ყოველთა

### სწავლა მკათარებზე.

(15, 18); ხოლო იგინი იტყოდეს ვითარმედ: არა დავსხდეთ ქვეყანასა ამას, არამედ შთავიდეთ ეგვიპტედ და ბრძოლა მუნ არა ვიხილოთ, და ხმა საყვირისა არა გვესმეს, და პურითა არა მოგვემშობოს (13. 14). მაშინ შთავიდეს ეგვიპტედ, და მსახურეს ნებსით ფარაოს, და მერმე მივიდეს უნებლიად ასურეთად, და მსახურეს მათ, ვითარცა არა უნდა.

ჴულის-ხმა-ყავთ ძალი სიტყვათა ამათ, ვიდრე არა ექმნას კაცსა ვნება დაღაცათუ ბრძოდის მას გულის სიტყვანი, არამედ თვისსა ქალაქსა შინა თავისუფალ არს იგი, და ყავს იმერთი შემწედ მისსა; და უკეთუ დაუმდაბლოს თავი თვისი იმერთსა და მოითმინის ჭირი იგი განსაცდელისა მის მადლობით, და იღვაწოს მცირედრე, მაშინ წყალობა ივთისა განარენს მას მისგან. ხოლო უკეთუ ივლტოდის იგი ჭირისაგან, და მიყვეს განსვენებასა და ნებასა ხორცთასა, მერმე მივიდეს იგი უნებლიათცა ქვეყანასა ასურეთისასა, და მსახუროს მათ.

ჴმისთვის იტყვის წინასწარმეტყველი: ილოცვედით ცხოვრებისათვის ნაბუქოდონოსორისა, რამეთუ ცხოვრებასა შინა მისსა, არს ცხოვრება თქვენი ( ბარუქ. 1, 11, 12), ნაბუქოდონოსორ არს-სულგრძელება, და არა სულმოკლება ზედა მოწვენილისა რაისამე ჭირისა, რათა არა დრტინვიდეს მისთვის, არამედ რათა მადლობით, და სიმდაბლით მოითმენდეს განსაცდელსა მას, ვითარმცა თანამედებ იყო მის ზედა მოწვენა განსაცდელისა მის, და რათა იტყოდის ვითარმედ არა ვარ ღირს რათამცა განეთავისუფლდე ვნებისა ამისგან; არამედ რათაუფროსდა განფიცუნეს იგი ჩემზედა, და რათა ჭირსა შინა იყოს ცხოვრება ჩემი. და რათა დაიდრიკოს ბრალი თავსა თვისსა ზედა, დაღაცათუ არა იყოს მას ჟამსა მისი ბრალი. და რათა იტყოდის ვითარმედ იმერთი უსამართლოსა არა იქმს, არამედ ყოველსავე სამართალსა; ვითარცა იტყოდა ძმა იგი ტირილით, რაჟამს აღილო იმერთმან

მოთმანებასათვის განსაცდელთა.

მისგან განსაცდელი იგი, ვითარმედ: „**ო**ფალო, არა ღირს ვარა რათამცა მცირედ რაიმე გულისა შემაკლდა შენთვის?“

**ზ**ა კვალად წერილ არს ვითარმედ, იყო მოწაფე ვინმე ბერისა ვისმე დიდისა, და ბრძოდა მას ბრძოლა სიძვისა, და ვითარცა იხილა იგი ბერმან, რამეთუ ჭირსა შინა იყო; რქვა მას: „**გ**ინებსაა შეილო, რათა ვევედრო იმერთსა, და აღვისუბუქოს შენ ბრძოლა იგე?“ ხოლო მან რქვა მას: „დალაცათუ ვიჭირვი, მამაო, არამედ ვხედავ ჭირისა ამისგან ჩემთანა ნაყოფსაცა; გარნა ამისთვის ვევედრე იმერთსა; რათა მომცეს მე მოთმინება“ აჰა ესერა ესენი არიან, რომელთა ჭეშმარიტად უნებს ცხოვრება; და ესე არს სიმდაბლით ტვირთვა უღლისა, და ესე არს ლოცვა ცხოვრებისათვის ნაბუქოდონოსორისა. და ამისთვის იტყვის წინასწარმეტყველი: „**ვ**ითარმედ ცხოვრებასა შინნა მისსა არს ცხოვრება თქვენი.“ ხოლო გავს ესე, სიტყვასა მის ძმისასა, რომელი თქვა: „**ვ**ითარმედ ვხედავ ჭირისა ამისგან ჩემთანა ნაყოფსაცა,“ და ამისთვისცა ბერმან რქვა მას, ვითარმედ: „**ა**წ უწყი რამეთუ წარებატე და უფროს ჩემსა ხარ.“ რამეთუ უკეთუ კაცმან იღვაწოს და სძლოს საქმით ქმნასა ცოდვისასა, და მერმე იწყოს ბრძოლად გულის სიტყვათაცა მიმართ მავნებელთა: ამით საქმითა დამდაბლდების და შეიძუესრის დამოვალს მოღვაწებასა, და მერმე შრომითა მოღვაწებისათა, განწმიდნების; და მოვალს ბუნებითთავე თვისთა საქმეთა, ვითარ იგი დაბადა იმერთმან დასაბამსა. და ამისთვის ვიტყვი ვითარმედ უგულის—ხმოებისა და ამბარტავანებისაგან არს, უკეთუ კაცსა ბრძოდის ვნება რაიმე, და იგი აღშფოთნებოდეს მისთვის, არამედ უფროსდა უხმს, რათა მოითმინოს სიმდაბლით, და ცნას საზომი თვისი, და ევედრებოდის იმერთსა, ვიდრემდის იმერთმან ყოს მისთანა წყალობა.

**ძ** უკეთუ კაცი არა გამოიცადოს, და არ ცნას ჭირი

### სწავლა მეათნამკე.

იგი ვნებათა, არა ოდეს იღვწის განწმენდად თავისა თვისისა მათგან. და ფსალმუნსაცა შინა იტყვის, ამისთვის ვითარმედ: აღმოცენებასა ცოდვილთასა, ვითარცა თივა; და გამოჩინება მათი ყოველნი რომელნი იქმან უსჯულოებასა, რათა მოისრნენ (იგინი) უკუნითი უკუნისამდე (ფსალ. 91 8). აღმოცენება ცოდვილთა, ვითარცა თივა— არიან მავნებელნი გულის სიტყვანი, რამეთუ უძღურ არს თივა, და არა უძს მას ძალი. და ეგრეთვე არიან იგინი, ხოლო ოდეს აღმოცენნენ მავნებელნი გულის სიტყვანი სულსა შინა, მერმე გამოსჩნდებიან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი, რომელ არიან ვნებანი, რათა მოისრნენ უკუნითი უკუნისამდე: რამეთუ ოდეს გამოჩნდნენ ვნებანი მოღვაწეთანი, მერმე მოისრვიან მათ მიერ. გულის ხმა ყავთ ძალი სიტყვათა ამათ: პირველად აღმოცენებიან გულის სიტყვანი მავნებელნი, და მერმე გამოსჩნდებიან ვნებანი, და ესრეთ მოისრვიან.

ხოლო ესე ყოველი მოღვაწეთა არს: გარნა ჩვენ რომელნი ესე აღვასრულებთ საქმით ცოდვათა, და არა მოვიქცევით მათგან ჩვენ, არცა ვიცით თუ ოდეს აღმოცენებიან, ანუ თუ ოდეს გამოჩნდებიან. არამედ წუთ ქვე ეგვიბტესა შინა ვართ ბოროტსა მას ალიზისა ქმნასა ფარაოსსა; და ვინ მოგვცეს ჩვენ გულის ხმის ყოფა, რათამცა გულის ხმა ვყავთ მწარე იგი მონება ჩვენი, რათა დავდაბლდეთ ჩვენ და ვიწყოთ ძიება შეწყალებისა?

ოდეს იყვნეს ძენი ისრაილისანი ეგვიბტეს შინა და მონებდეს ფარაოს, და იქმოდეს ალიზსა; ხოლო მოქმედნი ალიზისანი მარადის ქვე დადრეკილ არიან ქვეყანასა, და მუნ არს გონება მათი. ეგრეთვე სული, ოდეს ეუფლოს მას ეშმაკი, და აღასრულებდეს საქმით ცოდვასა, ვერღარა გაიგონებს სულიერსა, არამედ ყოველსავე სოფლისასა, რამეთუ დაუთრგუნავს სიბრძნე იგი თვისი პირველი. მაშინ აღიგნეს მათ თავისა მათისა, ალიზისა მისგან, რომელი ექმნა, სამნი ქალაქნი ძლიერნი, რომელნი არიან:

მოთმინებასაოგას განსაცდელთ.

პითონი და რამესე, და ონი, რომელსა აწ სახელ ედების ილიოპოლის რომელ არს მზის ქალაქი. — ხოლო ესენი არიან: გემოთ მოყვარება, და ვეცხლის მოყვარება, და დიდების-მოყვარება, რომელთაგან იქმნების ყოველი ცოდვა.

ჴოლო ოდეს იმერთმან წარავლინა მოსე, რათამცა გამოიყვანნა იგინი ეგვიპტით მონებისაგან ფარაოსსა, მაშინ ფარაო უფროს დაუძიმა მათ საქმე იგი და ეტყოდა: არა გინებსთ შრომა, და ამისთვის იტყვით, ვითარმედ წარვალთ მსახურებად მცეთისა ჩვენისა (გამოს. 15, 17). ეგრეთვე ეშმაკმან ოდეს იხილოს ვითარმედ მოხედნა იმერთმან სულსა ზედა, და უნებს აღსუბუქება მისი ვნებათაგან სიტყვითა მცეთისა, ანუ თუ ვისმე მონისა მცეთისათა, მაშინ ეშმაკი უფროს დაუძიძიმებს მას ცოდვათა, და უფიცხესად ბრძავს მას.

ჴოლო მამათა ესე უწყოდეს, და ამისთვის ასწავებდეს, და ნუგეშინის-სცემდეს კაცთა სწავლითა მათითა, რათამცა არა შეშინდეს, არამედ რომელიმე მათი იტყვის: „შენ დაეცია?“ აღსდეგი, და უკეთუ კვალად დაეცე, კვალად აღსდეგი. და სხვანი იტყვიან: განსძლიერდი და აღსდეგი, და შემდგომი ამისი. დასხვა მამა იტყვის: „ძალი მათი, რომელთა ნებავეს სათნოებათა მოგება, ესე არს რათა უკეთუ დაეცნენ არა სულმოკლე იქმნენ, არამედ კვალად აღსდგენ.“ — დაყოველნი ეგე ვითართა სიტყვათა იტყვიან, და ხელსა აღუპყრობენ დაცემულთა, ვითარცა მათ უსწავიეს წერილთაგან. რამეთუ წერილ არს: ნუ უკვე დაცემული იგი არა აღსდგესა? ანუ მიქცეული იგი არა მოიქცესა? (იერ. 8. 4.) მოიქეცით ჩემდა შვილნო და მე განვკურნნე წყლულდებანი თქვენნი, იტყვის უფალი, და შემდგომი (იერ. 3, 22).

ჴოლო ოდეს დამძიმა ხელი უფლისა ფარაოს ზედა, და საყვარელთა მისთა, და უნდა გამოყვანება ძეთა ისრაილისათა, რქვა მოსეს ფარაო: ვილოდეთ და მსახურეთ



### სწავლა მუხარამეტი

უფალსა ღმერთსა თქვენსა; არამედ საცხოვარი და ზროხა თქვენი აქა დაუტევეთ (გამოს. 10, 24), რამეთუ უნდა ფარაოს, რათამცა ამით სახითა კვალად შეაქცინა იგინი. ეგრეთვე ეშმაკი გვბრძავს ჩვენ, რათამცა ხორციელთა გულის სიტყვითა, კვალად შეგვაქცინა ჩვენ სოფლადვე. და რქვა მას მოსე: არა, არამედ შენიცა მოგვეცი ჩვენ მსხვერპლი და საკვერთხნი, რათა შევსწიროთ უფლისა ღვთისა ჩვენისა; ხოლო ხვასტაგი ჩვენი ვიდოდის ჩვენ თანა (25, 26).

**ზ**ა ვითარცა გამოიყვანნა მოსემ ძენი ისრაილისანი ეგვიპტით, და განავლო ზღვა მეწამული, ენება იმერთსა, რათამცა მიიყვანნა იგინი სამეოცდა ათთა მათ ფინიკთა. პირველად მიიყვანნა იგინი მერრანს, და იჭირვოდა ერი იგი წყურვილისაგან; რამეთუ არა აქენდა მათ წყალი, რამეთუ წყალი ადგილისა მის მწარე იყო; და მუნით მიიყვანნა იგინი ადგილსა სამეოცდა ათთა ფინიკთასა, და ათორმეტთა წყაროთა. ეგრეთვე სული ოდეს დასცბრეს ცოდვისაგან, და განვლოს საცნაური იგი ზღვა, პირველად უნებს შრომა და ღვაწლნი მრავლითა ჭირითა, რათა ესრეთის ჭირითა შევიდეს წმიდასა მას განსასვენებელსა: რამეთუ მრავლითა ჭირითა გვიხმს ჩვენ შესღვა სასუფეველსა ცათასა (საქმ. 14, 22).

**ძ**ი ჭირი მოიყვანებს ჩვენ ზედა წყალობასა ღვთისასა, ვითარცა ქარი წვიმასა. და ვითარცა წვიმა ფრიალი და ალბობს ნაყოფსა, უკეთუ ჯერეთ იყოს უსუსური; ხოლო ქარი განახმობს მას და განამტკიცებს. ეგრეთვე სულსა, განსვენება, და უზრუნველობა, და შვება დახსნიან და დაარღვევენ მას; — ხოლო ჭირნი და განსაცდელნი განაძლიერებენ მას და შეაერთებენ ივთისა-თანა, ვითარცა წერილ არს: უფალო ჭირსა მოგიხსენონ შენ (ისაია. 33, 2).

**წ**ოლო აწ არა გვიხმს აღძვრა, გინა მოწყინება განსაცდელთათვის, არამედ მოთმინება მადლობით, და ვედრება ივთისა სიმდაბლით მარადის, რათა ყოს უძლურები-

### ძოთმანებისათვის განსაცდელთა.

სა ჩვენისა თანა წყალობა და გვიხსნეს ყოვლისაგან განსაცდელისა, დიდებად წმიდისა სახელისა მისისა. რამეთუ მისა შვენის ყოველი დიდება პატივი და თაყვანისცემა, უკუნისამდე. იმან.

### სწავლა მეათოთხმეტე.

ზღუენებისათვის სახლის სულისა და სათნოებათა, და თუ ვითარ ურთაერთ არს შეიწყობიან იგანი.



ერილი იტყვის დედა კაცთა მათ თვის ჰურიათა, რომელნი იგი მარხვიდეს და არა კლვიდეს, წუღთა მათ ისრაილისათა, რამეთუ ეშინოდა მათ დედაკაცთა ივთისაგან: და ამისთვის აღიგნეს თავისა მათისა სახლები (გამოს. 1, 21.) გულის-ხმა-ყავთ უკვე ხორციელთა ძი სახლთათვის იტყვისა აქა? მე ვგონებ ვითარმედ არა. რამეთუ რადმცა იტყოდა ამას, რამეთუ ხორციელთა სახლთა, შიშისათვის ივთისა რადმცა აღაგებდეს. რამეთუ ჩვენ რომელთა მზანი გვქონან სახლნი, ვასწავებთ რათამცა შიშისათვის ივთისა-დაუტეობლით.

ხოლო საცნაურ არს ვითარმედ არა ხორციელთა სახლთა თვის იტყვის, არამედ სახლისათვის სულიერისა, რომელსა აღაგებს კაცი დაცვითა მცნებათა ივთისათა. ამისთვისცა წერილი გვასწავებს ჩვენ, ვითარმედ შიშითა ივთისათა მოვალს კაცი დაცვასა მცნებათასა, და დამარხვითა მცნებათათა აღეშენების სახლი იგი სულისა. ხოლო აწ ვისწრაფოთ ჩვენ ძმანო, გვეშინოდენ ჩვენ ივთისა, და აღვაშენოთ თავთა ჩვენთათვის სახლები, რათა ვბოლოთ ჟამსა ზამთრისასა საფარველი ჟამსა წვიმისა და ქუხილისა და ელვისასა, რამეთუ დიდარს ჭირი იგი ზამთრისა მათთვის, რომელთა არა აქვს სახლი. ხოლო თუ ვითარ აღეშენების სახლი სულიერი? ხორციელისა სახლისაგან გულის ხმა ვყოთ:

### სწავლა მეთოთხმეტე

ჴოლო რომელი აღაგებდეს სახლსა უხმს ყოველით კერძო შეკრძალვა, და ოთხ ყურად აღგება მისი; და რათა არა აღაგებდეს ერთსა კერძოსა და სხვათა ყოველთა დაუტევებდეს, უკეთუ არა, ცუდად არს ყოველი შრომა მისი. ეგრეთვე არს სულისა, რამეთუ უხმს კაცსა, რათა სახლსა მას სულისასა აღაგებდეს ყოველით კერძო სწორად; და რათა-არა ერთსა აღაგებდეს, და სხვათა ყოველთა უგულვებელს ყოფდეს. ხოლო ესე არს, რომელი თქვა მამამან იოანე: „ ვითარმედ მე მინებს, რათა კაცმან ყოველდღეს მოიბოროს ყოველთაგან სათნოებათა მცირე მცირედ,“ და არა ესრეთ იქმოდის, ვითარცა ვიეთნიმე, რომელნი იქმან, ერთსა რასმე სათნოებასა, და სხვათა უგულვებელს ყოფენ, და ნუ უკვე კაცთაგანცა დიდება აქენდეს მისთვის, და ამისთვის გულსმოდგინედ იქმოდინ მას; და ამისთვის არცა ეშმაკი ბრძავს მათ და წარიტყვენნიან სხვათა ვნებათაგან, და არა ეურვების მათ; არამედ გონებენ ვითარმედ, დიდსა რასმე საქმესა იქმან.

ჴოლო ესენი მსგავს არიან კაცსა რომელი აღაშენებენ ერთსა კედელსა და აღმართებენ მას რაზომცა ძალ უძს, და შეხედავენ მას და გონებენ, ვითარმედ: დიდი რაიმე უქმნიეს, და არა უწყის ვითარმედ უკეთუ მოხდეს ერთიცა ქარი მეყვსეულად დასცემს მას, რამეთუ არა არიან მისთანა ხსვანი კედელნი, რათამცა იმჭირვიდეს მას; არამედ მარტო დგას, და ვერცა ვინ სართულსა შეუქმს, უკეთუ არა იყვნენ სხვანი იგი კედელნი. ხოლო არა ჯერ არს ესრეთ ქმნა, არამედ რომელთა უნებს სახლისა აღგება რათა: აღაგოს იგი ყოველით კერძო, რათა სართულიცა შეიქმნას და გითხრა თუ ვითარ.

სირველად უნებს დადება სარძიკველისა, რომელ არს სარწმუნოება: რამეთუ თვინიერ სარწმუნოებისა, ვერ ვინ სათნო ეყოფვის იმერთსა (ებრ. 11, 6), და ესრეთ საფუძველსა ზედა აღაგებდეს კედელთა, ურთიერთ-არს შეწყობილად, და ოდეს მოვიდეს ჟამი მორჩილები-

ადმენებისათვის სულის სხლისა.

სა, უხმს, რათა დასდვას ერთი ქვა მორჩილებისა; და ოდეს შეემთხვიოს შფოთი, უხმს რათა დასდვას ერთი ქვა სულ გრძელებისა; და ოდეს მოიწიოს ჟამი მარხვისა, უხმს რათა დასდვას ერთი ქვა მარხვისა. და ესრეთ რათა ყოველ რათა ყოველთაგან სათნოებათა შეკრებდეს და აღაშენებდეს სახლსა სულისასა. ოთხკერძოვე, რათა დასდვას ერთი ქვა ღმობიერებისა, და ერთი ნების დატევიებისა, და ერთი სიმშვიდისა, და მსგავსთა ამათთა. ხოლო ამათ ყოველთა თანა უხმს, რათა ზრუნვიდეს და მოიგოს მოთმინება და სიმხნე: რამეთუ ესენი არიან კიდენი, რომელთა შეემქვალვიან კედელნი ურთიერთარს, რათა არა დაეცნენ; რამეთუ თვინიერ ამათსა ვერაჲნ წარმართებს ვერას სათნოებასა; რამეთუ უკეთუ არა მხნე იყოს სული კაცისა ვერცა მოთმინებასა მოიგებს. და თვინიერ მოთმინებისა და სიმხნისა ვერარას სათნოებასა წარმართებს, ვითარცა წერილ არს: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი (ლუკა. 21, 19).

ხოლო კვალად უხმს, რომელი აღაგებდეს სახლსა, რათა ყოველსა ქვასა შორის დასდებდეს თიხასა; რამეთუ უკეთუ დადვას ქვა ქვასა ზედა თვინიერ თიხისა, დაიხსნებიან ქვანი, და დაეცემის სახლი. ხოლო თიხა არს სიმდაბლე, რამეთუ ქვეყანისაგან არს, და ფერხთა ქვეშე ყოველთასა. ხოლო ყოველივე სათნოება, რომელი თვინიერ სიმდაბლისა იქმნეს, არა არს იგი სათნოება. ვითარცა წერილ არს მამათასა შინა, ვითარმედ: „ვითარცა შეუძლებელ არს ნავისა თვინიერ სამსჯეალთასა შეკაზმვა-ვეგრეთვე შეუძლებელ არს თვინიერ სიმდაბლისა ცხოვრება“.

ხოლო უხმს კაცსა, რათა რასაცა კეთილად იქმოდის, ველსავე სიმდაბლით იქმოდის, რათა სიმდაბლითა მით დამარხოს კეთილისა საქმე იგი. ხოლო უხმს სახლს შესაკრავიცა, რომელ არს განკითხვა, რომელი განამაგრებს სახლსა და შეჰმსჯეალავს ქვათა ერთმან-ერთისა მიმართ და

სწავლა მეათობმეტე.

განაშტენებსაცა სახლსა.

ჴოლო სართული არს-სიყვარული რომელ არს აღსრულება მცნებათა, ვითარცა სართული სახლისა. ხოლო შემდგომად სართულისა არს საბურველი იგი ერდოისა. რაჲ არს საბურველი ერდოსა?

რამეთუ სჯულსა შინა წერილ არს, ვითარმედ უკეთუ აღიგოთ თავთა თქვენთათვის სახლი, დაბურეთ ერდო მისი, რათა არა შთამოიჭრნენ შვილნი თქვენნი ერდოისაგან ქვე (მეორე სჯულ. 28. 8), ხოლო საბურველი არს სიმდაბლე, რამეთუ იგი გვირგვინოსან ყოფს და დაცავს ყოველთავე კეთილისა საქმითა; და ვითარცა ყოველი სათნოება ჯერ არს, რათა იქმნებოდის სიმდაბლით, ვითარცა ვსთქუ, ვითარმედ: თიხა ქვასა შორის უნებს დადებთ.-ეგრეთვე აღსრულებასა სათნოებათასა უხმს სიმდაბლე; რამეთუ წმიდანი რაზომცა წარემატებოდინ უფროსლა დამდაბლდებოდინ, ვითარცა პირველ ვსთქუ, ვითარმედ რაზომცა მიეახლებოდენ წმიდანი იმერთსა, ეგოდენცა უჩავენ თავნი მათნი ცოდვილად. Ⴀ რაჲ არიან შვილნი, რომელთათვის იტყვის სჯული რათა არა შთამოიჭრნენ ერდოსაგან? შვილნი არიან-გულის-სიტყვანი, რომელნი არიან სულსა შინა, რომელთა ჯერ არს დამარხვა სიმდაბლითა, რათა არა შთამოიჭრნენ ერდოისაგან, რომელ არს აღსრულება მცნებათა.

Ⴀჰა ესერა შესრულებულ არს სახლი, და აქვს შესაკრავი და სართული, და საბურველი ერდოისა. ხოლო ნუ უკვე დაგვიკლია რაიმე? ჰე, ერთი გვაკლს, რათა იყოს მაგებელი ხელოვანი, რათა არა განამრუდოს კედელი, რამეთუ უკეთუ იყოს მრუდ, ოდესვე დაეცემის სახლი იგი.

Ⴀ ხელოვანი არს, რომელი გულის-ხმის-ყოფით იქმოდის საქმესა მას; რამეთუ მრავალგზის იქმს კაცი შრომასა სათნოებისასა, და უგულის ხმოებისაგან კვალად უკუნ-არღვევს მას, ანუ ვერ განასრულებს მას; არამედ

ადმენებისათვის სულის სხსლისა.

დასდებს. ქვასა, და კვალად აღიღებს მას. ხოლო არს სხვა, რომელი დასდებს ერთსა, და აღიღებს ორსა.

შა გითხრა თქვენ თუ ვითარ არს, აჰა მოვიდეს ძმა ვინმე და გრქვას შენ სიტყვა გულის-საკლები; და უკეთუ შენ მოითმინო იგი და მოუდრიკნე მას მუხლნი; აჰა ესერა დაგიცერთი ქვა. ხოლო მეყვსეულად წარხვიდე და უთხრა სხვასა ძმასა, ვითარმედ: „მან ვინმე მაგინა მე, და არა თუ ოდენ დაუთმე, არამედ მუხლნიცა მოუდრიკენ მას“. აჰა ესერა ერთი ქვა დასდევ; და ორი აღიღე. კვალად მოუდრეკს კაცი მუხლთა ძმასა თვისსა, რათამცა იდიდა: და იზოების სიმდაბლე ამპარტავანებით, ესე არს დადება ქვისა, და კვალად აღება მისი. ხოლო რომელი იქმოდის საქმესა ამას გულის-ხმის-ყოფითა, იგი დააჯერებს თავსა თვისსა, ვითარმედ იგი სცთა, და ვითარმედ მან ყო მიზეზი დაბრკოლებისა მის: ესე არს გულის ხმის ყოფით შევრდომა ძმისა. არს სხვა, რომელი სდუმს, არამედ არა გულის ხმის ყოფით, რამეთუ აქვს ვითარმედ სათნოებასა რასმე იქმს; ეგე ვითარსა მას, არა რაი აქვს სარგებელი. ხოლო რომელი გულის-ხმის-ყოფით ღუმნეს მას აქვს თავი თვისი ესრეთ, ვითარმედ არა ღირს არს ზრახვასა, ვითარცა სთქვეს მამათა, და ესე არს გულის ხმის ყოფით ღუმილი.

შა კვალად კაცი შეურაცხყოფს თავსა თვისსა, და გონებს ვითარმედ დიდსა რასმე იქმს, და რამეთუ თავსა დაიმდაბლებს; და არა უწყის ვითარმედ არა რაჲ აქვს, რამეთუ არა გულის-ხმის-ყოფით იქმს, ხოლო გულის ხმის ყოფით არა შერაცხვა თავისა თვისისა, ესე არს რათა კაცსა აქვდნეს თავი თვისი უღირსად კაცთა-თანა შერაცხვად, ვითარცა იგი ეტყოდა მამა მოსე თავსა თვისსა, ვითარმედ: „ნაცრის ფერო შავო! რად აღერევი კაცთა თანა, ვინადგან არა ხარ კაცი?“

ჴვალად არს სხვა, რომელი მსახურებს უძლოურსა, რათამცა ქონდა მადლი; ხოლო ესე არა გულის ხმის

### სწავლა მეათობმეტე.

ყოფით არს, და რაიცა მოიწიოს გულის საკლებელი, ეგე ვითარსა ზედა, მეყვსეულად დაუტეობს კეთილსა საქმესა მას, რამეთუ არა გულის-ხმის-ყოფით იქმს მას.

ხოლო რომელი გულის-ხმის-ყოფით მსახურებდეს უძლურსა, ამისთვის მსახურებს, რათამცა მოიგო ღმობიერება; ხოლო რომელი ამისთვის მსახურებდეს, იგი დაღაცათუ რაიცა ჭირი მოიწიოს მის ზედა, და რაიზომცა განრისხნებოდის უძლური იგი მის ზედა, არა მოიწყინებს, არამედ უშფოთველად მოითმენს, რამეთუ იცის თუ, რაისათვის მსახურებს მას, და იტყვის ესრეთ ვითარმედ იგი მე მიყოფს კეთილსა, და არა მე მას. და გრწმენინ ჩემი, რამეთუ მრავალთა ვნებათა და ბრძოლათაგან განერების კაცი, რომელი მსახურებდეს გულის ხმის ყოფით უძლურსა.

ქ ვიხილე მე, ძმა ერთი, რომელსა ბრძოდა გულის თქმა-ბოროტი, და მსახურებდა იგი უძლურსა, რომელსა სჭირდა სენი მამაცი, და რამეთუ მსახურებდა იგი გულის-ხმის-ყოფით, და ამისთვის განეყენა მისგან ვნება იგი.

ზა ევაგრე იტყვის, ვითარმედ: ბერძან ვინმე დიდმან, ძმასა ვისმე, რომელსა ბრძოდეს ღამით სიზმარნი ბოროტნი, განათავისუფლა მათგან, რამეთუ უბრძანა მას, რათა მსახურებდეს უძლურთა მარხვითა; და კითხეს მას ამისთვის და თქვა, ვითარმედ: არა რაი ესრეთ, ეგე ვითართა ვნებათა დაავსებს, ვითარ უძლურთა მსახურება.

ჴოლო კვალად არს სხვა, რომელი იღვწის ამბარტავანებით, და აქვს გონება ესე ვითარი ვითარმედ სათნოებასა რასმე იქმს, ხოლო ეგე ვითარი არა გულის ხმის ყოფით იღვწის, რამეთუ ამით საქმითა მოვალს შეურაცხებასა მოყვისისასა, და უჩინს თავი თვისი ვითარმედ არს რაიმე; ხოლო ეგე ვითარი იგი არა ოდენ ერთსა ქვასა დასდებს და ორსა აღიღებს, არამედ ყოველსაცა სახლსა



ადშენებისათვის სულის სახლისა.

დაარღვევს; განკითხვითა მოყვისისათა.

ჴოლო რომელი გულის-ხმის-ყოფით იმარხვიდეს, მას არა უნებს, რათამცა იდიდებოდა, ვითარცა მოღვაწე, არამედ იმარხავს ამისთვის, რათამცა მოიგო მით მარხვითა სიწმიდღე და სიმდაბლღე ვითარცა იტყვიან წმიდანი მამანი, ვითარმედ: „შრომანი ხორციელნი გულის-ხმის-ყოფით მოიყვანებენ სიმდაბლღესა და ყოველსა სათნოებასა.“ ესრეთ უნებს კაცსა ქმნა, რათა მოიგოს იგი და დაინერგოს მის შორის, რათა ესრეთ იქმნეს ხელოვან, და აღაგოს სახლი სულისა თვისისა უცთომელად.

ჴოლო რომელსა უნდეს მოგება სათნოებისა რასამე, არა უხმს თქმად ვითარმედ: დიდ არიან სათნოებანი და ვერ შემძლებელ ვარ მოგებად მათდა, რამეთუ ესე არს ოდეს კაცი არა ესვიდეს იმერთსა, და არა რწმენეს, ვითარმედ იმერთი შემძლებელ არს შეწევნად მისსა, აჰა ესერა რომლისა თვისცა გინებს საქმისა კეთილისა მოვედით და ვთქვათ; დავპოოთ ვითარმედ ჩვენ თანა არს იგი, უკეთუ გვინდეს მოგება მისი.

ჴჰა ესერა წერილი იტყვის: შეიყვარო მოყვასი თვისი, ვითარცა თავი თვისი (ლევიტ. 19. 18. მატ. 5, 43). ნუ იტყვი ვითარმედ დიდ არს სათნოება ესე, და ვერ შემძლებელ ვარ მე მოგებად მისსა. ანუ ვითარ შემძლებელ ვარ შეყვარებად მოყვასისა თავისა თვისისაებრ? ანუ ვითარ ვზრუნვიდღე ჳირთა მისთა, ვითარცა ჩემთა უფროდესა, რომელნი იგი გულისა შინა მისსა არიან, და არავინ უწყის? ნუ იგონებ ეგე ვითართა გულის სიტყვათა, არამედ სასოებითა ივთისათა იწყე ქმნად სათნოებისა მის, და მაშინ იხილო შეწევნა ივთისა, რომელი მოგცემს შენ წარმართებად მისსა. და გითხრა შენ სახე რაიმე, რამეთუ ვითარცა ორნი კიბენი: რომელნი დგანედ ერთი იგი ზე აღმყვანებელი ცად, და მეორე იგი შთამყვანებელი ქვე ჯოჯოხეთად, და შენ სდგა შორის მათსა ქვეყანასა ზედა. ნუ იტყვი თუ ვითარ შემძლებელ ვარ მე აღწევნად ქვე-

სწავლა მკათაობებზე.

ყანისაგან და მიწთომად თავსა მის კიბისასა. რამეთუ არცა შესაძლებელ არს ესე, და არცა ეძიებს შენგან იმერთი ამას; არამედ ხოლო დაიცევ თავი შენი, რათა ქვე არა შთახდე.

რუ ბოროტსა უყოფ მოყვასსა შენსა, ნუცა ძვირსა უზრახავ მას, ნუცა შეასმენ მას, და ნუცა შეურაცყოფ მას; და ესრეთ იწყო მცირე-მცირედ კეთილისა ყოფად მისსა, რათა სიტყვით მოიმადლო იგი, და რათა მისთანა იგი ერთვოდის, და რათა რაიცა შეეძლოს შეეწეოდის მას, და ესრეთ მცირე-მცირედ აღვიდოდის თითოეულსა კიბესა, და ესრეთ შეწევნითა ივთისათა მიიწვევის თავსა მის კიბისასა. რამეთუ ოდეს შეეწეოდის მოყვასსა თვისსა, მერმე უნებს კეთილი მისი, ვითარცა თავისა თვისისა: და ესე არს ვითარმედ შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

აკეთუ ვეძიებდეთ ვპოოთ, და უკეთუ ვიხზოდეთ ივთისაგან განგვანათლნეს ჩვენ; რამეთუ იტყვის წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ (მატ. 7. 7). ხოლო თხოვა არს, რათა ვევედრებოდეთ იმერთსა ლოცვითა. ხოლო ძიება ესე არს, რათა ვეძიებდეთ თუ ვითარ მოვლენ სათნოებანი, ანუ რაჲ არს მომყვანებელი მათი, და თუ ვითარ მოვიგოთ სათნოება. და ესე არს რომელსა იტყვის ვითარმედ: ეძიებდით და პოოთ. და ირეკდით და განგელოსთ. რამეთუ რეკა არს ქმნა სათნოებათა, რამეთუ კაცი ხელითა რეკს, -ხოლო ზელნი გამოითარგმანებიან საქმედ. ხოლო აწ გვიხმს ჩვენ, რათა არა ოდენ ვითხოვდეთ, არამედ რათა ვეძიებდეთცა და ვიქმოდითცა, და რათა ვისწრაფდეთ, ვითარცა მოციქული იტყვის; რათა მტკიცე ვიყვნეთ ყოველსავე ზედა საქმესა კეთილსა და განმზადებულ (2. კორ. 9. 8. 2. ტიმ 3. 17). რას ნიშნავს ვიყვნეთ განმზადებულ? ოდეს კაცი ღამინ ნავისა შექმნასა, პირველად მოამზადებს ყო-

ადქმნებისათვის სულის სხლისს.

ველსავე სახმარსა, ვიდრე მცირედ ბირკადმდე და ვიდრე მცირედ ბირკადმდე, და ვიდრე მცირედ ფისამდე; და ეგრეთვე დედაკაცი ოდეს ლამინ ქსელისა მოქსოვასა, პირველად მოამზადებს, ვიდრე მცირედ ლერწმადმდე, და ვიდრე მცირედ მკედამდე. ხოლო ეგრეთვე გვიხმს ჩვენცა, რათა მზა ვიყვნეთ ყოფად ნებისა ივთისა, ვითარცა მას უნებს, და ვითარცა მას სთნავს.

ჟაი არს რომელსა იტყვის მოციქული, ვითარმედ: ნება ივთისა კეთილი და სათნო და სრული? (რომელ. 12, 2). ყოველივე რაიცა იქმნეს; ანუ მიშვებითა ივთისათა; ანუ სათნო ყოფითა ივთისათა არს, ვითარცა იტყვის წინასწარ-მეტყველი: რამეთუ: მე ვარ უფალი, რომელმან დავბადე ნათელი, და ვქმენ ბნელი (გამოს. 45, 7). და კვლად იტყვის: ანუ იყოს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი უფალმან არა ქმნის (ამოს მ. 6). ხოლო ბოროტად იტყვის აქა, ყოველსავე გულის საკლებელსა, რომელი იქმნების წვრთისა თვის ჩვენისა: შიმშილი, სრვა, ძვრა, უწვიმროება, სნეულებანი, ბრძოლანი; ხოლო ესე ყოველნი არა მოიწვევიან ჩვენ ზედა სათნო ყოფითა ივთისათა, არამედ მიშვებითა ივთისათა, უმჯობესისათვის ჩვენისა.

ხოლო ამას იქმს იმერთი, არამედ არა უნებს, რათა ჩვენცა შევეწყოდეთ მას. და გითხრა, თუ ვითარ: უკეთუ უნდეს იმერთსა დაქცევა ქალაქისა, არა ნებავს, რათა ჩვენცა ცეცხლი შეუღვათ მას. შა კვლად იქმნების მიშვება ივთისა ვისთვისმე, რათამცა გულის კლება მოიწია მის ზედა, ანუ რათამცა დასნეულდა; ხოლო არა ჯერ არს რათა ჩვენსა გულსა ვაკლებდეთ მას, გინა ვსთქვათ ვითარმედ: ვინაითგან იმერთსა უნებს უძლურება მისი არა შევიწყალოთ იგი; არა ნებავს ეგე ვითარი საქმე იმერთსა, არამედ ნებავს, რათა ვიყვნეთ ჩვენ სახიერ, და რათა ესე ვითარსა ზედა საქმესა, გულისა-გვაკლდესცა ქირი სხვისა. და ნებავს რათა ვიქმოდით ნებასა მისსა კეთილსა,

### სწავლა მეათობეზე.

რომელ არს მცნებათა დაცვა, და ურთიერთ-არს სიყვარული და მოწყალება და მსგავსნი ამათნი, და ესე არს ნება ივთისა კეთილი.

ჴოლო რაჲ არს სათნო? რამეთუ არათუ ყოველი რომელი იქმოდის კეთილსა—იქმს სათნოსაცა. მაგალითად: რამეთუ აჰა ესერა პოვის კაცმან ვინმე, ქალი ობოლი და გლახაკი შვენიერი; და შეუყვარდის იგი შვენიერებისა მისისა თვის, და აღიღის იგი და განზარდის, სიობლისა მისისათვის, ვითარცა ერთი გლახაკი. აჰა ესე არს საქმე კეთილი და ნება ივთისა, არამედ არა არს ესე სათნოება.

ჴოლო სათნოება არს, ოდეს კაცი იქმოდის მოწყალებასა, არა კაცობრივითა რაით გულის-სიტყვითა, არამედ კეთილისა საქმისათვის, და ლმობიერებისათვის: ესე არს სათნო ივთისა. სრული (ნება ივთისა) ესე არს, ოდეს კაცი იქმოდის მოწყალებასა, არა სიძვირითა, არცა ზარმაცობითა, არამედ ყოვლითა გულითა-გულსმოდგინებით, და ესრეთ მისცემდეს, ვითარცა მიიღებდა, და ესრეთ იქმოდის ქველის საქმესა, და ესე არს ქმნა ნებისა ივთისა: კეთილი, და სათნო და სრული, ვითარცა იტყვის მოციქული.

ჴოლო უხმს კაცსა რათა უწყოდის ძალი იგი და მადლი სათნოებისა ამის მოწყალებისა, რამეთუ შემძლებელ არს ცოდვათა მოტევებადცა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი, ვითარმედ: სახსარ კაცისა არნ სიმდიდრე მისი (იგავ. 13, 8). და კვალად იტყვის, ვითარმედ: ქმნ მოწყალება, რათა განერე ცოდვათა შენთა (დან. 4. 24). და თვით ოფალი იტყვის: იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა მოწყალე არს (ლუკ. 6, 36). ხოლო გულის ხმა ყავთ ვითარმედ სათნოება ესე მიემსგავსების იმერთსა. ხოლო ჯერ არს, რათა ამასცა ზედა ვეკრძალებოდეთ, რამეთუ ფრიადი განყოფა არს მოწყალებისაცა, ხოლო ჩვენ გვიხმს რათა გულის ხმის ყოფით ვიქმოდეთ

ადშენებისათვის სულის სსხლისა.

მოწყალებასა.

ქ არს კაცი რომელი იქმს მოწყალებასა, რათამცა იკურთხა ყანა მისი. და სხვა იქმს მოწყალებასა, რათამცა განერა ნავი მისი. და სხვა იქმს მოწყალებასა, შვილთა მისთათვის. და სხვა იქმს მოწყალებასა, რათამცა იდიდა, და იმერთი აღიდებს მას, და არავის უგულებელს ყოფს იგი, არამედ თითოეულსა, რასაცა ითხოვდის მისცემს, უკეთუ მის საქმისაგან არა რაი ევნებოდის სულსა მისსა. არამედ ესე ყოველნი აქავე მიიღებენ მადლსა მათსა, და მუნ არა რაჲ აქვსთ. რამეთუ არა მუნისა კეთილისათვის იქმან.

ქ კურთხევისათვის ყანისა შენისა ჰქმენ, აკურთხა იგი იმერთმან; შვილთა შენტა თვის ჰქმენ, დაიცუნა იმერთმან შვილნი შენნი. დიდებისათვის შენისა ჰქმენ, გადიდა შენ იმერთმან. რაჲლა თანა აც შენი იმერთსა? მიგცა შენ მადლი, რომლისა თვისცა ჰქმენ.

ხოლო არს სხვა რომელი იქმს მოწყალებასა, რათამცა განერა სატანჯველოსაგან საუკუნოისა; და ესე იქმს სულისა თვისისათვის და საღმრთოდ, არამედ არა იქმს, ვითარცა არს ნება ივთისა, რამეთუ წუთ საზომსა მონისასა არს, რამეთუ მონაჲ არა იქმს ნებასა უფლისასა ნებისით; არამედ ეშინიან, რათა არა სცეს მას: ხოლო სხვა იქმს, რათამცა აქენდა მადლი; ესე პირველისა მის უზეშთაეს არს, ხოლო ნებისაებრ ივთისა არცა ესე არს; რამეთუ არა არს იგი საზომსა ძისასა, არამედ მუშაკისასა, რამეთუ მუშაკი ნებასა უფლისა თვისისასა იქმს, რათამცა აღიღო ფასი: და ეგრეთვე ესე იქმს მოწყალებასა რათამცა აქენდა მადლი ივთისაგან.

ქ სამითა სახითა ვიქმთ კეთილსა, ვითარცა წმიდა ბასილი იტყვის, და სხვასაცა ჟამსა მითქვამს ესე თქვენდა: ანუ შიშისათვის სატანჯველთასა, და ვართ საზომსა მონისასა; ანუ მადლისათვის, და ვართ საზომსა მუშაკისასა. ანუ კეთილისათვის, და ვართ საზომსა ძისასა: რამეთუ ძე

### სწავლა მებაოთხმეტე

არა იქმს ნებასა მამისა თვისისასა შიშისათვის შისისა, ანუ ფასის აღებისათვის, არამედ რათამცა მოიმაღლა იგი, და რათამცა პატივსცა და განუსვენა მას. ეგრეთვე ჩვენცა გვუბნის, რათა ამით სახითა ვიქმოდეთ მოწყალებასა კეთილისა საქმისათვის, და რათა ვიჭირვოდეთ ერთმან-ერთისათვის, ვითარცა თვისთა ასოთათვის. და რათა ესრეთ მივსცემდეთ, ვითარცა ჩვენ მოვიღებდით. **შ**ა ესრეთ კეთილსა უყოფდეთ, ვითარმცა იგი ჩვენ გვიყოფდა, და ესე არს გულის-ხმის-ყოფით მოწყალება, და ესრეთ ვიბოვებით ჩვენ საზომსა ძისასა.

**ჩ** ნუ ვინ იტყვის ვითარმედ: „გლახაკი ვარიმე, და ვერ ვიქმ მოწყალებასა“; რამეთუ და დაღაცათუ ვერ შემძლებელ ხარ მიცემად, ვითარცა მდიდართა მათ მისცეს ფრიადი, ფასის საცავსა მას; მიეცი ორი დანგი, ვითარცა ქვროვმან მან და შეიწიროს იგი. იმერთმან შენგან, ვითარცა ფრიადი იგი (მარკ. 12. 42. ლუკა 21, 2).

**ხოლო** უკეთუ ვერცა ესე შეგიძლია, მაშა მსახურე უძლურთა, რამეთუ ესე ძალგიც. ხოლო უკეთუ ესეცა ვერ ძალგიც, ძალგიდს სიტყვით ნუგეშინისცქმა ძმისა შენისა, შეიწყალე იგი სიტყვითა, და მოიხსენე წერილისა მის, რომელსა იტყვის: სიტყვა კეთილი, უფროს არს მიცემისა (სირაქ. 18, 17). ხოლო აჰა სიტყვითცა ვერ ძალგიდს, შეწევნა მისი. ნუ უკვე ვერ ძალ გიძსა ესეცა რათა ოდეს აღშფოთნეს ძმა შენი შეიწყალო და იტვირთო იგი ჟამსა აღძვრისა მისისასა? და არა უწყია, რამეთუ იგიცა, ჩვენ ყოველთა მტერისაგან გამოიცადების? ხოლო შენ სდუმენ, სიტყვის გინებისა წილ, და განარინე იგი ჟამსა მას მტერისაგან, და ესრეთ შეიწყალოს სულიცა შენი.

**შ**ა კვალად ძალ გიძს რათა უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან მიუტეო მას იგი, რათა შენცა მოტევება მიიღო ივთისაგან; რამეთუ თვით **ო**ფალი იტყვის: მიუტევეთ და მოგეტევენ თქვენ (ლუკ. 6, 37); და ესრეთ იქმ მოწყალებასა სულისა თანა ძმისა შენისასა, უკეთუ შეუ-



ადმენებისათვის სულის სსსდის.

ნლო მას, რაი იგი შეგცოდა შენ; რამეთუ მოგვცა ჩვენ იმერთმან ხელმწიფება, რათა უკეთუ გვინდეს, და შეუნდობდეთ ურთიერთსა ცოდვათა. დაღაცათუ არა გვაქვდეს, რათამცა ხორციელად ქმენ მისთანა წყალობა, მაშა სულსა მისსა თანა ქმენ წყალობა, რომელი უფროს არს ხორცთასა, რამეთუ ვითარცა სული უბატონსნეს არს ხორცთასა. ვგრეთვე წყალობა, რომელი იქმნას სულისა თანა უფროს არს, ვიდრე რომელი იქმნეს ხორცთა თანა.

ჴოლო ვერვინ შემძლებელ არს თქმად, ვითარმედ: „ვერ შემიძლია წყალობისა ქმნა“. რამეთუ ყოველთავე შეგვიძლია თითოეულისა, ძალისა ებრ და საზომისა თვისისა; არამედ ისწრაფეთ, რათა გულის ხმის ყოფით იქმოდეთ, ვითარცა თითოეულისა სათნოებისათვის ვსთქეთ.

ჴ რომელი გულის ხმის ყოფით იქმოდის სათნოებასა, იგი არს ხელოვანი მაგებელი, რომელი უცთომელად აღაშენებს სახლსა სულისა თვისისასა. და ამისთვის იტყვის წმიდასა სახარებასა შინა (მატ. 7, 24), ვითარმედ ბრძენმან აღაშენის სახლი თვისი კლდესა ზედა, და ვერა რაჲ წინააღმდეგომი შესძრავს მას, და შემდგომი ამისა.

იმერთმან კაცთ-მოყვარემან მოგვმადლენ ჩვენ სამენა და ქმნა, რომელი გვესმეს, რათა არა სასჯელ გვექმნენ ჩვენ, ჰიტყვანი ესე ღღესა მას სასჯელისასა. რამეთუ ოფლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სწავლა მეათუთხმეტე.

ჩმიდათა ორმოცთ დიდ მარხვათა თვას.



ამეთუ ჰსჯულსა შინა უბრძანა იმერთმან ძეთა ისრაილისათა, რათა რაიცა მოიგონ წელიწადსა შინა განყოფდენ ათად, და ერთსა ნაწილსა მისცემდენ გლახაკთა, და ამას იქმოდენ და იკურთხეოდენ იეთისაგან ყოველთა ზედა საქმეთა მათთა. ხოლო ესე უწყოდეს წმიდა-



სწავლა მკათოთხმეტე.

თა მოციქულთა, და ამისთვის განაჩინეს განსაწმედელად სულთა ჩვენთა, და საფარველად ყოვლისავე ცხოვრებისა ჩვენისა: განყენეს წელიწადისა დღენი ათად, და მოგვცნეს ჩვენ დღენი ესე მეთედი ნაწილი, და რათა ესრეთ ვიკუროთხეოდით და შეგვენდვენ ყოველნი ცოდვანი წელიწადისანი: და აღთვალეს და მოგვცეს ჩვენ სამას-სამეოცდა ხუთთა დღეთაგან წელიწადისათა შვიდნი ესე კვირიაკენი; ხოლო წმიდათა მამათა გამოსახეს და შესძინეს სხვა ერთი კვირიაკე:

ერთად რათა მით პირველად გამოვიცადნეთ შრომისათვის მარხვისა; და მეორედ, რამეთუ პატივის-სცემდეს წმიდათა მარხვათა და ქმნეს იგი დღედ ორმეოცად, რამეთუ უფალმან ჩვენმან იმარხა ორმეოცა დღესა; ხოლო რვა მსგეფსი თვინიერ შაბათთა და კვირიაკეთა არს ორმეოცი დღე. ხოლო პატივის-ვსცემთ წმიდის და დიდის შაბათისა ოდენ მარხვასა, რამეთუ არს იგი უწმიდესი, და ამას შინა ოდენ იქმნების მარხვა ყოველთა შაბათთაგან.

ხოლო შვიდნი მსგეფსნი თვინიერ შაბათთა და კვირიაკეთა იქმნებიან ოცდა ათუთხმეტე დღე; ხოლო ზედა მორთვითა წმიდისა შაბათისათა და ნახევრისა, ბრწყინვალე და ნათლით-შემოსილის წმიდისა მის ღამისათა იქმნებიან ოცდა ათექვსმეტე და ნახევარი დღე, რომელ არს მეთედი სამას სამეოცდა ხუთთა დღეთა წელიწადისათა გამოწვლილვით.

ეს მეთედი სამასთა დღეთა არს ოცდა ათი, და მეთედი სამეოცისა არს ექვსი; და ხუთისა მეთედი არს ნახევარი-ბრწყინვალისა დღისა. აჰა ესერა ოცდა ათექვსმეტი ნახევარი დღე არს მეთედი ყოვლისა წელიწადისა, რომელი მოგვცეს ჩვენ წმიდათა მოციქულთა განსაწმედელად ცოდვათა.

ხოლო ნეტარ არს, ძმანო, რომელმან დაიმარხოს თავი თვისი კეთილად, დღეთა ამათ, რამეთუ მას დაღა-

წმიდათა ღიადთა მარსკათათვის.

ცათუ შეეცოდოს რაიმე, ვითარცა კაცსა წელიწადსა მას შინა, ანუ უძღურებისაგან ანუ უღებებისა, წმიდანი დღენი ესე, მისცნა მას იმერთმან, რათა უკეთუ უნდეს განიწმიდოს თავი თვისი სინანულითა, და ესრეთ განისვენებდეს სული მისი, და იქმნების ახალ კაც და ესრეთ მოვალს წმიდასა დღესა აღდგომისასა და მიიღებს დაუსჯელად წმიდათა მარსტეს საიდუმლოთა, და ესრეთ იყოს სიხარულითა სულიერითა, შეწვევითა მკითხისათა, და დღესასწაულობდეს დღეთა მათ წმიდათა ორმეოცდაათთა ზატიკთასა: რამეთუ დღენი იგი არიან განსვენება და აღდგომა სულისა; და ამისთვის არა მოიდრიკების მათ დღეთა მუხლი.

✓ ხოლო რომელსა უნდეს შემძლებელ არს ცოდვათა განწმედად წელიწადისათა ამათ დღეთა მიერ, ხოლო უხმს. რათა შეიკრძალოს პირველად თავი თვისი მრავალთაგან ჭამადთა, რამეთუ ვითარცა წმიდანი მამანი იტყვიან სიმრავლე ჭამადთა, შობს ყოველსავე ბოროტსა.

ხოლო კვლად უხმს დამარხვა რათა თვინიერ ჭირისა რაისამე, არა დახსნიდეს; და ნუცა ეძიებნ გემოვანთა საჭმელთა, ნუცა სიმრავლესა სანოვაგეთასა. რამეთუ ორნი სახენი არიან ნაყროვანებისანი: პირველი არს, ოდეს კაცი რომელსა არა უნებს დიდათ ჭამის, არამედ ნებავეს რათა გემოვან იყვნენ საჭმელნი, და უკეთუ ჭამდეს საჭმელთა, რომელნი სათნო უჩნდენ მას, დაიმჭირავს მას პირსა შინა მისსა დეჟს, და არა ნებავეს შთანთქმა მისი გემოისა მისთვის, და ესე არს გემოთ მოყვარება. ხოლო სხვა არს, რომელსა არა ეურვების რაიცა იყოს, და უნებს ოდენ, რათა აღმოიგოს მუცელი თვისი, და ესე არს ნაყროვანება.

✠ რომელსა ფრიად ჭამა უყვარდეს, იგი არს ნაყროვანება; ხოლო რომელსა გემოვანი უყვარდეს იგი არს გემოთ მოყვარება. ხოლო ჯერ არს, რათა ამათგან დავიცუნეთ თავნი ჩვენნი; და ესრეთ რომელსაც სურს, რათა

### სწავლა მეათონბეტე.

განიწმიდოს თვისთა ცოდვათაგან, იგი ვალდებულ არს, დიდის ყურადღებით განეკრძალოს და ევლტოდეს ამათ ორთა სახეთა ნაყოფანებისა და გემოთ მოყვარებისათა, რამეთუ არა სახმარისათვის ხორცთასა არს საქმე ესე, არამედ ცოდვა არს.

ჴითარცა ცოლისა თვისისა შეხება და სიძვა საქმე ერთი არს; გარნა განზრახვა მათი შეადგენს განსხვავებულთა საქმეთა: რამეთუ ერთი შეერთდების შვილთ სხმისათვის; ხოლო მეორე დასაკმაყოფილებელად თვისის ვნებულის გულის-თქმისა; ხოლო გულისთქმა იგი არს ცოდვა-ეგრეთვე ჭამა ყოველი ერთი არს, ხოლო სხვაჲ არს სახმრისათვის ჭამა, და სხვაჲ არს ნაყოფანებით ჭამა.

ჴოლო სახმრისათვის ჭამა უხმს ესრეთ: რათა უკეთუ ჭამოს მცირედი და ვერ კმა ეყოფოდის მას იგი, ჭამოს სხვაიცა ვიდრემდის კმა ეყოფოდის მას განსაძლომელად. დაისწავლოს ზომა, და მას ზედა ჭამდეს და მასცა ლოცვით და რათა იტყოდის ვითარმედ არცა ამისსა ჭამას ღირს ვარ. და ნუ მიხედავ თუ ვინმე ჭირისა რაისათვისმე ნუგეშინის იცემდეს თავსა თვისსა და იწყო შენცა ნუგეშინისცემად თავისა შენისა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა მამისა სერდოისსა, მივედ ოდესმე ბერისა ვისამე, რამეთუ იყვნეს მუნ დიდნი და მრავალნი ბერნი, და ვიხილე მსახური მისი, რამეთუ ჭამდა მისთანა, და ვარქვე მას თვისაგან: „არა იცია, ძმაო რამეთუ ესე ბერნი, რომელთა ხედავ, ვითარმედ მცირედ რაიმე ნუგეშისცემა აქვს. ჴოლო მსგავს არიან კაცთა, რომელთა მოიგეს სამოთხე ერთი დაშვრეს ვიდრემდის აღავსეს იგი განძითა და დაჭდეს მას, და მერმე მოიგეს სხვა, ვითარ ათასი ღრაკანი, რათა ჭონდის იგი ჟამსა სიბერისასა, გინათუ ჟამსა უძლურებისა მათისასა, და სხვა იგი დაიძარხეს. ეგრეთვე ამათ აღავსეს საუნჯეები მათ სიყრმით მათითგან, და კვალად ქმნეს სხვა, რათა

წმიდათა დიდთა მარხვათა ოგის.

მას წარაგებდენ, ხოლო უწინარესი იგი ედევასთ. ხოლო ჩვენ ჯერეთ არა რაჲ მოგვივია საუნჯე და სადათ რას წარვაგებთ?“

— ხოლო ამისთვის ვითარცა ვსთქუ გვიხმს რათა სახ-  
მარსაცა ჩვენსა ზედა ვიტყოდით, ვითარმედ არა ღირს  
ვართ, და მუცლითა ესრეთ ვიმარხვიდეთ. ხოლო კვა-  
ლად რათა ვიმარხვიდეთ ენითაცა, რათა ვეკრძალნეთ  
ძვირის ზრახვასა, ტყუვილსა, შესმენასა, რისხვასა და ყო-  
ველსავე ცოდვასა. რომელი იქმნების ენითა. და კვალად  
რათა ვიმარხვიდეთ თვალითა, რათა არა კადნიერებით  
და ურცხვინოდ ვის შევხედვიდეთ. და კვალად ხელითა  
და ფერხითა ჩვენითა, რათა არა ვქმნეთ ბორბოტი, და  
ყოველსავე ზედა ესრეთ ვიმარხვიდეთ; ვითარცა წმიდა  
ბასილი იტყვის მარხვითა სათნოითა მეთრსათა, რათა  
ესრეთ ღირს-ქმნილნი მივიწივნეთ წმიდასა დღესა აღდ-  
გომისასა, განახლებულნი და განწმედნი, ღირსებით  
ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა. არამედ რათა პირვე-  
ლად განვიდეთ ბაიათა და რტოებითა შემთხვევად შე-  
ლისა ჩვენისა. ესო ზრისტესსა, კიცვსა ზედა მჯდომარისა,  
რაჲმს შევიდოდა წმიდად ქალაქად; რამეთუ კიცვსა  
ზედა დაჯდა, ვითარცა წინასწარმეტყველი იტყვის; რათა  
პირუტყვთა მიმსგავსებული იგი ბუნება ჩვენი, მოაქციოს  
სიტყვამან მეთისამან, და შერთოს იგი თვისსა მეთაება-  
სა.

ხოლო რაი არს ბაიათა და ზეთის-ხილის რტოები-  
თა შემთხვევა მისი? რამეთუ ოდეს მოვიდეს მეფე ბრძო-  
ლად, დასძლოს და შეიქცეს; შემთხვევიან მას ყოველ-  
ნი ბაიათა. და კვალად ოდეს ვისმე ავნოს მტერმან მის-  
მან რტოითა ზეთის ხილისათა მივალს მისა მიმართ, რო-  
მელსა შეეძლოს შეწვენა მისი: რამეთუ რტო ზეთის ხი-  
ლისა, სახე არს წყალობისა.

ამისთვის ჩვენცა შევემთხვევით მეუფესა ჩვენსა ქრი-  
სტესა-ვითარცა. მძლესა, რამეთუ მან სძლო მტერსა ჩვე-

სწავლა მეათექვსმეტე.

ნსა; ხოლო რტოითა ზეთის-ხილისათა ამისთვის, რამეთუ ვითხოვთ მისგან წყალობასა. რათა ვითარცა მან სძლო ჩვენთვის, ეგრეთვე ჩვენ ვსძლოთ მის მიერ, რათა გვეტვირთოს ცხადათ ძლევა მისი, რომელი იგი სძლო ჩვენთვის, და ვითარ იგი ჩვენ ვსძლევთ მის მიერ, ლოცვითა ყოველთა წმიდათათა. რამეთუ მისა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამან.

სწავლა მეათექვსმეტე. —

ჩქესნაკეთა \*) მამართ, რაჟამს კითხეს ღირს აბბა მონათესურთაერთ ანს მასღვისათვის.



ტყვიან მამანი ვითარმედ სენაკსაცა შინა ჯდომა და მისღვა ბერთა თანა სწორის-სწორ არს. ხოლო ესე სიტყვა არს ვითარმედ სენაკსაცა შინა და გარეგან სენაკისაცა გვიხმს, რათა ფრთხილ ვიყვნეთ გონებითა, და რათა უწყოდის კაცმან თუ რაისათვის უხმს ჯდომა სენაკსა შინა, ანუ რაისათვის მივალს იგი მამათა და ძმათა თანა, ხოლო უკეთუ ესრეთ ფრთხილ იყოს კაცი, მერმე მიიწვივს ქმნად სიტყვისა ებრ მამათასა, და ოდეს ჯდეს სენაკსა შინა: ილოცავს, იწვრთის, და იქმს მცირედ ხელითა საქმარსა; და ზრუნავს გულის სიტყვათა თვისთა: და კვალად ოდეს სადა მივიდეს ირგებს, და შეიქცევის უნებელად სენაკსავე თვისსა. ხოლო უკეთუ იხილოს თავი თვისი, ვითარმედ ევნო რაისაგანმე ესრეთ ცნობს უძლურებასა თვისსა, და სცნობს ვითარმედ ჯერეთ არა რაჲ მოუგია დაყუდებისაგან თვისისა, და შეიქცევის დამდაბლებული სენაკსავე თვისსა და ინანის და

\*) ჩქესნაკენი იგულისხმებთან აქა მონაზონნი მცხოვრებნი, არა სსზოგადო ცხოვრებასა შინა, არამედ კაცულეკეებით აღშენებულთ სენაკებსა შინა (მცირე სახლი), თუმცაღა და არა ყოველთვის ფიცხელს დაუდებას შინა. (ისილე წერილი მთა წმიდელისა, წმიდა ათონის მთაზედ. ნაწ. 1 კგ. 189, 268. გამოც. 1850 წ.)

### სწავლა მეტეოროლოგია.

ტირს, და ვევედრების მმერთსა უძღურებისა თვისისა თვის, და ესრეთ დაჯდეს სენაკსა თვისსა და ეკრძალებოდეს თავსა თვისსა.

ჴოლო კვალად ოდეს გამოვიდეს გარე, ჯა იხილოს თავი თვისი ვითარმედ კვალადცა იძლევის, ვითარცა პირველად, და ესრეთ კვალად შეიქცეს სენაკსა თვისსა, და ვევედრებოდეს მმერთსა ტირილით, რამეთუ კაცსა სენაკი აღამაღლებს, ხოლო კაცი გამოცდიან, რამეთუ თქვეს წმიდათა მამათა ესე კეთილად, ვითარმედ მისლვა და ჯდომა სწორი-სწორ ყვეს; ხოლო თქვენ ოდეს გამოხვიდოდით სენაკთაგან თქვენთა, გიხმს თქვენ რათა უწყოდით, თუ რაისათვის გამოხვალთ სენაკთაგან თქვენთა, რათა არა ცუდად განხვიდეთ. რამეთუ იტყვიან წმიდანი მამანი, ვითარმედ რომელი თვინიერ გულის სიტყვისა განვიდეს იგი ცუდად დაშვრების.

ჴოლო რაჲ არს გულის სიტყვა იგი? რათა პირველად სიყვარულისათვის მივიდოდით, რამეთუ წერილ არს: „იხილე ძმა შენი, იხილე შფალი მმერთი შენი. ხოლო მეორედ რათა ესმეს სიტყვა მვთისა, რამეთუ სიმრავლესა შორის (ძმათასა) უფროს წარმოვალს სიტყვა, და დაღაცათუ მან არა იცოდის სხვა ვინმე იტყვის. ხოლო მესამედ ამისთვის, რათა ვითარცა ესთქუ სცნას საზომი თვისი, ესრეთ უკეთუ მოვიდოდინ ტაბლასა, და დაუგონ საჭმელი კეთილი და სათნო ეყოს მას იგი, უხმს რათა გულის-ხმა-ყოს თუ შეუძლია ძი, დამჭირვა თავისა თვისისა მისგან? ანუ თუ ისწრაფის, რათამცა მიიღო უფროსი ძმისა თვისისა, და რათამცა თვით იხვედრა უფროსი ნაწილი და ძმასა თვისსა მისცეს უმცროსი? და არცა შერცხვენდეს მიცემად ძმისა უმცროსი, და თვით აღებად უფროსი; და მცირედითა მით, და არა რაითა საქმითა აღასრულებს ანგარებასა.

შა კვალად უხმს, რათა გამოიძიოს თუ, მრავალთა საქმელთაგან შეუძლია დამჭირვად თავი თვისი, და ყო-

მესხნავეთა მამართ.

ველთაგან არა განძღობად, და თუ და ძი იმჭირავს თავსა თვისსა კადნიერებისაგან. ანუ თუ იხილოს ძმა ვინმე ვითარმედ უფროს მისსა პატივის-სცემენ მას, რათა არა აღუფოთნეს; და უკეთუ იხილოს სხვა ძმაჲ კადნიერ იქმნებოდის მეორისა თანა, გინათუ მრავლის მეტყველებდეს, გინა თუ უწესოსა რასმე იქმოდის, რათა არა მიხედნეს მას, არცა განიკითხოს იგი, არამედ რათა დაიმჭიროს, ვითარცა წერილ არს მამისა ანტონისათვის, ვითარმედ უკეთუ ვისთანამე მივიდის, რაიცა კეთილი იხილის მისთანა, იგიცა დაიმარხის. რომლისამე სიმშვიდე, და რომლისამე სიმდაბლე, და რომლისამე მყუდროება, და ესრეთ თითოეულისა კეთილი დაიმჭირის.

აჲ ესერა, ძმანო, ესრეთ გვიხმს ჩვენცა ქმნა და რათა ამისთვის მივიდოდით ერთმან-ერთისა თანა, და ოდეს შევიქცეოდით სენაკადვე ჩვენდა: რათა გამოვეძიებდეთ თუ, რომლისაგან გვერგო, ანუ რომლისაგან გვევნო. და რომელსა ზედა დაცულ ვიყვნეთ, რათა მისთვის ვმადლობდეთ იმერთსა, რომელმან დაგვიფარნა ჩვენ უვნებელად; ხოლო რომლისაგანცა გვევნებოდის, რათა ვინანდეთ მისთვის და ვსტიროდეთ და ვსწუხდეთ თავთა ჩვენთათვის. რამეთუ თითოეული თვისისა საზომისაგან ირგებსცა და ივნებსცა; უკეთუ არა სხვა არავინ გვავენებს, არამედ ჩვენ თვით თავთა ჩვენთა ვავენებთ.

ძ შემძლებელ ვართ უკეთუ გვინდეს, რათა ყოვლისაგანვე საქმისა ვირგებდეთ: და აჲ გითხრა თქვენ სახე რაიმე, რათა გულის ხმა ყოთ, ვითარმედ ესრეთ არს: აჲ ესერა დგეს ვინმე ადგილსა რომელსამე ქალაქსა შინა, და წარხდიან მის თანა სანძი კაცნი. და ერთმან მათგანმან მოიგონა მისთვის, ვითარმედ: მოელის ვისმე, რათამცა წარვიდა მისთანა და ისიძვა; და მეორემან მოიგონა, ვითარმედ: მპარავი არს; და მესამემან მოიგონა ვითარმედ უხმობია ვისდამე, მოყვარისა მისისა მახლობელისა ამის სახლისაგან, და მოელის მას რათა წარვიდეს მის თანა ეკ-



სწავლა მკათაობისმეტე.

კლესიასა შინა ღორცვად. აჰა ესერა სამთავე, ერთი კაცი ნახეს, და სამთავე სხვა და სხვა გულის-სიტყვა მოიგონეს მისთვის, თითოეულმან საზომისა ებრ თვისისა. ვითარ თვით იყო იგივე მისთვის მოიგონა.

ჴითარცა არიან გვამნი შავისა ნაღვლისა უფალნი და უძღურნი სტომაქითა, და რაიცა ჴამონ ყოველივე ავნებს მათ, დადაცათუ სარგებელისა-იყოს საჭმელი იგი. ეგრეთვე სული ოდეს იყოს ბოროტისა ჩვეულებისა უფალი, ყოვლისაგანვე ევნების, დადაცათუ კეთილი რაიმე იხილოს, არამედ მას ევნებისვე. ვითარცა ჴურჭელი რაიმე, რომელი იყოს სავსე თაფლითა: და უკეთუ შთააგდოს ვინმე მას შინა მცირედ თივისაგანი, რომელსა რქვიან აფსინდი (აბზინდა), მეყვსეულად ყოველსა მას თაფლსა დაამწარებსა? ეგრეთვე ჩვენ სიმწარითა უკეთურებისა ჩვენისათა დავამწარებთ მოყვისისასაცა კეთილსა.

ჴოლო რომელი იყოს კეთილისა გონებისა უფალი, იგი მსგავს არს კაცსა მრთელსა სტომაქითა, რომელმან დადაცათუ ჴამოს საჭმელი მავნებელი, მას არავე ევნების, რამეთუ სტომაქი მისი მრთელ არს და მალე მოიძნობს; და ვითარცა ვსთქუთ პირველისა მისთვის ვითარმედ გარდააქცევს უვნებელსაცა საჭმელსა მავნებელად. ეგრეთვე ესე მავნებელსაცა ყოფს უვნებელად.

ჴოლო ესე უწყოდეთ ვითარმედ (ეშვისა) ღორისა არს სტომაქი მრთელი, და ჴამს იგი კერატსა და გურკასა ფინიკისასა, რკოსა, და მწვირესა სვამს და სიმრთელითა მისითა მალედ მოიძნობს მას. ეგრეთვე ჩვენ უკეთუ გვაქნდეს სული კეთილი, და საქმენი კეთილნი რაიცა ვიხილოთ ყოვლისაგანვე ვირგებდეთ, დადაცათუ არა რაიმე კეთილი იყოს საქმე იგი, რამეთუ წერილ არს ვითარმედ: კაცსა უგუნურსა ყოველივე ბოროტ უჩინს (იგავ. 14. 8).

ჴესმა მე ძმისა ვისთვისმე, ვითარმედ ოდეს მივიდის სენაკსა ვისსამე და იხილის იგი განუგველად, თქვის: ნე-

სწავლა მეათჲვიდეტე.

ტარ არს ძმა ესე, რამეთუ ესრეთ უგულებელს უყოფიან ყოველნი ქვეყანისა საქმენი, და გონება მისი არს ზეცას, რომელ ვერცა სენაკისა თვისისა განგვად მოეცალების.

მა კვალად უკეთუ მივიდის სხვისა ძმისა სენაკსა და იხილის იგი განგვილი და განწმედილი, თქვის ვითარმედ: სული მისი წმიდა არს და ეგრეთვე სენაკი მისი წმიდა არს, და კეთილისა სულისა მისისა ებრ არს სენაკიცა მისი. და არაუის თვის თუ იგი ვინმე უწესო არს, ანუ იგი ვინმე ფულული (თავ-მომწონე) არს, არამედ სიკეთისაგან მისისა ყოველნივე კეთილ უჩნდეს. იმერთმან სახიერმან მოგვმადლენ ჩვენ, რათა ყოველთაგან ვირგებდეთ, და რათა არა დიდეს მოვიგონოთ ბოროტი მოყვისსა. ხოლო უკეთუ მოვიგონოთ, რათა კვალად მოვაქციოთ კეთილად. რამეთუ არა გაგონება ბოროტისა მოყვისსა თვისისა შეწევნითა ჩვეთისათა შობს სახიერებასა, რომელი უყვარს ჩვერთსა. რამეთუ მისა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკუნისაზდე. ამინ.

სწავლა მეათჲვიდეტე.†

იხუცესთა შამართ მოხსსტრისათა, და თუ ვათარ ვერ არს ბრძანება მათა, და კვალად მათ ვათარ უხმს მორჩილება.



უკეთუ ხარ უხუცესი ძმათა ზრუნევი მათ თვის ღმობიერითა გულითა და სახიერებითა, და ასწავებდი მათ კეთილსა საქმით და სიტყვით, რამეთუ უფროს ერგების საქმით სწავლა, ვიდრე სიტყვით და უმტკიცეს არს, უკეთუ ძალ-გედვას ხორცითა შრომა, სახე ექმენ მათ, ხოლო უკეთუ ესე ვერ ძალ გიძს, და უძღურ ხარ, მაშა სახე ექმენ მათ სათნობათა ზედა სულიერთა, რომელთა იტყვის მოციქული: სიყვარულითა, სიხარულითა, მშვიდობითა, სულგრძელებითა, სახიერებითა, სარწმუნოებითა, სიმშვიდითა, და ყოველთავე ვნებათაგან მარ-

უხუცესობა და მორჩილთაღმი.

ხვითა თავისა თვისისათა (გალატ. 5, 22, 23).

ჩემო მამაველთა ცთომათაგან ნუ აღშფოთნები ფრიად, არამედ დაწყნარებულად აჩვენე ვნება ცთომისა მის, და კანონი მიეცი ჯერისა-ებრ და ჟამისა მომავალისა, ხოლო წვლითა ცოდვათა ნუ გამოიწვლილავ და ზედას-ზედა ნუ ამხილებ, რამეთუ მძიმეცა არს და ზედას ზედა მხილება უგუნურებად დაუგულებელს ყოფად მიიყვანებს კაცსა.

ჩუ უფლებით უბრძანებ, არამედ ლმობიერებით, ვითარმცა განაზრახებდი, რამეთუ ესრეთ უფროსდა მორჩილებად მოიყვანებს მას და განუსვენებსცა ჟამსა აღძრვისასა.

ჩაქამს ძმა ვინმე აღიძრას, და სიტყვას გიგებდეს შენ, დაიცევ ენა შენი, რათა არა რქვა მას რისხვით სიტყვა. და ნუ მიუშვებ გულსა შენსა, რათამცა ამაღლდა მის ზედა; მოიხსენე, რამეთუ ძმა შენი არს, და ასო შენი ჭრისტეს მიერ და ხატი ივთისა და გამოიცადების იგი ჩვენ ყოველთა მტერისაგან. და მოწყალე ექმენ მას, რათა არა წარტყვენოს იგი ეშმაკმან წყლულებითა მით გულისწყრომისათა, და მოკლას იგი ძვირის-ხსენებითა, და წარსწყმიდოს სული იგი განუკრძალველობითა ჩვენითა, რომლისათვის ჭრისტე მოკვდა. მოიხსენე ვითარმედ შენცა მრავალ გზის იძლევი რისხვისაგან, შენისა უძლურებისაგან; ლმობიერ ექმენ ძმასა მას და მადლიერ-იყავ; რამეთუ პოვე ძიზეხი რათა შეუნდო და შენცა იმერძმან უმეტესად და უფროსად შეგინდოს, რამეთუ იტყვის: მიუტევეთ და მოგეტევენ თქვენ (ლუკ. 6. 37). ხოლო უკეთუ გონებ ვითარმედ: ნუ უკვე შენითა მით სულგრძელებითა ავნო სულსა მის ძმისასა. არამედ მოციქული იტყვის, ვითარმედ: სძლეთ კეთილითა ბოროტსა მას, და არა თქვა ვითარმედ სძლეთ ბოროტითა ბოროტსა (რომ. 19, 21). და წმიდანი მამანი იტყვიან, ვითარმედ: უკეთუ სხვასა განკურნებდე და განრისხნე თვისსა ვნებასა აღასრულებ, და არავინ დაარღვიოს თვისი სახლი, რათამცა მოყვსისა

სწავლა მკათაშვიდზე.

აღაშენა.

ჴოლო უკეთუ შფოთი იგი დაადგრეს, აიძულე გული შენი ილოცე და სთქუ ესრეთ: „მერთო კაცთ მოყვარეო და სულთა მოყვარეო, რომელმან სახიერებითა შენითა, არა არსისაგან არსად მომიყვანენ ჩვენ, და მოგვეც ჩვენ სამოთხე; ხოლო ჩვენ დავეცენით გარდასლვითა მცნებისა შენისათა, და კვალად აღგვმართენ ჩვენ სისხლითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და მაცხოვრისა ჩვენისათა. აწცა მოხედენ უძღურებასა ზედა ჩვენსა, და შერისხენ აღძრვასა ამას გულისა ჩვენისასა, ვითარცა იგი ოდესმე ზღვასა მღელვარესა, და ნუ უშვილო იქმნები, ერთსა ამას ჟამსა, ჩვენ ორთაგანვე, რაჟამს მოვკვდეთ ჩვენ ცოდვითა, და ნუ გვეტყვი ჩვენ ვითარმედ: რაიმე სარგებელი არს სისხლთა ჩემთა თვის, რაჟამს შთავიდე მე განსახრწნელად (ფსალ. 29, 10). და ვითარმედ: ამინ გეტყვი, არა გიცნი თქვენ (მატ. 25, 12); რამეთუ დავსებულ არიან სანთელნი თქვენნი მოკლებითა ზეთისათა“. და შემდგომად ლოცვისა ამის რაჟამს დამშვიდნეს გული შენი, მერმე შემძლებელ ხარ სიტყვისა ებრ მოციქულისა: რათა შერისხნე, ამხილო და ნუგეშინისცე, და ლმობიერებით, ვითარცა ასო შენი უძღური ესრეთ განკურნო იგი, მაშინ ძმაიცა იგი შეიწყნარებს კურნებასა მას, რაჟამს გულის-ხმა-ყოს ვითარმედ, არა კეთილად ქმნა და შენითა სიმშვიდითა მოსდრიკო გულიცა მისი მშვიდობად.

ჴოლო აწ ნუმცა რაჲ განგაშორებს შენ სიტყვისა მისგან ძრისტესისა, რომელსა იტყვის: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა (მატ. 11, 29); და ზრუნედი შენ, რათა პირველად მოიგო მშვიდობა, და ნურარასა საქმისათვის აღამრღვევ გულსა შენსა, რამეთუ ჩვენ ყოველსავე შრომასა ვყოფთ, რათამცა მოვიგეთ სიყვარული და სიწმიდე გულისა. ხოლო უკეთუ ესრეთ შეიძინო ძმა იგი, ღირს იქმნე შენცა სმენად ხმისა მის, რომელსა იტყვის ვითარმედ: უკეთუ გამოიყვანო პა-

უხუცესთა და მორჩილთაგმა.

ტიოსანი არა წმიდისაგან, იყო შენ ვითარცა პირი ჩემი (იერ. 15, 19).

ჴოლო შენ რომელი ეგე ხარ მორჩილებასა შინა, ნუ ირწმუნებ რასა გეტყოდის გული შენი, და ნუ მიენდობი გულის ხმის ყოფასა შენსა, რათა არა დაბრმდე. ნურას იქმ, თვინიერ კითხვისა, და ნუ მოიგონებ თუ მე უმეტესად განვიგებ მასწავლელისა ჩემისა; და ნუ ხარ მსაჯული საქმეთა მოძღვრისა შენისათა, რათა ოდეს გამოიცადებოდრი არა ცთომილ იპოვო, რამეთუ ცთომა არს ესე ეშმაკისა, რომელსა უნებს, რათამცა მოგაცთუნა შენ მორჩილებისაგან და ვერმცა პოვე შენ ცხოვრება იგი, რომელი მის მიერ იქმნების.

ჴოლო უკეთუ მორჩილობდე უშრომელად ხვალ შენ გზასა წმიდათა მამათასა. ისწავე დატევება ნებისა შენისა მადლითა ქრისტესითა, და ოდეს დაეჩვიო დატევებასა მისსა, მერმე უშრომელად დაუტევებდე მას, და ვერღარა გულისა გაკლდეს შენ, რამეთუ არა გინებს რათამცა იქმნებოდრა რაიმე ნებისა ებრ შენისა; და ესრეთ პოვო მშვიდობა. ისწრაფე რათა არა გარდახდე მცნებასა მკითხისასა, და მამისა შენისასა. დაიმჭირე ყოველსავე ზედა თვისისა ბრალობა, და ნურა რად შეგირაცხიეს თავი შენი.

შა გრწმენინ ვითარმედ ნებითა მკითხისათა მოიწვევის რაიცა მოვალს ჩვენ ზედა, და ესრეთ იტვირთე ყოველივე შენ ზედა მომავალი სიხარულით. და გინება გიჩნდინ, ვითარცა წამალი განმკურნებელი ჯმპარტავანებისა შენისა, და ულოცვედი მაგინებელთა შენთა, ვითარცა მკურნალთა სულისა შენისათა: ხოლო ესე უწყოდე, რომელსა სძულს გინება, მას სძულს სიმდაბლე: და რომელი ივლტის მაგინებელთა თვისთაგან, იგი ივლტის სიმშვიდისაგან. ნუ გნებაეს რათამცა სცნა ბოროტი მოყვისისა, და უკეთუ სცნა ნუ განიკითხავ მას; და ყოველსა ზედა მმერთსა მადლობდე, და მოიგე სახიერება და სიყვარული წმიდა, და ყოვლისა უწინა დავიცვათ სვინიდისი ჩვენი

სწავლა მკათშვიდმეტე.

ყოველსა საქმესა ზედა — და პირველად თქმისა, ანუ ქმნისა რა-  
ნისამე გულის-ხმა-ვყოთ, თუ არს ძი მას ზედა ნება ივთისა,  
და ესრეთ ვილოცოთ, და მერმე ვსთქვათ, ანუ ვქმნათ  
იგი და მივაგლოთ წინაშე ივთისა უძლოურება ჩვენი, და  
სახიერება მისი შეგვეწიოს ჩვენ ყოველსავე ზედა. რამე-  
თუ მისა შეგენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანის-  
ცემა უკუნისამდე ამინ.

სწავლა მკათურამეტე. +

ქაძელსა აქვანდეს მსახურება ოსტიგნობისა\*)



კეთუ გნებავს, რათა არა შთავარდებოდე გუ-  
ლის-წყრომასა და ძვირის ხსენებასა, სიყვარული  
ჭურჭლისა რანისამე მიმართ ნუ გაქვენ; არამედ უკეთუ რაიმე  
ვინმე ითხოვოს შენგან, მიეც მას იგი; და უკეთუ ცთომით  
განტყდეს ნუ შეწუხდები; ხოლო ამას იქმოდე, ნუ ამისთვის,  
ვითარმცა შეურაცხყოფდი საქმესა მონასტრისასა, რამეთუ  
თანა გაც, რათა ყოვლითა ძალითა შენითა ზრუნვიდე მას;  
არამედ რათამცა დაიცევ თავი შენი შფოთისაგან.

ხოლო ესე წარჰმართე და საქმეთა ამათ, არა ვითა-  
რცა შენთა იქმოდი, არამედ ვითარცა ივთისათა; და ვითა-  
რმედ ესე ოდენ საურავი რწმუნებულ არს შენდა. რამეთუ  
ერთი იგი გულის სიტყვა გასწავებს შენ, არა შურობასა,  
და არცა სიყვარულსა ჭურჭელთასა: ხოლო მეორე ესე  
გასწავებს შენ, არა შეურაცყოფასა საქმეთა მონასტრისასა;  
ხოლო უკეთუ ესე გულის სიტყვანი არა გაქვნიდენ, უწყე-  
ბულ იყავნ ვითარმედ შფოთი და აღძვრა არა გაკლდეს.

**ჩიობება.** ჟულის-სიტყვისა მხიარულ ვარ მე სიტყვა-  
თა ამათ ზედა, და მნებავს, რათამცა ვქმნენ იგინი: ხოლო  
რანისთვის რომელ ქამსა ქმნისასა არა მზა ვიპოვები?

**ჩიობება.** ქამეთუ არა ყოვლადვე იწვრთი მათ. ხო-

\*) მეკუწნავე მონასტრისა.

მკუქნისადმ.

ლო უკეთუ გნებავს, რათა ოდესცა გინდეს გაქვდეს იგი, მაშა ყოვლადვე იწვრთიდი მათ; და მე ვესავ იმერთსა რათა წარმატებოდი შენ საქმესა ივთისასა.

'ხოცვა და წვრთა სწორყვენ საღმრთოთა წერილთასა, უძლურნი მოიმაღლენ პირველად; რათა ამით საქმითა მოიგო ღმობიერება, ვითარცა მრავალგზის ვსტქუ; ხოლო მეორედ, რათა უკეთუ შენ დასნეულდე, მაშინ აღგიდგინოს შენ იმერთმან კაცი, რომელმან მოგიმაღლოს შენ; რამეთუ იტყვის: რომლითა საწყაულითა მიუწყოთ მოგეწყოს თქვენ (მატ. 7. 2). უკეთუ ჰქმნა საქმე რაიმე კეთილი ძალისაებრ შენისა, და გეწამებოდის შენ სუნიდისი შენი, და ვერ მოიმაღლო უხუცესი შენი, გინებს რათა გუღს-მოდგინე ჰყო თავი შენი: და იტყოდი ვითარმედ მე არა ვიცი გზა ჭეშმარიტებისა; და ესრეთ უშფოთველად და განსვენებით თანა წარხვდე. ოდეს გესმეს ვითარმედ სცეთ მისთვის, რომელი იგი შენ გეგონა ვითარმედ კეთილი მიქმნიეს, რამეთუ განსჯითა უგულის-ხმიერესთა შენთათა, ანუ ნაკლული იგი განსრულდების, ანუ კეთილად ქმნილი იგი უკეთეს-იქმნების. ისწრაფე რათა წარმართო მოთმინებითა, რათა რაოდენიცა ჭირი მოიწიოს შენ ზედა, გინათუ სულიერად, გინათუ ხორციელად, უშფოთველად და სულგრძელებით იტვირთო იგი. უკეთუ ვინმე დაგწამოს შენ საქმე, რომელი შენ არა გექმნას; ნუ განრისხნები, ნუმცა სიტყვასა უგებ, არამედ მოუდრიკენ მას მუხლნი, და არქვ: „შემინდვე მე და ლოცვა ყავ ჩემთვის“, ესე სტქუ და კმა ყავ და დადუმენ, ვითარცა სტქევს მამათა. ხოლო უკეთუ გკითხონ, თუ ვითარ იყო საქმე იგი: მოუდრიკენ პირველად მუხლნი და უთხარ თუ ვითარ იყო; და ოდეს უთხრა, კვლად მოუდრიკენ მუხლნი და თქუ: „შემინდვეთ მე და ლოცვა ყავთ ჩემთვის.“

**ხითხვა.** **ქაჲ** ვყო, რამეთუ ერთსა საზომსა ვერ-ვარ, სენაკსა შინა ჩემსა და შემთხვევასა ძმათასა?

**მიხება.** **ჰასვე** საზომსა, რომელი გაქვს სენაკსა შენ-



სწავლა მეათე რამეტე.

სა, ვერ მოიგებ შემთხვევასა ძმათასა, არამედ ისწრაფე ხოლო, რათა არავისგან გევენოს, არცა ვის ძვირი უძრახო, არცა მიხედნე საქმესა გინა სიტყვასა ვისსამე, რომელი გავნებდეს შენ, არამედ ისწრაფე რათა რაიცა საქმე იხილო ყოვლისაგანვე აღეშენებოდი. და ნუ გნებაეს, რათამცა გამოშინდი სიტყვითა, ანუ საქმითა შენითა, და ნუ ზვაობ ნურას ზედა. და მოიგე იწროება ცხოვრებასა შინა შენსა; და ქეშმარიტება დაიმჭირე პირსა შენსა ვიდრე მცირედ საქმედმდინცა.

ჴოლო ესე უწყოდეთ ვითარმედ უკეთუ კაცსა ბრძოდის ნება რაიმე, და ქმნეს მან იგი ერთ გზის, მერმე უფროსლა განძლიერდების ვნება იგი მის ზედა; რამეთუ თვით იგი განაძლიერებს ვნებასა მას მის ზედა, და მისცემს მას ძალსა კვალად ბრძოლად და ტანჯვად მისა.

ჴოლო უკეთუ იღვაწოს და ქმნეს საქმე წინააღმდეგომი ვნებისა მის უფროსლა მოაუძღურებს ვნებასა მას და განაძლიერებს თავსა თვისსა მის ზედა ბრძოლად მისსა, და ესრეთ იღვწოდეს რაჲ მცირედ, შეწევნითა ივთისათა სძლევს ვნებასა მას. იმერთმან დაგვიფაროს ჩვენ ლოცვითა ყოველთა წმიდათათა, ამინ.

**წითხვა.** ძად იტყვის მამა პიმენი, ვითარმედ სამნი ესე საქმენი არიან თავ ყოვლისა კეთილისა: შიში ივთისა; ვედრება ივთისა, და კეთილის ყოფა მოყვისისა?

**მიბეზა.** შიში ივთისა ამისთვის სქვა ბერმან, რამეთუ შიში ივთისა არს დასაბამი ყოვლისა კეთილისა და სიბრძნისა (ფსალ. 110, 10), და ვერვინ წარმართებს კეთილსა რასმე თვინიერ შიშისა ივთისა: რამეთუ შიში ივთისა მოდრეკს კაცსა ყოვლისა-ბოროტისაგან (იგავ. 15, 27).

ჴოლო ვედრება ივთისა ამისთვის სთქვა; რამეთუ თვინიერ შეწევნისა ივთისა ვერა რას სათნოებასა მოიგებს კაცი, ვერცა რას რასმე კეთილსა იქმს, დაღაცათუ უნდეს, ხოლო ამისთვის უხმს კაცსა, მარადის ვედრება

მკვუწნაგისადია.

ივთისა; რათა შეეწიოს მას.

ჴოლო კეთილის ყოფა მოყვისისა, ამისთვის თქვა, რამეთუ ესე საქმე სიყვარულისა არს; ხოლო საქმე კეთილი მოყვისისა სიყვარულითა სრულ იქმნების, და ამისთვის თქვა ბერმან კეთილის ყოფა მოყვისისა, რამეთუ ოდეს კაცსა ივთისა ეზინოდეს, და იმერთსა ევედრებოდეს, უხმს მას რათა მოყვასსაცა კეთილი უყოს; რამეთუ ესე არს სიყვარული აღმასრულებელი სათნოებათა, ვითარცა წმიდა მოციქული იტყვის (რომ. 13. 10). ხოლო შეაღსა იმერთსა ჩვენსა დიდება მივსცეთ უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

სწავლან მკათცხწამეტე.

ჩქმული მასივე წმიდასა მამისა ჩვენსა ჴოროთეს სხგა და სხგა სიტყვანა.



ქვა მამამან დოროთე შეუძლებელ არს თუმცა ვინმე მიენდო ნებასა და გულის თქმასა თვისსა, და მანმცა მოიგო მორჩილება, ანუმცა მისწვთა იგი, და ღირსმცა იქმნა ყოფად ნებისა ივთისა, რამეთუ თვინიერ მორჩილებისა ყოფად საქმე სრული და შეუცთომელი ვერ შესაძლებელ არს.

ჩქვა კვალად, არა ჯერ არს ჩვენდა ძმანო, რათამცა დავიჯერებდით გულის სიტყვათასა ანუ შეუდეგიომცა განზრახვასა და ნებასა ჩვენსა, რამეთუ ვნებულნი ვართ, და საქმენი ჩვენი ღრკუ არს და კეთილისაცა ღრკუ ვე იქმს.

ჩქვა კვალად: რომელმან არა შეურაცხყოს განსვენება ხორციელი და აღსრულება ნებისა თვისისა, ესე ვითარი ვერ ღირს-იქმნების ცხოვრებად სულისა თვისისა, არც გამოხსნად რისხვისა და მწუხარებისაგან, არცა დაწყნარებად მოყვისისა.

### სწავლა მკათნობრამეტა.

**ქევა კვალად:** ნუ ენუკვი (მოსთხოვ) სიყვარულსა და პატივსა მოყვისისაგან შენისა, რამეთუ სულსა შენსა არას ერგების ესე, არამედ უფროსად ევენების. არამედ შენ გიყვარდინ და პატივსცემდი მოყვასსა შენსა, რამეთუ რომელი ენუკვედეს მოყვასსა თვისსა, სიყვარულსა და პატივსა, იგი მარადის უფოთსა შინა არს, არამედ შენ უფროსად აჩვენე რათა ესრეთ იგიცა მოიყვანო სიყვარულად.

**ქევა კვალად:** რაიცა ვინ ქმნეს საქმე, სათნო ივითისა, ყოვლით კერძო მოვლენ მის ზედა განსაცდელნი, რამეთუ ყოველსა კეთილსა საქმესა: ანუ წინა უძღვის, ანუ უკანა შეუდგს განსაცდელნი: რამეთუ არაჲ კეთილი დამტკიცდების, უკეთუ არა გამოიცადოს განსაცდელისა მიერ.

**ქევა კვალად:** უკეთუ ვინმე არა შეურაცხ-ყოს სიტყვა მოყვისისა სიმდაბლე არს ესე მისსა. რამეთუ ჯერ არს შეწყნარება სიტყვისა მოყვისისასა, დაღაცათუ უმცირეს იყოს შენსა.

**ქევა კვალად:** უკეთუ მოიწიოს ჩემზედა საქმე რაჲმე, და იყოს იგი ნებითა მამისათა, დაღაცათუ მიჩნდეს იგი ფრიად დრკულ მირჩევია რათა ვყო იგი, ვიდრე მინდობითა განზრახვისა ჩემისათა, და ნებითა ჩემითა ყოფად, რომელი საგონებელ იყოს კეთილად.

**ქევა კვალად:** კეთილ არს ჩვენდა ძმანო, რათა ვივლტოდით აღსრულებისაგან ნებისა ჩვენისა, რამეთუ ესე არს ზღუდე შორის ჩვენსა და ივითისა.

**ქევა კვალად:** ყოველსავე საქმესა შინა ჩემსა, გინა სულიერსა, გინა ხორციელსა, არა ვინებე აღსრულება ნებისა ჩემისა, არამედ მიუტეობდი თავსა ჩემსა, ნებასა მამისა ჩემისასა.

**ქევა კვალად:** იციტმცა ძმანო, რამეთუ რომელი არა იქმოდის ნებასა თვისსა, არამედ ნებასა მამისა თვისისასა, იგი მარადის ნებასა ივითისასა იქმს.

მოკლე სწავლანი.

**ტქვა** კვალად: რომელი არა იქმოდის ნებასა თვისსა იგი მარადის ნებასა თვისსა იქმს; რამეთუ ვინაითგან ნებასა თვისსა არა იქმს, რაიცა ქმნეს, ყოველივე უნებს და ყოველსავე ზედა განისვენებს, რამეთუ არა ნებავს რათამცა ქმნა რაჲ, ვითარცა მას უნებს, არამედ ვითარცა მოჰვიდოდის.

**ტქვა** კვალად: უკეთუ ვინმე იხილოს მოყვასი თვისი, ვითარმედ შეუთრაცხ ყოფს მას, გინა სხვასა რასამე ბოროტსა უყრფს, არა უხმს მას მხილება თავისა თვისისათვის, არცა მაშინ, არცა სხვასა ჟამსა.

**ტქვა** კვალად: საღმრთო სიყვარული უფროს არს ბუნებითსა სიყვარულსა.

**ტქვა** კვალად: ნუ იქმთ ძმანო სიცილით და ლაღობით ბოროტსა, რამეთუ მრავალ გზის იქმს კაცი ლაღობით ბოროტსა, და მერმე უკანასკნელ დაეჩვევის, და დაღაცათუ არღარა უნდეს ყოფა საქმისა მის, არამედ უნდეს დატევებად ვერღარა შეუძლოს, ვინაითგან ექმნას ჩვეულება.

**ტქვა** კვალად: არა ჯერ არს უკეთუ ვისმე ქონდეს ვნება რაიმე, რათამცა ვევედრა იმერთსა, აღებად მისგან იგი ჭირისათვის, არამედ რათა მოიძულნეს ყოველნი საქმენი მისნი, ვითარცა წერილ არს ვითარმედ სიძულილითა სრულითა მოვიძულენ იგინი (ფს. 138, 22).

**ტქვა** კვალად: შეუძლებელ არს თუმცა ვინმე განურისხნა მოყვასსა თვისსა, უკეთუ ბირველად არღა მადლობდეს გული მისი მისზედა, და შეუთრაცხოს იგი და უჩნდეს თავი მისი უფროს მისსა.

**ტქვა** კვალად: ოდეს ვინ იქმოდეს, ბოროტსა რასმე, და ამხილოს მას ვინმე და მეყვსეულად აღიძრას იგი, უწყოდეთ, რამეთუ ნებსით თვისით იქმს ბოროტსა მას; ხოლო რომელი არა აღიძრას მხილებისათვის, ესე ვითარი საცნაურ არს, რამეთუ არა ნებსით თვისით იქმს ბოროტსა მას, არამედ ანუ იძლევის ჩვეულებისაგან, ანუ არა უწყის

სწავლა მკაცრად.

ვითარმედ ბოროტ არს საქმე იგი.

**ქ**ვა კვალად: არა დიდ არს უკეთუ ვინმე იქმოდის ბოროტსა და შენ ამხილო მას, და მეყვსეულად შეგივრდეს შენ, და შენ არა განიკითხო იგი, არამედ ესე არს დიდ უკეთუ ამხილო მას, რომელი იქმოდის ბოროტსა და იგი განრისხნეს და გაგინოს შენ, და შენ არა განიკითხო იგი, არამედ ლმობიერ ექმნე, და არა ძვირი უზრახო მას.

**ქ**ვა კვალად: წმიდამან დოროთე; **ჰ** ძმაო, რომელი ეგე ხარ მორჩილებასა შინა, ნუ ირწმუნებ რასა იგი გულისი შენი გეტყოდის, და ნუ მიენდობი გულის ხმის ყოფასა შენსა, რათა არა დაბრმდე თვალითა გულისა შენისათა, და ნუცა იქმ რას თვინიერ კითხვისა: და ნუცა მოიგონებ ბოროტსა მას მოგონებასა გულსა შინა შენსა, ვითარმედ ამას რასმე უკეთესად განვაგებო, ვიდრე მამა ჩემი, და ნუ ხარ მსაჯულ საქმეთა მამისა შენისათა, რათა არა წინა აღმდგომ მცნებათა ქრისტესთა იპოო, და წარსწყმდე სრულიად; რამეთუ ესე არს დიდი სიხარული ემბაკთა, რათამცა მოგაცთუნა შენ მორჩილებისაგან, და ვერცა პოვე ცხოვრება იგი კეთილი, რომელი იქმნების მორჩილებისაგან. ხოლო უკეთუ მორჩილებდე შენ მამასა შენსა, ყოვლითა გულითა შენითა უცთომელად ხვალ შენ გზასა მას წმიდათა მამათასა. ისწრაფე დატევება ნებისა შენისა მცირე მცირედ, რათა ესრეთ გექმნას ჩვეულება, და ისწავო ძლევა ნებისა შენისა მცირედსა ზედა და მერმე დიდსაცა შეუძლო დატევება ნებისა შენისა, და არა რასა ზედა შეგაკლდებოდის გულსა, და არცა გინდეს, რათამცა იქმნა რაჲ ნებისაებრ შენისა, არამედ ნებისა ებრ მამისა შენისა, და ესრეთ პოო უცთომელობა და მშვიდობა სულისა შენისა.

**ისწრაფე ძმაო, რათა არა გარდახდე მცნებათა მამისა შენისათა, ვითარცა ივთისათა, და უწყოდე ოდეს გარდახდე მცნებათა მისთა ივთისათაცა გარდახვალ, დაიმჭირე ძმაო, ყოვლადვე და ყოველსა ზედა ბრალობა თავისა**

მისისა აბა ღაროთესი.

შენისა, წრფელითა გულითა, და ნუ რად შეგირაცხიეს თავი შენი, და რაიცა მოიწიოს შენ ზედა განსაცდელი და გულის კლება, ცან ვითარმედ ცოდვათა შენთა საკურნებელი არს ივთისა მიერ, და ესრეთ მოთმინებით და სიხარულით თავს იღვე ყოველი შენ ზედა მომავალი ჭირი და შეურაცხება, გინება და ყვედრება გიჩნდინ ვითარცა წამალი ძლიერი და განმწმედელი შენდა ცოდვათა და ვნებათა შენთაგან, და უფროსად ვნებისა მაგის დიდისაგან და ბოროტისა, რომელ არს აშპარტავანება, გიყვარდინ და ულოცვედი მაგინებელთა შენთა, ვითარცა მკურნალთა სულისა შენისათა.

ჴოლო ესე უწყოდეთ ვითარმედ, რომელსა სძულს გინება, ყვედრება, მხილება და შეურაცხება, მას სძულს სიმდაბლე, და რომელი ივლტის მათგან, იგი ივლტის ცხოვრებისაგან სულისა თვისისა. ნუ გნებავს რათამცა სცან ბოროტი მოყვისა თვისისა, და თუ სცნა ნუ განიკითხავ მას, არამედ მარადის მოიხსენებდი ცოდვათა შენთა, და ცეცხლსა მას საუკუნესა, და მოკლედ მომავალსა დღესა მას სიკვდილისასა; და ყოვლითა ძალითა შენითა დაიცევ სვინილისი შენი, და ნუ შეურაცხ ყოფ მას, და ყოველსა ზედა საქმესა, და პირველად თქმად სიტყვისა, გინა ქმნადმდე საქმისა გამონახე კეთილად, უკეთუ გულსავე იქმენ, ვითარმედ არს ნება ივთისა თქუ, გინა ქმენ; უკეთუ არა მოიხსენე ძმაო სიტყვა იგი უფლისა ივთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ჴრისტესი ვითარმედ ცუდისათვისცა სიტყვისა სიტყვა გვინდა მიცემად (მატ. 12. 36); და ესრეთ მოთმინე იქმენ, და წინა აღუდგე სიტყვასა გინა საქმესა მას. ხოლო უკეთუ გნებავს რათა იყოს ნება ივთისა, ყოველსავე სიტყვასა გინა საქმესა შენსა ზედა, ნუ იქმ მას რომელი შენ გინდეს, არამედ რომელი იყოს წამებითა და სიტყვითა და ნებითა მამისა შენისათა, ვითარცა წერილ არს: „კითხე მამასა შენსა გითხრას შენ, და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“ (მეორ. სჯულ.

ეპისტოლე.

ვე, 7) და ესრეთ ძმაო ყოველითა გულითა შენითა და ძალითა შეუდგე სიტყვასა და ნებასა მამისა შენისასა, რამეთუ ესრეთ ნებავე იმერთსა, და მიანდვე თავი შენი, და სული შენი მცნებასა ივთისასა და ნებასა მამისა შენისასა სიმდაბლით, და ყოველადვე აბრალებდე თავსა შენსა, ვითარცა ხარ უძლური და სნეული, და ნურას ზედა შეუდგები ნებასა და განზრახვასა შენსა, და ესრეთ შეგეწიოს სახიერი იმერთი. რამეთუ მისი არს დიდება უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

ეპისტოლენი ღირსისა აბბა ზოროთმისი  
ეპისტოლე

სამომღვრებელი სწავლა მძისა მამართ, რომელმან კითხა მას უგრძობელობის და განგრილებულის სიყვარულისათვის.



როსა სულის უგრძობელობისასა, ძმაო, სასარგებლოა ხშირად კითხვა საღმრთოთა წერილთა, და ღმობიერ მყოფელთა სწავლათა იმერთ შემოსილთა მამათა; ხსენება საშინელისა დღისა მის განკითხვისა ივთისა, სხეულისაგან სულის გამოსლვაზე, და შემთხვევად მისდა საშინელთა ძალთა ბოროტთა, (თანა-მონაწილეთა) რომელთა თანა იგი იქმოდა ბოროტსა, ამა საწუთოსა და საღმობიერს ცხოვრებასა შინა. ეგრეთვე (სასარგებლოა) ხსოვნა მას ზედ, რომელ ჩვენ თანა მდებ ვართ წარდგომად საშინელისა და მართლ-მსაჯულისა წინაშე ქრისტესა, და არათუ საქმეთა ოდენ, არამედ სიტყვათა და გულის-ზრახვათაცა პასუხის გებად წინაშე ივთისა, წინაშე ყოველთა ანგელოსთა მისთა, და ზოგად წინაშე ყოველთა დაბადებულთა.

ესოვნა ეგრეთვე ხშირად განჩინებისა მის, რომელიც გამოვალს საშინელისა და მართლ-მსაჯულისა მისგან, მარცხენით მისა მდგომარეთა-თვის: წარვედით



### მარსას აბა დაროთესი.

ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი გან-  
მზადებულ-არს ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთათვის  
(მატ. 25, 41). ეგრეთვე კეთილ არს ხსოვნა დიდთა მწუ-  
ხარებათა და განსაცდელთა კაცობრივთა, რათა ამ სახით  
უნებლიეთ მაინც, ლმობიერ იქმნეს ფიცხელი და უგრძ-  
ნობელი სული, და მოვიდეს გრძნობასა შინა თვისთა  
ცოდვათასა.

ჴოლო ძმათ მოყვარებასა შინა, მოუძღურდები შენ  
ამისთვის, რომ შეიწყნარებ გულის-ზრახვათა იკვნეულთა  
მოყვასსა ზედა, და ერწმუნები გულსა შენსა; ეს შეგემოხვე-  
ვის შენ ეგრეთვე მისთვისაც, რომ შენ არ გნებავს არა ვი-  
თარი მოთმინება, წინააღმდეგ ნებისა შენისა. და ესრეთ  
უწინარეს ყოვლისა თანამდებ ხარ შენ, შეწვევითა ითვისა-  
თა, ყოვლადვე არ ირწმუნებდე თვისთა განზრახვათა, და  
ყოვლითა ძალითა შენითა სკდილობდე დამდაბლებად  
თავისა შენისა, წინაშე ძმათა შენთა, და ყოვლითა სული-  
თა შენითა მოკვეთად წინაშე მათსა ნებისა თვისისა. უკეთუ  
ვინმე მათგანი გულს დაგაკლებდეს, ანუ როგორმე შე-  
გაწუხებდეს შენ, მაშინ სიტყვისაებრ წმიდათა მამათასა;  
ილოცე შენ მისთვის, ვითარცა დიდი-სარგებლის აღ-  
მომჩენისა შენდა, და განმკურნებელისა გემოთ მოყვარე-  
ბისა შენისა. ამის მიერ მრისხანება შენი იქმნების დამცი-  
რებული; რამეთუ სიტყვისა ებრ წმიდათა მამათასა, სიყ-  
ვარული არს აღვირი მრისხანებისა. უწინარეს ყოვლისა  
ვეედრე იმერთსა მოცემად შენდა ყურადღების და გუ-  
ლის ხმის ყოფისა, რათა შეუძლო შენ ცნობად, რასა ში-  
ნა მდგომარეობს ნება მისი კეთილი, სათნო და სრული  
(რომ. 12. 2), და ეგრეთვე და ძალი, რათა იქმნე განმზა-  
დებულ ყოვლის კეთილის საქმისადმი. რამეთუ მისა შეე-  
ნის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკუნითი  
უკუნისამდე. ამინ.

ეპისტოლე.

უკისტოლუ მისივე ამისა მიმართ განსაცდელით შვი-  
ვიწროებულისა.



წინარეს ყოვლისა, ძმაო ჩემო, (ჯერ არს თქმად), რომ ჩვენ არ ვიცით (გზანი) განგებულებისა მეთისანი, და ამისთვის თანამდებ ვართ მივანდოთ მას განგება ყოვლისა, შესახებ ჩვენდა, ხოლო მით უმეტეს ჯერ არს აწ მოქცევად ესრეთ. უკეთუ შენ გნებავს კაცობრივი განზრახვითა განსჯა შემთხვეულთა, ნაცვლად მისსა, რათაჲცა მიანდო ყოველივე ზრუნვა შენი იმერთსა ზედა; მაშინ ესრეთნი გულის-ზრახვანი, მხოლოდ შრომას შეგამთხვევენ შენ. და ოდესაც აღსდგებიან შენ ზედა წინა აღმდგენი გულის სიტყვანი. და დაიწყებენ შეიწროებად შენდა, შენ თანამდებ ხარ ხმობად ღვთისადმი: „შუალო! ვითარცა გნებავს შენ, და ვითარცა უწყი, განაგე საქმე ესე.“ ვინადგან განგებულება მეთისა მოქმედებს მრავალთ ზესთა ჩვენის მოაზრების და სასოებათა, და ოდესმე ჩვენგან წინათ განსაზღვრული გამოცდილებით სხვებრ იქმნების; ერთი სიტყვით, დროსა განსაცდელისასა ჯერ არს რათა გაქენდეს სულგრძელება და ლოცვა, და არა გასურდეს როგორც მე ვსთქვი, და ნუ დაამტკიცებ, რომ კაცობრივითა გულის სიტყვითა შესაძლებელ იყოს ძღვევად საეშმაკოთა გულის სიტყვათა. იცოდა რა ესე, აბბა პიმენ და სთქვა რომელ სიტყვა ბრძანებული ნუ ზრუნავთ ზვალისათვის დღისა (მატ. 6. 34.), შეეხების კაცსა რომელიც მდგომარეობს განსაცდელსა შინა.

შა ესრეთ, შვილო ჩემო, გრწამდეს, რომ ესე არს ჭეშმარიტი დატევება ყოვლის საკუთარის გულის სიტყვისა, თუშეცა იგი იყოს გულისხმიერი, და გაქენდეს სასოება იმერთსა ზედა, რომელიცა შემძლებელ არს ქმნად უმეტეს მისა, რომელსა იგი ვსთხოვთ, ან რაზედაც

### მისისა აბბ დოროთესი.

განვიზრახავთ (ეფეს. 3, 20). მე ძალ შედვა პასუხის გე-  
ბად ყოველსა ზედა, რაიცა შენ სთქვი, გარნა არ მსურს  
სიტყვაში შეცილება არცა შენი, არცაღა თავისა ჩემისა,  
მხოლოდ მსურს, რათა გაჩვენო შენ გზა სასოებისა ივ-  
თისადმი, რამეთუ ესე გზა არს უშიშარი და თვით მტკი-  
ცე, უფალი შენთანა.

### მისივე ძმისადმი.

ჰოიხსენე, შვილო ჩემო, მისი, რომელმან სთქვა, ვი-  
თარმედ: მრავლითა ჭირითა ჯერ არს ჩვენდა შესლვად  
სასუფეველსა ივთისასა (საქ. 14. 22), და არა განსაზღვრა  
თუ, რაოდენითა და ვითარითა სახელდებით, არამედ სთ-  
ქვა განუსაზღვრებლად მრავლითა ჭირითა. და ესრეთ  
მადლობით და გულის-ხმის-ყოფით დაითმინე შემთხვეუ-  
ლი შენდა: უკეთუ გაქვს ცოდვანი. მაშინ ვითარცა და-  
მატკობელნი; უკეთუ არა გაქვს იგინი, მაშინ ვითარცა  
განმწმედელნი შენნი ვნებათაგან, ანუ შუამდგომელი შე-  
ნი ზეცისა სასუფეველისა. კაცთ მოყვარე და მოწყალე  
იმერთმან, შემრისხველმან ქართა და ზღვათა და მყოფე-  
ლმან დიდისა მყუდროებისამან (მატ. 8, 26), და შერისხ-  
ნეს შენსაცა განსაცდელსა, ძეო ჩემო. და მოგანიჭებს შენ  
გულისა სივრცესა, რათა ძალ გედვას შენ გულის ხმის  
ყოფად მზაკვარებათა მტერთასა. ამინ.

**მისივე ძმისა მიმართ, უთავარდნილის ძნელთა სწე-  
ულებათა და პირად პირადთა დაბრკოლებათა შინა.**

ბოხოვ შენ, ძეო ჩემო, დაითმენდე, და მადლობდე  
შებრკოლებისათვის შემთხვეულთა სწეულებასა შინა სი-  
ტყვისა მისებრ თქმულისა: ყოველი რაოდენი უკეთუ  
მოღებულ იყოს შენ ზედა, მითვალე მადლობით (ზირ.  
2, 3), რათამცა განზრახვა განგებულებისა აღსრულდეს  
შენ ზედა, შვილო ჩემო, ესრეთ ვითარცა მას ნებავეს. და  
ესრეთ მხნე იყავნ, განძლიერდი უფლისა მიერ, (და სასო-

ქმის ტრადუცია.

ებლი) მის ზედა ზრუნვასა შენთვის, იმერთი შენთანა.

**მისივე ძმისა მიმართ, განსაცდელთა შინა მყოფისა.**

ჰშვიდობა შენდა ქრისტეს მიერ, ძმაო! აიძულე გულსა შენსა (რწმუნებად), რომელ უეჭველად თვით შენ მიეცი მიზეზი განსაცდელსა. თუმცაღა აწ მყო შემთხვევასა შინა შენ მას ვერ პოულობ: შეურაცხ ყავ თავი შენი, დაითმინე, ილოცე; და მე ვსასოებ სახიერი მეუფის ძრისტეს მოწყალებასა ზედა, რომ იგი განგაშორებს განსაცდელსა, მოციქული იტყვის: და მშვიდობამან ძრისტესმან, რომელი მატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქვენნი (ფილიპ. 4. 7).

**მისდავე მიმართ (ძმისა).**

ჩუ განგვიკვირდების, შვილო ჩემო, უკეთუ იმყოფებოდე ვსასა ზედა, მთად აღმავალსა, და შენ შთავარდე ეკალთა და ქაობთა შინა; შეგზვდება შენ კვალად ვაკე აღგილი: ვინათგან მყოფნი მოღვაწეებასა შინა ოდესმე დავცემიან, და ოდესმე (თვით) დასცემენ (წინააღმდეგთა). დიდმა იობმა სთქვა: არა ბრძოლაა ცხოვრება კაცისა ქვეყანასა ზედა (იობ. 7. 1). და ვინმე მეორე წმიდათაგანი იტყვის: „კაცი გამოუცდელი განსაცდელითა, გამოუცდელ არს“. რამეთუ ჩვენ ვიქმნებით გამოცდილნი სწავლასა და სარწმუნოებასა შინა, მისთვის რომ ვიქმნეთ ჩვენ გამოცდილნი და განსწავლუნი: და ვისწავლოთ ბრძოლა. უფალმან სთქვა: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი (ლუკ. 21, 19). და ესრეთ სასოება კეთილსა ზედა სრულებით შეგვეწევა ჩვენ ყოველს შემთხვევასა შინა. და წმიდა მოციქული გვასწავებს რა ჩვენ მოთმინებასა მეტყველი: სარწმუნო არს იმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროს ძალისა თქვენისა, არამედ ყოვს განსაცდელისა თანა გამოყვანებაცა, რათა შეუძლოთ დათმენად (1. კორ. 10, 13). და უფალი ჩვენი-

### მირსის აბტ. დეროთის.

თვით ჭეშმარიტება-განუგეშებს. შენ მეტყველი: სოფელსა ამას ჭირი გაქვს; არამედ ნუგეშინინ, რამეთუ მე მიძლევიც სოფელსა (იოან. 16, 33). ამას ისწავებდე. და ამას შინა დაადგერ, გახსოვდეს შუალი და სახიერება მისი, შვილო ჩემო. იგი შეგეწევა შენ ყოველსა შინა, რამეთუ მოწყალე არს იგი და იცის უძლურება ჩვენი იგი ამ ჟამად შერისხავს დევლათა და ყოფს მყუდროებასა სულსა შინა შენსა ლოცვითა წმიდათა მისათა. ამინ.

### მისდა მიმართ.

ძოგორც სხეულს უკან-მისდევს ჩრდილნი, ეგრეთვე მცნებათ აღსრულებათა ზედა—განსაცდელნი; ვინაითგან არავინ, თქვა დიდმა ანტონმა, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა, თვინიერ განსაცდელისა. და ესრეთ ნუ განგიკვირდების, შვილო ჩემო, უკეთუ მზრუნველს თვისის ცხოვნებისას შეგემთხვიოს შენ მწუხარებანი და განსაცდელნი. გარნა დაითმინე უშფოთველად, და ილოცვედი, მადლობელი, რომ შენ, მცნებათა აღსრულებისათვის, ღირს იქმენ განსაცდელისა სწავლისა და გამოცდილებისათვის სულისა შენისა. სახიერი იმერთი მოგანიჭებს შენ დროსა განსაცდელისასა გულის-ხმის-ყოფასა და მოთმინებასა.

### მისდა მიმართ.

ჩვენ დაბადებულნი და ქმნულნი ვართ სახიერისა და კაცთ მოყვარისა ითვისა მეტყველისა: ცხოველ ვარ მე იტყვის (ადონაჲ) ოფალი, რამეთუ არა მნებავს სიკვდილი (უთნოსა) ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვნება მისი (იეზეკ 33, 11). ეგრეთვე: არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად (მატ. 9, 13). და ესრეთ, უკეთუ ესე არს ჭეშმარიტი, და უკეთუ ჩვენ ესრეთ გვრწამს; მაშინ მიუტევე ოფალსა ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ (ფსალმ. 54, 23), ე. ი. გამოგიხსნის, რამეთუ იგი ზრუნავს ჩვენთვის. და იგი ნუგეში-

ეპისტოლე.

ნისცემს გულსა შენსა, შვილო ჩემო, ლოცვითა წმიდათა-  
თა. ამინ.

მისდა მიმართ.

ჴეთილად განსაჯა აბბა პიმენმა, რომელ ბრძანებული  
სიტყვა: ნუ ზრუნავთ ხვალისათვის (მატ. ნ. 34) თქმულ  
არს კაცისა მიმართ განსაცდელთა შინა მყოფისა და თქ-  
მული: მიუტევე ოფალსა ზრუნვა შენი (ფსა. 54. 23) მი-  
ეწერების აქვე. და ესრეთ. დაუტევე, შვილო ჩემო, კა-  
ცობრივი განზრახვა, და გაქვდეს სასოება იმერთზედ,  
რომელიც იქმს უფროს უმეტეს მისა, რასაცა, ჩვენ წი-  
ნასწარ განვიზრახავთ, და დაგაწყნარებს შენ სასოება იმე-  
რთზე. ოფალი შეგეწიოს შენ, შვილო ჩემო, ლოცვითა  
წმიდათათა. ჩვენ თანამდებ ვართ წინა-აღუდგებოდეთ ეს-  
რეთთა გულის-სიტყვათა რამეთუ ვერ გავბედავთ თქმად,  
რომ ვიცოცხლოთ ხვალინდელ დღესაც.

მისივე როგლისა მიმართ დიდად სნეულის ძმისა, მძო-  
ნებელისა სხვა და სხვათა ხნეუთა გულის სიტყვათა  
მასზედ, თუ ვინ იზრუნებს მისის საჭიროებისათვის.

სახელითა ოფლისა იესო ქრისტესითა, ძმაო ჩემო,  
ნუ რა გვექმნების ნურა რაჲმე წინააღმდეგი მოყვისსა,  
ვინაიდან ჩვენ თანამდებ ვართ ყოვლად ვსძლოთ და დავ-  
ფაროთ ესე სიყვარულითა. არავინ არ ეტყვის თავის მოყ-  
ვას: „რასათვის შენ არ გიყვარვარ მე“? არამედ თვით  
მოქმედება ღირსი სიყვარულისა, მიიზიდავს მოყვასსაცა  
სიყვარულისადმი. ხოლო შესახებ ხორციელის სახმარისა  
(გეტყვი), რომელ უკეთუ ვინმე ღირს-იყოს განსვენებისა;  
მაშინ სარაციანის გულსაც იმერთი შთააგონებს აღმოჩი-  
ნებად მისდა მოწყალებისა, მისი საჭიროებისა ებრ; ხო-  
ლო უკეთუ იგი არა ღირს იყოს, ანუ მისდა სარგებელ  
არ იყოს, დროსა სწავლისა (მწუხარების, განსაცდელის)  
მისისა, იქმნეს ნუგეშინისცემულ. ამისთვის თუმცა მან  
შექმნას, ახალი ცაჲ და ახალი ქვეყანა, ვერ პრებს განსვენ-

ნებასა. ხოლო თქმული შენ მიერ, რომ შენ ამძიშებ ძმა-  
თა, ცხადია თავის გამართლება არის; რამეთუ არავინ შე-  
მწეს მოყვისისას, მსურველს ცხოვნებისას, აღმასრულებელს  
მცნებისა ივთისას, არ ეტყვის მას: „მე გამძიშებ შენ“. ვი-  
საც სძულს განმამწარებელნი (განმარისხებელი) მისი, მას  
სძულს სიმშვიდე, და ვინც ევლტის შემაწუხებელთა მის-  
თა, იგი ევლტის ქრისტეს მიერ განსვენებასა. კაცთ მოყ-  
ვარემან იმერთმან დაგვიფაროს ჩვენ, შვილო ჩემო, თვი-  
სითა მადლითა, ლოცვითა ყოველთა წმიდათათა. ამინ.

**კითხვა მიხვება მაგისა დოროთესი მაგისა იოანეს  
მიმართ, რომელსა ეწოდა წინანსწაგამტყველი.**

**კითხა** ზამამან დოროთე მაგისა იოანეს: ვითარ შე-  
უძლო ძღვევად კადნიერებისა, და დამჭირვად ენისა?

**პიხვება.** ჟლოვითა მარადის.

**კითხვა.** და ვითარ შეუძლო დამჭირვად გლოვისა,  
ვიქცეოდე რა კაცთა თანა; ანუ არს გლოვა თვინიერ  
ცრემლთა მხურვალეთა?

**პიხვება.** ჳრათუ ცრემლთა მიერ არს გლოვა, არა-  
მედ ცრემლნი გლოვისა მიერ არიან; ხოლო უკეთუ ვინ-  
მე იყოს კაცთა შორის, და დაუტეოსნება თვისი, და არა  
მიხედვიდეს ცოდვათა სხვისათა, ესე ვითარმან მოიგოს  
გლოვა: რამეთუ ამით ორითა საქმითა შეუკრებიან გუ-  
ლის სიტყვანი ზრუნვად ცოდვათა თვისთა; და ოდეს შე-  
იკრიბნეს კაცმან გულის-სიტყვანი, ზრუნავს ცოდვათა  
თვისთა: მაშინ მოვალს მისთანა საღმრთო იგი გლოვა,  
და მის გლოვისა მიერ იშვებიან ცრემლნი წმიდანი.

**კითხვა.** მოთმინება გინებისა და შეურაცხებისა მი-  
ეახლებისა დაყუდებასა?

**პიხვება.** ჴითარცა რომელსა ზედა ედვას თანანადე-  
ბი სხვისა, უკეთუ არა მისცეს თანა ნადები იგი, თანამდები  
არს, და სადაცა წარვიდეს თანა-მდებ არს, და ეშინიან და  
არა აქვს განსვენება და თავისუფლება, რათამცა იყო უზ-  
რუნველად. ხოლო უკეთუ მისცეს თანანადები იგი, და



აღიღოს ხელით წერილი განთავისუფლებისა, მაშინ შემძლებელ არს განსვენებით და კაღნიერად დაჯდომად სადაცა უნდეს; ეგრეთვე თანა აც კაცსა, რომელსა უნდეს განთავისუფლება ცოდვათაგან და ვნებათაგან, რათა ყოველითურთ დაუტეოს ნება თვისი: და მოითმინოს გინება და შეურაცხება სიმდაბლით, რამეთუ სხვაჲ ვერა რაჲ საქმე მოიყვანებს კაცსა სიმდაბლედ და განთავისუფლებად ვნებათაგან, ვითარ დატევება ნებისა სრულიად, და მოთმინება შეურაცხებისა. ხოლო მაშინ ოდეს განთავისუფლდეს ნებისაგან თვისისა და ვნებათაგან, და მოვიდეს სიმდაბლედ, მაშინ დაეყუდოს და განიწმიდოს სული წმიდითა სულითა და გონებითა, და მაშინლა სთქვას: იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომა ჩემი, და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი (ფსალ. 24, 18). ხოლო გითხრა შენ სხვაიცა, რათა გულის ხმა ყო: იხილე თუ უწინარეს ჯვარცმისა თუ რაოდენი ჭირნი და შეურაცხებანი თავს იხსნა კაცთა შორის ოფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, და მაშინლა მოვიდა ჯვარცმად; ეგრეთვე ვერ ვინ შემძლებელ არს, რათამცა მოვიდა დაყუდებასა სრულსა და სისრულედ წმიდად, უკეთუ პირველად არა ივნოს ღრისტეს თანა და არა დაუტეოს ყოველივე ნება თვისი; ვითარცა იტყვის მოციქული: უკეთუ მისთანა ვივნოთ მისთანაცა ვიდიდნეთ. ხოლო აწ გულისავსე იქმენ, რამეთუ სხვაჲ გზა არა არს ცხოვრებისა, თვინიერ სრულად დატევებისა ნებისა თვისისა. უფალმან მოგეცინ შენ ძალი რათა კეთილად და აფუძნო სახლი შენი, კლდესა ზედა მტკიცესა რომელ არს ქრისტე.

**კითხვა.** რომელი გზა მსწრაფლ აცხოვნებს კაცსა: შრომა, ანუ სიმდაბლე გულისა და გონებისა?

**პიგუბა.** ჰეშმარიტი შრომა თვინიერ სიმდაბლისა არა არს, რამეთუ შრომა მარტოდ ამჟო არს, და ვითარცა წერილ არს: იხილე სიმდაბლე ჩემი, და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი (ფსალ. 24, 18); რამეთუ რომელსა ესე ორნივე ქონდის, იგი აღრე მიიწვევის ცხო-

ვრებად საუკუნოდ: ხოლო დაღაცათუ ვისმე არა აქვნდეს შრომა; უკეთუ შეურაცხება ოდენ აქვნდის სიმდაბლით; იგიცა აღრევე მიიწვეის: რამეთუ შეურაცხება და შრომა სწორ არიან. ხოლო რომელსა აქვნდეს სიმდაბლე ოდენ; იგიცა მიიწვეის, არამედ უგვიანესადრე: ხოლო უკეთუ შენ გნებავს დამჭირვა სიმდაბლისა ჭეშმარიტისა, უცხო იქმენ ნებისაგან შენისა, და თავი თვისი ნურად შევირაცხიეს; და ყოვლადვე და ყოველსა ზედა აბრალელებდე თავსა თვისსა, და ახლოს მოელოდე სიკვდილსა დაუვიწყებლად და გულის-ხმის ყოფით.

**ჴითხვა.** მითხარ მამაო, ვითარ მოვიწყვიტო დავიწყება და წარტყვენვა გონებისა ჩემისა?

**პიბება.** რომელი შეიწყნარებდეს ცეცხლსა მას, რომელი თქვა უფალმან ვითარმედ: ცეცხლისა, მოვედ მიფენად ქვეყანასა ზედა (ლუკ. 12, 49), ესე ვითარსა დავიწყება არა აჭირვებს, და არცა სადა წარტიყვენვის გონება მისი; რამეთუ კაცი რასაცა იგონებდეს, და დავარდეს მის ზედა ნაკვერცხალი და დაწვას, დაუტევებს ყოველსავე წარტყვენვასა გონება მისი, ჟამსა მას და მუნ მოვალს. ხოლო შენ უკეთუ გნებავს, რათა განეყნო დავიწყებასა და წარტყვენისაგან სხვითა სახითა ვერ შემძლებელ ხარ, უკეთუ არა მოიგო საღმრთო იგი ცეცხლი, რამეთუ მხურვალეებისაგან მისისა იგინი უჩინო იქმნებიან; და ცეცხლი ესე მოიგების შიშითა და სურვილითა ივთისათა, და მოჩინლებითა სრულითა.

**ჴითხვა.** ვითარ მოვიწყვიდო სიყვარული ხორციელნი?

**პიბება.** ძეთილ არს რათა არა გაქვნდეს სიყვარული მოასაკესა შენსა თანა, სადა იყოს კადნიერება და განცხრომა, რამეთუ ესე ვითარი ჩვეულება არა უტევებს გლოვასა შენთანა; ხოლო ესე უწყოდე არა რაჲ კეთილისა საქმე მოიგების თვინიერ ჭირისა.

**ჴითხვა.** ვითარ დავიცვნე თვალნი ჩემნი?

**პიბება.** ასწავე თვალთა რათა არა მიხედვიდენ კადნიერებით, რამეთუ კადნიერება არს, რომელი წარსწყ-

მენდს ყოველსა შრომასა მონაზონისასა; ხოლო ამას ყოველსა ზედა ძმანო, უკეთუ არა ეძიებდეს იმერთსა კაცი ტკივილითა გულისათა ვერ მისწვოების; უკეთუ კულა მოიცალოს ყოველისა საქმისაგან, და იმერთსა ეძიებდეს ამით მისწვთეს ყოველსა კეთილსა, ვითარცა წერილ არს; მოიცალეთ და გულის ხმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი.

**ჯიშვბა.** **ჯაჲ** არს შეურაცხება?-და რაჲ არს შემუსრვილება გულისა? და რაჲ არს სიმდაბლე?-ანუ მორაით ვინ იგებს შეურაცხებასა თვით გულსა შინა თვისსა, ანუ გარეთცა უხმს შეურაცხება და გინება კაცთაგან?

**ჯიშვბა.** შეურაცხებასა ორნი სახენი ქონან, ერთი გულისაგან, და ერთი გარეგან კაცთაგან; ხოლო გულისა უფროს არს კაცთაგან მომავალი; რამეთუ გულისას არა აქვს ესრეთ ტკივილი, ვითარ კაცთაგან მომავალს შეურაცხებასა მის ზედა. ხოლო უკეთუ ვინმე მირბიოდეს თვით ნებისით თვისით საქმეთა შეურაცხთა გინათუ ამცირებდეს თავსა თვისსა, საქმე ესე არა სრული არს, რამეთუ შეყვებისცა ცუდად მზვაობრობა; ხოლო უკეთუ ვინმე მოითმენდეს ზედა მომავალთა შეურაცხებათა სხვათაგან, და რასა ვინ ეტყოდის ყოველსავე მორჩილებდეს კეთილად, ესე ვითარ ესე მოვალს წარმატებასა დიდსა და სიმდაბლესა სრულსა, და ესე არს შემუსრვილება გულისა; რათა არა უტევებდეს კაცი განბნევედ გულის სიტყვათა თვისთა, საქმეთა მიმართ უცხოთა, რამეთუ თვინიერ საურავისა ცოდვათა თვისთასა და წვრთისა თვისისაგან, სხვა ყოველი უცხო არს სადაცა განაბნევეს.

**ჯიშვბა.** **ჯაჲ** უხმს კაცსა საქმენი მდაბალნი, ანუ სიტყვანი?

**ჯიშვბა.** სიმდაბლე ესე არს, რათა არად ვის შეერაცხოს თავი თვისი არა რასა საქმესა ზედა; და რათა არა რას ზედა ყოს ნება თვისი; და რათა მორჩილ იყოს ყოველსავე ზედა, და რათა მოითმენდეს ყოველსავე კაცთაგან მომავალსა მის ზედა გულის კლებასა და ჭირსა უღრტვინველად, და ესე არს ჭეშმარიტი სიმდაბლე, რომე-

ლსა შინა ვერ ჰპოვებს ამპარტავანება ადგილსა. ხოლო უკეთუ ვინმე იტყოდის სიტყვითა ოდენ, სიტყვასა სიმდაბლისასა, უფროსად ამპარტავანებად მოვალს, არამედ კმა არს მისდა თქმად ოდენ: (შემინდევ მე,) ანუ (ილოცე ჩემთვის.)

**წითხვა.** ოკეთუ კეთილ არს მიბრძანე, რათა მივყო ხელი ჩემი ყოველთავე საჭმელთა, და არა განძღვე, და არცა ვაჩვენო ვის ვითარმედ უფროს ძმათასა ვიქმ?

**ჩიბება.** ჭრიად კეთილ არს, უკეთუ მიყო ხელი შენი ყოველთა საჭმელთა და არა განძღვე.

**წითხვა.** ვითარ ბრძანო, რამეთუ უკეთუ უბნობდე ვიეთმე თანა, და განგრძელებს უბნობა იგი, მინებნ რათა აღვსდგე და კვალად მრცხვენინ; და უკეთუ არა აღვსდგე წარიტყვენის გონება ჩემი, და შეექცევის უბნობასა მას და დამავიწყდების წვრთა ჩემი?

**ჩიბება** ოკეთუ იყოს უბნობასა მას შინა სარგებელი სულისა დაადგერ, უკეთუ კულა არა იყოს სარგებელი სულისა, არამედ ამაო ნუ გრცხვენინ; არამედ არქვ მათ შემინდვეთ და აღდგე, ხოლო სირცხვილისათვის მოიხსენე საშინელი დღე, თუ ვითარი სირცხვილი ყოფად არს ცოდვილთა ზედა, და შეგეწიოს შენ იმერთი, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ.



## ჯანდუში ესე იზრ სპიჯებელი წიგნისა ამის


<p>იირსისა მამისა ჩვენისა აბბა დოროთესი.</p>		
<p>ჟასტოლე ქმისა მას მიმართ, რომელსა ეთხოვნეს, რათა წარგზავნოს მას პოვნილნი იგი სიტყვანი წმი-</p>	<p>დლისა მამისა ჩვენისა დოროთესნი.</p>	<p>გვერდი 8.</p>
<p>ხოთხრობა ნეტარისა მამისა დოსითეზე მოწაფისა წმი-</p>	<p>დლისა აბბა დოროთესი.</p>	<p>9.</p>
<p><b>სწავლანი წმიდისა მამისა დოროთესნი, თითოსანენი მოწაფეთა თვისთა მიმართ, რაჟამს წარვიდა იგი მონასტრისაგან მამისა სერიდოჲსა, და აღაშენა მონასტერი თვისი ნებითა ივეთისათა, შემდგომად აღსრულებისა მამისა იოანე წინასწარმეტყველისა, და სრულიად დაღუგებისა წმიდისა მამისა ჩვენისა ბარსანოფისა.</b></p>		
სწავლა, ა.	ბამოსლოვისათვის სოფლით.	10.
სწავლა, ბ.	სიმდაბლისათვის . . . . .	11.
სწავლა, გ.	სვინილისისათვის . . . . .	12.
სწავლა, დ.	შიშისათვის ღვთისა.	13.
სწავლა უ.	რათა არა მივენდვნეთ განზრახვათა და გულის-ხმის-ყოფათა ჩვენთა.	14.
სწავლა, ვ.	არა განკითხვისათვის მოყვისსა.	15.
სწავლა, ზ.	თაღის ბრალბობისათვის . . . . .	16.
სწავლა, ც.	ძვირის ხსენებისათვის . . . . .	17.
სწავლა, თ.	ტყუვილისათვის.	18.
სწავლა, ი.	რათა შრომითა და გულის-ხმის ყოფითა ვიდოდეთ გზათა ივეთისათა.	19.
სწავლა, ია.	რათა ვისწრაფდეთ მოწყვედად ვნებათა, ვიდრეღა იყენეს მცირე, და ვიდრე არა ჩვეულებულ იყენეს სულნი ჩვენნი საქმესა მათსა.	20.
სწავლა, იბ.	შიშისათვის საუკუნოსა სასჯელისა, და ზრუნვისათვის ცხოვრებად სულისა თვისისა.	21.
სწავლა. იგ.	რათა უშფოთველად და მადლობით მოვითმენდეთ განსაცდელთა.	22.
სწავლა, იდ.	აღშენებისთვის სახლისა სულისა და სათნოებათა, და თუ ვითარ ურთიერთარს შეიწყობიან იგინი.	23.
სწავლა, იე.	წმიდათა ორმოც დიდ მარხვათათვის.	24.
სწავლა, ივ.	მესენაკეთა მიმართ, რაჟამს კითხეს ღირსს აბბა დოროთეს ურთიერთ არს მისლვისათვის.	25.
სწავლა, იზ.	ოახუცესთა მიმართ მონისტრისათა, და თუ ვითარ ჯერ არს ბრძანება მათა, და კვლად	

		გვერდი რომ.
	მათ ვითარ უხმს მორჩილება.	
სწაელა, იწ.	რომელსა აქენდეს მსახურება ოსტიგნობისა.	რპ.
სწაელა, ით.	თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩვენისა ღო- როთესი სხვა და სხვა სიტყვანი.	რპპ.
მპისტოლე	ღირსისა აბბა ღოროთესი, ძმისა მიმართ, რომელმან კითხა მას უგრძნობელობისა და განგრილებული სიყვარულისათვის	რპპ.
მპისტოლე,	მისივე (აბბა ღოროთესი) ძმისა მიმართ გან- საძღვლით შევიწროებულისა; და კვალად შეორე.	რპ.
მპისტოლე,	მისივე ძმისა მიმართ შთავარდნილისა ძნელთ სწეულებათა და პირად-პირადთა დაბრკო- ლებათა შინა.	რპპ.
მპისტოლე,	მისივე ძმისა მიმართ განსაძღვლთა შინა მყო- ფისა, და სხვანი, ოთხნი ეპისტოლენი.	რპპ.
მპისტოლე	მისივე, ძმისა მიმართ დიდად სწეულისა, და სხვა და სხვა ხენეშთა გულის სიტყვათა მქო- ნებელისა, თუ ვინ იზრუნებს მისის საჭირო- ებისათვის.	რპდ.
ძითხვა მიგება	მამისა ღოროთესი მამისა იოანეს მიმართ რომელსა ეწოდა წინას-წარმეტყველი.	რპმ.



## უმაჯამისი უმცრომები


კვერ.	სტრიქონი	ზევიდამ	დაბეჭდილია	უნდა იყოს
7	5	„	ხმისა	ხმის
„	18	„	შეინანა	შეიძინა
11	12	„	რამე	რამეთუ
13	26	„	მესარეცხელ	მესარეცლელ
24	32	„ სიტყვა	ბოროტის შემდეგ	მეტია სიტყვა მისით
27	25	„	ღვით	ტვით
29	24	„	კორ. 6.	კორ. 7.
38	32	„	ვერავ	ვესავ
52	22	„	არი	არა
54	20	სიტყვა	ხოლო ორჯერ არის	უნდა იყოს ერთხელ
64	31	„	დაადგებოდით	დაადგებოდით
66	17	„	დაბერტყდეს	დაბერტყდეს
68	27	„	წერილ არა	წერილ არს
107	15	მისსა სიტყვა	ორჯერ არის	უნდა იყოს ერთჯერ
124	32	„	სიტყვა ჟამთა	გამოტევებულია
131	12	„	გვედრებოდით	ვევედრებოდით
132	11	„	განვილიან	განვილიან
142	9	„	ქმნეს	იქმნეს







იგნი ესე აბბა დოროთესი, გადაწერილ იქმნა შთასა წმიდა-  
სა ათანას 1900-ს წელსა. ახალ-ქართველთ წმიდა მოცი-  
ქულის, მახარებელის; ღვთის მეტყველის და მკერდ-მიყრდნობილი-  
სა იოანეს საფანესა შინა. ძველის მონასტრის ივერიის ქართველთ  
წიგნთა საცავსა შინა დაცულისა პერლამენტზედ დაწერილის ნათა-  
რგმნის ბერძულიდამ, წმიდისა მამისა ჩვენისა ევთიმის მიერ.



108 სთ